

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №5

**ზოგადი ნაცილი
საოჯახო და სამემკვიდრო დავისი**

საძიებელი

ზოგადი ნაცილი

პატივისა და ღირსების შეღახვა
პატივისა და ღირსების შეღახვა. ცილისწამება
კომპენსაციის გადახდა პირადი არაქონებრივი
უფლების ხელყოფის გამო
გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას
მინდობილობის საფუძველზე დადგებული
გარიგების ნამდვილობა
სანდაზმულობის გადა
საკუთვნებელი
მფლობელობა
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა
სამეცნიერო სამართალი
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას
წარმოშობილი ურთიერთობები

საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლები

უფლებამონაცვლე

საოჯახო სამართალი

არასრულწლოვანის უფლებათა დაცვა
არასრულწლოვანი შეილის საცხოვრებელი
ადგილი მშობლების განქორწინებისას
არასრულწლოვანი შეილის საცხოვრებელი
ადგილი მშობლების განქორწინებისას
არასრულწლოვანი შეილის საცხოვრებელი
ადგილი მშობლების განქორწინებისას
ბავშვის ნახვის წესის განსაზღვრა
არამართლზომიერად დაკავშელი ბავშვის დაბრუნება
საწარმოში არსებული წილის გაყოფა განქორწინებისას

შემკვიდრეობის სამართალი

შინაურული ანდერძი
სამკვიდროს გახსნა კომლში
სამკვიდროს მიღება
ანდერძის ბათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა

პატივისა და ღირსების შელახვა

განცხადება

№ას-208-201-2012

3 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათმაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ც-მ მოპასუხე ტ. ტ-ის მიმართ და მოითხოვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის მოპასუხის მიერ უარყოფა.

სარჩელის მიხედვით, 2007 წლის 1 მაისს მოსარჩელის შვილს შეემთხვა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც მოპასუხებ მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მოგვიანებით შეწყდა პროექტის დადგენილებით, რადგან მოსარჩელის შვილის ქმედებაში არ აღინიშნებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. ხსენებული დადგენილება მოპასუხებ გაასაჩივრა, თუმცა ის უცვლელად იქნა დატოვებული. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მოსარჩელეს მოპასუხესთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ბოლოს ეს ურთიერთობა დაიძაბა, კერძოდ, მოპასუხე მოსარჩელეს სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას როგორც საგაზეთო პუბლიკაციების, ასევე ინტერნეტის მეშვეობით, რითაც შეიღლახა მისი პატივი და ღირსება.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ მას მოსარჩელის მისამართით შეურაცხყოფა მოსაზრებები არ გაუვრცელებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხე ტ. ტ-ს დაეკისრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ი. ც-ის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაზიერ „ქ-ის“ პირველივე ნომერში შემდეგი სახით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/1968-11 დაკმაყოფილდა ი. ც-ის სარჩელი მოპასუხე ტ. ტ-ის მიმართ, 2009 წლის 9-15 ნოემბრის გაზიერ ქ-ში (№44, გვ. 26) და სხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნებული შეურაცხყოფა ცნობები მიჩნეულ იქნა ი. ც-ის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ქმედებად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ტ-მა, რომელმაც მოითხოვა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინებით ტ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:
გაზიერ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში 26-27 გვერდებზე უურნალისტ თ. რ-ის ავტორობით გამოქვეყნდა ტ. ტ-ის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი ი. ც-ს მოიხსენიებს უწმანური სიტყვებით და პრალს დებს ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში, კერძოდ, წერილში მითითებულია, რომ: „ისეთი ნაძირლები, როგორიცაა ს. ც-ე, დღეს ხელისუფლებაში მყოფ მაღალჩინონსნებს ურჩევენ როგორ მოიქცნენ, როგორ აკეთონ თავიანთი კრიმინალური საქმეები, როგორ მოიყვანონ ყასბები და როგორ აჭრან ხალხს ფეხები, შემდეგ კი ბედის ანაბარად მიაგდონ. ... ისეთ არაკაცებს და ნაძირლებს, როგორიც პოლიტოლოგი ს. ც-ე და მძახალი, ექიმი - ყასაბი ა. ა-ეა, მუხლებზე დავაყენებ. ... დიახ, ს. ც-ის უშუალო ბრძანებით მომჭრეს მე კიდური, მანვე გაუქეთა ფალისიფირება სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული. ... ესეც არ იკმარა ამ ნაძირალა ს. ც-მ, მოვიდა და მემუქრებოდა, რომ ციხეში ჩამსვამდა ცრუ ჩვენებებისთვის. მისმინე პოლიტოლოგ! შენი კარუსელი მალე დასრულდება, იმიტომ რომ საცოდავი და ამაზრზენი ნაძირალა ხარ! შენი ნათესავი რომ მოგყავდა, რატომ არ მოიყვანე პროფესიონალი ექიმები?! ფულის გადახდა დაგენანა, რომ შენს შვილს ჰყოფნდა დოზაზე. შენ უყურადღებოდ მიაგდე შენი შვილის წყალობით დასახიჩრებული ქალი ავარიიდან ოთხი თვის შემდეგ, რომელიც შენმა შვილმა ჩაიდინა. ... პოლიტოლოგი ს. ც-ე არის დიპლომატიური აკადემიის რექტორი, მისი ცოლი პროფესიონალი. სასაცილოა, იმიტომ, რომ ეს მათი აკადემია პაპა კარლოს ბუნაგია. ამ ბუნაგში სიმაღლის მიხედვით ჩამოამნერივა პრეზიდენტის ექს- მრჩეველმა საპატრულო პოლიცია, პროკურატურა, ექსპერტები, მოსამართლები, ექიმები და ტყუილზე ხელი მოაწერინა. ... როგორ შეიძლება ტელევიზიით გამოდიოდეს ს. ც-ე და პოლიტიკაზე ლაპარაკობდეს, როდესაც მისი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე კრიმინალია?! და მსოფლიო გაიგებს ამის შესახებ. ს. ც-ის უსუსურობის ალეგორია არის ნიანგი, რომელიც უნიტაზში ჩაუშვეს. მე მივმართავ „გაეროს“ უფლებათა დაცვის კომიტეტს. უკვე გადაგზავნილია ამ წერილის ასლი, ასევე ჩა-

ნაწერი იმის შესახებ, რომ მემუქრებოდა ს. ც-ე, რომ თუ დავიწყებდი ჩივილს, ჩამსვავდა ციხეში. ... იქნებ თვითონ ს. ც-ე იყო ჩემი სუტინიორი? ... იქნებ შენი პოლიტოლოგის აკადემია არის ბორდელი?!”;

ინტერნეტში ... მისამართზე რეგისტრირებულია ტ. ტ-ის ინტერნეტ პროფილი ..., სადაც განთავსებულია „წერილები“, რომლებშიც ი. ც-ე მოხსენიებულია უწმანური სიტყვებით და მხილებულია ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში;

საგაზიონ სტატიით, ინტერნეტში ტ. ტ-ის პროფილზე განთავსებული „წერილებით“ და მოწმე თ. რ-ის ჩვენებით, დადასტურებულია, რომ ი. ც-ის პატივის და ღირსების შემლახავი გამონათქვამები (წერილები) ეკუთვნის ტ. ტ-ს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ გაზიეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში და ინტერნეტში გამოქვეყნებული ი. ც-ის პატივის და ღირსების შემლახავი წერილები არ ეკუთვნოდა ტ. ტ-ს, შემდეგი გარემოებების გამ:

საქმის მასალებით დადგინდა, რომ გაზიეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში 26-27 გვერდებზე გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროპის კომისიისადმი გაგზავნილი ტ. ტ-ის წერილი, სადაც ეს უკანასკნელი ი. ც-ს ბრალს დებს ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში, მოიხსენიებს შეურაცხმყოფლი სიტყვებით;

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული თ. რ-ის ჩვენებით დასტურდებოდა, რომ მან გაზიეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში სადაც სტატია გამოქვეყნა ტ. ტ-ის ადვოკატისგან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ტ. ტ-ისგან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით ნებართვის მიღების შემდეგ;

ინტერნეტში ... ვებმისამართზე განთავსებულ ერთ-ერთ წერილში ტ. ტ-ი თავად ადასტურებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებული მასალები აქვს მის ადვოკატს და ეს მასალები გამოქვეყნდა ერთ-ერთ ქართულ გაზიეთში;

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გაზიეთ „კ. ქ-ში“ ტ. ტ-ის სახელით გამოქვეყნებული წერილის შინაარსი ფაქტობრივად მეორდებოდა ინტერნეტში ტ. ტ-ის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ წერილში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გაზიეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411) ნომერში და ... ინტერნეტ მისამართზე გამოქვეყნებული ი. ც-ის პატივის და ღირსების შემლახავი წერილები გავრცელებული იყო ტ. ტ-ჩის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე აპელანტის წარმომადგენლის მტკიცება, რომ ... ინტერნეტ პროფილი არ ეკუთვნოდა ტ. ტ-ს და შესაბამისად, მასზე განხორციელებული ჩანაწერებიც არ იყო მისი.

სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია აღნიშნული ინტერნეტ პროფილი, რის შედეგადაც დაადგინა, რომ პროფილი დარეგისტრირებული იყო ტ. ტ-ის სახელით და მისივე ფოტოსურათით. ამასთან, გარდა პროფილის სურათისა, აღნიშნულ ვებგვერდზე ატვირთული იყო სხვადასვა რაკურსით ტ. ტ-ის ათეულობით ფოტო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებდა პრეზუმაცია იმისა, რომ მითითებული ინტერნეტ პროფილი ეკუთვნოდა ტ. ტ-ს და შესაბამისად, მასზე განთავსებული წერილებიც იყო მისი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა აპელანტს, რომელმაც სათანადო მტკიცებულებით ვერ შეძლო სადაც ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია ადამიანის პატივი და ღირსება. სამოქალაქო სამართლი პატივისა და ღირსების, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის, ზნეობრივი კატეგორიის ქვეშ მოიაზრებს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ და პიროვნების მიერ საკუთარი მნიშვნელობის შეფასებას, რომელიც უნდა შესაბამებოდეს სინამდვილის შესაბამის ფაქტებს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამოყავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰერნეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პირის გამოხატვის თავისუფლების უფლების სამ კომპონენტს: 1. თავისუფლებას, ჰერნედეს შეხედულებები; 2. თავისუფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები; 3. თავისუფლებას, მიღოს ინფორმაცია და მოსაზრებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ცილისნამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება; „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლობა, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების (განცხადების) გავრცელება, რომელიც შეიცავს მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ და არა შეფასებითი მსჯელობა ან შეხედულების, თვალსაზრისის გამოხატვა კონკრეტული პირის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში და ინტერხეტში გამოქვეყნებული ტ. ტ-ის წერილები არ იყო შეფასებითი ხასიათის, რადგან აღნიშნულ წერილებში ტ. ტ-ი კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით ბრალს დებდა ი. ც-ს დანაშაულებრივ და ამორალურ ქმედებებში, უღირსი საქციელის ჩადენაში, რომელიც სასამართლო სხდომაზე არ დადასტურდა. შესაბამისად, სახეზე იყო ი. ც-ის უფლებების დარღვევა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ტ. ტ-მა, რომელიც მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საკასაციო საჩივარის მოტივები:

მოცემულ საქმეზე მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხის მიერ უურნალისტისათვის ინტერვიუს მიცემის ფაქტი. თავად უურნალისტმა მოწმის სტატუსით დაკითხვისას განმარტა, რომ მოპასუხეს მისთვის ინტერვიუ არ მიუცია და პუბლიკაცია მოამზადა მხოლოდ მოპასუხის ადვოკატის მიერ გადაცემული დოკუმენტების საფუძველზე;

მოსარჩელეს არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია იმის დასადასტურებლად, რომ ინტერნეტის ვებგვერდებზე გავრცელებული ინფორმაციები და მოსაზრებები ტ. ტ-მა გამოაქვეყნა. მოსარჩელეს ევალებოდა სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულება, რომ ტ. ტ-ი დარეგისტრირებული იყო ინტერნეტში ვებგვერდზე და რომ მისი სახელით გავრცელებული ინფორმაცია სწორედ მას ეკუთვნოდა. ასეთი სახის დოკუმენტი ი. ც-ს არ წარუდგენია სასამართლოსათვის. გარდა ამისა, სარჩელში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი სიტყვები იყო მოსარჩელისათვის პატივისა და ღირსების შემლახველი და რომელი ფრაზების უარყოფას ითხოვდა იგი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში, 26-27 გვერდებზე, უურნალისტ ტ. რ-ის ავტორბით გამოქვეყნდა ტ. ტ-ის ინტერვიუ, რომელშიც იგი ი. ც-ს მოიხსენიებს უნდანური სიტყვებით და ბრალს სდებას ამორალურ და დანამაჟულებრივ ქმედებებში, კერძოდ, წერილში მითითებულია, რომ: „ისეთი ნაძირები, როგორიცაა ს. ც-ე, დღეს ხელისუფლებაში მყოფ მაღალჩინოსნებს ურჩევენ როგორ მოიქცნენ, როგორ აკეთონ თავიანთი კრიმინალური საქმეები, როგორ მოიყვანონ ყასბები და როგორ აჭრან ხალხს ფეხები, შემდეგ კი ბედის ანაბარად მიაგდონ. ... ისეთ არაკაცებს და ნაძირებს, როგორიც პოლიტოლოგი ს. ც-ე და მძახალი, ექიმი-ყასაბი ა. ა-ეა, მუხლებზე დავაყენებ. ... დიახ, ს. ც-ის უშუალო ბრძანებით მომჭრეს მე კიდური, მანვე გაუკეთა ფალისიფიცირება სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული. ... ესეც არ იკმარა ამ ნაძირალა ს. ც-მ, მოვიდა და მემუქრებოდა, რომ ციხეში ჩამსვამდა ცრუ ჩვენებებისათვის. მისმინე პოლიტოლოგო! შენი კარუსელი მალე დასრულდება, იმიტომ რომ საცოდავი და ამაზრზენი ნაძირალა ხარ! შენი ნათესავი რომ მოგყავდა, რატომ არ მოიყვანე პროფესიონალი ექიმები? ფულის გადახდა დაგენანა, რომ შენს შვილს ჰყოფნიდა დოზაზე. შენ უყურადღებოდ მიაგდე შენი შვილის წყალობით დასახიჩრებული ქალი ავარიიდან ოთხი თვის შემდეგ, რომელიც შენმა შვილმა ხაიდინა. ... პოლიტოლოგი ს. ც-ე არის დიპლომატიური აკადემიის რექტორი, მისი ცოლი პოლორექტორი. სასაცილოა, იმიტომ, რომ ეს მათი აკადემია პაპა კარლოს ბუნაგია. ამ ბუნაგში სიმაღლის მიხედვით ჩამოამზკრივა პრეზიდენტის ექს-მრჩეველმა საპატრულო პოლიცია, პროკურატურა, ექსპერტები, მოსამართლეები, ექიმები და ტყუილზე ხელი მოაწერინა. ... როგორ შეიძლება ტელევიზიონი გამოდიოდეს ს. ც-ე და პოლიტიკაზე ლაპარაკობდეს, როდესაც მისი პოლიტიკა თავიდან ბოლომდე კრიმინალია! და მსოფლიო გაიგებს ამის შესახებ. ს. ც-ის უსუსურობის ალევორია არის ნიანგი, რომელიც უნიტაზში ჩაუშვეს. მე მივმართავ „გაეროს“ უფლებათა დაცვის კომიტეტს. უკვე გადაგზავნილია ამ წერილის ასლი, ასევე ჩა-

ნაწერი იმის შესახებ, რომ მემუქრებოდა ს. ც-ე, რომ თუ დავიწყებდი ჩივილს, ჩამსვავდა ციხეში. ... იქნებ თვითონ ს. ც-ე იყო ჩემი სუტინიორი? ... იქნებ შენი პოლიტოლოგის აკადემია არის ბორდელი?!”;

ინტერნეტში ... მისამართზე რეგისტრირებულია ტ. ტ-ის ინტერნეტ პროფილი ..., სადაც განთავსებულია „წერილები“, რომლებშიც ი. ც-ე მოხსენიებულია უწმანური სიტყვებით და მხილებულია ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში;

მოწმის სახით დაკითხული თ. რ-ის ჩვენებით დასტურდებოდა, რომ მან გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში სადაც სტატია გამოაქვეყნა ტ. ტ-ის ადვოკატისგან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ტ. ტ-ისგან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით ნებართვის მიღების შემდეგ;

ინტერნეტში ... ვებმისამართზე განთავსებულ ერთ-ერთ წერილში ტ. ტ-ი თავად ადასტურებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებული მასალები აქვს მის ადვოკატს და ეს მასალები გამოქვეყნდა ერთ-ერთ ქართულ გაზეთში (იხ. ვებ გვერდი ...);

გაზეთ „კ. ქ-ში“ ტ. ტ-ის სახელით გამოქვეყნებული წერილის შინაარსი ფაქტობრივად მეორდებოდა ინტერნეტში ტ. ტ-ის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ წერილში;

გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-სა და ... ინტერნეტ-მისამართზე გამოქვეყნებული ი. ც-ის პატივისა და ლირსების შემღალაშვი წერილები გავრცელა ტ. ტ-მა.

სამოქალაქო სააროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ხანისთვის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაშუალებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს იმის შესახებ, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-სა და ... ინტერნეტ-მისამართზე გამოქვეყნებული სადაც განცხადებები გავრცელებული იყო მოპასუხის მიერ.

გაზეთში გამოქვეყნებულ სადაც წერილთან მიმართებით კასატორის პრეტენზია ეფუძნება იმას, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოპასუხის მიერ უურნალისტისათვის ინტერვიუს მიცემის ფაქტი. თავად უურნალისტმა მოწმის სტატუსით დაკითხვისას განმარტა, რომ მოპასუხეს მისთვის ინტერვიუ არ მიუცია და პუბლიკაცია მოამზადა მხოლოდ მოპასუხის ადვოკატის მიერ გადაცემული დოკუმენტების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზია ვერ აქარწყლებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას გაზეთში გამოქვეყნებული სადაც წერილის მოპასუხისადმი კუთვნილების თაობაზე. პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლო დაადგინა არა მოპასუხის მიერ უურნალისტისათვის ინტერვიუს მიცემის ფაქტი, არამედ ის, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში, 26-27 გვერდებზე, რომელშიც გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროპის კომისიონისადმი გაგზავნილი მოპასუხის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი ი. ც-ს ბრალს დებს ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში, მოიხსენიებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადაც წერილი უურნალისტმა გამოაქვეყნა მოპასუხის ადვოკატისგან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მოპასუხისგან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით ნებართვის მიღების შემდეგ. უშუალოდ ამ ფაქტებთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია არ წარმოუდგენია, უფრო მეტიც, მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით, კასატორი თავად ადასტურებს, რომ უურნალისტმა სადაც პუბლიკაცია მოამზადა მოპასუხის ადვოკატის მიერ გადაცემული დოკუმენტების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული სადაც წერილი მოპასუხეს უშუალოდ არ გადაუცია უურნალისტისათვის, მაგრამ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორის პრეტენზია არ განუცხადებია იმასთან დაკავშირებით, რომ სადაც წერილი უურნალისტმა გამოაქვეყნა მოპასუხის ადვოკატისგან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე და მოპასუხის თანხმობით, უნდა მივიჩნიოთ, რომ სადაც წერილი მოპასუხეს ეკუთვნობდა და მისი თახმობით გამოქვეყნდა გაზეთში.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია ასევე კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოპასუხე დარეგისტრირებული იყო ინტერნეტში სადაც ვებგვერდზე და მასზე განთავსებული ინფორმაცია სწორედ მას ეკუთვნობდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია სადაც ინტერნეტ-პროფილი და დაადგინა, რომ პროფილი დარეგისტრირებული იყო მოპასუხის სახელით და მისივე ფოტოსურათით. ამასთან, გარდა პროფილის სურათისა, აღნიშნულ ვებგვერდზე სხვადასხვა რაკურსით ატვირთული იყო მოპასუხის ათეულობით ფოტო. ამ ფაქტთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია არა აქვს წარმოდგენილი, ხოლო იმაზე მითითება, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სადაც ვებგვერდის მოპასუხის სახელზე რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულებება, ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ვინაიდან კასატორის მიერ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ოვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა პრეზუმცია, რომ მითითებული ინტერნეტში სადაც ვებგვერდზე და მასზე განთავსებული ინფორმაცია სწორედ მას ეკუთვნობდა.

მართებულად მიიჩნია, რომ საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც ვერ შეძლო ზემოხსენებული პრეზუმუციის გაქართყლება სათანადო მტკიცებულებებით.

გასაჩივრებული განჩინების 4.4 პუნქტში მოცემული მსჯელობის მიმართ კასატორს საკასაციო პრეტენზია არ განუცხადებია, რის გამოც საკასაციო სასამართლო აღნიშნულის თაობაზე ვერ იმსჯელებს, ვინაიდან იგი ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსკ-ის 404-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ მითითებული კანონი არ დარღვეულა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პატივისა და ღირსების შელახვა. ცილისძიება

განხილვა

№ას-1739-1720-2011

3 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

ალწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ტ. ტ-მა მოპასუხე ი. ც-ის მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 1000000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით.

სარჩელის მიხედვით, გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში 26-27-ე გვერდებზე გამოქვეყნდა უურნალისტ თ. რ-ის ინტერვიუ ს. ც-სთან. ს. ც-ე ინტერვიუში ამბობს: „და იყო მერე ეგ „პუტანკა“. თვითონ დედამისიც ამბობდა, მერე რა, „პუტანკა“ არის ჩემი შვილი, ადამიანი არ არისო?!. მე, კიდევ, ახლაც ვამბობ „პუტანკა“ არის და მაგი მთელმა თბილისი იცის, რომ გათახსირებულია, დედაც და შვილიც, მაგრამ „პუტანკობა“ დანაშაულად არ ითვლება“ ... „ეგ ოჯახი არის თალღითების და გამომძალველების“. მოპასუხის მიერ ინტერვიუში გამოთქმული სიტყვებით შეიღახა მისი პატივი, ღირსება და რეპუტაცია, ვინაიდან ეს სიტყვები შეურაცხმყოფელი და ლირსების შემლახველია.

მოპასუხებ თავის შესაგებელში სარჩელი არ ცნონ და განმარტა, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში გამოქვეყნებული ინტერვიუ მას არ ეკუთვნის, ასეთი შინაარსის ინტერვიუ მას არ მიუცია უურნალისტისათვის, შესაბამისად, არც მოსარჩელის და არც სხვა პირის მიმართ მას ცილისნამება არ გაუვრცელებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ტ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში 26-27-ე გვერდებზე გამოქვეყნდა უურნალისტ თ. რ-ის ინტერვიუ ს. ც-სთან, რომელშიც ტ. ტ-ის მისამართით ნათევამია შემდეგი სიტყვები: „და იყო მერე ეგ „პუტანკა“. თვითონ დედამისიც ამბობდა, მერე რა, „პუტანკა“ არის ჩემი შვილი, ადამიანი არ არისო?!. მე, კიდევ, ახლაც ვამბობ „პუტანკა“ არის და მაგი მთელმა თბილისი იცის, რომ გათახსირებულია, დედაც და შვილიც, მაგრამ „პუტანკობა“ დანაშაულად არ ითვლება“ ... „ეგ ოჯახი არის თალღითების და გამომძალველების“.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელმ ვერ დაამტკიცა მის მიერ მითითებული გარემოება, კერძოდ ის, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში, 26-ე 27-ე გვერდებზე გამოქვეყნებული სადაც სიტყვები ეკუთვნოდა მოპასუხეს. ამ გარემოების დასადასტურებლად სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია მოსარჩელის ახსნა-განმარტება და მოწმის ჩვენება, ვინაიდან მათ სასამართლოს ვერ წარუდგინეს სადაც გარემოების დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჭ. ჭ.-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ჭ. ჭ.-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მონებე თ. რ.-ის ჩვენებითა და საგაზეოთ სტატიით დასტურდებოდა სადაც სიტყვების მოპასუხისაფში კუთვნილების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტზე, რომ გაზეთ „კ. ქ.-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში 26-ე-27-ე გვერდებზე გამოქვეყნდა უცრნალისტ თ. რ.-ის ინტერვიუ ს. ც-სთან. აღნიშნულ სტატიაში ი. ც-ის სახელით გამოქვეყნდა შემდეგი სიტყვები: „და იყო მერე ეგ „პუტანკა“. თვითონ დედამისიც ამბობდა, მერე რა, „პუტანკა“ არის ჩემი შვილი, ადამიანი არ არისო? მე, კიდევ, ახლაც ვამბობ „პუტანკა“ არის და მაგი მოელმა თბილისმა იცის, რომ გათახსირებულია, დედაც და შვილიც, მაგრამ „პუტანკობა“ დანაშაულად არ ითვლება“... „ეგ ოჯახი არის თაღლითების და გამომძალველების“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე გაზეთ „კ. ქ.-ის“ უცრნალისტ თ. რ.-ის მონმის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაზე, რომლის მიხედვით, ხელში მოპასუხისგან ინტერვიუ აიღო ტელეფონის მეშვეობით და რესპონდენტთან საუბარი ჩაიწერა დიქტოფონზე. აღნიშნულ ჩანაწერს ის ინახავდა 100 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც ჩანაწერი გაანადგურა, რადგან მეტი ვადით შენავის ვალდებულება მას არ ეკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრეს. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ მუხლში მითითებული მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადაც გარემოების დადგენისას სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულება, ვინაიდან, ასეთი ფაქტების დადგენისას გარკვეული სახის მტკიცებულებას კანონი არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისათვისაც წონბილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. ამასთან, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მოწმის ჩვენება ეს არის სასამართლოში მოწმედ გამოძახებული და კანონით განსაზღვრული წესით დაკითხული იურიდიულად დაუინტერესებელი პირის ცნობები საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, მოწმის სახით დაკითხულმა პირმა დაადასტურა გაზეთ „კ. ქ.-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში მოპასუხის სახელით გამოქვეყნებული სიტყვების ამ უკანასკნელისადმი კუთვნილების ფაქტი, თუმცა, უცრადლება უნდა გამახვილებულიყო იმ გარემოებაზე, რომ მოწმე წარმოადგენდა გაზეთ „კ. ქ.-ის“ უცრნალისტს და სადაც სტატიის ავტორს. შესაბამისად, სადაც ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ამ მოწმის ჩვენებას ვერ დაყრდნობოდა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი თავად იყო პასუხისმგებელი ინტერვიუს შინაარსის სისწორეზე, რაც გარკვეულწილად განაპირობებდა მის დაინტერესებას კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით. მოწმის ჩვენების საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილი იყო მოპასუხე ი. ც-ის ახსნა-განმარტება, რომლითაც ამ უკანასკნელმა უარყო გაზეთ „კ. ქ.-ში“ მისი სახელით გამოქვეყნებული, ჭ. ჭ.-ის შეურაცხმყოფელი სიტყვების მისადამი კუთვნილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული მოწმის ჩვენება არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დასადასტურებლად.

რაც შეეხებოდა უშუალოდ გაზეთ „კ. ქ.-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411) ნომერს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული მტკიცებულებით დასტურდებოდა ი. ც-ის ინტერვიუს გამოქვეყნების ფაქტი და არა უშუალოდ მის მიერ მიცემული ინტერვიუს შინაარსის სისწორე. დავის საგნის სპეციალისად თავისებურებების გათვალისწინებით, როდესაც გამოქვეყნებულ სტატიაში რესპონდენტის თოთოეულ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დასადასტურებლად ვერც აღნიშნული ჩაითვლებოდა საკმარის მტკიცებულებად, მითუმეტეს, რომ ინტერვიუს ჩამორთმევა განხორციელდა ტელეფონის მეშვეობით, რის შემდეგაც უცრნალისტს გამოსაქვეყნებელი ინტერვიუს შინაარსი რესპონდენტთან არ გადაუმოწმებია.

აპელანტი იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მისი პატივის შემლახველი სიტყვები ეკუთვნოდა ი. ც-ს, აპელირებდა იმაზე, რომ ი. ც-ი არც საჩივრი აღდვრამდე და არც ამის შემდგომ, სადაც კანტერვიუსთან დაკავშირებით გაზეთ „კ. ქ.-ის“ რედაქციის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის აღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სარჩელის აღდვრა პირის უფლებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას. აღნიშნული უფლების გამოუყენებლობას კი, კანონი რაიმე უარყოფით შედეგს არ უკავშირებს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, რომ დადასტურებულიყო სადაც სიტყვების ი. ც-მი კუთვნილების ფაქტი, აღნიშნული მაინც ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, შემდეგი გარემოების გამო:

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია ადამიანის პატივი და ლირსება. სამოქალაქო სამართლი პატივისა და ლირსების, როგორც სამართლებრივად დაცული სიკეთის, ზეობრივი კატეგორიის ქვეშ მოიაზრებს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ და პიროვნების მიერ საკუთარი მნიშვნელობის შეფასებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილის შესაბამის ფაქტებს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს აზრი ზეპირად, ნერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, ამ უფლებათა განხორციელება კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ლირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამუდავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოკიდებლობისა და მიუკრძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰეონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს პირის გამოხატვის თავისუფლების უფლების სამ კომპონენტს: 1. თავისუფლებას, ჰეონდეს შეხედულებები; 2. თავისუფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები; 3. თავისუფლებას, მიიღოს ინფორმაცია და მოსაზრებები.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ინტერიეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. დასახელებული კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტები განცხადება.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 ნანილები, აგრეთვე, 933-ე მუხლი. აპელაციის მხარე თავად მიუთითებდა, რომ მისი პატივისა და ლირსების შელახა მოპასუხის მხრიდან ცილისწამებით არ იყო გამოხვეული.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებდა მოპასუხის მიმართ და მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა მის მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, რაც საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი და რამაც შელახა მისი პატივი და ლირსება, შესაბამისად, არსებობდა მისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გაზრდა „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში დაბეჭდილ სტატიაში გამოქვეყნებული სადაც სიტყვები შეფასებითი ხასიათის იყო, რის გამოც მოსარჩელის უფლებები ვერ დაირღვეოდა, რადგან აღნიშნული აზრი ეფუძნებოდა არა ფაქტებს, არამედ შეფასებით მსჯელობას. სადაც გამონათქვამები აშკარად გამოხატვადა მოქალაქის თვალსაზრისს, შეხედულებას და მის დამოკიდებულებას კონკრეტული გარემოებისა და პიროვნებისადმი. სწორედ აქედან გამომდინარეობდა, რომ ინტერიუში გამოთქმული შეფასებითი მსჯელობით სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული მოსარჩელის უფლებები ვერ შეიღებახებოდა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს მტკიცებულებათა სტანდარტსა და ტვირთს, კერძოდ, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, იმპერატიულად ადგენს, რომ აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გამონათქვამები „დაბალხარისხიანი ოპორტუნიტეტი“, „ამორალური“, „ულირსი“ შეფასებითი ხასიათისა, ხოლო შეფასებითი ცნებების ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნა შეუძლებელია. აქ, სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა განსხვავებაზე, ფაქტებსა „და „შეფასებით მსჯელობას“ შორის და აღნიშნა, რომ „შეფასებითი მსჯელობის“ დამტკიცება შეუძლებელია. „ფაქტებსა“ და „შეფასებით მსჯელობას“ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება უნდა გაკეთდეს. ფაქტების არსებობა შეიძლება დემორატიკული იქნეს მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობა არ ექვემდებარება მტკიცების მოთხოვნა შეფასებით

მსჯელობასთან მიმართებით ხელყოფს შეხედულების თავისუფლების არსა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ მიჩნეული გამონათქვამები არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი მომედარის მიმართ და ასახავს პიროვნების დამოკიდებულებას კონკრეტული ადამიანის მიმართ. აპელანტმა ვერ შეძლო, ზემოაღნიშნული დასკვნის სანინააღმდეგოს დადასტურება, ხოლო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს, კანონით დადგენილი წესით დაუდასტურებელი ეკი უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სანინააღმდეგოდ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცხადი იყო, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის (გამოქვეყნებული სიტყვების მოპასუხისადმი კუთვნილების ფაქტის) დადასტურების შემთხვევაშიც, სადაც ინფორმაციის გავრცელება მოხდებოდა მართლზომიერად, ვინაიდან, მოსარჩელემ ვერც მისი შეზღუდვის კანონით დადგენილი წანამდლობრივი წარმომადგენერაციის არსებობა დაადასტურა საკონტაქტო წესით.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, კი არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს პირის პატივის, ლირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის შემლახველი ცნობების გავრცელებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, მორალური ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკამარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი და სხვა მატერიალური გამოხატულება მას არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, პირს პასუხისმგებლობა პატივის, ლირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის შეიძლება დაკავშირობის შემთხვევაში, თუ მის მიერ ადგილი აქვს მსგავსი ცნობების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას. თავის მხრივ, ინფორმაციის გაუვრცელებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდებოდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის პატივის და ლირსების შემლახველი ცნობების გავრცელების და შესაბამისად, მოსარჩელის პიროვნული ლირებულებების ხელყოფის ფაქტი, რომლის შედეგადაც კანონი ითვალისწინებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციი ფუნქციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც იგი მოთხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და აზალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას. ამავდროულად, კასატორი მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 სექტემბრისა და 03 ნოემბრის განჩინებების გაუქმებას, რომლითაც მას უარი ეთქვა მოსამართლეთა აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკავშირებაზე.

საკასაციო საჩივარის მოტივები:

სასამართლომ უგულებელყო საქმეში არსებული მკიცებულებები, კერძოდ, გაზეთი „კ. ქ-ა“ და მოწმე თ. რ-ის ჩვენება, რის შედეგადაც მიიღო სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. პირველი მტკიცებულებით დგინდება, რომ გაზეთ „ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44 (411)-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ ი. ც-სთან, რომელმაც მოსარჩელის და მისი დედის მისამართით განაცხადა სადაც სიტყვები. ეს სიტყვები შეურაცხმყოფელი და ლირსების შემლახველია, რითაც უხეშად შეიღია სამსარჩელის პატივი და ლირსება. სასამართლომ შესაბამისი უყრადღება არ მიაქცია ასევე გაზეთ „კ. ქ-ის“ უურნალისტის, მოწმე თ. რ-ის ჩვენებას, უფრო მეტიც, აღნიშნული მტკიცებულების გაუზიარებლობა კანონსანინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საყურადღებოა, რომ უურნალისტი არაა ვალდებული მუდმივად შეინახოს რესპონდენტთან ჩანერილი ინტერვიუ. მოცემულ შემთხვევაში, უურნალისტის განცხადებით, იგი ასი დღე ინახავდა ჩანანერს. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას სასამართლომ შეფასება არ მისცა. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხეს არ მიუმართავს გაზეთ „კ. ქ-ისათვის“ და არ განუცხადებია, რომ მოსარჩელის მისამართით ინტერვიუში ნათქვამი სიტყვები მას არ ეკუთვნოდა;

მოსარჩელემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოახდინა თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, მან სასამართლოს წარუდგინა ყველა ის მტკიცებულება, რომელზეც მოთხოვნას ამყარებდა. მოპასუხეს არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია, რომელიც გააბათილებდა გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ან მოწმის ჩვენებას. კასატორის მოსაზრებით, პატივისა და ლირსების შელახვის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვის დროს, მოსარჩელეს არ ეკისრება იმის მტკიცება, შეესაბამება თუ არ გავრცელებული ცნობები სინამდვილისადმი შესაბამისობის დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, პიროვნება, რომელიც სარგებლობს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებით, ამავე დროს იღებს გარევეულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობა ადგენს როგორც მოსაზრებების გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებას, ასევე პირის პატივისა და ლირსების დაცვის გარანტიებს. კასატორის მოსაზრებით, გაზეთ „ქ-ში“ გამოქვეყნებული ინტერვიუთი მოპასუხემდაარღვია მოსაზრების პირადი და ოჯახური ხელშეუხებლობის უფლება, რაც გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით;

მნიშვნელოვანია ის გარემობა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლები დაინტერესებული იყვნენ საქმის შედეგით და, მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრებელმ არაერთხელ დააყენა შუამდგომლობა მათი აცილების თაობაზე, სასამართლომ საქმე არ აიცილა და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა ვამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში, 26-ე-27-ე გვერდებზე, გამოქვეყნდა ურნალისტ თ. რ-ის ინტერვიუ ი. ც-სთან. ინტერვიუში ტ. ტ-ის მისამართობით გამოყენებულია შემდეგი სიტყვები: „და იყო მერე ეგ „პუტანკა“. თვითონ დედამისიც ამბობდა, მერე რა, „პუტანკა“ არის ჩემი შვილი, ადამიანი არ არისო? შე, კიდევ, ახლაც ვამბობ „პუტანკა“ არის და მაგი მთელმა თბილისმა იცის, რომ გათახსირებულია, დედაც და შვილიც, მაგრამ „პუტანკობა“ დანაშაულად არ ითვლება“... „ეგ ოჯახი არის თაღლითების და გამომძალველების“;

გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში, 26-ე-27-ე გვერდებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში მითითებული ზემოაღნიშნული სიტყვები არ ეკუთვნის ი. ც-ს;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ გაზეთ „კ. ქ-ის“ 2009 წლის 9-15 ნოემბრის №44(411)-ში, 26-ე-27-ე გვერდებზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში მითითებული სადაც სიტყვები არ ეკუთვნის მოპასუხეს. აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით კასატორის პრეტენზია ეფუძნება იმას, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, გაზეთი „კ. ქ-ა“ და მოწმე თ. რ-ის ჩვენება, რითაც დასტურდება სადაც გარემოება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განსახილველი დავის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით (ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავდა მის პატივს, ლირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შესაბამებოდა. დასახელებულ მუხლში 2004 წლის 24 ივნისს შევიდა ცვლილება, რომლითაც კანონმდებელმა გაითვალისწინა მე-18 მუხლში მითითებული უფლებების დაცვა „კანონით დადგენილი წესით“.

2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დამკვიდრდა ცილისწამებისა და უხამსობის ცნებები, კერძოდ, მითითებული ნორმით ცილისწამებად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, ხოლო უხამსობად მიიჩნევა განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ლირულულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

განსახილველ საქმეში მოსაზრებელ აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ ინტერვიუში გამოყენებული სიტყვებით შეიიღა მისი პატივი, ლირსება და რეპუტაცია, ვინაიდან ეს სიტყვები შეურაცხმყოფელი, ლირსების შემლახველი და ცილისმნამებლურია; შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა უნდა გადაწყდეს სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მოსაზრებელ ნარმოადგენს კერძო პირს, ამიტომ მის მიმართ უნდა გავრცელდეს კერძო პირის ცილისწამების სტანდარტი. კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო ცილისწამებისათვის, თუ მოსაზრებელ სასამართლოში დამტკიცებს,

რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მითითებული ნორმა მტკიცების ტკირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სა-სამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს შემდეგი:

- ა) მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
- გ) სადავო განცხადება ლახავს მის პატივსა და ლირსებას.

ცილისწამების იურიდიული შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მოპასუხის მიერ სა-დავო განცხადების გავრცელება უშუალოდ მოსარჩელის შესახებ. თუ სადავო განცხადება არ არსებობს, მაშინ ცილისწამებაც არ არსებობს. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო განცხადების (ინტერვიუში გამოყენებული სადავო სიტყვების) მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი დასტურდება საქმეში წარმოდგენილი გაზეთ „კვირის ქრონიკის“ შესაბამისი ნომრით, სადაც გამოქვეყნებული უურნალისტის ინტერვიუ მოპასუხეს-თან, რომელიც მოსარჩელის მიმართ იყენებს მისი პატივისა და ლირსების შემლახველ სიტყვებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან მის მიერ მითითებული მტკიცებულებით მხოლოდ ის ფაქტი დასტურდება, რომ აღნიშნულ გაზეთში ინტერვიუ გამოქვეყნებულია და, შესაბამისად, მასში გამოთქმული სადავო სიტყვები გავრცელებულია უურნალისტის მიერ მე-დიის (გაზეთის) საშუალებით. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება სადავო განცხა-დების (ინტერვიუს) მოპასუხისადმი კუთვნილების ფაქტი, რადგან მოპასუხე ასეთი ფაქტის არსებობას უარყოფს, ხოლო გაზეთში ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის – სადავო ინტერვიუსა და მასში გამოთქმული მოსაზრებების გამოქვეყნების შესაძლებლობა გააჩნდა ამ გაზეთის რედაქციას და არა მოპასუხეს; შესაბამისად, მხოლოდ ზემოხსენებული გაზეთის სადავო ნომრის არსებობა არ არის საკმარისი იმ გარე-მოების დასადასტურებლად, რომ ინტერვიუში გამოთქმული სადავო მოსაზრებები ნამდვილად მოპასუხეს ეკუთვნის.

კასატორის მოსაზრებით, კიდევ ერთი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა სადავო გარემოება და რომელიც სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო, არის მოწმის ჩვენება, კერძოდ, იმ უურნალისტის ჩვენება, რომელმაც სადავო ინტერვიუ გამოაქვეყნა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო გარემოების დასადასტურებლად სასამართლო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ იმ მოწმის (უურნალისტის) ჩვენებას, რომელიც სადავო ინტერვიუს ავტორია და, შესაბამისად, თავად არის პასუხისმგებელი ინტერვიუს შინაარსის სისწორეზე, რაც, გარკვეულია, განაპირობებს მის დაინტერესებას კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით. საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენება წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს მხარის მიერ მითითებული გარემოება, მაგრამ თავად მოწმის ჩვენებას სარნმუნობის თვალსაზრისით სასამართლო აფასებს ამავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენენ სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თავისუფლად შეფასების პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში მოწმე, რომლის ჩვენებასაც უყრდნობა მოსარჩელე, თავად წარმოადგენს სადავო ინტერვიუს ავტორს, კერძოდ, უურნალისტს, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა მოპასუხეს. სარნმუნობის თვალსაზრისით, ასეთი მტკიცებულების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, რომელიც განუყოფელია გამოხატვის თავისუფლებისაგან. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისგან განუყოფელი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ შედგება რამდენიმე მოთხოვნისგან, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებას მიენოდოს სწორი და საიმედო ინფორმაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე – „რადიოსამაუწყებლო კომპანია „რადიოფრანსი“ და სხვ. საფრანგეთის წინააღმდეგ“ (30 მარტი, 2004 წელი). ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ უურნალისტი ვალდებულია, იმოქმედოს კეთილი განზრახვით, უურნალისტური ეთიკის შესაბამისად, იმისათვის, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობას ევროპული სასამართლო განიხილავს უურნალისტის „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში მოწმე დაკითხული უურნალისტის ჩვენება, რომ მის მიერ გავრცელებულ ინტერვიუში მითითებული სადავო სიტყვები ეკუთვნის მოპასუხეს (რესპონდენტს), მოკლებულია დამაჯერებლობას და სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა, ვინაიდან სანინააღმდეგო ჩვენება იქნებოდა იმის აღიარება, რომ მან დაარღვია უურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, რაც გულისხმობს საზოგადოებისათვის სწორი და საიმედო ინფორმაციის მიწოდებას. ასეთი აღიარება კი, ცხადია, სერიოზულად ლახავს უურნალისტისა და შესაბამისი მედიასაშუალების იმიჯს საზოგადოებაში, რომ აღარაუგერი ვთქვათ კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზე. აქედან გამომდინარე, მოწმე დაკითხული უურნალისტის ჩვენების შეფასებისას საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ამ უკანასკნელის დაინტერესებას საქმის შედეგით და მისი ჩვენება სარწმუნოდ არ მიაჩნია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, უურნალისტის ჩვენება შეიძლება სარწმუნოდ მიგვეჩნია იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ უურნალისტის სადავო ინტერვიუ გამოაქვეყნა რესპონდენტის თანხმობით. გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე კატეგორიულად უარყოფს სადავო ინტერვიუს მიცემას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მოსარჩელეს სარწმუნოდ უნდა

დაედასტურებინა, რომ ინტერვიუ ნამდვილად მოპასუხეს ეკუთვნოდა. ამ ფაქტის დადასტურება კი, როგორც ალინიშნა, მხოლოდ უურნალისტის ჩეუნებით შეუძლებელია. ეს ფაქტი არც იმით დასტურდება, რომ მოპასუხეს არ მიუმართავს გაზეთ „ქ-სათვის“ და არ განუცხადებია, რომ სადაც ინტერვიუ მას არ ეკუთვნოდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს მოპასუხის უფლება იყო და არა – ვალდებულება და, მეორეც, დუმილი არ ნიშნავს თანხმობას ანუ იმის აღიარებას, რომ სადაც ინტერვიუ მოპასუხეს ეკუთვნოდა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. მოცემულ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორმა ანუ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადაც განცხადება (ინტერვიუ), რაც გამორიცხავს მისის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ვინაიდან, თუ სადაც განცხადება არ არსებობს, მაშინ ცილისნამებაც არ არსებობს.

კასატორი ასაჩივრებს ასევე სააპელაციოს სასამართლოს იმ განჩინებებს, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობების საქმის გამომილველი სასამართლო შემადგენლობის აცილების თაობაზე. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დაინტერესებული იყვნენ საქმის შედეგით და, მიუხედავად მისი შუამდგომლობისა, მათ საქმე არ აიცილეს.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას ზემოაღნიშნული განჩინებების უკანონობის თაობაზე და აღნიშნავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოსამართლის აცილების შესაძლებლობას, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, კასატორი უთითებს მოსამართლეთა საქმის შედეგით დაინტერესების თაობაზე, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი გარემოებები ადასტურებენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა საქმის შედეგით დაინტერესებას, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

გასაჩივრებული განჩინების 4.4 პუნქტში მოცემული მსჯელობის მიმართ კასატორს საკასაციო პრეტენზია არ განუცხადებია, რის გამოც საკასაციო სასამართლო აღნიშნულის თაობაზე ვერ იმსჯელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ მითითებული კანონი არ დარღვეულა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კომარენსაციის გადახდა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის გამო

განჩივება

№ას-280-264-2011

14 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. კვანტალიანი,

3. ქათამაძე

დავის საგანი: კომპენსაციის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

გ. კ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჯ-ის“ მიმართ მოპასუხისათვის 50000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლით: 2006 წლის 16 ივნისიდან შპს „ჯ-ის“ დაკვეთით სხვადასხვა სატელევიზიო ეთერის მეშვეობით გადაიცემოდა სარეკლამო რგოლი, რომელშიც გ. კ-ძის გამოსახულება გამოყენებული იქნა მისი თანხმობის გარეშე, შესაბამისად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, გადაუხადოს გ. კ-ძს მისაღები ფულადი ანაზღაურება ათმაგი ოდენობით.

შპს „ჯ-მა“ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სარეკლამო რგოლში „ჩვენ არასოდეს გილალატებთ“ არ ყოფილა გამოყენებული გ. კ-ძის გამოსახულება, შპს „ჯ-ს“ სარეკლამო კლიპის „ჩვენ არასოდეს გილალატებთ“ ტელეკომპანიების მეშვეობით გაშუქების შედეგად მატერიალური მოგება არ მიუღია. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს, ამდენად, დავის გადაწყვეტისას „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება არ შეიძლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სარჩელი ნანილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ჯ-ს“ გ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 25000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჯ-მა“, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა გ. კ-ძემ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შპს „ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა გ. კ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჯ-ის“ დაკვეთით გასულ სარეკლამო რგოლში „ჩვენ არასოდეს გილალატებთ“ გამოყენებულია გ. კ-ძის გამოსახულება მისი ნებართვის გარეშე. სადაც სარეკლამო რგოლის ჩანაწერის ასლის მოპოვება იმ ტელეკომპანიებიდან, რომელთა ეთერის საძუალებითაც მოხდა მისი გადაცემა, მოსარჩელემ ვერ შეძლო იმ მიზიარი, რომ გასული იყო არქივში შენაცვის ვადა. ჩანაწერის გადაცემაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა ასევე შპს „ჯ-ის“ მიერ. მიუხედავად ამისა, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების – სამაცნებებლო კომპანია „რუსთავი 2-დან“ გამოთხვილი გადაცემა „შ-ში“ მომზადებული სიუჟეტის ვიდეოჩანაწერის, მონმის სახით დაკითხული გ. კ-ძისა და სტუდია „... ჯგუფის“ გენერალური დირექტორის – ქ. გ-ძის ჩვენებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფილმში, რომლის საფუძველზეც დამზადდა კლიპი, მონაწილეობდა გ. კ-ძე.

სასამართლომ არ გაიზიარა შპს „ჯ-ის“ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდია „... ჯგუფის“ გენერალური დირექტორის – ქ. გ-ძის ჩვენებით დასტურდება გ. კ-ძის ინფორმირებულობის ფაქტი ფილმის რეკლამის სახით გამოყენების თაობაზე, რისთვისაც მან მიიღო საზღაური 100 დოლარის ოდენობით. ამასთან, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნანილის საფუძველზე მიიჩნია, რომ მონმის ჩვენებით არ შეიძლება დადასტურდეს კომპენსაციის მიღების ფაქტი. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის ფილმში მონაწილეობა თავისთავად არ ნიშნავს სარეკლამო კლიპში მონაწილეობაზე მის თანხმობას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შპს „ჯ-ის“ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაზე, სადაც ერთის მხრივ, მხარე უარყოფს სარეკლამო რგოლში მოსარჩელის გამოსახულების გამოყენების ფაქტს, ხოლო მეორეს მხრივ, მიუთითებს მონმის იმ ჩვენებაზე, რომლითაც უნდა დადასტურდეს გამოსახულების გამოყენებისათვის გ. კ-ძის მიერ გარკვეული ანაზღაურების მიღების ფაქტი.

სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის პრეტენზით დაკისრებული თანხის ოდენობასთან მიმართებით, კერძოდ, უმართებულოდ ჩათვალა გ. კ-ძის მტკიცება, რომ იგი უფლების მართლზომიერად რეალიზაციის შემთხვევაში მიიღებდა გაცილებით მაღალ ანაზღაურებას, რადგანაც სასამართლო დაეყრდნო მონმე გ. კ-ძის ჩვენებას, რომლის თანახმადაც „...ფილმის გადალება მოხდა ერთ დღეში, ის რომ რეკლამა ყოფილიყო, მიახლოებით 1000 დოლარს მოითხვდა“..., იგივე განმარტა მან მოსამართლის მიერ დასმულ შრკითხვაზე, თუ რამდენი იქნებოდა შემოსავალი კლიპის შემთხვევაში, რაზედაც უპასუხა, რომ „1000 აშშ დოლარი ან 700 აშშ დოლარი დღეში“... ვინაიდან სხვა მტკიცებულება, რომელიც უფრო მეტი თანხის მიღების შესაძლებლობას დაადასტურებდა საქმეში არ მოიპოვებოდა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის გადაწყვეტისას მართობულად იხელმძღვანელა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, 47-ე და 59-ე მუხლებით, ასევე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და სარჩელის ნანილობრივ დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდონ ნორმათა სწორი განმარტება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დარღვევის ხასიათისა თუ ინტენსივობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული კომპენსაცია გონივრულია და იგი შეესაბამება „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ვეპუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ჯ-ის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჯ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-ძისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დაარღვია კანონი, კერძოდ, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები. სწორედ დასახელებული ნორმები ადგენენ არაქონებრივი ზიანის

ფულადი ანაზღაურების წინაპირობებს, ამასთან სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესები, უმთავრესად კი, ამავე კანონის 59-ე მუხლი, რომელიც მისი გამოყენებისათვის საკალებებულოდ ითვალისწინებს, რომ სახეზე უნდა იყოს ზიანი, ზიანის მიმყენებელს მიღებული უნდა ჰქონდეს შემოსავალი, უფლებადარღვეულ პირს პოზირებისათვის არ უნდა ჰქონდეს მიღებული შემოსავალი და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უფლების დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, პირი კომპენსაციის გადახდას უნდა მოითხოვდეს.

გ. კ-ძის თავდაპირველი მოთხოვნა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება იყო, ხოლო საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისას მოსარჩევები შეცვალა სარჩევის საფუძველი მოპასუხის თანხმობის გარეშე და სასამართლომაც საქმე განიხილა სარჩევის შეცვლილი საფუძვლის ფარგლებში, არ გაითვალისწინა კასატორის მითითება აღნიშნულ დარღვევასთან მიმართებით, რის გამოც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩევის მითითება, რომ შპს „ჯ-ის“ დაკვეთით ტელეკომპანიებში: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“ 2006 წლის 16 ივნისიდან გადის კომპანია ჯ-ის სარეკლამო რგოლი, საბაც გამოყენებულია მოსარჩევის გამოსახულება მისი თანხმობის გარეშე, სინამდვილეს არ შეესებამება, ვინაიდან სარეკლამო რგოლში „ჩვენ არასოდეს გილალატებთ“ მისი გამოსახულება არ არის გამოყენებული, ამასთან მოსარჩევეს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სამოქალაქო საკროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად არ წარმოუდგენია, ხოლო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო მხოლოდ გ. კ-ძის ახსნა-განმარტება, ისე, რომ არ დაუდგენია სადაც კლიპში მართლა მონანილეობდა თუ არა გ. კ-ძე. სასამართლოს, გადაწყვეტილების გამოტანისას ასევე არ გამოუკვლევია მოპასუხის ბრალეულობის ნამდვილობა, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დააფუძნა მოწმეების – გ. ყ-ძისა და ქ. გ-ძის ჩვენებებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ფილმში, რომლის საფუძველზეც მომზადდა სადაც კლიპი, მონანილეობდა გ. კ-ძე. სასამართლომ არ შეაფასა ამავე მოწმეთა ჩვენება იმ ნაწილში, რომლითაც მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ყველა მსახიობი, მათ შორის გ. კ-ძეც, ინფორმირებული იყო ფილმის რეკლამის სახით გამოყენების თაობაზე. ამასთან, გ. კ-ძემ პოზირებისათვის მიიღო საზღაური 100 დოლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის განჩინებით შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რის გამოც შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსაზილევლ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჯ-ის“ დაკვეთით გასულ სარეკლამო რგოლში „ჩვენ არასოდეს გილალატებთ“, გამოყენებულია გ. კ-ძის გამოსახულება მისი ნებართვის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ მითითებული გარემოება დააფუძნა როგორც მოსარჩელის ახსნა-განმარტებას, ისე მოწმედ დაკითხული გ. ყ-ძისა და სტუდია „... ჯგუფის“ გენერალური დირექტორის ქ. გ-ძის ჩვენებებს, ამასთან, სასამართლომ სარეკლამო რგოლის ეთერში გასვლა ასევე დადასტურებულად მიიჩნია ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „შ-ის“ სიუჟეტზე დაყრდნობით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას ზემოთ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას. დასახელებული მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არსებობის შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შპს „ჯ-ის“ დაკვეთით გასულ სარეკლამო რგოლში გ. კ-ძის გამოსახულების გამოყენების ფაქტი სასამართლოს მიერ დადასტურებულ იქნა რამდენიმე მტკიცებულების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოში საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისას, საკასაციო საჩივარშიც მოპასუხე ავითარებს ურთიერთგამომრიცხავ მსჯელობას, კერძოდ, ერთის მხრივ კასატორი კატეგორიულად უდევს სარყოფს სარეკლამო

რგოლში გ. კ-ძის გამოსახულების არსებობას, ხოლო მეორეს მხრივ ამტკიცებს სარეკლამო რგოლში მოსარჩელის გამოსახულების გამოყენებისათვის ამ „უკანასკნელის მიერ საზღაურის მიღების ფაქტს. ამდენად თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მხარეები სადაც არ ხდიან მოსარჩელის მონაცილეობას ფილმში, ხოლო იგივე მასალისაგან დამზადებულ სარეკლამო რგოლში მოსარჩელის გამოსახულების ფაქტი დადგენილია მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-შეფასების შედეგად, კასატორის საკასაციო პრეტენზია დაუშვებლად და დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით. მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, მოსარჩელე აღჭურვილია საპროცესო უფლებებით, შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი. თუმცა, ამ უფლებათა რეალიზაცია არ უნდა მოხდეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის ხარჯზე, რაც გამოიხატება საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპზე – მოპასუხის ინფორმირებაში, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის ეტაპზე – მოპასუხისაგან წინასწარი თანხმობის მიღებაში. როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად უთითებს იმ გარემოებებს, რომ შპს „ჯ-ის“ დაკვეთით, 2006 წლის 16 ივნისიდან სხვადასხვა ტელევიზიის გადიოდა სარეკლამო რგოლი, სადაც გამოყენებული იყო მოსარჩელის გამოსახულება მისი თანხმობის გარეშე. კასატორი ვერ უთითებს იმ კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ნაცვლად სხვა ფაქტობრივი გარემოებების მითითება.

რაც შეეხება დავის საგნის შეცვლის საკითხს, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე: თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სახით 80 000 ლარის დაკისრება, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 20 000 ლარის დაკისრება. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. 2006 წლის 2 აგვისტოს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რაც შეამცირა 50 000 ლარით. საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა მოპასუხისათვის 50 000 ლარის გადახდა, ხოლო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ლირებულების ანაზღაურება. ამდენად განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების ნაცვლად კომპენსაციის მიკუთვნება, იმ პირობებში, როდესაც არ შეცვლილა მოთხოვნის მოცულობა, არ შეიძლება ჩაითვალოს სარჩელის საგნის შეცვლად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მითითებას 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევაზე. სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ სადაც სამართლებრივი ურთიერთობა გადაწყვიტა მატერიალური სამართლის ნორმათა სწორი გამოყენებისა და განმარტების შესაბამისად. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებული და დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. პირად არაქონებრივ უფლებებათა კატეგორიას მიეკუთვნება სახელის უფლება, პატივი, ლირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დამოუკიდებელ არაქონებრივ უფლებათა დაცვის ობიექტს განეცავთვნება ასევე პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, კერძოდ, არ დაუშვას საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, როცა ამგვარი თანხმობა არ არის საჭირო.

პირადი არაქონებრივი უფლებები ასევე აღიარებული და დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის რეგულირების სფეროა: იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუნიკებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები (მომიჯნავე უფლებები); მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები. საქმის მასალებით დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ ინვევს ის გარემოება, რომ გ. კ-დ აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით წარმოადგენს შემსრულებელს (მომიჯნავე უფლებების მფლობელს). რაც შეეხება შემსრულებლის პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს, ამის შესახებ აღნიშნულია კანონის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს: გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩანერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა; დ) შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩანერა არ მომზდარა მოგების მიზნით. „საავტორო და მომიჯ-

ნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია ასევე ის შემთხვევები (კანონის 59-ე მუხლი), როდესაც ადგილი აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებთა მფლობელის უფლების დარღვევას.

ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ.კ-ძის არაქონებრივი უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, დაცულია როგორც ზოგადი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი), ასევე სპეციალური ნორმებით („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი). დადგენილია, რომ მოსარჩელემ, რომლის მომიჯნავე უფლებაც დაირღვა, მოითხოვა კომპენსაციის ანაზრაურება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობასთან და არსებობს სპეციალური კანონი, ზოგად და სპეციალურ ნორმათა კონკურენციისას გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმა („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი). სასამართლოს ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ განმარტებას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის შინაარსთან დაკავშირებით, რომლის თანახმად კომპენსაციის გამოყენებისთვის სავალდებულოა სახეზე იყოს ზიანი, ზიანის მიმყენებელს მიღებული უნდა ჰქონდეს შემოსავალი, უფლებადარღვეულ პირს პოზირებისათვის არ უნდა ჰქონდეს მიღებული შემოსავალი და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უფლების დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, პირი კომპენსაციის გადახდას უნდა მოითხოვდეს.

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ერთმანეთისაგან განასხვავებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ზიანის (ქონებრივი და არაქონებრივი) ანაზღაურება და კომპენსაციის გადახდა. ეს ორი მოთხოვნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდეს და ერთმანეთს არ განაპირობებენ. უფლების დამრღვევის ბრალეულობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეული მოქმედების ელემენტის არსებობას ასევე არ ითვალისწინებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, როდესაც პირი დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდას მოითხოვს.

ვინაიდან შპს „ჯ-ს“ კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპრეცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილი კომპენსაციის ოდენობას კანონიერად მიიჩნევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გოამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ არის დასაბუთებული, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გარიგების შედეგების აღრესატი წარმომადგენლობისას

განჩინება

№ას-127-124-2011

5 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღნერილობითი ნაწილი:

2010 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოპასუ-

ხე ტ. ჩ-ის მიმართ და მოითხოვა, რომ გადახდის ბრძანების საფუძველზე მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 3717 ლარის გადახდა.

განცხადებლის განმარტებით, მოპასუხეს 2008 წლის 9 ივნისის №1/1970 ხელშეკრულების საფუძველზე გაეწია ფონოსკოპიური საექსპერტო მომსახურება და მომზადდა შესაბამისი №კ1995/15 საექსპერტო დასკვნა. მოპასუხეს არ გადაუხდია საექსპერტო მომსახურების საფასური 3717 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 29 მარტის გადახდის ბრძანებით მოპასუხე ტ. ჩ-ს სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ დაეკისრა 3733 ლარის გადახდა.

მოპასუხის შესაგებლის (პროტესტის) საფუძველზე საქმე განხილულ იქნა სასარჩელო წარმოების ნე-სით.

მოპასუხის შესაგებლის მოტივები:

მოპასუხემ, როგორც განსასჯელ მ. რ-ის წარმომადგენელმა (ადვოკატმა), 2008 წლის 9 ივნისს მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მარწმუნებლის სახელით გამოხატა წება ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. შეთანხმების მიხედვით ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა დამკვეთის მიერ ინტერესის დაკარგვას შესრულების მიმართ, რაც ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 359-ე მუხლის შესაბამისად, იძლეოდა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს.

საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შესრულებულად ითვლება ექსპერტიზის დასკვნის დამკვეთისათვის ჩაბარების მომენტიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ექსპერტიზის დასკვნა ჩაბარებულად და, შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებულად ითვლება პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტის (ექსპერტიზის დასკვნის) დამკვეთისათვის გადაცემის მომენტიდან, რაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ან დამკვეთისათვის ამ დოკუმენტის ფოსტის საშუალებით გაგზავნის დღიდან. კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა დასკვნის არც მხარისათვის გადაცემა და არც ფოსტის საშუალებით გაგზავნა, შესაბამისად, ვალდებულება არ შესრულებულა.

მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებისას მოპასუხე მოქმედებდა, როგორც განსასჯელ მერაბ რატიშვილის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის შესაბამისად, იგი მოქმედებდა არა საკუთარი, არამედ მარწმუნებლის სახელით. სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტ. ჩ-ი (მოპასუხე) წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 6 მაისს მ. რ-მა ტ. ჩ-ის სახელზე გასცა რწმუნებულება 2 წლის ვადით;

2007 წლის 27 ოქტომბერს მ. რ-ის ინტერესების დაცვის მიზნით გაიცა ორდერი ტ. ჩ-ის სახელზე;

2008 წლის 9 ივნისს სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიული განყოფილების უფროს ზ. წ-სა და მ. რ-ის ადვოკატ ტ. ჩ-ს შორის გაფორმდა საექსპერტო მომსახურების შესახებ №1/1970 ხელშეკრულება;

2008 წლის 6 ნოემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადდა №კ1995/15 ექსპერტის დასკვნა;

საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწერიგებლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 103-ე, 104-ე მუხლები. ამ მუხლების თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა, გარიგების სასიათიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით; იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს; თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლიბის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია წარმომადგენლიბით უფლებამოსილებაზე. გარიგებითი წარმომადგენლიბის საფუძველს წარმომადგენებენს მინდობილობა, რომელშიც გამოიხატება ამა თუ იმ პირისათვის წარმომადგენლიბით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოეშობს შედეგებს უშუალოდ წარმომადგენლიბით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოეშობს შედეგებს უშუალოდ წარმომადგენლიბილ პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლიბის შესახებ.

გენლის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ეს განცირობებულია იმით, რომ წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესებისათვის. წარმომადგენლის გარიგება ეს ისეთი ნების გამოვლენაა, რომლის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების სუბიეტები ხდებიან წარმოდგენილი და მესამე პირი. მოცემულ შემთხვევაში დავის საფუძვლად მითითებული გარიგება დადებულია მოსარჩევესა და მ. რ-ს შორის, რომლის ინტერესების დაცვასაც წარმომადგენლობით უფლებამოსილებით ახორციელებდა ტ. ჩ-ი.

სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შესარულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. სასამართლოს განმარტებით, მითითებული მუხლის დანაწესი ვრცელდებოდა განსახილველ შემთხვევაზეც, ვინაიდან მოპასუხე ტ. ჩ-ი ახორციელებდა მ. რ-ის ინტერესების დაცვას და ეს გარიგების შინაარსიდანაც ირკოდა. გარიგებით ხელშეკრულების საგანი იყო საექსპერტო მომსახურების განევა მ. რ-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად, ანუ იგი ემსახურებოდა მ. რ-ის ინტერესებს.

სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის დროს დაადგინა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის მიმართ, ვისაც პასუხი უნდა ეგო სარჩელზე და შესთავაზა მოსარჩევეს არასათანადო მხარე ტ. ჩ-ი შეცვლილიყო სააანადო მხარით მ. რ-ით, რასაც მოსარჩელე მხარე არ დაეთანხმა. ასეთ პირობებში სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თავისი გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ფულადი ვალდებულების შესარულება, რაც გამომდინარებდა 2008 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებიდან. დასახელებული ხელშეკრულება დადებული იყო, ერთის მხრივ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (შემსრულებელი) და, მეორეს მხრივ, მ. რ-ის ადვოკატ ტ. ჩ-ს (დამკვეთი) შორის. სადაც არ იყო ის ფაქტი, რომ 2007 წლის 27 ოქტომბერს გაცემული ორდერის საფუძველზე ადვოკატი ტ. ჩ-ი იცავდა მ. რ-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. სადაც იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვის წარმოეშვა ზემოხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულება ადვოკატ ტ. ჩ-ს, თუ მ. რ-ს.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას მოცემულ საქმეზე მოპასუხე ტ. ჩ-ის არასათანადობის შესახებ, შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ამდენად, იმისათვის რომ სადაც ხელშეკრულებით უფლება-მოვალეობები წარმოეშვას მ. რ-ს (წარმოდგენილი პირი), ხელშეკრულება ტ. ჩ-ს დადებული უნდა ჰქონდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ტ. ჩ-ს არ დაუდია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რადგან მას ექსპერტიზის ბიუროსათვის არ წარუდგენია მინდობილობა, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ იგი უფლებამოსილი იყო მ. რ-ის სახელით დაედო სამოქალაქო გარიგება (წარდობის ხელშეკრულება).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის (განსასჯელის) ინტერესების დასაცავად გაცემული ორდერით არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო ის გარემოება, რომ ადვოკატს აქვს ბრალდებულის (განსასჯელის) სახელით სამოქალაქო გარიგებების დადების უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ ტ. ჩ-ს ექსპერტიზის ბიუროსათვის არ წარუდგენია განსასჯელ მ. რ-ის სახელით სამოქალაქო გარიგების (კერძოდ, წარდობის ხელშეკრულების) დადების უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ტ. ჩ-ის მითითება იმის შესახებ, რომ მან სადაც ხელშეკრულების დადებისას ექსპერტიზის ბიუროში წარადგინა საქმეში განთავსებული მ. რ-ის მიერ მის სახელზე გაცემული წარმუნებულება. ეს ფაქტი, გარდა იმისა, რომ უარყოფილი იყო მისი პროცესუალური მონინა-აღმდეგის მხრიდან, არ დასტურდებოდა არც სადაც ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო არა მ. რ-ის, არამედ ტ. ჩ-ის სახელით. ამასთან, ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი ხელშეკრულებაში მოხსენიებულია მ. რ-ის ადვოკატად, ვერ გახდებოდა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველი, რომ ამ ხელშეკრულებიდან აღმოცენებული უფლება-მოვალეობები წარმოეშვა მ. რ-ს.

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილ პირს წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან უფლება-მოვალეობები წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულება წარმომადგენელს დადებული აქვს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის

სახელით, ვისაც ის წარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადაც გარიგება არ დადგებულა მ. რ-ის მიერ ადვოკატ ტ. ჩ-ისათვის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში და მ. რ-ის სახელით, რის გამოც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები წარმოეშვა სწორედ მოპასუხე ტ. ჩ-ს. ამ გარემოების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. რ-ი ვერ იქნებოდა იმ სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაცილე, რომელიც აღმოცენდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და ტ. ჩ-ს შორის 2008 წლის 9 ივლისის №1/1970 ხელშეკრულების საფუძველზე, როცემულ შემთხვევაში მხედველობაში იყო მისაღები ის ფაქტი, რომ სახეზე იყო ორი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობა – ერთი მხრივ, მ. რ-სა და ტ. ჩ-ს შორის გაფორმებული დავალების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი და მეორეს მხრივ, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და ტ. ჩ-ს შორის წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა. ორივე ეს ხელშეკრულება მონაცილე მხარეებისათვის წარმოშობდა დამოუკიდებელ უფლება-მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმის შესახებაც, რომ განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელი იყო ამ ურთიერთობის მონცარიგება სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია ვისთან დადებს გარიგებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც შემთხვევაში ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰქონდა საფუძველი, ევარაუდა ტ. ჩ-ის წარმომადგენლობის შესახებ, რადგან, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეზე მონაცილე ადვოკატებს არ გააჩინიათ დასაცავი პირის სახელით სამოქალაქო გარიგებების დადების უფლებამოსილება და ასეთი უნდა მიეთითოს სპეციალურ მინდობილობაში, რაც მოპასუხის მიერ ექსპერტიზის ბიუროში წარდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ბიუროსათვის არ ყოფილა სულ ერთია ვისთან გააფორმებდა ხელშეკრულებას.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გააჩინდა საკმარისი წინაპირობები განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენებისა და ტ. ჩ-ის არასათანადო მოპასუხედ მიჩნევისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი წარმომადგენლობის შემთხვევებს. „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამავე მუხლის მე-2 წარმომადგენლობის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია დავის არსებითად გადაწყვეტა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს, არ უმსჯელია სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებზე, მათ წინააღმდეგ მოპასუხის მიერ წარმოყენებულ არგუმენტებზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლს (მოპასუხის არასათანადოობა).

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ჩ-მა. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 9 ივლისს მოსარჩელესა და ტ. ჩ-ს, როგორც მ. რ-ის ადვოკატს შორის დაიდო ხელშეკრულება საეჭსპერტო მომსახურების თაობაზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა ტ. ჩ-ს (მ. რ-ის წარმომადგენელს) და არა თავად მ. რ-ს (მარწმუნებელს). მითითებული პოზიცია სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ ტ. ჩ-ს მოსარჩელისათვის არ წარუდგენია შესაბამისი რწმუნებულება. აღნიშნული მოსაზრება არასწორია, რადგან რწმუნებულების წარუდგენლობის შემთხვევაში, მოპასუხე ხელშეკრულებაში არ იქნებოდა მითითებული როგორც მ. რ-ის ადვოკატი;

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა საფუძველი ევარაუდა მოპასუხის წარმომადგენლობის თაობაზე, რადგან, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეზე მონაცილე ადვოკატებს არ გააჩინიათ სამოქალაქო გარიგების დადების უფლებამოსილება.

კასატორი მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი წარმომადგენლობის შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაშე და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამ წორმიდან გამომდინარე, ადვოკატ-სა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით გათვალისწინებულ დავალების ხელშეკრულებად. შესაბამისად, კასატორი მიაჩინია, რომ მ. რ-ს რომც არ გაეცა წერილობითი რწმუნებულება, მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი იყო იყო მ. რ-ის ადვოკატი, ადასტურებს წარმომადგენლობის არსებობას. სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლობის შესახებ გარიგების დასადებად წერილობითი ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის;

კასატორის მოსაზრებით, რომც გავიზიაროთ სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ტ. ჩ-ს ექსპერტიზის ბიუროსათვის არ წარუდგენია მ. რ-ის სახელით სამოქალაქო გარიგების დადების უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა, მაშინ საკითხის დარეგულირება უნდა

მომხდარიყო სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. დასახელებული ნორმის მიხედვით, თუ გარიგების დადებისას ნარმომადგენელი არ მიუთითებს თავის ნარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება ნარმოშობს სამართლებრივ შედეგებს უშუალოდ ნარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარისათვის სულერთია ვისთან დადებს გარიგებას. ის გარემოება, რომ ექსპერტიზის ბიურომ ივარაუდა ნარმომადგენლობის შესახებ უდავოდ დასტურდება თავად ხელშეკრულებიდან საექსპერტო მომსახურების შესახებ. ხელშეკრულების პირველ მუხლში ნათლად არის მითითებული, რომ ხელშეკრულება იდება მ. რ-ის ადვოკატთან, ხოლო ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებს კლიენტის ხარჯით და სახელით, საყოველთადო ცნობილია;

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ მეორე მხარისათვის სულერთია ვისთან დადებს ხელშეკრულებას, ასეთ დროსაც, მინდობილობის ნარმდგენლობის შემთხვევაში უფლებები და მოვალეობები ნარმოშობა ნარმოდგენილ პირს. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ დებულების პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ექსპერტიზის ბიუროს აკისრია კანონისმიერი ვალდებულება, დადოს ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურების შესახებ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან. იგივე შინაარსის ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან. ამდენად, უდავოა, რომ ექსპერტიზის ბიუროსათვის სულერთია ვისთან დადებს ხელშეკრულებას;

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მოქალაქე მ. რ-მა ტ. ჩ-ის სახელზე გასცა რწმუნებულება, ანუ მათ შორის დაიდო დავალების ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შესარულოს მისთვის დავალებული ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ გარიგებით, რომელსაც ნარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები ნარმოშობა მხოლოდ ნარმოდგენილ პირს. დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე ნათელია, რომ რწმუნებულება ცალსახად ფორმდება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, შეკარაა, რომ რწმუნებულების არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელს არ შეიძლება დაეკისროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ჩ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 9 ივლისს, ერთი მხრივ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (შემსრულებელი) და, მეორე მხრივ, მ. რ-ის ადვოკატ ტ. ჩ-ს (დამკვეთი) შორის დაიდო ხელშეკრულება აუდიო-ვიდეო ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას ადვოკატ ტ. ჩ-ს ექსპერტიზის ბიუროში არ წარუდგენია მის სახელზე მ. რ-ის მიერ გაცემული რწმუნებულება;

2007 წლის 27 ოქტომბერს გაცემული ორდურის საფუძველზე ადვოკატი ტ. ჩ-ი იცავდა მ. რ-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცანობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

მოცემულ საქმეში სადაცვო არაა მხარეთა შორის 2008 წლის 9 ივლისის ხელშეკრულების დადების ფაქტი, მაგრამ სადაცვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის წარმოებვა ზემოხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები – ადვოკატ ტ. ჩ-ს თუ მისი დაცვის ქვეშ მყოფ მ. რ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2009 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები წარმოებვა ადვოკატ ტ. ჩ-ს, ვინაიდან სადაცვო გარიგების დადებისას იგი არ მოქმედებდა მ. რ-ის მიერ მის სახელზე გაცემული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის სახელით.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ მ. რ-ის მიერ მის სახელზე გაცემული 2008 წლის 6 მაისის რწმუნებულება, მას ანიჭებდა სადაცვო გარიგების დადების უფლებამოსილებას მ. რ-ის სახელით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფ-

ლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. აღნიშნული ნორმის მიხედვით, იმისათვის, რომ გარიგებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები წარმოეშვას წარმოდგენილ პირს, აუცილებელია, რომ წარმომადგენელი მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს. დავის შემთხვევაში, წარმომადგენელმა სარწმუნოდ უნდა და-დასტუროს, რომ იგი წამდვილად მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ანუ წარმოდგენილი პირის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ პირის სახელით. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პირის (მ. რ-ის) სახელით სადაც გარიგების დადების უფლებამოსილებას მას ანიჭებდა წარმოდგენილი პირის მიერ მის სახელზე გაცემული 2008 წლის 6 მაისის რწმუნებულება. სა-კასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მიმის შესახებ, რომ სადაც ხელშეკრულების დადებისას მოპასუხეს მოსარჩევისათვის არ წარუდგენია ზემოხსენებული რწმუნებულება და, შესაბამისად, ხელშეკრულებაც მის საფუძველზე არ დაუდია. ამ ფაქ-ტობრივი გარემოების გამაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება კასატორს არ წარმოუდგენია. გარდა ამი-სა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2008 წლის 6 მაისის რწმუნებულება მოპასუხეს არ ანიჭებდა სადაც გარიგების დადების უფლებამოსილებას, ვინაიდან იგი არ შეიცავს მითითებას წარმოდგენილი პირის სა-ხელით სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. აღ-ნიშნული რწმუნებულებით მოპასუხე უფლებამოსილი იყო დაეცვა მარწმუნებლის ქონებრივი და არაქო-ნებრივი ინტერესები და ამ მიზნით წარმოედგინა მარწმუნებელი საქრთველოს ყველა ინსტანციის სასა-მართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და ენარმოებინა შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო ან აღმინისტრაციული საქმე. ამდენად, მითითებული რწმუნებულებით მოპასუხესიათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები არ მოიცავს წარმოდგენი-ლი პირის სახელით სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების (მოცემულ შემთხვევაში, წარდობის ხელშეკ-რულების) დადების შესაძლებლობას.

კასატორი მიიჩნევს ასევე, რომ 2008 წლის 6 მაისის რწმუნებულების არარსებობის შემთხვევაშიც, იგი, როგორც ადვოკატი, უფლამოსილი იყო დაედო სადაც გარიგება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს ნარმო-ადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკაონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას, ვინაიდან იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი ნარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება მას გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირა აღნიშნული ასეთი უფლაბამოსილების მინიჭების თაობაზე.

დაუსაბუთებელია ასევე კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს უნდა ევარაუდა მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე, ვინაიდან იგი, როგორც ადვოკატი, მოქმედებდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებში.

კასატორის აღნიშნულ პრეტენზით სათან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სადავო გარიგების დადებისას მოსარჩელეს არ ჰქონდა საფუძველი, ევარაუდა მოპასუხის ნარმომადგენლობის შესახებ, რადგან ადვოკატს არ გააჩნია მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სახელით სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადების უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ადვოკატს, რომელიც ორდერის საფუძველზე ახორციელებს კლიენტის ინტერესების დაცვას, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირაა აღნიშნული ასეთი უფლაბამოსილების მინიჭების თაობაზე. მართალია, დაკალების ხელშეკრულების ფორმა თავისიუფალია, მაგრამ ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, რწმუნებულმა სარწმუნოდ უნდა დაამტკიცოს მარწმუნებლის მიერ კონკრეტული დავალების მიცემის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მითითება 2008 წლის 6 მაისის რწმუნებულებაზე და ადვოკატის ორდერზე, სადავო ფაქტის არსებობას არ ადასტურებს. კასატორი ვერც იმას ასაბუთებს, თუ რატომ იყო სულერთი მოსარჩელისათვის, თუ ვისთან დადებდა სადავო გარიგებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ მითითებული კანონი არ დარღვეულა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის ოქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკავალით სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

- ტ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცელელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების ნამდვილად

განხილვა

№ას-114-110-2012 19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

შპს მ. „თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ო-ს, მ., ნუგ. და ნ. ნ-ისა და ბ. ჟ-ის მიმართ და მოითხოვა ბ. ჟ-სათვის 58951.2 აშშ დოლარის (სესხის ძირითადი თანხა – 33000 აშშ დოლარი, სარგებელი – 6600 აშშ დოლარი), პირგასამტებლოს – ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებიდან 2009 წლის 30 აპრილიდან სარჩელის აღძვრის დღემდე, 2011 წლის 13 მაისამდე, 19351.20 აშშ დოლარისა და სარჩელის აღძვრის დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 39600 აშშ დოლარის ნოტიური 24%-ის ანაზღაურება, ასევე თანხის ამოღების მიზნით იპოთეკით დატვირთული მოპასუხეების უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა შემდეგი საფუძვლებით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბ. ჟ-ს შპს მ. „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 58 951.2 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე. ა. ო-ს შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება იმ ნაწილში, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ს, მ., ნ. და ნ. ნ-ების კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე 79,22 კვ.მ უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №....

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს მ. „თ-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ა. ო-ს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და შპს მ. „თ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ნაწილში, შპს მ. „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ჟ-სათვის დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით დადგინდა ა. ო-ს, მ., ნუგ. და ნ. ნ-ების კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე 79,22 კვ.მ-ის რეალიზაცია საკადასტრო კოდით ..., ასევე გაუქმდა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2008 წლის 23 ოქტომბრის სანოტარო აქტით ნ. ნ-მა, ა. ო-მ, მ. ნ-მა და ნუგ. ნ-მა ბ. ჟ-ს მიანიჭეს უფლება-მოსილება, იპოთეკით დატვირთა მათი კუთვნილი უძრავი ქონება და შესრულებინა ქონების იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება. უძრავი ქონების მესაკუთრეებმა თავად მოაწერეს ხელი მინდობილობას მისი შინაარსის გაცნობის შემდეგ ნოტარიუს ლ. რ-ის თანდასწებით.

2008 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით ბ. ჟ-მა შპს მ. „თ-ისაგან“ აიღო სესხი 33 000 აშშ დოლარის ოდენობით 2009 წლის 30 პირილამდე თვეში 5% სარგებლით. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 1,5%-ის ოდენობით. აღებული სესხის უზრუნველსაყოფად 2008 წლის 30 ოქტომბრის სანოტარო აქტით იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ს, ნ. ნ-ის, ნუგ. ნ-ისა და მ. ნ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე უძრავი ქონება, რომლის მესაკუთრეთა სახელით ხელშეკრულების დადებისას გამოდიოდა ბესიკ ყლენტი 2008 წლის 23 ოქტომბრის მინდობილობის საფუძველზე.

2008 წლის 30 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. დასახელებული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონანერით.

ბ. ჟ-ს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება არ შეუსრულებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩენით ბ. ჟ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. განაჩენის მიხედვით, საბრალდებო დაკვნით ბ. ჟ-ს ბრალად დაედო თაღლითობა, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრეების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მიღება

მოტყუებით შემდეგი გარემოებების დადგენის საფუძველზე: 2008 წლის ოქტომბერში დასაქმების შესახებ გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოქვეყნებული განცხადება წაიკითხა სამუშაოს დაწყების მსურველმა დ. ნ-მა, დაინტერესდა პირობებით და დარეკა განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე. მას უპასუხა მამაკაცმა, რომელმაც სამსახურის პირობებზე სასაუბროდ შეხვედრა დაუთქვა შპს „ნ. პ-ს“ ოფისში. იმავე დღეს დ. ნ-ი მივიდა შპს „ნ. პ-ს“, სადაც მას დახვდა ბ. უ-ი, რომელიც გაეცნო „ნ. პ-ს“ მფლობელად. ბ. უ-მა დ. ნ-ს დაათვალიერებინა ქარხანა, გააცნო სამუშაოს პირობები და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა უძრავი ქონება.

ბ. უ-მა დ. ნ-ს შესთავაზა დისტრიბუტორად მუშაობა და დაარწმუნა ის რომ, სანარმოში მუშაობის და-საწყებად აუცილებელი იყო მის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე ბ. უ-სათვის მიეცა მინდობილობა, რა-თა იმ შემთხვევეში თუ მუშაობის პროცესში მისი მოქმედებით საზოგადოებას რაიმე სახის ზიანი მიადგე-ბოდა, ანაზღაურება მომხდარიყო მისი ქონებიდან. როდესაც ბ. უ-მა დ. ნ-ისაგან შეიტყო, რომ მისი მშობ-ლების სახელზე ირიცხებოდა ბ-ის ქ. №25-ში მდებარე ბინა, გადაწყვიტა სისრულეში მოეყვანა თავისი გან-ზრახვა. ალნიშნული ბინის დათვალიერებისა და ბინის მესაკუთრეთა დაწმუნების მიზნით დ. ნ-შვილს იმავე დღეს გაპყვა მის ოჯახში. ბ. უ-მა ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე ბინის მესაკუთრეები – ა. ო-ა, მ. და ნუგ. ნ-ები დაარწმუნა, რომ მისი სანარმო იყო წარმატებული და იმ შემთხვევაში, თუ მათ კუთვნილ ბინაზე მის-ცემდნენ მინდობილობას, რომელიც იქნებოდა დ. ნ-ის კეთილსინდისიერად მუშაობის გარანტი და არ ით-ვალისწინებდა ბინის გასხვისების უფლებას, მათ ბინას საფრთხე არ შექმნებოდა.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბ. უ-მა საჯარო რეესტრიდან აიღო ამონანერი უძრავ ქონებაზე და იმავე დღეს მესაკუთრეებთან ერთად მივიდა სახოტარო ბიუროში, სადაც მათი სახელით გააფორმა მინდობილო-ბა უძრავ ქონებაზე, სხვა უფლებებთან ერთად მან მოიპოვა ბინის იპოთეკით დატვირთვის უფლებაც. ბ. უ-მა გადაწყვიტა ალნიშნული უფლების რეალიზაციის გზით ქონებრივი სარგებლის მიღება. 2008 წლის 30 ოქტომბერს ა-ს ქ. №77-ში მდებარე სანოტარო ბიუროში შპს „თ-თან“ გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2009 წლის 30 აპრილამდე, რომლის თანახმად იპოთეკარისაგან ისესხა 33000 აშშ დოლარი, სესხის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება. სესხად აღებული თანხა და სარგებე-ლი ბ. უ-ს არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომლითაც შპს მ. „თ-ის“ ნინაშე ბ. უ-ის ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ს, ნ., ნუგ. და მ. ნ-ების კუთვნილი ქ.თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე უძრავი ქონება, დადებულია კანონით განსაზ-ლვრული წესით მხარეთა შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში და არ არსებობს მისი ბათილად ცნო-ბის საფუძველი. ამდენად, ხელშეკრულება დაიფიქ შპს „თ-სა“ და ბ. უ-ს, როგორც იპოთეკის საგნის მესა-კუთრეთა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის, 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვა-ლა, რომ ა. ო-მ, მ., ნუგ. და ნ. ნ-ებმა ხელი მოანერეს მინდობილობას, რომლითაც მათ ბ. უ-ს მიანიჭეს უფ-ლება, მათი სახელით იპოთეკით დატვირთა კონკრეტული ქონება. ალნიშნული მინდობილობა წარმოად-გენდა მესამე პირებისათვის კანონიერი ნდობის შექმნის საფუძველს. მესამე პირი, რომელიც ბ. უ-თან დებდა გარიგებას, ენდობოდა ხელმოწერილ, ნოტარიულად დამოწმებული გარიგების შინაარსს. ივარაუ-დება, რომ ხელმოწერილ და ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტში ნების გამომვლენი აცნობიერებდა გამოვლენილ ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და მისთვის ცნობილი იყო გარიგების სამართლებრივი შედეგები. იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონი ითვალის-წინებს მხარეთა შორის შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელშეკრულების წერილობითი ფორ-მით დადებასა და ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულობას, სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის, 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულებისთვის კანონით განსაზღვრული ზემოაღნიშნული პირობები არ დარღვეულა.

სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩენით ბ. უ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადების ფაქტის დადგენა არ წარმოადგენს სადაც ხელშეკრულე-ბის ბათილად ცნობის საფუძველს.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ქმედების შეფასებისა და ალნიშნუ-ლი ქმედების თანმდევი შედეგების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, მართლსა-წინააღმდეგო ქმედების შეფასების კრიტერიუმები თავისი თანმდევი შედეგებით სამოქალაქო სამართლ-წარმოებაში ინდივიდუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დადგენილი მოტყუე-ბის ფაქტი შეიძლება სამოქალაქო წესით არ წარმოადგენდეს ქმედების ისეთ შემადგენლობას, რომელიც გარიგების ბათილობას იწვევს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩე-ნით დადადებილი ბ. უ-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მტკიცებულებას წაზარალებულე-ბის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მსჯავრდებულის წინააღმდევ ალძრული სარჩელის შემთხვე-ვაში და არა გარიგების ბათილობის მოთხოვნით გამართულ სამოქალაქო სამართლწარმოებაში. ამდენად, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში შეიძლება სულ სხვაგვარი შე-ფასება მიეცეს, ვიდრე აღნიშნული სისხლის სამართლის წესით არის დადგენილი. როგორც განაჩენის ში-ნაარსიდან გამომდინარებს, ბ. უ-ის მიერ დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა დაზარალებულთა ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ იწვევს იპოთეკის ხელშეკრუ-ლების ბათილობას. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა ეფუძნება მხარეთა კეთილსინდისიერ ქმე-

დებას, მაგრამ აღნიშნული ხორციელდება რა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების მაქსიმალური დაბალანსების საჭიროების პირობებში, მხარე, რომელიც არ დაიცავს წინდახედულობის აუცილებელ ნორმებს, ხდება შესაბამისი რისკის მატარებელი. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდება იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის კვალიფიკაციისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს 2008 წლის 30 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, ხოლო ა. ო-ს შეგებებული სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ჩათვალა, რომ შპს „თ-ის“ მოთხოვნა, ვალდებულების შესაბამისი გადახდევინება განხორციელდეს იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით, საფუძვლიანია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ო-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილდების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ უგულებელყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 მაისის განაჩენი, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ბ. ჟ-მა მოტყუების გზით დატვირთა ა. ო-სა და ნ-ების ოჯახის საცხოვრებელი ბინა იპოთეკით. ამასთან, შპს „თ-ისათვის“ ცნობილი იყო, რომ კასატორი წარმოადგენდა დაზარალებულს, ბ. ჟ-ი მათ პრობლემურ მოვალეთა სიაში იყო დაფიქ-სირებული, არავითარი შემოსავალი სესხის უზრუნველსაყოფად არ გააჩნდა, შესაბამისად, არადამაჯერებელია ასეთ შემთხვევაში 33000 აშშ დოლარის მისთვის სესხება.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ბ. ჟ-მა მოტყუებით გააფორმებინა ა. ო-სა და ნ-ების ოჯახს მინდობილობა. იგი გაიცა არა იმისათვის, რომ ბ. ჟ-ს იპოთეკით დაეტვირთა აღნიშნული ქონება მისი სურვილისამებრ არამედ, მხოლოდ მაშინ, თუკი დ. ნ-ის, როგორც დისტრიბუტორის, ქმედებით მას ზიანი მიადგებოდა. ბ. ჟ-მა დაანაპირები არ შეასრულა, დ. ნ-ი სამსახურით ვერ უზრუნველყო და მინდობილობის მიღებიდან რამოდენიმე დღეში იპოთეკით დატვირთა მათი ქონება, გამოიტანა სესხი და მითვისა აღნიშნული თანხა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და უსაფუძვლოდ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 103-ე მუხლზე. მართალია, ა. ო-მ, მ., ნ. და ნუგ. ნ-ებმა ხელი მოაწერეს ბესო უღენტის სახელზე გაცემულ მინდობილობას, მაგრამ დადგენილი იყო ამ მინდობილობის გაცემის მიზეზი, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, რომელშიც მითითებულია, რომ ბ. ჟ-მა მინდობილობა მიიღო კასატორების მოტყუებისა და მათი ნდობის ბოროტად გამოყენების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ ა. ო-ს საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2008 წლის 23 ოქტომბრის სანოტარო აქტით ნ. ნ-მა, ა. ო-მ, მ. ნ-მა და ნუგ. ნ-მა ბ. ჟ-ს მიანიჭეს უფლება-მოსილება, იპოთეკით დაეტვირთა მათი კუთვნილი უძრავი ქონება და შეუსრულებინა ქონების იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება. უძრავი ქონების მესაკუთრეებმა თავად მოანერეს ხელი მინდობილობას მისი შინაარსის გაცნობის შემდეგ ნოტარიუს ლ. რ-ის თანდასწრებით.

2008 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით ბ. ჟ-მა შპს მ. „თ-საგან“ აიღო სესხი 33 000 აშშ დოლარის ოდენობით 2009 წლის 30 აპრილამდე თვეში 5% სარგებლით. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნა პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 1,5%-ის ოდენობით. აღებული სესხის უზრუნველსაყოფად 2008 წლის 30 ოქტომბრის სანოტარო აქტით იპოთეკით დაიტვირთა ა. ო-ს, ნ. ნ-ის, ნუგ. ნ-ისა და მ. ნ-ის კუთვნილი ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე უძრავი ქონება, რომლის მესაკუთრეთა სახელით ხელშეკრულების დადებისას გამოდიოდა. ჟ-ი 2008 წლის 23 ოქტომბრის მინდობილობის საფუძველზე.

2008 წლის 30 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. დასახელებული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონანერით.

ბ. ჟ-ს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება არ შეუსრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩენით ბ. ჟ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. განაჩენის მიხედვით, საბრალდებო დასკვნით ბ. ჟ-ს ბრალად დაედო თაღლითობა, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მზინით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით შემდეგი გარემოებების დადგენის საფუძველზე: 2008 წლის ოქტომბერში დასაქმების შესახებ გაზეთ „ს. და ს-ში“ გამოქვეყნებული განცხადება წაიკითხა სამუშაოს დაწყების მსურველმა დ. ნ-მა, დაინტერესდა პირობებით და დარეკა განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე. მას უპასუხა მამაკაცმა, რომელმაც სამსახურის პირობებზე სასაუბროდ შეხვედრა დაუთქვა შპს „ნ. პ-ს“ ოფისში. იმავე დღეს დ. ნ-ი მივიდა შპს „ნ. პ-ში“, სადაც მას დახვდა ბ. ჟ-ი, რომელიც გაეცნო „ნ. პ-ს“ მფლობელად. ბ. ჟ-მა დ. ნ-ს დათვალიერებინა ქარხანა, გააცნო სამუშაოს პირობები და პკითხა, პქონდა თუ არა უძრავი ქონება.

ბ. ჟ-მა დ. ნ-ს შესთავაზა დისტრიბუტორად მუშაობა და დაარმმუნა ის რომ, საწარმოში მუშაობის დასაწყებად აუცილებელი იყო მის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე ბ. ჟ-სათვის მიეცა მინდობილობა, რა-

თა იმ შემთხვევაში, თუ მუშაობის პროცესში მისი მოქმედებით საზოგადოებას რაიმე სახის ზიანი მიაღებდა, ანაზღაურება მომხდარიყო მისი ქონებიდან. როდესაც ბ. ჟ-მა დ. ნ-ისაგან შეიტყო, რომ მისი მშობლების სახელზე ირიცხებოდა ბ-ის ქ. №25-ში მდებარე ბინა, გადაწყვიტა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. აღნიშნული ბინის დათვალიერებისა და ბინის მესაკუთრეთა დარწმუნების მიზნით დ. ნ-ს იმავე დღეს გაჰყვა მის ოფიციალური ბ. ჟ-მა ბ-ის ქუჩა №25-ში მდებარე ბინის მესაკუთრები - ა. ო-ა, მ. და ნუგ. ნ-ები დაარწმუნა, რომ მისი საწარმო იყო წარმატებული და იმ შემთხვევაში, თუ მათ კუთვნილ ბინაზე მისცემდნენ მინდობილობას, რომელიც იქნებოდა დ. ნ-ის კეთილსინდისიერად მუშაობის გარანტი და არ ითვალისწინებდა ბინის გასხვისების უფლებას, მათ ბინას საფრთხე არ შეექმნებოდა.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბ. ჟ-მა საჯარო რეესტრიდან აიღო ამონანერი უძრავ ქონებაზე და იმავე დღეს მესაკუთრებთან ერთად მივიდა სანოტარო ბიუროში, სადაც მათი სახელით გააფორმა მინდობილობა უძრავ ქონებაზე. სხვა უფლებებთან ერთად მან მოიპოვა ბინის იპოთეკით დატვირთვის უფლებაც. ბ. ჟ-მა გადაწყვიტა აღნიშნული უფლების რეალიზაციის გზით ქონებრივი სარგებლის მიღება. 2008 წლის 30 ოქტომბერს ა-ის ქ. №77-ში მდებარე სანოტარო ბიუროში შპს „თ-თან“ გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2009 წლის 30 აპრილამდე, რომლის თანახმად იპოთეკარისაგან ისესხა 33000 აშშ დოლარი, სესხის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება. სესხად აღებული თანხა და სარგებელი ბ. ჟ-ს არ გადაუხდია.

კასატორი საკასაციო საჩივრის პრეტენზიას ძირითადად მითითებულ განაჩენს აყრდნობს და მიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ განაჩენის მიხედვით ბ. ჟ-მა მოტყუების გზით მოახდინა სადაცვო საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დატვირთვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულება დადებულია მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ბათოლად არ არის ცნობილი სასამართლოს მიერ. იგი მხოლოდდამხოლოდ გაუქმდებულია, რაც სამართლებრივი შედეგით მეტად განსხვავდება ბათოლობის ინსტიტუტისაგან. თუ ბათოლობის შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა გაბათილდეს მის საფუძველზე დადებული გარიგება, ასეთი შედეგი არ დგება გარიგების დადების შემდგომ მინდობილობის გაუქმების შემთხვევაში. შეუძლებელია, მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების გაბათილება იმ მოტივით, რომ მინდობილობის დადებისას მხარე მოატყუეს ან მისი ნდობა ბოროტად გამოიყენეს და იგი მიჩნეული არ არის არარა გარიგებად. ხოლო მხარეთა შორის არსებული მინდობილობით მხარე აღჭურვილია უფლებით დატვირთოს ნივთი იპოთეკით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სახეზე წამომადგენლის მიერ დადებული გარიგება სააპელაციო სასამართლო სწორად აპელირებს სამოქალაქო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლებზე, როგორც მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგების მართლზომიერებაზე და მის სამართლებრივ შედეგზე. უნდა ითქვას, რომ კასატორი ჯეროვნად ვერ ასაბუთებს ამ ნორმების გამოყენების უსწორობას.

მოცემულ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქმეში მონაწილეობს შპს „თ-ც“, რომლის არაკეთილსინდისიერება არ დგინდება საქმის მასალებით. ასეთზე ვერ უთითებს კასატორიც. ა. ო-ა განაჩენის მიხედვით მოატყუა ბ. ჟ-მა და სწორედ იგია პასუხისმგებელი მის წინაშე. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ბ. ჟ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე. მითითებული წორმის თანახმად, პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ კასატორი ვერ უთითებს წორმას, რომლის გამოყენებითაც გაბათილდებოდა სადაცვო გარიგება და არც იმაზე აპელირებს, რომ რომელიმე ასეთი სახის წორმა სასამართლომ არ გამოიყენა. ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ იმ მოტივით, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ბ დ გ ი ნ ა:

ა. ო-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანდაზულოგის ვალი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღნიშვნითი ნაწილი:

შპს „ჰ-მა“ სარჩელი აღდრა სასამართლოში შპს „მ-ი 93-ის“ მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და 39613 ლარის გადახდის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

2005 წლს შპს „მ-ი 93-ის“ დირექტორ მ. ბ-სა და შპს „ი-ს“ დირექტორი ი. გ-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ.პათუმში, გ-ის ქ. №56-ში სამსართულიანი შენობის აშენების თაობაზე, რომლის ღირებულება საგადასახადო ვალდებულების ჩათვლით განისაზღვრა 75000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით.

მოსარჩელემ შესრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ მოპასუხემ ჩატარებული სამუშაოს ღირებულება არ გადაიხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიმართ ვალდებულება არ გააჩნია. სამუშაოთა შესრულების აქტზე საწარმოს ბუღალტერ გ. გ-ის ხელმოწერა ვალდებულების არსებობის აღიარებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მას სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გააჩნდა. ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 39613 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „მ-ი 93-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამუშაოს შესრულების აქტის შესაბამისად, რესტორან „მ-ის“ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხორციელდებოდა დამკვეთ შპს „მ-ი 93-ის“ მასალებით. პირველი ინტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული გ. გ-ის ჩვენებით, ასევე სააპელაციო სასამართლოში მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ი-ს“ უნდა აეშენებინა სამსართულიანი შენობა, ენარმოებინა გადახურვისა და ოთრი კარკასის დონეზე შელესვითი სამუშაოები. სამუშაოების გაგრძელება დაბრკოლდა შპს „მ-ი 93-ის“ მხრიდან თანხის მოუძიებლობის გამო.

მოპასუხის მიერ სადაც არ გამხდარა ის ფაქტი, რომ მშენებლობის გაგრძელებისათვის აუცილებელი იყო ახალი პროექტი, რომლის მოპოვება და შპს „ჰ-ისათვის“ გადაცემა შპს „მ-ი 93-მა“ ვერ შეძლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, მე-4 და 103-ე მუხლების თანახმად, მოქმედებს პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადაც. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება ერთ მხარეს, ადეკვატურად უნდა წაეყენოს მეორე მხარესაც.

სასამართლომ სადაც არ ჩათვალი შპს „ჰ-ის“ მიერ შპს „მ-ი 93-ის“ კუთვნილი რესტორნის შავი კარკასის მშენებლობის ფაქტი, ამდენად, ზემოხსენებული კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად, სწორედ მოპასუხეს (აპელანტი) ვალდებული, ამტკიცოს შესრულებული სამუშაოსათვის თანხის გადახდის ფაქტი.

საქმის მასალებში არ მოიპოვება სათანადო მტკიცებულება (თანხის გადახდის დოკუმენტი), რაც დაადასტურებდა სამსართულიანი შენობის შავი კარკასის მშენებლობაზე უკვე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, ხოლო საქმეში განთავსებული წერილობითი დოკუმენტით – შპს „მ-ი 93-ის“ ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი „სამუშაოს შესრულების აქტით“ დაგინდება სანინაალმდევეო. ამდენად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მათი მხრიდან ვალდებულება შესრულებულია და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ აღნიშნა, რომ მოწმის სახით დაკითხული შპს „მ-ი 93-ის“ ბუღალტერ გ. გ-ის ჩვენება არაერთგვარვანია, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, მისი განმარტებით, თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო სამუშაოს სრულად დასრულების შემდგომ, ხოლო სხვა შემთხვევაში, – ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ. მოწმის სახით დაკითხულმა ე. გ-მ განმარტა, რომ სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულ პირებს თანხას უხდიდა შპს „ჰ-ის“ დირექტორი ი. გ-ე და რაიმე მოსაზრება შპს „მ-ი 93-ის“ მიერ შპს „ჰ-ისათვის“ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე არ გამოუთვევას

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 636-ე, 355-ე მუხლებით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მასალებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მენარდე შპს „ი-ს“ შემკვეთის მასალებით უნდა განეხორციელებინა რესტორან „მ-ის“ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო, მათ შორის, გადახურვისა და ოთრი კარკასის დონეზე სამუშაოები, ხოლო შეს

რულებული სამუშაოს ღირებულება უნდა გადახდილიყო სამუშაოს დასრულების შემდგომ. შავი კარკასის მშენებლობის დასრულებისას სამუშაოს გაგრძელებისათვის აუცილებელი მასალებისა და გადახურვისათვის ახალი პროექტის მინდება მენარდემ ვერ შეძლო, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შეფერხება. მშენებლობის შეფერხების გამო, შემკვეთ შპს „მ-ი 93-ს“, მენარდე შპს „პ-ისათვის“ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე რაიმე სახის შეტყობინება არ გაუგზავნია, ხოლო შპს „პ-მა“ მხოლოდ 2008 წლის 29 მაისს მოსთხოვა შემკვეთს შესრულებული სამუშაოს (რესტრონ მ-ის სამსართულიანი შენობის შავი კარკასი) მიღება და თანხის ანაზღაურება, ასევე აცნობა მოქმედი კანონმდებლობით დავის თაობაზე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება გრძელდებოდა 2008 წლის 29 მაისამდე.

სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება, ანაზღაურების გადახდა უნდა მომხდარიყო სამუშაოს დასრულების შემდგომ, სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში, შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მენარდეს ნარმოებვა მას შემდგომ, რაც მხარეთა შორის შენყდ ხელშეკრულება და შემკვეთს მოსთხოვა სამუშაოს შესრულების მიღება, ანუ 2008 წლის 29 მაისიდან. სარჩელი წარდგენილი იქნა 2011 წლის 18 თებერვალს და ამ დროისათვის გასული არ ყოფილა ამავე კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამწლანი ვადა, შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, თუმცა ამ მოქმედებას საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა არ გამოუწვევია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „მ-ი 93-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, როდესაც ჩათვალა, რომ შპს „პ-მა“ სადაც მოთხოვნის უფლების შესახებ შეიტყო 2008 წელს. სარჩელითა და წერილებით გარკვევით დგინდება, რომ მენარდისათვის იმთავითვე ცნობილი იყო შპს „მ-ი 93-ის“ მიმართ მოთხოვნის არსებობის თაობაზე, მოსარჩელე თანხის გადახდას ითხოვს 2005 წლის დეკემბერში შედგენილი აქტის საფუძველზე, რაზეც სასამართლობმა ყურადღება არ გაამახვილეს.

სააპელაციო პალატამ არასწორებ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი, რადგან მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მას მშენებლობა არ დაუსრულებია და შპს „მ-ი 93-ს“ ხელშეკრულება არ შეუწვეტია, არამედ თვითონ მოსარჩელემ მიატოვა სამშენებლო პროცესი, რადგან შემკვეთმა თანხა არ გადაუხადა.

სასამართლოს უნდა გამოყენებინა სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლი, ვინაიდან შპს „პ-მა“ მიუთითა მხარეთა შეთანხმება, რომ ანაზღაურება მომხდარიყო ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით. მოსარჩელის განმარტებით, მას სამუშაოთა ღირებულების, 75 000 აშშ დოლარის, უდიდესი ნაწილი მიღებული ჰქონდა, მათ შორის, წინასწარ ავანსის სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებების მიღებით.

მოსარჩელის ქმედებით დასტურდება, რომ შპს „მ-ი 93“ არ აპირებდა არანაირი თანხის გადახდას, შესაბამისად, გაუქმებარისა, რატომ გახდა ეს მისთვის ცნობილი მხოლოდ 2008 წლის მაის-ივნისში მაშინ, როდესაც იმავე წერილებში წერს, რომ აღრეც ჰქონია ამ თემაზე საუბარი მოპასუხესთან.

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და 134-ე მუხლები. სასამართლომ შეცდომით დაადგინა, რომ სადაც სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო სამუშაოთა დასრულების შემდგომ, ხოლო მშემებლობის გაგრძელებისათვის აუცილებელი იყო ახალი პროექტის წარდგენა და მოპასუხის თანხმობა.

სასამართლომ არასაწორად შეაფასა საზოგადოების ბუღალტრის უფლებამოსილება, როდესაც ჩათვალა, რომ მას შეუძლია, ხელი მოაწეროს და დაადასტუროს ვალდებულების დამდგენი დოკუმენტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ შპს „მ-ი 93-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით შპს „პ-ის“ სარჩელი არ დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

კანონის მითიერებული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ პირის უფლება, სასამართლო წესით დაიცვას საკუთარი კანონიერი ინტერესები, რისთვისაც საჭიროა სხვა პირისათვის რაიმე მოქმედების შესრულების ან ასეთისაგან თავის შეკავების დავალდებულება, შეზღუდულია დროში და ძალას კარგავს კანონით დადგენილი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის შპს „ჰ-ის“ სასარჩელო მოთხოვის ხანდაზმულობის საკითხს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელებ სასამართლოში მოთხოვნა წარადგინა ამ ვადის დარღვევით.

სადავო სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით სააპლაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

შპს „ჰ-სა“ და შპს „მ-ი 93-ს“ შორის დაიღო ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ჰ-მა“ ვალდებულება იკისრა, დამკვეთის – შპს „მ-ი 93-ისათვის“ აეშენებინა სამსართულიანი ნაგებობის ე.წ. „თეთრი კარკასი“.

შპს „ჰ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ძირითად საფუძვლად მითითებული 2005 წლის დეკემბერში შედგენილი სამუშაოს შესრულების აქტზე დაყრდნობით.

სააპლაციო პალატამ ჩათვალა, რომ მხარეთა შეთანხმების მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა უნდა მომხდარიყო სამუშაოს სრულად შესრულების შემდეგ, თუმცა დამკვეთის მხრიდან მშენებლობის გაგრძელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შეუსრულებლობის გამო (ახალი პროექტის წარდგენა, თანხის გადახდა), შპს „ჰ-ს“ მშენებლობა არ დაუსრულებია.

კასატორი არ ეთანხმება სააპლაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება გრძელდებოდა და, შესაბამისად, შპს „ჰ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს 2008 წლის 29 მაისიდან, როდესაც შპს „ჰ-მა“ წერილით მიმართა შპს „მ-ი 93-ს“ და მოსთხოვა 2005 წლის დეკემბერში აქტით ჩატარებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ე.წ. „შავი კარკასის“ მდგომარეობამდე შესრულებული სამუშაოს მიღება და სამომავლოდ მშენებლობასთან დაკავშირებით დამკვეთის პოზიციის შეტყობინება. ხსნებული მიმართვის შინაარსიდან ირკვევა, რომ შპს „ჰ-მა“ მანამდეც უშედეგოდ მოსთხოვა დამკვეთს სამუშაოს საფასურის გადახდა.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხსნებული ნორმა ადგენს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის წესს და მიიჩნევს, რომ ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც პირმა შეიტყო ან შეემნილი გარემოებიდან გამომდინარე ობიექტურად უნდა შეეტყო მისი კანონიერი ინტერესების დარღვევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას ხანდაზმულობის ვადის 2008 წლის 29 მაისიდან ათვლის შესახებ.

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტებისა და თავად სასარჩელო განცხადების ანალიზი ცხადყოფს, რომ შპს „ჰ-სა“ და შპს „მ-ი 93-ს“ შორის არსებული წარდობის ხელშეკრულება დაირღვა 2005 წლის ბოლოს, რაც თავისთვალი გულისმხობს, რომ შპს „ჰ-ს“ წარმოეშვა ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ მოთხოვნის უფლება.

2005 წელს შპს „ჰ-ისათვის“ ცნობილი იყო სადავო მშენებლობის შეჩერებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებლობის თაობაზე. მართალია, მოსარჩელის განმარტებით, გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობდა 2006 წელსაც, მაგრამ აღნიშნული სამუშაოები არ იყო ისეთი მაშტაბური, რომ მხარეს მშენებლობის გაგრძელებად მეტინია. ამასვე ადასტურებს შპს „ჰ-ის“ მიერ წარდგენილი წერილები. პალატა თვლის, რომ მხარემ უკიდურეს შემთხვევაში 2006 წელს შეიტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ, რა დროსაც კონტრაპენტი არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და არ ქმნიდა სამუშაოს შესრულებისათვის წინასწარ შეთანხმებულ პირობებს.

ამდენად, შპს „ჰ-ის“ სადავო უფლება ზემოხსენებული პერიოდიდან დარღვეულად ითვლება და, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო ამ მომენტიდან მოეთხოვა საკუთარი ინტერესების დაცვა – თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისას პალატამ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური.

აღნიშნული ნორმა საზღაურის გადახდის ვალდებულებას უკავშირებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით სრულად შესრულებული სამუშაოს შემკვეთის მიერ მიღების ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ შპს „ჰ-ს“ მხარეთა შეთანხმებული სამუშაოები სრულად არ უნარმოებია და მშენებლობა არ დაუსრულებია.

ამდენად, სავსებით დასაბუთებულია საკასაციო პრეტენზია, რომ შპს „ჰ-ის“ სადავო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოთა საზღაურის მიღების უფლების წარმოშობიდან ანუ უკიდურეს შემთხვევაში 2006 წლიდან.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის წესს როგორც პერიოდულად შესასრულებელი (129-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ისე ზოგადად სახელშეკრულებო მოთხოვნებზე (129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ნინადადება), რაც ორივე შემთხვევაში 3 წელს შეადგენს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შპს „ჰ-მა“ სარჩელი სასამართლოში აღდრა 2011 წლის 18 თებერვალს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სარჩელი წარდგენილ იქნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ და მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადაღების შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს პიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში დავა გადაწყდა შპს „მ-ი 93-ის“ სასარგებლოდ, რის გამოც შპს „ჰ-ს“ უნდა დაეკისროს მოპასუხის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯის – სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 1584,52 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 1980,65 ლარის, სულ – 3565,17 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ც ი ტ ა:

შპს „მ-ი 93-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

შპს „ჰ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

შპს „ჰ-ს“ დაეკისროს შპს „მ-ი 93-ის“ მიერ გაღებული სასამართლო ხარჯის – 3565,17 ლარის გადახდა. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანდაზულობის ვალი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-547-515-2012

11 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: პირგასამტებლოს ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „...-ის“ მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლისა და 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევის გამო, პირგასამტებლოს – 9000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

2006 წლის 14 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების შესყიდვის თაობაზე, რომლის ლირებულებამაც შეადგინა 200352,94 ლარი. 2006 წლის 14 დეკემბერს მხარეთა შორის შედგა შეთანხმება 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამუშაოების შესრულების ბოლო ვადა, ნაცვლად 2006 წლის 30 ოქტომბრისა, განისაზღვრა 2006 წლის 25 დეკემბრით. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტით განისაზღვრა მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოთა შესრულების გრაფიკის ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევისათვის პირგასამტებლოს სახით ხელშეკრულების თანხის 0,1%-ის დაკისრება, ამავე მუხლის 7.4 და 7.5 პუნქტების თანახმად კი, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტებლოს გადახდა განხორციელდებოდა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების თანხაზე დამატების გზით, ამსთან, საჯარიშო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებდა მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 14 მაისის №38/43, 16 ივლისის №359/43 და 3 აგვისტოს №362/43 ბრძანებების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა 2004 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო სახსრებისა და ქონების განკარგვა-გამოყენების თემატური აუდიტი. თემატური აუდიტის 2009 წლის 28 დეკემბრის №140/00 აქტის 5.1.5. თავის მე-7 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, განისაზღვრა შპს „...-ის“ ვალდებულება, საჯარიშო სანქციის სახით პირგასამტებლოს – 9000 ლარის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხის ადმინისტრაციას, თუმცა მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულებია.

შპს „...-მა“ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა შემდეგზე:

სარჩელი ხანდაზმულია, რადგანაც დარღვეულია კანონით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადის დენა დაინუყო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან – 2006 წლის 30 ოქტომბრიდან. 2006 წლის 14 დეკემბრის ხელშეკრულებით, მხარეთა შორის შეთანხმებული შესრულების ვადა გაიზარდა ამავე წლის 25 დეკემბრიდან და ვალდებულება შესრულდა კიდევაც დათქმულ ვადაში, ამასთანავე, საყურადღებო, რომ ვალდებულება თავდაპირველად შეთანხმებული ვადის დაცვით ვერ განხორციელდა დამკვეთის მიზეზით, მან სარემონტო ფართი გაათავისულება.

სუფლა ნაწილ-ნაწილ. არასწორია ასევე თანხის დაკისრების მოთხოვნა იმ თვალსაზრისით, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმების 7.3 პუნქტის თანახმად, შემსრულებლის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს თანხა უნდა დაქვითა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან, მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩევე, ნაცვლად მოთხოვნის 3-წლიანი ვადისა, თანხის ანაზღაურებას, მხოლოდ 5 წლის შემდგომ მოითხოვს, რაც შეეხება მოპასუხისათვის პირგასამტებლოს გადახდის თაობაზე წერილობით მიმართვას, აღნიშნულს საქმესთან კავშირი არ აქვს, კერძოდ, წერილობით შეტყუბინების დროისათვის სასარჩელო ხანდაზმულობა უკვე გასული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „....-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლოს – 9000 ლარის, ასევე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „....-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ოქტომბერის განჩინებით შპს „....-ის“ სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2006 წლის 14 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის თანახმად, მოპასუხე კისრულობდა ვალდებულებას, შეესრულებინა სარემონტო სამუშაოები, ხელშეკრულების ლირებულება განისაზღვრა 200352,94 ლარით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადად - 2006 წლის 30 ოქტომბერი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოს შესრულების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შპს „....-ს“ დაეკისრებოდა პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ლირებულების 0,1%. 2006 წლის 14 დეკემბერს მხარეებს შორის შედგა შეთანხმება 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადა, ნაცვლად 30 ოქტომბრისა, განისაზღვრა 2006 წლის 14 დეკემბრით. საქართველოს კონტროლის პალატის აქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ვადების დარღვევისათვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შპს „....-სათვის“ პირგასამტებლოს სახით უნდა დაეკისრებინა 9000 ლარი. პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივრის არგუმენტს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია, მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობა შემოიფარგლება დროის პერიოდულობით, რომელიც მრავალ მიზეზს უკავშირდება: 1. ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; 2. ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; 3. აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულს იძლევა. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ვადის ათვლა არ ხდება უფლების დარღვევის მომენტიდან. მისი ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელისათვის მისი უფლების დარღვევის შესახებ ობიექტურად ცნობილი გახდა საქართველოს კონტროლის პალატის აქტის შედგენის თარიღიდან, 2009 წლის 28 დეკემბრიდან. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო ამ პერიოდიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მოთხოვნა პირგასამტებლოს სახით დაკისრებული საჯარიმო სანქციის – 9000 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ იყო ხანდაზმული. პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 317-ე მუხლზე და განმარტა, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც მოპასუხებ იყისრა ვალდებულება, შეესრულებინა სარემონტო სამუშაოები ლირებულებით 200352,94 ლარი. საქართველოს კონტროლის პალატის აქტით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „....-ის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ იქნა შესრულებული სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ მიუთითა ამავე კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და ვალდებულების შესრულების ვადა დარღვეულად მიიჩნია, რადგანაც 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულების მიხედვით, შესრულების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 30 ოქტომბერი, ხელშეკრულება, ნაცვლად 2006 წლის 30 ოქტომბრისა, შესრულდა 2006 წლის 14 დეკემბრის. სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლების თანახმად, პალატამ განმარტა, რომ პირგასამტებლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევმა მხარემ უპირობოდ უნდა გადაიხადოს პირგასამტებლო. გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მხარეების მიერ დადგებული წერილობით გარიგება, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგენს პირგასამტებლოს, დადგენილია ასევე, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით კი განისაზღვრა პირგასამტებლო, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „....-მა“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასბუთებით:

სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხადაზმულობის საკითხთან მიმართებით არასწორია და, სამოქალაქი საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, არ ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტურ და სრულყოფილ კვლევას, სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა 2009 წლის 28 დეკემბერს, კონტროლის პალატის მიერ აქტის შედგენის შემდეგ დაიწყო, ვინაიდან, ობიექტურად მოსარჩელებმ ამ დროიდან შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე. აღნიშნულის უსწორობას ადასტურებს ხელშეკრულებაში მითითებული როგორც სამუშაოთა დასრულების, ისე პირგასამტებლოს მოთხოვნის ვადა, ამდენად, მოწინააღმდეგ მხარისათვის ხელშეკრულებითვე იყო ცნობილი, რომ მოთხოვნის უფლება მას წარმოშვა ხელშეკრულებაში მითითებულ დროს და არა კონტროლის პალატის შედგენის დროს. ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესი – როგორც პირს უნდა შეეტყო, არამედ, არასწორად მიუთითოთ ამავე მუხლის დებულებაზე – როცა პირმა შეიტყო. სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარებს, რომლის თანახმადაც ყურადღებია მოთხოვნის წარმოშობის სუბიექტური და ობიექტური მომენტიც, როგორც წესი, თანმხედვრია. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რა გარემოების სუბიექტურ ფაქტორზე – კონტროლის პალატის მიერ დასკვნის შედგენაზე, არ გამოარკვია ამ დასკვნის შედგენამდე ცნობილი იყო თუ არა მოსარჩელისათვის უფლების დარღვევის შესახებ. ამასთანავე, როდესაც კანონით ან ხელშეკრულებითაა განსაზღვრული მოთხოვნის წარმოშობის დრო, ითვლება, რომ ხელშეკრულების მხარე აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებულია. ამ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 14 დეკემბრის შეთანხმების აქტი, ამასთან, რადგანაც მოსარჩელებმ პირგასამტებლოს გადახდა ვალდებულების დარღვევისა არ მოითხოვა და დაეთანხმა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნას, არ ნიშნავს იმას, რომ მან პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლების თაობაზე არ იცოდა. ის გარემოება, რომ სასამართლოს საქმის მასალები სრულყოფილად არ შეუსწავლია დასტურდება გასაჩივრებული განჩინებით, კერძოდ, საპელაციო პალატამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში არასწორად მითითებული ვალდებულების შესრულების დრო – 2006 წლის 14 დეკემბერი, მაშინ, როდესაც საქმეში არსებული 2006 წლის 14 დეკემბრის შეთანხმების აქტით დასტურდება შესრულების ბოლო ვადად იმავე წლის 25 დეკემბრის განსაზღვრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 მაისის განჩინებით შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინიშნ ზეპირა მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, შპს „...-ის“ საკასაციო პრეტენზიებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების ვამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

საქმეში წარმოდგენილი შპს „...-ის“ საკასაციო პრეტენზიების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მოსაზრებას სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის განმარტებასა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ნაწილში და თვლის, რომ ამ ნაწილში სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგანაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის დასაწყისს წარმოადგენს მოთხოვნის დადგომის ობიექტური ფაქტორი, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დღიდან უნდა იქნას გამოანგარიშებული და არა კონტროლის პალატის მიერ აქტის შედგენის დღიდან – 2009 წლის 28 დეკემბრიდან.

განსახილველ შემთხვევაში, საპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტორის გარემოები:

2006 წლის 14 აგვისტოს სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინური უნივერსიტეტსა“ და შპს „...-ს“ შორის დაიღო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც შინაარსობრივად წარდგინის ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...-მა“ 2006 წლის 30 ოქტომბრამდე იკისრა 200 352,94 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების შესრულების ვალდებულება.

მხარები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოს შესრულების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შპს „...-ს“ დაეკისრებოდა პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

2006 წლის 14 დეკემბერს მხარებს შორის შედგა შეთანხმება 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ამ ცვლილების შედეგად ახლებურად განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადის დასასრული.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია მენარდის მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება და ნაცვლად 2006 წლის 30 ოქტომბრისა, ხელშეკრულების 2006 წლის 14 დეკემბერს შესრულების ფაქტი, რის გამოც ამავე კოდექსის 417-ე და 418-ე მუხლების შესაბამისად ჩათვალა, რომ არსებოდა შპს „...-სათვის“ პირგასამტებლოს და-

კისრების წინაპირობა. აღნიშნული მოსაზრება პალატამ დაამყარა საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შედგენილ აქტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ამდენად, ვინაიდან კასატორი სადავოდ არ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარე-მოებებს, მათ საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩინიათ.

რაც შეეხება მოცემული დავის სწორად გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს გარემოებას – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტებლოს დაკისრების საკითხს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში შპს „...-მ“ წარადგინა დასაბუთებული შედავება, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან ზამე მოქ-მედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმუ-ლობა. აღნიშნული დანაწესის შემოლებით კანონმდებლმა განსაზღვრა სამოქალაქო უფლების დაცვის გარკვეული ვადებით შეზღუდვის აუცილებლობა, რომელიც მყარ სამოქალაქო ბრუნვაზე როინტირებუ-ლი და მოთხოვნის ხანდაზმულობის ამა თუ იმ ვადის გასვლით მხარე კარგავს იმ სამართლებრივ ბერკე-ტებს, რომელთა საშუალებითაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, მოხედინა მისი მოთხოვნის იძულებით აღ-სრულება. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით სახელშეკრულებო მოთხოვნა ასევე დაეკვემდებარა ხანდაზმულობას და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად განისაზღვრა 3 წელი.

ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენ-ტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოშვა მოთხოვნის უფლება. გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშო-ბის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავ-შირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. სამოქალა-ქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთ-ხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვე-ვის შესახებ. ნორმის აღწერილობითი წარმოშობის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო, არ შეიძ-ლება გაგებულ იქნა იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნ-და უკავშირდებოდეს, კანონის ზემოაღნიშნული დაანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანეთის თანხვედრია და ორინტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. ამასთანავე, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – უნდა შეეტყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებ-რივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტო-რის განსაზღვრა.

განსახილველი საქმის მასალებით ირკვევა და აღნიშნული სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გა-რემოებადა მიჩნეული, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებით შპს „....ის“ ვალდებულების შესრულების ვადის დასასრულად განსაზღვრულია 2006 წლის 30 ოქტომბერი, ხოლო ამავე წლის 14 დეკემბრის შეთანხმებით ვალდებულების შესრულების ვადად საბოლოოდ განისაზ-ღვრა 2006 წლის დეკემბერი. დადგენილია და ამას კასატორი სადავოდ არ ხდის, რომ მან ვალდებულების შესრულების ვადა დაარღვეია და, წაცვლად მხარეთ 2006 წლის 14 დეკემბრის შეთანხმებით გათვალისწი-ნებული ვადისა, მოპასუხებ შეთანხმებული სამუშაოები დასასრულა დაგვიანებით. აღნიშნულის გათვა-ლისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტ-მა“ ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის თაობაზე შეიტყო მხარეთა შეთანხმებით გათვალისწი-ნებული ვადის გასვლისთანავე, რაღგანაც ამ დროისათვის შემკვეთს მენარდისაგან შეთანხმებული შეს-რულება მიღებული ობიექტურად არ ჰქონდა. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, საკასაციო პა-ლატა ვერ დაეთანხმება გასაჩინოებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას, რომ, სამოქალაქო კო-დექსის 130-ე მუხლის საფუძველზე, შემკვეთმა ვალდებულების დარღვევის თაობაზე ობიექტურად 2009 წლის 28 დეკემბრიდან – საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აქტის შედგენის დღიდან შეიტყო და სწორედ ამ დროიდან დაიწყო სასამართლო ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ პა-ლატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონტროლის პალატის მიერ აქტის შედგენის დროისათვის სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის“ უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელშეკ-რულები ვალდებულების ფაქტის დარღვევის თაობაზე. ამასთან, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტუ-რებულია ის გარემოებაც, რომ სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებულია 2011 წლის 13 მაისს, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან – 2006 წლის დეკემბრიდან 5 წლისა და 5 თვის შემდეგ, პალატა თვლის, რომ კასატორის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ საფუძვლიანია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე ქვეაუნეტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველ-თვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარი-სად დასაბუთებული.

რაც შეეხება კასატორის მიერ სადავოდ გახდილ იმ გარემოებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწო-რად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეცდომით დადგენილ ვალდებულების შეს-რულების ვადა და 2006 წლის 14 დეკემბრის შეთანხმებით არასწორად მიიჩნია დადგენილად ვალდებულე-ბის შესრულების ვადად 2006 წლის 14 დეკემბერი, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ წაწილშიც მხარემ

დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარადგინა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ამ მტკიცებულების თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადად მხარეებმა 2006 წლის 25 დეკემბერი განსაზღვრეს, თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ფაქტი მოცემულ შემთხვევაში არაარსებითია, რადგანაც ვალდებულების შესრულების ბოლო ვადად 2006 წლის დეკემბრის ბოლო დღის მიჩნევის შემთხვევაშიც კი დასტურდება სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მოთხოვნის ხანდაზმულობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა საქმის გადაწყვეტილობის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, საკასაციო საჩივარი კი, მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას ემყარება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უფლებამოსილია თვად მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „....-ის“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკვისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი დადგენილია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიოს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა რა სსიპ „თბილისის საელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“ შპს „....-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 360 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის, სულ 810 ლარის ანაზღაურება, ხოლო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „....-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“ სარჩელი შპს „....-ის“ მიმართ პირგასამტებლოს დაკვისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.
4. სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს“ (ს/№...) შპს „....-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 360 ლარისა და 450 ლარის, სულ 810 ლარის ანაზღაურება.
5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხანდაზმულობის ვადა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

ალწერილობითი ნაწილი:

მ. ი-მა სარჩელი ალძრა სასამართლოში მოპასუხე თ. ბ-ას მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 25 მარტს მოპასუხეს ასესხა 3 870 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა თვეში 2%-ით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია თბილისში, დ-ის გამზირ №39ა-ში მდებარე №2 ბინა მოპასუხეს სესხი უნდა დაებრუნებინა 2005 წლის 25 მარტს, თუმცა ნაკისრი ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია. სესხის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენდა საერთო თანხის 0.3%-ს. მოსარჩელე ამცირებს პირგასამტებლოს და ითხოვს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ს. ასევე მოსარჩელე ითხოვს, რომ მოპასუხე თ. ბ-ას დაეკისროს 2004 წლის 25 ოქტომბრიდან 2010 წლის 23 მარტის ჩათვლით ძირითადი თანხის, 3 330 აშშ დოლარის, სულ 11 483 აშშ დოლარის გადახდა. 2010 წლის 24 მარტიდან კი, პირგასამტებლოს სახით 6.66 აშშ დოლარის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოპასუხე თ. ბ-ას წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოპასუხეს შესრულებული აქვს ვალდებულება, ამასთან ასეც რომ არ იყოს, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2005 წლის 25 მარტს და მას უფლება პქონდა, სამი წლის ვადაში 2008 წლის 25 მარტამდე მიერმართა სასამართლოს-თვის. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი ხანდაზმულია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებას ყყადაღა უნდა მოეხსნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის ვადაწყვეტილებით მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ი-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე თ. ბ-ას მ. ი-ის სასამართლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის, 3 330 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 700 აშშ დოლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 25 მარტს მ. ი-სა და თ. ბ-ას შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ი-მა სესხად თ. ბ-ას ასესხა 3870 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა (7 778 ლარი) ყოველთვიურად 2%-ის სარგებლის დარიცხვით. სესხის დაბრუნების დროდ, ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა 2005 წლის 25 მარტი. 2004 წლის 25 მარტის სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა თ. ბ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქ. თბილისში, დ-ის გამზირ №39-ში მდებარე №2 ბინა დადგენილია, რომ თ. ბ-ას 2004 წლის 25 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეებს არ წარმოუდგენიათ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის პროკურატურის 2009 წლის 22 ივლისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე ნინასწარი გამოძიების შესახებ, არ წარმოადგენს მოპასუხეს მხრიდან ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას შემდეგ გარემოებათა გამზ: სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ეკვს წელს. პირველი ინსტანციის სასამართლომ 25.03.2004 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მ. ი-ის მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია სწორედ ამ მუხლზე მითითებით. სისხლის სამართლის საქმეზე ნინასწარი გამოძიების შესახებ თბილისის პროკურატურის 2009 წლის 22 ივლისის დადგენილების თანახმად, საქმეზე ჩატარებული ნინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2004 წლის 25 მარტს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სრულდებოდა 2008 წლის ივლისის ჩათვლით. დადგენილია, რომ მოპასუხეს მიერ 25.03.2004 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უკანასკნელად შესრულებულ იქნა 2008 წლის ივლისში. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ თავისი უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 2008 წლის ივლისის შემდგომ (როდესაც მოპასუხემ შეწყვიტა სარგებლის გადახდა), შესაბამისად, ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დენაც უნდა დაინტერიდან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე უკანასკნელად ვალდებულება 2008 წლის ივლისში შესარულა. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა მოპასუხეს ამგვარი მოქმედებით შეწყდა და მისი ათვლა დაიწყო თავიდან. მოსარჩელემ სარჩელი ალძრა 2010 წლის 23 მარტს, ხანდაზმულობის ვადის დაცვით. სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ი-ის სარჩელი, ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების შესახებ, ხანდაზმული არ არის. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა შორის 2004 წლის 25 მარტის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებლის გადახდის ვალდებულება სრულდებოდა 2008 წლის ივლისის ჩათვლით, დაგინდება ნინასწარი გამოძიების შესახებ 2009 წლის 22 ივლისის დადგენილებით. ამასთან, საპირისპირ მტკიცე-

ბულება საქმის მასალებში მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოპასუხი მხარის პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით საქმის მასალებით ვერ დასტურდება მონინაალმდეგი მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის დადგებული 2006 წლის 8 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში გაერთიანდა 2004 წლის 25 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებაც, რაც თ. ბ-ას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გადასახდელად დაეკისრა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პალატამ სამართლებრივად შემდეგნაირად შეაფასა: სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაცილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიღია როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებს შორის ურთიერთვალდებულები წარმოიშვა 2004 წლის 25 მარტის სესხისა იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კოდექსის 400-ე მუხლის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების გადაცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ ვადაში ვალდებულება არ სრულდება. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია მოპასუხის მიერ მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე მუხლების მიხედვით, პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტებლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტებლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. განსახილველ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულებით პირგასამტებლო წერილობით არის შეთანხმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საერთო თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ პირგასამტებლოს განაკვეთი შემცირებულ იქნა 0,2%-მდე. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემობათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუსაბამოდ მაღალია პირგასამტებლოს განაკვეთი – დავალიანების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვინაიდან ყოველდღიური 0,2% თვეში შეადგენს – 6%-ს, ხოლო ერთ წელიწადში – 72%-ს. პირგასამტებლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტებლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ ძირითადი თანხის ოდენობის გათვალისწინებით პირგასამტებლოს გონივრულ ოდენობად მიიჩნია 700 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-ას წარმომადგენელმა ირმა ს-მა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით დადგენილია ის ფაქტი, რომ ბ-ა 2008 წლის ივლისამდე ასრულებდა თავის ვალდებულებას და მ. ი-ს ფულს უხდიდა, ე.ი სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ დადგენილებას მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა, რაც ენინაალმდებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლს. 2010 წლის პირველ ოქტომბრამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მტკიცებას არ საჭიროებდნენ ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინ თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. 2010 წლის 1 ოქტომბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება და ეს ქვეპუნქტი კოდექსიდან ამოღებულ იქნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული დადგენილება უკვე გახდა არა პრეიუდიციული მნიშვნელობის, არამედ ერთ-ერთი ჩვეულებრივი მტკიცებულება, რომელიც შეფასებული უნდა იქნეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად და არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს ეს ცვლილება უკვე ძალაში იყო. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სავსებით სწორად მიუთითა, რომ წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება არ არის საკასიის მტკიცებულება იმისა, რომ თ. ბ-ა 2008 წლის ივლისამდე ასრულებდა ვალდებულებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს არ განუცხადები, რომ ეს დადგენილება საერთოდ არ არის მტკიცებულება, მან მხოლოდ მის პრეიუდიციული მნიშვნელობა უარყო და მიუთითა, რომ ეს არ არის საკასიის მტკიცებულება. სააპელაციო სასამართლო, განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ დადგენილებას მიანიჭა წინასწარ დადგენილი ძალა და იგი გამოიყენა პრეიუდიციული მნიშვნელობით, რაც გამოიხატა იმაში,

რომ მხოლოდ დადგენილების საფუძველზე მიიჩნია თ. ბ-ას მიერ 2008 წლის ივლისამდე ვალდებულების შესრულება. სხვა მტკიცებულება, გარდა მ. ი-ის ზეპირი განცხადებისა, საქმეში არ მოიპოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივი დასაბუთება სწორია, თუმცა იგი იურიდიულად არასწორადა შეფასებული, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 25 მარტს მ. ი-სა და თ. ბ-ას შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ი-მა სესხის სახით თ. ბ-ას გადასცა 3870 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა, ყოველთვიურად 2%-ის სარგებლის დარიცხვით. სესხის დაბრუნების დროდ განისაზღვრა 2005 წლის 25 მარტი. 2004 წლის 25 მარტის სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა თ. ბ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქინება ქ. თბილისში, დ-ის №39-ში მდებარე №2 ბინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეთა მიერ წარმოდგენილი არ არის.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თ. ბ-ას მოსაზრება და დაეყრდნო რა სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე, 137-ე მუხლებს, განმარტა, რომ ვინაიდან თ. ბ-ა გადახდას ახორციელებდა 2008 წლის ივლისამდე, რაც უტყუარად დგინდება წინასწარი გამოძიების შესახებ 2009 წლის 22 ივლისის დადგენილებით, ამიტომ მის მიმართ აპელანტის მოთხოვნა ხანდაზმული არ არის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო რა წინასწარი გამოძიების შესახებ 2009 წლის 22 ივლისის დადგენილებას, მიუთითა, რომ კასატორი 2008 წლის ივლისამდე ასრულებდა ვალდებულებას და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს. აღნიშნულ დასკვნას საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება და განმარტავს:

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევე მ. ი-ის მოთხოვნა ეფუძნება მხარეთა შორის ხელშეკრულებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულების 2008 წლის ივლისამდე უზყვეტად შესრულებას.

სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან წარმოადგინება მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული წორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასაბეჭდის ამავე წორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობითი სახის მტკიცებულებას. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომელებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, ხელნერილით, თანხის გადარიცხვის დოკუმენტით და სხვა. მოსარჩევე მ. ი-მა შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შენებულების შესახებ თბილისის პროცესურაცურის 2009 წლის 22 ივლისის დადგენილება წარმოადგინა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამ წორმით დადგენილი წესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების თაობაზე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია და იგი მომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან, რომლის ძალითაც მოსამართლე თავისი საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. კანონის დანაწესი, რომ არავითარ მტკიცებულებების სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს, გულისხმობის იმას, რომ მსარეთა მიერ წარმოადგენილი ყველა მტკიცებულება, მიუხედავად დოკუმენტის გამცემი ორგანოს კომპეტენციისა, შემოწმებული და გამოკვლეული უნდა იქნეს სასამართლოს მერ. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებიდანაც, რომლებიც შეჯიბრებითობისა და მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს წინაშე მსარეთა თანხის წინასწარი განამტკიცებენ. სამართლწარმოების მხარის უფლება, წარადგინოს თავისი არგუმენტაცია და მტკიცებულებები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, იმავდროულად, წარმოშობს სასამართლოს ვალდებულებას, ამ მტკიცებულება-

თა დასაშვებობისა და განკუთვნადობის პრინციპით მიღებაზე და შემდეგ მისი კანონით დადგენილი წესით შემოწებასა და შეფასებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ, ვინაიდან სამართლებრივი სამართლებრივი საშუალებათა თანასწორობის პრინციპით, ხოლო სა-სამართლოსათვის წინასწარ არც ერთი მტკიცებულების მნიშვნელობა და უპირატესი იურიდიული ძალა არ არის დადგენილი, სადაცობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ფაქტობრივად კი ვალდებული, შეამოწმოს მტკიცებულებით დადგენილი ფაქტების უტყუარობა ამ ფაქტების საწინააღმდეგოდ მოდავე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებთან ურთიერთშეჯერებით და, შესაბამისად, შეფასება მისცეს მათ: გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მტკიცებულებით დადასტურებული ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება.

მართალია, განსახილველ შემთხვევაში თ. ბ-ას არ წარმოუდგენია საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგრამ აღნიშნული განსახილველი საკითხის სამართლებრივ შედეგებს არ ცვლის. ზემოდასახელებული წირმების გამო, სასამართლო ვალდებული იყო, წარმოდგენილი სადაც მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიყვლია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი წინასწარი გამოძიების შესახებ დადგენილება არ არის საკმარისი მტკიცებულება საქმისთვის ისეთი მნიშვნელობის მქონე გარემოების დასადასტურებლად, როგორიცაა, მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესრულება. მითითებული დადგენილების აღნიშნული, რომ ვალდებულებას თ. ბ-ა 2008 წლის ივლისამდე ასრულებდა, მაგრამ არ არის გამოკვეთილი, თუ რომელი მტკიცებულებების საფუძველზეა ამგვარი დასკვნა მიღებული, შესაბამისად, არ არის გამოიცეული, ეს გარემოება მხოლოდ მ. ი-ის მიერ წინასწარ გამოძიებაში მოცემულ განმარტებას ეყრდნობოდეს, რომელიც ამ საქმესთან მიმართებით დაინტერესებულ პირს წარმოადგენს. ამ ეჭვს ამყარებს ის ფაქტი, რომ წინასწარი გამოძიება ჩატარდა არა მოდავე მხარეთა შორის დადებულ 2004 წლის 25 მარტს დადებულ ხელშეკრულებაზე, არამედ მოკვლევა შეეხო ამავე მხარეებს შორის 2006 წლის 8 სექტემბერს გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დანაშაულებრივი გზით მითვისების საკითხს. ამასთან, გამოძიება შეწყდა დანაშაულის ინშების არარსებობის გამო. ამდენად, სადაც ურთიერთობის – 2004 წლის 25 მარტის სესხის ხელშეკრულების გამოკვლევა და მასთან დაკავშირებული იურიდიული ფაქტების დადგენა წინასწარი გამოძიების მიზანს არ წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ თ. ბ-ას მიერ 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების 2008 წლის ივლისამდე შესრულება უტყუარად არ დგინდება, რის გამოც სასარჩელო ხანდაზულობის სამწლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2005 წლის 26 ოქტომბრიდან და დასრულდეს 2008 წლის 26 ოქტომბერს. დადგენილია, რომ მ. ი-მა სარჩელით სასამართლოს მიმართ 2010 წლის 23 მარტს.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ანუ ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კი, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სამოქალაქო კანონმდებლობა სხვადასხვა ტიპის ვადებს იცნობს. მათ შორისაა, სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები, რომელიც სხვა ვადებთან ერთად გულისხმობას უფლების დაცვის – ხანდაზმულობის ვადებს. სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს რომლის უფლებაც შელახულია, შეძლია მოითხოვნის იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. თუ ეს დარღვეული უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობა კანონით განსაზღვრული ვადით არ იქნებოდა შეზღუდული, ეს გამოიწვევდა სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, ვინაიდან დიდია აღბათობა საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვისა, საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არააღეკვატურად აღქმისა და სხვა. ამრიგად, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციის, ამავდროულად ემსახურება სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ დარღვეული უფლების დასაცავაპდ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის ამონურვის შემდგომ მიმართა, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

თ. ბ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

მ. ი-ს თ. ბ-ას სასამართლოდ დაეკისროს თ. ბ-ას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 334 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცდაზულობის ვალი

განჩინება

№ას-1579-1578-2011 26 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა

აღნერილობითი ნაწილი:

სპს „თ-ემ“ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნინაალმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დავალდებულება.

მოსარჩელის მითითებით, მხარეებს შორის 2005 წლის 23 ივნისს დადებული ხელშეკრულებით სპს „თ-ეს“ უნდა განეხორციელებინა 30 ჰა ჩაის პლანტაციის მძიმედ გასხვლა, ასევე 220 ბოძისა და 30 შეკვრა ეკლიანი მავთულის დამონტაჟება. 30 ჰა ჩაის პლანტაციის მძიმედ გასხვლაზე მოპასუხეს მიღება-ჩაბარების აქტი არ შეუდგენია.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სპს „თ-ის“ მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სპს „თ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წელს გამოცხადებული იყო ტენდერი სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის „ჩაის“ სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა სპს „თ-ე“, მასთან 2005 წლის 23 ივნისს გაფორმდა №61 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, მოეხდინა პერსპექტიული ჩაის პლანტაციის მძიმედ გასხვლა, მისი შემოლობა ეკლიანი მავთულით და ხის ბოძებით. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 2006 წლის 1 იანვრამდე. აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტორების ჯგუფის ხელმძღვანელის წერილის თანახმად, 2005 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს „თ-ეს“ შორის გაფორმებული №61 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხელვაჩაურიოს რაიონში 30 ჰექტარი პერსპექტიული ჩაის მძიმედ გასხვლაზე მომსახურების განვევას საერთო ლირებულებით 28400 ლარი. მომსახურების გეგმა-გრაფიკით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2005 წლის 1 დეკემბრისათვის. ამ პერიოდისათვის სპს „თ-ის“ მიერ შეძენილ 2200 ცალწალის ხის ბოძესა და 300 შეკვრა ეკლიან მავთულზე საერთო ლირებულებით 13840 ლარი, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტორების ჯგუფის მიერ 2005 წლის 1 დეკემბერს შედგენილი იქნა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი. რაც შეეხება გასხვლის სამუშაოებს, 20 ჰა-ზე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში იქნა დასრულებული, ხოლო 10 ჰა-ზე უამინდობის გამო სამუშაოები გაგრძელდა 2005 წლის ბოლომდე. შპს „თ-ის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მდგომარეობა 2005 წლის დეკემბრის თვეში გადასამონა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებსაგან შექმნილმა ჯგუფმა შიდა კონტროლის სამმართველოს უფროსის ლევან გეგეშიძის ხელმძღვანელობით. მათთან სიტყვიერი შეთანხმებით ხელშეკრულების ვადა უნდა გაგრძელებულიყო 2006 წლის იანვრის თვის ბოლომდე, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოფიციალურად უარი განაცხადა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე, რის გამოც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტორების ჯგუფს სპს „თ-ის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო მიღება-ჩაბარების აქტი არ გაუფორმებია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სპს „თ-ის“ სარჩელი ხანდაზმული იყო, რადგანაც მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვისთანავე, 2006 წლის 1 იანვრიდან ნარმოიშვა, სარჩელი კი აღძრულია 2010 წლის 13 აპრილს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სპს „თ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის განჩინებით სპს „თ-ის“ საკასაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრარი არ დაკამაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას.

აღნიშნული განჩინება სპს „თ-ებ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ 2009 წლის 28 აპრილის წერილი მოპასუხე აღიარებს სამუშაოს შესრულებას. წერილში გარკვევით წერია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში იყო გასხლული. მიღება-ჩაბარების აქტი თუნდაც მხოლოდ ამ 20 ჰა-ზე უნდა შემდგარიყო;

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მხოლოდ პლანტაციის გასხვლის ვადა და არა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობაზე უსაფუძლოა;

3. სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით და ხანდაზმულობის ვადა მოთხოვნის წარმოშობის მოქმედიდან არ აითვალა. მოთხოვნა კი, 2009 წლის 28 აპრილიდან წარმოიშვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სპს „თ-ის“ საკასაციო საჩივრარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. „მოკლე დასაბუთება“ არ ნიშნავს ბრანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირლვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დაკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებებითა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქცის გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკრძობელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლოს აქტებში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საქმეზე „დევიერ ბელგიის წინააღმდეგ“ და „დელკური ბელგიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა“ ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცავს ტერმინს „დასაბუთებული“ (Bien-Fondé), აღნიშნული კი ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, მართალია, აღნიშნულ საქმებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი ვრცელდება სამოქალაქო დავების მიმართაც.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სააპელაციო საჩივარი სარჩელის იდენტურადაა ჩამოყალიბებული. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მათი განმეორების გარეშე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე გადაწყვეტილების გაუქმების გარკვეულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ საფუძველს მიუთითებს, სააპელაციო სასამართლომ ისინი უნდა შეაფასოს და მხოლოდ ამის შემდეგ დასკვნას, რამდენად დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა არასწორად ათვალა და არ შეაფასა საქმეში არსებული 2009 წლის 28 აპრილის წერილი, რომლითაც მოპასუხე სამუშაოს შესრულების ფაქტს აღიარებდა.

აპელანტის მიერ წამოყენებული ამგვარი პრეტენზიები სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს. სასამართლომ მათი გათვალისწინებით უნდა მიუთითოს, რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებით დაკავშირებით.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაპარების აქტის შედგენა. პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, რომ მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე წარმოიშვა, მაგრამ დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება არა მხოლოდ სასამართლოსათვის, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარე სხვა ქმედით ღონისძიებებით ცდილობს მოთხოვნის დაკავშირების სამუშაოების, ხოლო იმავე კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით კი, ხანდაზმულობის ვადის დენა მოთხოვნის აღიარების გზით წყდება. საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, არსებობდა თუ არა ამგვარი საფუძვლები განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო, რომ აპელანტი ამ საკითხზე მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას.

საკასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციონ სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციონ სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლო-სათვის.

საკასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აპელანტის ფაქტობრივ-სამართლებრივ პრეტენზიებზე, შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად დასაბუთებული განჩინებით (გადაწყვეტილებით) გადაწყვიტოს დავა.

სარეზოლუციონ ნაწილი:

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სპს „თ-ის“ საკასაციონ საჩივარი ნაწილობრივ დაემაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციონ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

საკუთვებელი

განხილვა

№ას-1777-1755-2011

4 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. კ-სა და გ. პ-ის მიმართ ქონების ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2011 წლის 9 აპრილს, აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ჯ. ძ-ის მიერ შედგენილ იქნა მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტი. მოვალე გ. პ-ის ქონება აღინერა ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/40-ში მდებარე ბინა №30-ში, რომელიც მოსარჩელის საკუთრებაა. აღნიშნულ ბინაში მოვალე გ. პ-ი 2 წელზე მეტია, რაც რეგისტრირებული აღარ არის. არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ აღმასრულებლის მიერ განხორციელდეს აღწერილი და დაყადაღებული ნივთების იძულებითი აუქციონის წესით რეალიზაცია, რაც საფრთხეს შეუქმნის მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ნივთებს, რომლებიც აუცილებელია მისი ოჯახის ყოფა-ცხოვრებისათვის. დაყადაღებულია აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთები.

მოპასუხე ნ. კ-მ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ იგი უკანონო და დაუსაბუთებელია. მოსარჩელე მიზნად ისახავს აღმასრულების თავიდან აცილებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ლ-ს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელებრ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება და ე. ლ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. პ-ს ნ. კ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა; გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2009 წლის 20 ნოემბრის, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალე გ. პ-ის საცხოვრებელ მისამართად მიეთითა ქ.ბათუმი, ჭ-ის ქ. №39/47, ბინა 30. აღნიშნულ ბინაში არსებულ მოძრავ ნივთებს, კერძოდ: ორკამერიან მაცივარ „ბეკოს“, გაზქურა „გეფეს“, ელექტროლუმელ „გრ-ის“, წყლის გამათბობელ „არისტონს“, ტელევიზორ „სონის“, ელექტროლუმელს, ხის მაგიდას 6 სკამით, 4-განყოფილებიან ასაწყობ კუთხეს, უურნალების მაგიდას, იატკაის ხალიჩას, ჭალს, სარეცხ მანქანა „სამსუნგს“, ტელევიზორ „შარფს“, საძინებლის სავარძელს, საძინებლის ხალიჩას, საძინებლის ტრილიაჟს, მტკერსასრუტ „ბოშს“, ორ ხალიჩას დაედო ყადაღა. საჯარო რეესტრის ამონანერით დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში მდებარე ნ. 30 ბინა ე. ლ-ს საკუთრებაში 2008 წლის 11 ნოემბრიდან.

სასამართლომ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 312-ე მუხლების საფუძველზე, განმარტა: საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში მდებარე ნ. 30 ბინა ეკუთვნის ე. ლ-ს. საქმის მასალებით არ დასტურდება ამ მონაცემის უსწორობა. სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზისას კი დგინდება, რომ ბინაში არსებული ავეჯი, მართალია, არ არის ბინას შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მისი სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც, იგი სივრცობრივ კავშირშია ბინასთან და, დამკიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად, შესაბამისად, ბინაში არსებული ავეჯი ბინას საკუთვნებელია. საკუთვნებელს კი ფლობს ის პირი, ვინც ფლობს მთავარ ნივთს. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. დადგენილია, რომ აპელანტი ცხოვრებს ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში მდებარე ბინა №30-ში. ბუნებრივია, ეს ნიშნავს იმას, რომ ის ფლობს ამ სახლში არსებულ მოძრავ ნივთებსაც. საქმეში წარმოდგენილი არ არის იმის დამატასტურებელი მტკიცებულებებიც, რომ სადაც ბინა ან მასში არსებული ნივთები, ოდესმე ეკუთვნოდა გ. პ-ს. მართალია, გ. პ-ი, ზემოხსენებულ მისამართზე რეგისტრირებული იყო 2009 წლის 11 მაისამდე, თუმცა ეს არ ადასტურებს, რომ იგი იყო ქონების მესაკუთრე. ამასთან, აპელანტის ბინა, სადაც სადაც ნივთებია განთავსებული, შეძენილი აქვთ ჯერ კიდევ 2008 წლის 11 ნოემბრის, ე.ი მანამ, სანამ ძალაში შევიდოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება. ამგვარად ნათელია, რომ მოძრავი ქონება, რომელსაც ყადაღა დაადო აღმასრულებელმა, ეკუთვნის აპელანტს და არა გ. პ-ს. პალატამ იხელმძღვანელა რა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქალაქო ტელის კანონის მე-40 მუხლითა და 32-ე მუხლის 1-ლი ბუნეტით, ასევე სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით, განმარტა, რომ აპელანტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება და ენიჭება უფლება, განკარგოს თავისი საკუთრება, რასაც ქონებაზე არსებული ყადაღა უზღუდავს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ბათუმის საქალაქო სასამართლომ სწორად ჩათვალი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოვალე გ. პ-ი ფაქტობრივად ცხოვრებს ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში და 2011 წლის 9 აპრილისათვის ამ ბინაში არსებული ნივთები ეკუთვნის გ. პ-ს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ჯ. ძ-მ 2011 წლის 9 აპრილს შეადგინა მოვალის ქონების აღნიშნულისა და დაყადაღებების შესახებ აქტი, რომლის თანახმად ყადაღა დაედო აღნიშნულ ბინაში არსებულ მოძრავ ნივთებს. აღნიშნული აქტი აღმასრულებელმა შეადგინა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა და უდავოდ ჩათვალა ის გარემოება, რომ მოვალე გ. პ-ი აპელან-

ტის დაა, რაც დგინდება საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით. ბათუმის საქალაქო სა-სამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. პ-ს ნ. კ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა. გ. პ-მა იმავე წლის 11 ნოემბერს, 11 დღის შემდეგ, თვალთმაქცურად გასახვისა ქაბა-თუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში მდებარე №30 ბინა თავის დის, ე. ლ-ს სახელზე, რათა თავი აერიდებინა ვალდე-ბულების შესრულებისთვის და არ გადაეხადა დაკისრებული თანხა. ასევე არ უნდა იქნას გაზიარებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.14 და 4.15 პუნქტები. ნივთები, რომელიც აღმასრულებელმა აღწერა და დააყადალა გ. პ-ის საკუთრებაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებ-რივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითოებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვე-ვა. საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამარ-თლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლებით გ. პ-ს ნ. კ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილებაზე, 2009 წლის 20 ნოემბერს, სასამართლომ გასცა საალსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალე გ. პ-ის საცხოვრებელ მისამართად მიეთითა ქ.ბათუმი, ჭ-ის ქ. №39/47, 30-ე ბინა. აღნიშნულ ბინაში არსებულ მოძრავ ნივთებს დაედო ყადალა. დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ. №39/47-ში მდებარე ბინა №30 2008 წლის 11 ნოემ-ბრიდან ე. ლ-ს საკუთრებაშია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ე. ლ-ს საკუთრებაში არსე-ბულ ქონებაზე (მოძრავ ნივთებზე) ყადალის დადება უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო: „საალსრუ-ლებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ქონე-ბაზე ყადალის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღნერას, მესაცუთრისათვის ქონების განკარგვის – ნე-ბისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადე-ბის – აკრძალვის გამოცხადებას ანდა ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი ყადალადადე-ბულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღნერისა და დაყადალების აქტში. აღნიშნული წორმის ანალიზი ცხად-ყოფს, რომ ყადალა შეიძლება დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას.

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას ალსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამარ-თლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება ალსრულება, მესამე პირს შეუძლია, აღძრას სარჩე-ლი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადალისაგან ქონე-ბის განთავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადალისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობი-ექტი გარევეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად, (ალსრულების საგნად). ასეთ ვითა-რებაში აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სა-სამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადალისაგან გან-თავისუფლება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ყადალადადებული ქონება ე. ლ-ს საკუთრებას წარმოადგენს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმაცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობე-ლის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. სა-კუთრების პრეზუმაცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობიდან პე-რიოდში. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმაცია) ასახავს იმ შემთხვევებს, რო-დესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესით მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობე-ლის კეთილსინდისერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ.

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკუთვნებული არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივ-რცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუ-თვებლად. საკუთვნებულის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სა-

მეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ნივთები წარმოადგენს ე. ლ-ს კუთვნილი უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის საკუთვნებელს.

ე. ლ-ს, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრის და სადაც დაყადადებული მოძრავი ნივთების მფლობელის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმეციის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 11 მაისამდე გ.პოლოვიანის რეგისტრაციის ფაქტი კი, არ ადასტურებს ყადაღადადებულ ქონებაზე მის საკუთრებას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად, მოძრავი ნივთების გ. პ-სადმი კუთვნილების ფაქტის მტკიცება ნ. კ-ს ევალებოდა, რაც სარმმუნოდ არ განხორციელებულა. აღნიშნულთან მიმართებით ნ. კ-ს მითითება, რომ გ. პ-ი ე. ლ-ს ნათესავია (დაა), არ წარმოადგენს საკარის საფუძველს ნივთების პ-ის საკუთრებად მიჩნევისათვის.

სადაც საკითხის ამგვარი განმარტება სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები საქმე №ას-305-293-2012; №ას-1522-1529-2011).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მფლობელობა

განჩინება

№ას-524-493-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღნერილობითი ნაწილი:

ვ. ლ-მ სარჩელი აღმრა სასამართლოში ა. ბ-ის მიმართ და მოითხოვა ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: თავდაცვის სამინისტროს ქ.თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის სხდომის №15 ოქმით ბინის აღრიცხვაზე მყოფ მოსარჩელეს მიეკუთვნა საცხოვრებელი ფართი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, თ-ის დასახლება, ა-ის ჩიხი №33, ბინა №12. აღნიშნულ უძრავ ქონებას თვითნებულად დაეპატრონა მოპასუხე და ნწების მანძილზე ფლობს მას, ამასთან, მოპასუხე მოსარჩელეს არ აძლევს საშუალებას, შეადგინოს აზომვითი ნახაზები და კანონის შესაბამისად დაირეგისტრიროს საკუთრება. აღნიშნული ქონება წარმოადგენს ყოფილ სასტუმრო „უ-ს“, რომელიც ირკცხებოდა სამინისტროს ბალანსზე. თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფლონის შესახებ თავდაცვის მინისტრი 2002 წლის 27 მაისის №138 ბრძანების საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურების საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ამ სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება და მათ შორის სასტუმროს შენობა გადაკეთდა საცხოვრებელ ფართად და დაერიცხა სამინისტროს საბინაო ფონდს. როდესაც მოსარჩელემ დააპირა მისი კუთვნილი ბინის საკუთრებად დარეგისტრირება, სამინისტრომ მოსარჩელეს სახელზე გასცა №3-11/6199 ცნობა, რომლის თანახმადაც, ვ.ლ-ის მიმართ არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და მითითებულ ბინაზე არ მიმდინარეობს სასამართლო დავა. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, ბინა საჯარო რეესტრში დაირეგისტრიროს.

მოპასუხე ა. ბ-მა წარმოადგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნა: მოსარჩელეს საბინაო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ გარემოების დამაღასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამ გარე-

მოების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიუთითებს №5, 6 და მე-7 დანართებზე. როდესაც ამ დანართებში მითითებულია მოსარჩევის არა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ, არამედ საპინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმზე და ამ ოქმის თაობაზე თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2009 წლის 24 ნოემბრის წერილზე. №7 დანართი წარმოადგენს ნახაზს, რომელზეც რაიმე საიდენტიფიკაციო მონაცემი არ არის აღნიშნული, გარდა დაშტრიხული ფართობისა, რომლის კალკულაცია ბევრად მეტ ფართობს ასახავს, ვიდრე ეს მათ მიერვე მოყვანილ №15 სხდომის იურიდიული მინისტროს №138 ბრძანებით სასტუმროს შენობა მართლაც გადაკეთდა საცხოვრებელ ფართად და ალირიცხა სამინისტროს საპინაო ფონდში. არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოება, კერძოდ, 2006 წლის შემდგომ დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურები ცდილობდნენ დაკავებული ბინის საკუთრებაში მოთხოვნას, ის, რომ მოპასუხე 1991 წლიდან 2006 წლის 23 ივნისამდე იყო სამხედრო მოსამსახურე, დასტურდება შს მიერ 2003 წლის 29 აგვისტოს და 2009 წლის 5 სექტემბერს გაცემული ცნობებით. ასევე 2006 წლის 25 მაისამდე სანამ „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილება სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტი საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის“ კანონის პირველი მუხლი სამხედრო მოსამსახურედ მიიჩნევს პირს, რომელიც მსახურობს საქართველოს სამხედრო ძალები ანუ მოპასუხე იყო სამხედრო მოსამსახურე 2006 წლის 23 ივნისამდე და მას დაკავებული ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, რაც ამ ბინაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის დამაბრკოლებელი გარემოებაა. სარჩელი არ უნდა დაკავალებულების სამოქალაქო კოდექსის 128-ე-129-ე მუხლებიდან გამომდინარე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულია. მოსარჩელეს თავისი უფლების დარღვევის თაობაზე უნდა სცოდნოდა თბილისის გარნიზონის საპინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს, როდესაც, როგორც მოსარჩელე ამბობს, გადაუცა საცხოვრებელი ბინისათვის ფართი. მოსარჩელე თუ მართლაც უბინაო იყო, უნდა მისულიყო სადაც ბინაში და, თუ ვინმე სხვა დაცვებოდა, მოეთხოვა მისთვის მისი განთავისუფლება. უარის მიღების შემთხვევაში კი, მიერთა ან თავდაცვის სამინისტროსათვის, ან პირდაპირ სასამართლოსათვის. საპინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრისათვის მოპასუხეს უკვე დაწყებული ჰქონდა სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ის სარჩელი არ დაკავყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავოფილება.

საქმე განხილულ იქნა ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის განჩინებით ვ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკავოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 27 მაისის №138 ბრძანებით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურების საპინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით თბილისში, ო-ის დასახლება, ა-ის ჩიხში (ს/ქ №231) მდებარე სასტუმროს ტიპის „უ-ის“ 4-სართულიანი №33 შენობის გადაკეთება საცხოვრებელ ფართად და შენობის ჩარიცხვა თავდაცვის სამინისტროს საპინაო ფონდში, როგორც სამსახურებრივი საცხოვრებელი. 2003 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წერილობით ეცნობა თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, რათა მომხდარიყო თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ყოფილი სასტუმრო „უ-ის“ შენობის აყვანა აღრიცხვაზე, როგორც სამხედრო – საუწყებო საპინაო ფონდის. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი;

თბილისში, ო-ის დასახლებაში, ა-ის ჩიხში №33 სახლში მდებარე ბინა №12-ს (ს/ქ №231) ფლობდა მოპასუხე ა. ბ-ი. მოსარჩელემ მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე მოპასუხეს პრეტენზია წარუდგინა 2004 წელს. მოსარჩელემ უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ თავდაპირველად მიმართა პოლიციის განყოფილებას 2009 წლის 12 ოქტომბერს, ხოლო შემდეგ სარჩელი აღძრა სასამართლოში 2010 წლის 18 იანვარს;

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2003 წლის 30 ოქტომბერს მფლობელობა სადაც ბინაზე გადასცა მოსარჩელე ვ. ლ-ს;

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო უწყებათა მოსამსახურების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების მე-12 და მე-13 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანილ სამხედრო მოსამსახურების ბინები ექლეოდათ საპინაო კომისიის გადაწყვეტილებით. საქმეში წარდგენილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საპინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი №15, რომლის თანხმად გადაწყდა სამხედრო მოსამსახურების განახლების განახლების საპინაო ფონდის განახლების საკითხი. ოქმის შესაბამისად, მოსარჩელე ვ. ლ-ს გაუზანილდა ო-ის დასახლებაში, ა-ის ჩიხში №33 სახლში მდებარე 65 მ² 4-ოთახიანი №12 ბინა (ს/ქ №231).

ზემოაღნიშნული დოკუმენტი, მოსარჩელის შემთხვევაში, იყო საკმარისი ბინაზე კანონიერი მფლობელობის უფლების მოპოვებისთვის და ამ დოკუმენტით დასტურდებოდა მათ შორის ისეთი გარემოებებიც,

როგორიც იყო მოსარჩელის ბინის მიღების აღრიცხვაზე ყოფნა და იმავდროულად მის მიერ იმ ყველა პირობის დაკმაყოფილება, რომელიც იყო სავალდებულო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დაგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო უწყებათა მოსამსახურების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის მიერ გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ბინის გამოყოფის შესახებ არ იქნებოდა მიღებული. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმის კანონიერებაზე სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა და ამასთან ვერც სამოქალაქო სამართლწარმოების წესით გახდებოდა მსჯელობის საგანი აღნიშნული ოქმის კანონიერება. მოსარჩელეს, რომ კანონით დადგენილი წესით ჰქონდა გამოყოფილი სადავო ბინა, აღნიშნულს სადავოდ არ გაუხდია არც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული ასევე დასტურდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლიკისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის იმის გაცემული ცნობის, საიდანაც ირკვევა, რომ სადავო ბინასთან დაკავშირებით ვ. ლ.-ის მიმართ არ არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები და მითითებულ ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიც დაინტერესებული პირის მხრიდან თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ბინის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად მათ შორის მიიჩნევდა, საბინაო კომისიის გადაწყვეტილებას ბინის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. რაც შეეხება ამავე ბრძანებულების მე-4 მუხლს, აღნიშნული მუხლით დადგენილი ამკრძალავი გარემოებები, ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არ უნდა არსებულიყო იმ დაინტერესებულ პირთან მიმართებით, რომელიც ითხოვდა ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას და იგი არ უნდა გავრცელებულიყო იმ პირის მიმართ, ვისაც ფაქტობრივად ექნებოდა დაკავებულ ბინა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოპასუხე ა. ბ-ისათვის ბინა არ ყოფილა გადაცემული მფლობელობაში.

სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე განმარტა, რომ მან სადავო ბინა დაიკავა სამხედრო ნაწილის მეთაურ გ. მ-ის 1999 წლის 13 ნოემბრის №319 ბრძანების და მისგან გამომდინარე აქტების საფუძველზე. კერძოდ, №319 ბრძანების მე-2-მე-4 პუნქტით უნდა წარდგენილიყო სიები, ვისაც არ გააჩნდა საცხოვრებელი ბინა, უნდა შექმნილიყო აღრიცხვაზე ასაყვანი პირების ნიგნი და კონტროლი განეულიყო ბინების გაცემის რიგის დაცვაზე. აღნიშნული ბრძანების შესრულებისათვის მოპასუხე დაყენებულ იქნა საბინაო აღრიცხვაზე და რისთვისაც 2000 წლის 16 ოქტომბერს მოთხოვნილი იქნა შესახლებასა და ბინების დაკანონებაზე განკარგულება.

მოპასუხების მიერ წარდგენილი მტკიცებულებები: სამხედრო ნაწილის 04116-ის მეთაურის გ. მ-ის 1999 წლის 15 ნოემბრის ბრძანება, სამხედრო ნაწილის 04116-ის მეთაურ გ. მ-ის 2000 წლით დათარიღებული მიმართვა თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი და ასევე 2000 წლით დათარიღებული მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსისადმი არ ადასტურებდა არც მოპასუხების ბინის აღრიცხვაზე აყვანას და არც მოპასუხებისათვის კანონიერ მფლობელობაში სადავო ბინის გადაცემას. აღნიშნული დოკუმენტები რომ შუალედურ დოკუმენტებს წარმოადგენენ, ეს მათი შინაარსიდანაც ირკვეოდა. სამხედრო ნაწილის 04116-ის მეთაურ გ. მ-ის 1999 წლის 15 ნოემბრის ბრძანების მე-4 პუნქტში მითითებული იყო შემდეგი: ბინის აღრიცხვაზე ასაყვანად შეგროვილი საჭირო საბუთები გადაგზავნილიყო თს-ოს საბინაო საექსპლუატაციო სამსახურში და განეოდა კონტროლი. სამხედრო ნაწილის 04116-ის მეთაურის გ. მ-ის 2000 წლით დათარიღებული მიმართვა თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი ეხებოდა მათ შორის ავთანდილ ბაზერაშვილის საბუთების გადაგზავნას ყოფილი „უ-ის“ შენობაში მისი საცხოვრებელი ბინის აღრიცხვაზე დაყენების მიზნით, ანალოგიური შინაარსის იყო 2000 წლით დათარიღებული მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსისადმი.

პალატის მოსაზრებით, სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხების მითითება, რომ იგი აყვანილი იყო ბინის აღრიცხვაზე და მას კანონით დადგენილი წესით გამოეყო სადავო ბინა. 1999-2000 წლებში არ არსებობდა სადავო ბინის მოპასუხებისათვის გადაცემის კანონით დადგენილი პირობები, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრობის კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო უწყებათა მოსამსახურების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებით დებულების მე-11 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, სამხედრო ნაწილებზე მათთან აღრიცხვაზე აყვანილ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით ხდებოდა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შეუსახლებელი (თავისუფალი) საბინაო ფონდის განაწილება. სასამართლო გადაწყვეტილების 3.1.1. პუნქტში დადგენილი მიმართვების მიზნით, არა რაოდენობის გათვალისწინებით დათარიღებული მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის შეიძლება შესაბამისად, მიმართვების მიზნით დათარიღებული მიმართვები აღმოსავლეთ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ.“

დაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში განხორციელდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 27 მაისის №138 ბრძანებით და 2003 წელს გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი თბილისის ტექნიკური ინვენტარზეცის ბიუროში. ამდენად, მოპასუხისათვის 1999-2000 წლებში ბინის გადაცემა ვერ მოხდებოდა იმ მიზეზით, რომ შენობა ამ დროისთვის არ იყო თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში და არც მოპასუხე წარმოადგენდა ბინის აღრიცხვაზე აყვანილ პირს.

მოპასუხის მიერ ბინის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე დაკავების ფაქტი ასევე დასტურდებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2009 წლის 24 ნოემბრის წერილით, სადაც მითითებულია, რომ საცხოვრებელი ბინა (მის: ქ. თბილისი, ა-ის ჩიხი, ს/ქ №231, კორპ. 33, ბინა №12), რომელიც 2003 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ.თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიამ (ოქმი №15) გადასცა ვიცე-პოლკოვნიკ ვ. ლ-ს, დაკავებული ჰქონდა ა. ბ-ს. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ.თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის მიერ განაწილებული ბინების ჩამონათვალში არ ფიგურირებს ა. ბ-ი.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით დაადგინა შემდეგი ფაქტურივი გარემობები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2012 წლის 23 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა ე. ჯ-მ განმარტა, რომ ვ. ლ-ს სადავო ბინაზე საკუთრების უფლება წარმომავა მაშინ, როდესაც 2003 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადასცა მფლობელობა და მას უფლება ჰქონდა, გამხდარიყო ბინის მესაკუთრე, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე შეუშალა ხელი მესაკუთრედ გახდომაში, მან ვერ გააკეთა ბინის აზომვითი ნახაზი და ვერ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ. ვ. ლ-ე არის მესაკუთრის უფლების მფლობელი სადავო ბინაზე და საქმეში წარდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ აღასტურებდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ა. ბ-ი არის კეთილსინდისიერი მფლობელი და მართლზომიერად ფლობს სადავო ბინას (იხ.: 23.02.2012წ. სხდომის ოქმი).

აღნიშნულზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევე, როგორც მესაკუთრე, ითხოვდა ა. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას. ამდენად, პალატამ ვ. ლ-ის სასარჩევო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ ვინდიკაციურად მიიჩნია და ჩათვალა, რომ მისი სასამართლებრივი საფუძველი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაპრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება. ამდენად, პალატამ მოცემული დავის გადასაწყვეტიდ მიიჩნია, რომ უნდა დადგენილიყო მოსარჩევე იყო თუ არა ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე იყო თუ არა ნივთის მფლობელი და მოპასუხეს ჰქონდა თუ არა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ვინაიდნან მესაკუთრის მიერ დაბრუნების მოთხოვნა თანაბრად უკავშირდებოდა, როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებს, ამიტომ, პალატამ ჩათვალა, რომ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმუფია სხვადასხვაგვარად დასტურდებოდა. უძრავი ნივთის მესაკუთრეობა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საჯარო რეესტრიდან დასტურდებოდა. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო უძრავ ქონებაზე ვ. ლ-ის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში აღრიცხული არ არის, ე.ი მოსარჩევე არ იყო სადავო ნივთის მესაკუთრე (ამჟამად, სადავო ნივთის მესაკუთრე სახელმწიფო – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახით).

პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ვ. ლ-ე კეთილსინდისიერ მფლობელად ისე მიიჩნია, რომ არ უმსჯეველია, არსებობდა თუ არ სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 159-ე მუხლებით გათვალისწინებული პირის კეთილსინდისიერ მფლობელად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობები. ნივთთან პირის უფლებამოსილების გარკვევისა და კეთილსინდისიერი მფლობელობის დადგენის შემთხვევაში, მოცემულ დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მოთხოვნის წარმოშობის მომენტის დადგენა სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად. ამავე დროს, გამომდინარე იქედან, რომ, მოსარჩევე, როგორც მესაკუთრე და არა, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, ითხოვდა ა. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, შესაბამისად, საქმის განხილვის ამ ეტაპზე, ალარ არსებობდა სამართლებრივი საფუძვლები, რათა დადგინილყო საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებები, რადგან სასამართლო ვერ გასცდებოდა სასარჩევო მოთხოვნის ფარგლებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივრების პრეტრინიდან დაუსაბუთებელი იყო და მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-მ, მოთხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სასამართლომ დაარღვია კეთილსინდისიერი მფლობელისა და მესაკუთრე ვ. ლ-ის უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ფართს უკანონოდ ფლობს მოპასუხე და ხელს უშლის საჯარო რეესტრში საკუთრების რეგისტრაციის განხორციელებას მოსარჩელის სახელზე, სააპელაციო სასამართლომ სადავო სახლის მესაკუთრედ სახელმწიფო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიჩნია. ამასთან, არც ერთმა ინსტანციაში არ გაამახვილა ყურადღება ვ. ლ-ისათვის განაწილებულ ფართზე და მოპასუხეს მიერ დაუფლებული ფართობის იდენტურობაზე, არც მეტია, ვიდრე ვ. ლ-ს გასუნაწილდა. კასატორის აზრით, სასამართლომ არ გამოიკვლია სახელმწიფო უკანონოდ დაუფლებული პირის უფლება და სამართლებრივად არ შეაფასა იგი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემონტები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო უწყებათა მოსამსახურების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების მე-12 და მე-13 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანილ სამხედრო მოსამსახურებს ბინები ეძლეოდათ საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩინა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №15 სხდომის ოქმით გადაწყდა სამხედრო მოსამსახურეთათვის საბინაო ფონდის განაწილების საკითხი. ოქმის შესაბამისად, მოსარჩევე ვ. ლ-ს გაუნანილდა ო-ის დასახლებაში, ა-ის ჩიხში, №33 სახლში მდებარე 65 მ² 4-ოთახიანი №12 ბინა (ს/ქ №231). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩევე ვ. ლ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2003 წლის 30 ოქტომბერს გადასცა სადაც ბინა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი იყო საკმარისი ბი-ნაზე კანონიერი მფლობელობის უფლების მოპოვებისათვის და ამ დოკუმენტით ასატურდებოდა მათ შორის ისეთი გარემოებებიც, როგორც იყო ბინის მიღების ალრიცხვაზე ყოფნა და იმავდროულად მის მიერ იმ ყველა პირობის დაკმაყოფილება, რომელიც იყო სავალდებულო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო უზნებათა მოსამსახურების ბინის მიღების ალრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩეულე ვ. ლ-სათვის ზემომითითებული პინის კანონიერად გამოყოფის ფაქტს სადავიდ არ ხდის საქართველო თავდაცვის სამინისტრო, არც მოპასუხე ა. ბ-ს არ გაუხდია სადავოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმის კანონიერება (გასაჩივრებული განჩინების მე-9 გვ.).

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე ა. ბ-ისათვის ბინა არ ყოფილა გა-დაცემული მფლობელობაში, ასევე სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1999-2000 წლებში არ არსებობდა სადაც ბინის მოპასუხისათვის გადაცემის კანონით დადგენილი საფუძველი, რადგან ამ დროისათვის შენობა არ იყო თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში და არც მოპასუხე ნარმოადგენდა ბინის აღრიცხვაზე აყვანილ პირს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელე ვ. ლ-ე წარმოადგენს სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელს (არაპირდაპირ მფლობელს), ხოლო მოპასუხე ა. ბ-ს არა აქვს სადავო ბინის ფლობის უფლება.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ლ-ის მოთხოვნა სადავო ბინის გამოთხოვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამ დასკვნის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმას, რომ მოსარჩევა ვ. ლ-ე, როგორც მესაკუთრე, ითხოვს ა. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, რომლის უფლებაც მას არ გააჩნია, რადგან ის არ არის სადავო ბინის მესაკუთრე.

საკასაციო პალატა თველის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამასვილებს მოსარჩელის (ვ. ლ-ე) მოთხოვნაზე, კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს არა მესაკუთრედ ცნობას, არამედ უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, რასაც საფუძლად უდევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვ. ლ-ისათვის სადაც უძრავი ნივთის მფლობელობაში გადაცემა (მართლზომიერი მფლობელობა), შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძლების გამოყენებაში მოსამართლე არ არის შეზღუდული სამართლებრივ დანაწევებზე მხარეთა მითითებებით. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: – გააჩნიათ თუ არა ვ. ლ-ს, როგორჯ მართლზომიერ მფლობელოს, უკანონო ფლობელობითან ნივთის გამოთხოვის უფლება?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დაუშვებელია მართლზომიერ მჯლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

განსახილველი ნორმის თანახმად, მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას, განსხვავებით კეთილსინდისიერი მფლობელისაგან, რომელსაც არ გააჩნია ნივთის ფლობის კანონისმიერი საფუძველი. კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება მიუთითებს სუბიექტურ კრიტერიუმებზე, რაც განისაზღვრება პირის

დამოკიდებულებით ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლების მიმართ. მართლზომიერი და არა მართლზომიერი მფლობელობა მიგვითოთებს ობიექტურად არსებულ ფაქტორებზე, რაც ვლინდება მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში. ამრიგად, მართლზომიერი მფლობელია მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები.

ნივთის მართლზომიერი მფლობელობა ვრცელდება მანამ, სანამ არსებობს მართლზომიერი ფლობის საფუძველი. ამასთან ერთად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ სადაც ურთიერთობაზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი, რადგან ეს მუხლი ეხება კეთილსინდისერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს, რომელსაც არ გააჩნდა ფლობის უფლება, მაგრამ ამ ფაქტის მიმართის კეთილსინდისერია, ჩამოერთვა მფლობელობა. ამ შემთხვევაში, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. აღნიშნული მუხლი იცავს კეთილსინდისერი მფლობელის უფლებას, ანუ მფლობელის, რომელსაც არ გააჩნდა მფლობელობის კანონიერი (სახელშეკრულები) საფუძველი. განსახილველ ნორმა მიგვითოთებს „მფლობელობის ჩამორთმევაზე“ და არა ვინდიკაციაზე. მითითებული ნორმის მიხედვით ახალ მფლობელს (მათ შორის მფლობელობის უკეთესი უფლების მქონე პირს) შეუძლია, ვინდიკაციის და არა თვითონებობის საფუძველზე დაბრუნოს ნივთი. კეთილსინდისერი მფლობელი ვერ მოითხოვს მფლობელობის დაბრუნებას უკეთესი უფლების მქონე პირისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკეთესი უფლების მქონე პირმა ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით.

კონკრეტული სადაც ურთიერთობის შემთხვევაში ვ. ლ-ე ნარმოდგენს მართლზომიერ მფლობელს, რომელსაც ფლობელობა გადაეცა მესაკუთრის ნების საფუძველზე. ხოლო, ა. ბ-ი ნარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს, თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად, კეთილსინდისერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემონმების საფუძველზე. განსახილველი ნორმით მოცემულია კეთილსინდისერი მფლობელის განმარტება, რომლის არსის დადგენისათვის აუცილებელია მართლზომიერი (არამართლზომიერი) მფლობელობისა და კეთილსინდისერი (არაკეთილსინდისერი) მფლობელობის რეალიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების განმარტება.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დიფერენცირებულია მფლობელობა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების მიხედვით (160-ე-164-ე მუხლები). მნიშვნელოვანია, რომ კანონი გამიჯნავს კეთილსინდისერი მფლობელის მოთხოვნას (160-ე-161-ე მუხლები) და მართლზომიერი მფლობელის მოთხოვნას (162-ე მუხლი). ასევე, არაუფლებამოსილი კეთილსინდისერი მფლობელის ვალდებულებებს (163-ე მუხლი) და არაკეთილსინდისერი მფლობელის ვალდებულებებს (164-ე მუხლი).

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კეთილსინდისერი (არაკეთილსინდისერი) მფლობელობის ინსტიტუტში, ასევე არსებობს განსხვავებები კეთილსინდისერი მფლობელის და არაუფლებამოსილი კეთილსინდისერი მფლობელის უფლება-ვალდებულებებში.

ამდენად, მითითებული ნორმების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ კეთილსინდისერება და არაკეთილსინდისერება ინვევს განსხვავებულ შედეგებს მართლზომიერი მფლობელობასთან მიმართებით, რომლის აღრევა დაუშვებელია. ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის განმარტება, მისი სწორი მიზნის დადგენისათვის მოითხოვს მფლობელობის ინსტიტუტში შემავალი ცალკეული ნორმების ანალიზს.

განსახილველი სადაც ურთიერთობის თანახმად, ვ. ლ-ე ნარმოადგენს პირს, რომელსაც გააჩნია ფლობის სამართლებრივი საფუძველი (მართლზომიერ მფლობელი). ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის უფლება, რომელიც დგას ამ მფლობელობის უკან, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 2003 წლის 30 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმის საფუძველზე სადაც ბინა სარგებლობის უფლებით გადაეცა ვ. ლ-ს.

აქედან გამომდინარე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ ვ. ლ-ს მესაკუთრისაგან (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) მიღებული აქვს სადაც ბინაზე მფლობელობა, და, ამდენად ნარმოადგენს სადაც ბინის მართლზომიერ მფლობელს. სააპელაციო სასამართლომ, დაადგინა, რომ მოპასუხე ავთანდილ ბაზერაშვილს არა აქვს სადაც ბინის ფლობის უფლება. ამასთან ერთად ყურადსალების სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსი სადმი არ აღასტურებდა არც მოპასუხების ბინის აღრიცხვაზე აყვანას და არც მოპასუხებისათვის კანონიერ მფლობელობაში სადაც ბინის გადაცემას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები რომ შუალედურ დოკუმენტებს ნარმოადგენებს ეს მათი შინაარსიდანაც ირკვეოდა. №04116 სამხედრო ნაწილის მეთაურ გ.მ-ის 1999 წლის 15 ნოემბრის ბრძანება, სამხედრო ნაწილის 04116-ის მეთაურ გ. მ-ის 2000 წლით დათანილებული მიმართვა თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი და ასევე 2000 წლით დათარილებული მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსი სადმი არ აღასტურებდა არც მოპასუხების ბინის აღრიცხვაზე ასაყვანად შეგროვილი საჭირო საბუთები გადაგზავნილიყო თ. ს-ოს საბინაო საექსპლუატა-

ციონ სამსახურში და გაწეოდა კონტროლი. №04116 სამხედრო ნაწილის მეთაურ გ. მ-ის 2000 წლით დათარიღებული მიმართვა თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი ეხებოდა მათ შორის ა. პ-ის საბუთების გადაგზავნას ყოფილი „უ-ის“ შენობაში მისი საცხოვრებელი ბინის აღრიცხვაზე დაყენების მიზნით, ანალოგიური შინაარსის იყო 2000 წლით დათარიღებული მიმართვები აღმოსავლეთ საქართველოს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის უფროსისადმი.

აქედან გამომდინარე, მოპასუხე არ იყო აყვანილი ბინის აღრიცხვაზე და მას არ ჰქონდა კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი სადაც ბინა. ამასთან მიმართებით ყურადსალებისა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, რომლის თანახმად 1999-2000 წლებში არ არსებობდა სადაც ბინის მოპასუხისათვის გადაცემის კანონით დადგენილი პირობები, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ სამხედრო უწყებაზე მოსამსახურების ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის შესახებ“ დროებითი დებულების მე-11 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, სამხედრო ნაწილებზე მათთა აღრიცხვაზე აყვანილ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით ხდებოდა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შეუსახლებელი (თავისუფალი) საბინაო ფონდის განაწილება. სასამართლომ გადაწყვეტილების 3.1.1. ჰუნდრეტი დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ჩიხში (ს/ქ231) მდებარე სასტუმროს ტიპის „უ-ის“ 4-სართულანი №33 შენობის გადაკეთება საცხოვრებელ ფართად და შენობის ჩარიცხვა თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში განხორციელდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 27 მაისის №138 ბრძანებით და 2003 წლს გაკეთდა შესაბამისი ჩანახერი თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში. ამდენად, მოპასუხისათვის 1999-2000 წლებში ბინის გადაცემა ვერ მოხდებოდა იმ მიზნით, რომ შენობა ამ დროისთვის არ იყო თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში და არც მოპასუხე ნარმოადგენდა ბინის აღრიცხვაზე აყვანილ პირს.

მოპასუხის მიერ ბინის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე დაკავების ფაქტი სააპელაციო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის 2009 წლის 24 ნოემბრის წერილით, სადაც მითითებულია, რომ საცხოვრებელი ბინა (მის: ქ. თბილისი, ა-ის ჩიხი, ს/ქ №231, კორპ. 33, ბინა №12), რომელიც 2003 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ. თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის მიერ (ოქმი №15) გადაცემა ვიცე-პოლკოვნიკ ვ. ლ-ს, დაკავებული ჰქონდა ა. ბ-ს. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ. თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის მიერ განაწილებული ბინების ჩამონათვალში არ ფიგურირებს ა. ბ-ი.

აღნიშნული ფაქტები არ არის შედაცებული საკასაციო სასამართლოში, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მითითებული ფაქტობრივი გარემოების სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის.

ამდენად, ზემომითითებული ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ ა. ბ-მა თავიდაცვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდაცვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს. ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის ამ უფლებას, ნივთისა და უფლების ხაყოფი ეკუთვნის მფლობელს.

განსახილველი ნორმით განსაზღვრულია არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება-ვალდებულებები, ანუ მფლობელის, რომელსაც თავიდაცვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება. აღნიშნული დანახესი მიგვითოთებს იმაზე, რომ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი თავის შინაარსით ნარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი. მითითებული ნინაპირობის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, გამოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ვ. ლ-ს მოთხოვნაზე, რომლითაც ის ითხოვს ბ-ის მიერ დაკავებული ფართის მის მფლობელობაში გადაცემას, მაგრამ გასათვალისწინებელია რომ მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო უთითებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №15 სხდომის ოქმის საფუძველზე, მოსარჩევე ვ. ლ-ისათვის 65 კვ.მ. ფართის გადაცემაზე, არ იკვლევს თუ რეალურად რაფართს ფლობს ა. ბ-ი (რაც მითითებულია საკასაციო საჩივარში). სადაც ფართის მიმატება-გაუმჯობესებებზე მხარეები, ასევე მონმედები ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც მოითხოვს შესაბამის კვლევას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტომდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღეს სხვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უნდა დაადგინოს ვ. ლ-ის მიერ სამინისტროსაგან მიღებული 65 კვ.მ. ფართი იმ მიმატებებისა და გაუმჯობესების გარეშე, რითაც შესაძლოა გაიზარდა სადაც ფართის ოდენობა ა. ბ-ი მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ ვ. ლ-ს უნდა დაუბრუნდეს ო-ის დასახლებაში, ა-ის ჩიხში, №33 სახლის, №12 ბინაში (ს/ქ №231) მდებარე სამინისტროსაგან მისთვის გადაცემული 65 კვ.მ. ფართი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქ- ბერების განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-1142-1071-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ე-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში დ. და ნ. ა-ის წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელო- ბიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა შემდეგი საფუძვლით: მოსარჩელის განმარტებით, თ. ე- ის მამა შ. ე-ე ფლობდა ნ მინის ნაკვეთს, რომლის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული ქონება გადავიდა დედის – მ. ე-ის სახელზე და გაიცა შესაბამისი დამადასტურებელი მოწმობები. 1999 წელს საქართველოს მთელი მასშტაბით მინის ნაკვეთები დაინომრა. მ. ე-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთებს მიენიჭა შემდეგი ნომრები: №060, №273, №350, №443, ხოლო მე-5 მინის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით მ. ე-ემ გა- ასხვისა 1998 წელს მ. ა-ის სახელზე. მ. ე-ის გარდაცვალების შემდეგ, დედის დანაშთ ქონებას ფლობდა და განაგებდა თ. ე-ე, რომლის სახელზე 2003 წლის ოქტომბერში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი №672 მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზე დასტურდება, რომ თ.ე-ე ფლობს შემდეგ ნაკვეთებს: ნამოსახლარ №443-ს, 602 კვ.მ ვენახს, 208 კვ.მ ყანას, 400 კვ.მ ყანასა და 160 კვ.მ ეზოს. მოქმედი კანონ- მდებლობის საფუძველზე, აუცილებელი გახდა უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრაცია, როსოვისაც აზომვითი ნახაზების შესაფარენად მოსარჩელემ დაიქირავა სპეციალისტები, რომლებსაც №443 მინის ნაკ- ვეთის აზომვა ვერ შეძლეს, ვინაიდან იქ მცხოვრებმა ი. და დ. ა-მა გაუნიეს წინააღმდეგობა და განუმარ- ტეს, რომ აღნიშნული ნაკვეთი დ. ა-ემ შეიძინა შ. ე-ან და, შესაბამისად, დაირეგისტრირა რეესტრში, რო- გორც თავისი საკუთრება. მოსარჩელემ მოიძია შესაბამისი დოკუმენტაცია, რომ შ. ე-ან დ.ა-ეს შეძენილი ჰქონდა მინის ნაკვეთი №443-ის გვერდით მდებარე №440 და №441 მინის ნაკვეთები, შესაბამისად, №443 მინის ნაკვეთს ფლობდა უკანონოდ და ხელს უშლიან მოსარჩელეს საკუთარი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა დ. და ნ. (ი.) ა-ან, უკანონო მფლობელობაში არსებული №443 მინის ნაკვეთის გამოთხოვა და, შესაბამისად, ხელშეშლის აღკვეთა ზემოაღნიშნული მინის ნაკვეთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების პროცედურაში.

მოპასუხებმა ნ. და დ. ა-მა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ 2007 წლის 28 ივნისს დ. ა-სა და შ. ე- ეს შორის შედგა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სოფელ დილიკაურში უძრავი ქონების მინის ნაკვეთების შეძენის შესახებ. მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული მინის ნაკვეთი მათი საკუთრებაა და, მიაჩნიათ, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით თ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ე-ემ, მოითხოვა მისი გა- უქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვე- ტილებით თ. ე-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ.ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. და ნ. ა-ან თ. ე-ის სასარგებლოდ გამოთხოვილ იქნა, ზესტაფო- ნის რაიონის სოფელ დ-ში, დ. და ნ. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის დასავლე- თის საზღვრიდან (რომელსაც ემიჯნება ტყე), აღმოსავლეთის მიმართულებით, არსებული კონფიგურაციის ფარგლებში 1100,77 კვ.მ მინის ნაკვეთი. დ. ა-სა და ნ. ა-ეს აეკრძალათ თ. ე-ის ამ მინის ნაკვეთით სარგებ-

ლობაში ხელშეშლა. დ. ა-სა და ნ. ა-ეს, თ. ე-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ წინასწარ გადახდილი საპროცესო ხარჯის – 162 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1994 წლის 20 დეკემბრის, მიწის მიღება-ჩაბარების №672 აქტით, შ. ე-ეს ზესტაფონის რაიონის სოფელ დ-ი გადაეცა 5 ნანილად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, მთლიანი ფართით – 6062 კვ.მ. მათ შორის: ეზო – 160 კვ.მ, ე.ნ. „ნამოსახლი“ – 1245 კვ.მ, ვენახი – 602 მ², ყანა – 2080 მ, ყანა – 4002.. „ნამოსახლი“ განთავსებული იყო შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით – თ. ა-ს ყანა, სამხრეთით – მ. ე-ის ყანა, დასავლეთით – ტყე და აღმოსავლეთით – შ. ე-ის ეზო.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მიწის მიღება-ჩაბარების №672 აქტით, შ. ე-ის გადაცემულ ე.ნ. „ნამოსახლს“, რაც შ. ე-ის გარდაცვალების შემდგომ, მემკვიდრეობის წესით მიიღო მ. ე-ე. 1999 წლის 28 დეკემბერს გაცემული სარეგისტრაციო მოწმობით, სადავო მიწის ნაკვეთი, ე.ნ. „ნამოსახლი“ მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული იქნა, როგორც №443 მიწის ნაკვეთი.

1999 წლის 28 დეკემბერს მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული სადავო მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი-32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 07, ნაკვეთის ნომერი – №443, დაზუსტებული ფართით 1515,81.

დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე თ. ე-ე მ. ე-ის შეიძლია. მ. ე-ე გარდაცვალა 2000 წლის 29 ივლისს.

მოპასუხეს სადავო არ გაუხდია სარჩელში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ე-ის გარდაცვალების შემდგომ, მისი სამკვიდრო მიიღო თ. ე-ე.

1994 წლის 20 დეკემბერს, №725 მიღება-ჩაბარების აქტით, შ. ლ. დე ე-ეს ზესტაფონის რაიონის სოფელ დ-ი გადაეცა 4 ნანილად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, მთლიანი ფართით – 4083 კვ.მ, მათ შორის: ეზო – 585 კვ.მ, ვენახი – 570 მ², ვენახი – 1360 კვ.მ, ყანა – 1560 მ².

1999 წლის 25 ნოემბერს, შ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული მიწის ნაკვეთები, შემდეგი სარეგისტრაციო მახასიათებლებით: 1) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი-სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №440, დაზუსტებული ფართით – 540,37 კვ.მ. 2) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №441, დაზუსტებული ფართით – 914,56 კვ.მ. სულ 1454,93 კვ.მ.

2007 წლის 27 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დ. ა-ემ შ. ე-ან შეიძინა უძრავი ქონება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, 67,34 კვ.მ ფართის საცხოვრებელ სახლთან ერთად, რომელთა სარეგისტრაციო მახასიათებლებია; 1) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი-32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №440; 2) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №441. აღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრიდა დ. ა-ის საკუთრებაში. აღნიშნულ უძრავ ქონებას ფაქტობრივად ფლობენ დ. და ნ. ა-ბი.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკით დადგინდა, რომ სოფ. დ-ი, დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული №441 მიწის ნაკვეთი და მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული №443 მიწის ნაკვეთი, ერთმანეთის მომიჯნავედ არის განთავსებული.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე ნ. ა-ემ განმარტა, რომ მისი და დ. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელსაც მოსარჩელე ედავება, განთავსებულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით და სამხრეთით მ. ა-ის მიწის ნაკვეთები, დასავლეთით – ტყე და აღმოსავლეთით დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული საკარმიდამ მიწის ნაკვეთი.

მიღება-ჩაბარების აქტით გაირკვა, რომ შ. ლ. დე ე-ის მიწის ნაკვეთებს ტყე არ ესაზღვრება. საქმეში განთავსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დადგინდა, რომ შ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დ. ა-ის კუთვნილი №440 და №441 მიწის ნაკვეთების მოსაზღვრედ მდებარეობს ტყე.

სასამართლო განჩინების საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის მიერ შედგენილ № 1089/15-2011 დასკვნაში დაიფიქსირებულია შემდეგი: მოიცავს თუ არა დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ფართი მ. ე-ის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...), რაც წარმოდგენილი მასალების მიხედვით ტენიკურად შეუძლებელია. დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ორივე ნაკვეთის ჯამური ფართი შეადგენს 2555,7 კვ.მ-ს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 311-312-ე, 1421.1-ე, 1328.1-ე, 170-ე, 172-ე მუხლებით და განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევებში, ირკვევა, რომ დ. და ნ. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ სადავო მიწის ნაკვეთი დასავლეთით ესაზღვრება ტყე, თუმცა შ. ე-ან შეძენილ მიწის ნაკვეთს ტყე არ ესაზღვრება. დ. ა-ის მიერ შ. ე-ან შეძენილი და რეგისტრირებული ფართი შეადგენს 1484,93 კვ.მ-ს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ფართი შეადგენს 2555,7 კვ.მ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ დ. და ნ. ა-ბი, ნაცვლად დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 1484,93 კვ.მ-ისა, ფაქტობრივად ფლობენ 2555,7 კვ.მ-ს, ანუ 1100,77 კვ.მ-ით მეტს, ამასთან ამ მიწის ნაკვეთის დასავლეთის განაპირო საზღვარი არის ტყე, რაც რეგისტრირებული მონაცემებით შეესბამება მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ მონაცემს, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხები ფაქტობრივად ფლობენ მათ მომიჯნავედ განთავსებული თ. ე-ის (მ. ე-ის

მემკვიდრე) კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან 1100,77 კვ.მ-ს, რომელიც რაიმე აქტის საფუძველზე მათთვის არ გადაუციათ და რომლის სარგებლობის უფლებაც არ გააჩნიათ. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სასაჩიელო მოთხოვნა ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო, დ. და ნ. ა-ან, თ. ე-ის სასარგებლოდ, ნაცვლად 1515,81 კვ.მ-ისა, უნდა გამოთხოვილიყო ზესტაფონის რაიონის სოფ. დ-ი, დ. და ნ. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის დასავლეთის საზღვრიდან (რომელსაც ემიჯნება ტყე) აღმოსავლეთის მიმართულებით, არსებული კონფიგურაციის ფარგლებში, 1100,77 კვ.მ მიწის ნაკვეთი. დ. ა-სა და ნ. ა-ეს უნდა აეკრძალოთ თ. ე-ის ამ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში ხელშეშლა.

პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში ნარმოდეგნილი ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მართალია, საქმეში არსებობდა ექსპერტის №1089/15-2011 დასკვნა, მაგრამ აღნიშნული დასკვნით პასუხი არ ყოფილა გაცემული კითხვაზე, მოიცავდა თუ არა დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ფართი მ. ე-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...) ექსპერტის დასკვნაში დაფიქსირებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ნარმოდეგნილი მასალების მიხედვით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ტექნიკურად შეუძლებელია, არ გამორიცხავდა საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს მიერ ფაქტებისა და დგენისა და სასაჩიელო მოთხოვნის საფუძვლიანობის გარკვევის შესაძლებლობას. ამდენად, საქმის მასალებზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ, განსახილვები შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დ. და ნ. ა-ის მიერ თ. ე-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთით სარგებლობას და ამ ქონებით სარგებლობაში თ. ე-ის ხელშეშლას, რაც საფუძვლიანს ხდის სასაჩიელო მოთხოვნას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და დ. ა-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, მის საკუთრებაში და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან თ. ე-ის ნაკვეთის 1100,77 კვ.მ-ის გადაცემით უხეშად დაირღვა მისი, როგორც მესაკუთრის, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება. ამასთან, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 381-ე მუხლის მოთხოვნა, თვითნებურად შეცვალა დავის საგანი და სარჩელი, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა იყო და დავის საგანს ნარმოადგენდა 443-ე მიწის ნაკვეთი, ხოლო სასამართლომ მას გადასცა სულ სხვა მიწის ნაკვეთი. სადაც №443 ნაკვეთი ექსპერტიზის რამდენჯერმე ჩატრების მიუხედავად, სპეციალისტებმა ვერ აღმოაჩინეს, სააპელაციო სასამართლომ კი, ადგილზე მისვილსა და შემოწმების გარეშე გადაწყვიტა კასატორის საკუთრებაში და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მოსარჩელისათვის გადაეცა 1100,77 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზეც თავად თ. ე-ემ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას განაცხადა, რომ მის დავის საგანს არ ნარმოადგენდა. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაარკვია ტექნიკურად შესაძლებელი იყო თუ არა ამ ფართის ნაკვეთის გამოყოფა და მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი უნდა და კმაყოფილდეს და გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ 1994 წლის 20 დეკემბერის მიწის მიღება-ჩაბარების №672 აქტით, შ. ე-ეს ზესტაფონის რაიონის სოფელ დ-ი გადაეცა 5 ნაწილად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, მთლიანი ფართით - 6062 კვ.მ, მათ შორის: ეზო - 160 კვ.მ, ე.ნ. „ნამოსახლი“ - 1245 კვ.მ, ვენახი - 602 მ2, ყანა - 2080 მ, ყანა - 4002.. „ნამოსახლი“ განთავსებული იყო შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით - თ. ა-ის ყანა, სამხრეთით - მ.ე. ე-ის ყანა, დასავლეთით - ტყე და აღმოსავლეთით - შ.ლ. ე-ის ეზო.

მოსარჩელის განმარტებით, სადაც მიწის ნაკვეთი ნარმოადგენს მიწის მიღება-ჩაბარების №672 აქტით, შ. ე-ის გადაცემულ ე.ნ. „ნამოსახლს“, რაც შ. ე-ის გარდაცვალების შემდგომ, მემკვიდრეობის წესით მიიღო მ. ე-ემ. 1999 წლის 28 დეკემბერს გაცემული სარეგისტრაციო მოწმობით, სადაც მიწის ნაკვეთი, ე.ნ. „ნამოსახლი“ მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული იქნა, როგორც № 443 მიწის ნაკვეთი.

დადგენილია, რომ 1999 წლის 28 დეკემბერს, მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული სადაც მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა - ზესტაფონი, კოდი - 32, სექტორი - სოფელი დ-ი, კოდი - 08, კვარტლის ნომერი - 07, ნაკვეთის ნომერი - №443, დაზუსტებული ფართობი 1515,81.

დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებით დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. ე-ე ნარმოადგენს მ. ე-ის შვილს. მ. ე-ე გარდაცვალა 2000 წლის 29 ივლისს.

მოპასუხეს სადაც არ გაუხდია სარჩელში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ე-ის გარდაცვალების შემდგომ, მისი სამკვიდრო მიიღო თ. ე-ემ.

დადგენილია, რომ 1994 წლის 20 დეკემბერს, №725 მიღება-ჩაბარების აქტით, შ. ლ. ძ. ე-ეს ზესტაფონის რაიონის სოფელ დ-ი გადაეცა 4 ნაწილად გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, მთლიანი ფართით - 4083 კვ.მ, მათ შორის: ეზო - 585 კვ.მ, ვენახი - 570 მ2, ყანახი - 1360 კვ.მ, ყანა - 1560 მ2.

დადგენილია, რომ 1999 წლის 25 ნოემბერს, შ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული იქნა მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული მიწის ნაკვეთები, შემდეგი სარეგისტრაციო მახასიათებლებით: 1) სარეგისტრაციო ზონა - ზესტაფონი, კოდი - 32, სექტორი - სოფელი დ-ი, კოდი - 08, კვარტლის ნომერი - 04, ნაკვეთის

ნომერი – №440, დაზუსტებული ფართობი – 540,37 კვ.მ. 2) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №441, დაზუსტებული ფართობი – 914,56 კვ.მ. სულ 1454,93 კვ.მ.

დადგენილია, რომ 2007 წლის 27 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დ. ა-ემ შ. ე-აძ შეიძინა უძრავი ქონება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთები, 67,34 კვ.მ ფართის საცხოვრებელ სახლთან ერთად, რომელთა სარეგისტრაციო მახასიათებლებია; 1) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №440; 2) სარეგისტრაციო ზონა – ზესტაფონი, კოდი – 32, სექტორი – სოფელი დ-ი, კოდი – 08, კვარტლის ნომერი – 04, ნაკვეთის ნომერი – №441. აღნიშნული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა დ. ა-ის საკუთრებაში. აღნიშნულ უძრავ ქონებას ფაქტობრივად ფლობენ დ. და ნ. ა-ბი.

მინის ნაკვეთის საკადასტრო რეკიტ დგინდება, რომ სოფ. დ-ი, დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული №441 მინის ნაკვეთი და მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული №443 მინის ნაკვეთი, ერთმანეთის მომიჯნავედ არის განთავსებული.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე 6. ა-ემ განმარტა, რომ მისი და დ. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთი, რომელსაც მოსარჩევე ედავებათ, განთავსებულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთითა და სამხრეთით მ. ა-ის მინის ნაკვეთები, დასავლეთით – ტყე და აღმოსავლეთით დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული საკარილომა მინის ნაკვეთი.

მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ შ. ლ. დე ე-ის მინის ნაკვეთებს ტყე არ ესაზღვრება. საქმეში განთავსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ შ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დ. ა-ის კუთვნილი №440 და №441 მინის ნაკვეთის მოსაზღვრედ მდებარეობს ტყე.

სასამართლო განჩინების საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტის მიერ შედგენილ №1089/15-2011 დასკვნაში დაფიქსირებულია შემდეგი: მოიცავს თუ არა დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ფართი მ. ე-ის სახელზე რიცხული მინის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი №... რაც ნარმოდგენილი მასალების მიხედვით ტექნიკურად შეუძლებელია. დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ორივე ნაკვეთის ჯამური ფართი შეადგენს 2555,7 კვ.მ-ს.

ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. და ნ. ა-ბი, ნაცვლად დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 1484,93 კვადრატული მეტრისა, ფაქტობრივად ფლობენ 2555,7 კვ.მ-ს, ანუ 1100,77 კვადრატული მეტრით მეტს, ამასთან, ამ მინის ნაკვეთის დასავლეთის განაპირა საზღვარი არის ტყე, რაც რეგისტრირებული მონაცემებით შეესაბამება მ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ მონაცემს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეები ფაქტობრივად ფლობენ მათ მომიჯნავედ განთავსებული თ. ე-ის (მ. ე-ის მემკვიდრე) კუთვნილი მინის ნაკვეთიდან 1100,77 კვადრატულ მეტრს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიან ამგვარი დასკვნის საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

განსაზილებელი ნორმის გათვალისწინებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა პირისა, რაც უნდა არსებობდეს ერთობლიობაში, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს მემკვიდრეობით მიღებული აქვს №443 მინის ნაკვეთი (სადაც მინის ნაკვეთი), მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები არ მიუთითებენ იმაზე, რომ მოპასუხეები ფლობენ №433 მინის ნაკვეთს, რომლის ფლობის უფლება მათ არა აქვთ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ორ გარემოებას: პირველი, ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთი განთავსებულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთითა და სამხრეთით მ. ა-ის მინის ნაკვეთები, დასავლეთით – ტყე და აღმოსავლეთით დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული საკარილომა მინის ნაკვეთი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ შ. ლ. დე ე-ის მინის ნაკვეთებს ტყე არ ესაზღვრება. აქვე სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში განთავსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ შ. ე-ის საკუთრებაში რეგისტრირებული და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დ. ა-ის კუთვნილი №440 და №441 მინის ნაკვეთების მოსაზღვრედ მდებარეობს ტყე. მეორე გარემოება, რაც ნარმოდგენის გადაწყვეტილების საფუძველს არის ის, რომ დ. და ნ. ა-ბი, ნაცვლად დ. ა-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 1484,93 კვადრატული მეტრისა, ფაქტობრივად ფლობენ 2555,7 კვ.მ-ს, ანუ 1100,77 კვადრატული მეტრით მეტს, ამასთან, ამ მინის ნაკვეთის დასავლეთის განაპირო საზღვარი არის ტყე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოები ა-ის მიერ №433 მინის ნაკვეთის ფლობის საფუძველს ვერ იძლევა, საქმეში არსებული მასალებიდან არ ირკვევა, რომ ა-ის მიერ დაკავებული მინის ნაკვეთი გაზრდილია მხოლოდ ე-ის მიერ მითითებული №443 მინის ნაკვეთის ხარჯზე. არ არსებობს ისეთი გამომრიცხავი გარემოებები, რომლის თანახმად, მხოლოდ №443 მინის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ტყე. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ექსპერტის დასკვნა, რომელმაც საქმეში არსებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასებული მტკი-

ცებულებების საფუძველზე დაასკვნა, რომ იმის დადგენა მოიცავს თუ არა დ. ა-სა და ნ. ა-ის მიერ დაკავებული ფართი მ. ე-ის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი №...), წარმოდგენილი მასალების მიხედვით ტექნიკურად შეუძლებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, მან უნდა ადასტუროს, რომ მოპასუხების უკანონოდ ფლობენ მის (მოსარჩელის) საკუთრებაში არსებულ №433 მიწის ნაკვეთს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. ე-ის მიერ ვერ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ა-ი უკანონოდ ფლობენ სადავო №433 მიწის ნაკვეთს, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო სარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარე თ.ე-ეს, კასატორთა: ნ. და დ. ა-ის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ნ. და დ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება;
3. თ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოწინააღმდეგე მხარე თ. ე-ეს ნ. და დ. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამეზობლო სამართალი

განჩინება

№ას-1185-1205-2011

5 მარტი 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომსენებელი),
ბ. ალვიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღნერილობითი ნაწილი:

ტ. ი-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს.კომპანიის“ მიმართ საკუთრებით სარგებლობის უკანონელშეშლის აღკვეთის შესახებ შემდეგი საფუძლებით: მოსარჩელები 2008 წლის 30 სექტემბერს ქ.ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებულ აუქციონზე შეიძინა 210.50 კვ.მ ქ.ქუთაისიში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ №58ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზეც დამტკიცებული პროექტისა და ნებართვის შესაბამისად უნდა დაეწყო ობიექტის მშენებლობა, მაგრამ შპს „ს.კომპანიის“ ქუთაისის სერვის-ცენტრმა 2010 წლის პირველი ივლისისა და 2010 წლის 10 დეკემბრის პასუხებით აცნობა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა მათ ბალანსზე რიცხული 300 მმ დიამეტრის თუვას მაგისტრალური წყლის მილი, რომელიც მოითხოვს სანიტარულ-დამცავი ზონის არსებობას და ამ მიზეზით ობიექტის მშენებლობა გამორიცხული იყო. ასევე შეატყობინა, რომ აღნიშნული მაგისტრალური წყალსადენის ქსელის გადატანა შესაძლებელი იყო მხოლოდ შესაბამისი ხარჯების განევის შემდეგ, რაც კანონით მას არ ეკისრება. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ხელყოფს მის საკუთრების უფლებას, რადგან საკუთარი ხარჯებით არ გადაიტანა წყალსადენის მილი. ამასთანავე, მოსარჩელის საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე რაიმე სახის ხაზოვანი ნაგებობა რეგისტრირებული არ არის.

მოპასუხე შპს „ს.კომპანიამ“ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: კომპანია არ არის ვალდებული, სხვა მიწის ნაკვეთზე გადაიტანოს წყალმომარაგების ქსელი. წყლის მილები უფრო ადრე იყო განთავსებული მიწის ნაკვეთში, ვიდრე იგი მოსარჩელის საკუთრებაში ალირიცხებოდა. მოპასუხე მოსარჩელის საკუთრებით სარგებლობას უსაფუძვლოდ არ ზღუდდავს, ანუ კომპანია არ არის ხელისშემშლელი, რომელსაც შეიძლება, მოეთხოვოს მილების სხვა ადგილზე გადატანა. ამასთანავე, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა, თუმცა განმარტა, რომ ხაზოვანი ნაგებობების რეგისტრაციის არარსებობა არ წარმოადგენს მიღების გადატანის საფუძველს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ტ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ი-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით ტ. ი-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე ტ. ი-ემ 2008 წლის 30 სექტემბერს ქ.ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებულ აუქციონზე, 4422 ლარად შეიძინა 210,50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ №58ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთი. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, ტ. ი-ეს ქ. ქუთაისის მერიის მიერ გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რის შედეგადაც, მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე. ქ. ქუთაისის მერიის 2009 წლის 29 აპრილის №629 ბრძანებით დამტკიცდა ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ №58ბ-ში მდებარე მოქალაქე ტ. ი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების საშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, რის შემდგომაც, შესაბამისის ხარჯების გადებით, შპს „ჰ. 92-ს“ ტ. ი-ემ დაუკვეთა სამშენებლო დოკუმენტის პროექტი. ქალაქ ქუთაისის მერიის 2010 წლის 6 მაისის №713 ბრძანების საფუძველზე გაიცა ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ №58ბ-ში მდებარე მოქალაქე ტ. ი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მშენებლობის ნებართვა, რომლის თანახმად, მშენებლობის დაწყების თარიღად განისაზღვრა 2010 წლის 15 მაისი, ხოლო აღნიშნული ნებართვა ძალაში იყო 2010 წლის 31 დეკემბრამდე. მშენებლობის დაწყების წინ, ტ. ი-ეს შპს „ს.კომპანიის“ ქუთაისის სერვის-ცენტრის 2010 წლის 1-ლი ივნისის ნერილით ეცნობა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა მათ ბალანსზე რიცხული თუჯის მაგისტრალური წყლის მილი, რომლისთვისაც თვითმმართველობის მიერ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სანიტარულ-დამცავი ზონის არსებობის ნორმები. ტ. ი-ემ არაერთხელ აცნობა მოპასუხეს იმის შესახებ, რომ კუთვნილი მიწის ნაკვეთზე მაგისტრალური წყლის მილის არსებობის გამო, ვერ ახორებდა ობიექტის მშენებლობას და ითხოვდა აღნიშნული ქსელის სხვაგან გადატანას. წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელი, როგორც ხაზოვანი ნაგებობა, საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული არ არის.

ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, პალატამ დადგენილად ცნო, რომ ტ. ი-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის შუაში გადის შპს „ს. კომპანიის კუთვნილი დ=300 მმ-იანი წყლის მაგისტრალური მილი, რომლის არსებობაც ტექნიკური თვალსაზრისით ხელ შეუშლის, განხორციელდეს ქ.ქუთაისის მერიის დამტკიცებული პროექტისა და გაცემული ნებართვის შესაბამისად, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ნესების მოთხოვნათა დაცვით ობიექტის მშენებლობა. მილსადენის გადატანა ტექნიკურად შესაძლებელია შიგა კვარტალურ სავალ ნანილში, რაზედაც უნდა შედგეს პროექტი. სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 10260 ლარია.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ შპს „ჰ. თან“ მიერ, ტ. ი-ის დაკვეთით შესრულებულ, მისავე კუთვნილ მიწის ნაკვეთში, მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მშენებლობის პროექტის 33-ე გვერდზე მითითებულია: „შეთანხმებულია შპს „ქ-თან“, თუმცა აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებული მტკიცებულება, შპს „ქ-ის“ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, საქმეში განთავსებული არ არის.“

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და განმარტა: ვინაიდან სადაცოფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ ტ.ი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (დ=300 მმ) თუჯის მაგისტრალური წყლის მილი, რომლითაც ხორციელდება ქალაქის სასმელი წყლით მომარაგება, ათეული წლებისა განთავსებულია, პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 30 სექტემბერს, უძრავი ქონების აუქციონზე შეძენისას, ტ. ი-ის საკუთრებაში გადავიდა მიწის ნაკვეთთან, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მაგისტრალურ წყლის მილთან დაკავშირებული მოთხოვნები და უფლებები ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მესაკუთრის – სახელმწიფოს ხელში იყვნენ. ამასთან, რადგან თავდაპირველ მესაკუთრეს – სახელმწიფოს, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მაგისტრალური წყლის მილის გატარებისას პრეტენზია არ გამოიუტევამს, პალატამ მიიჩნია, რომ 179-ე მუხლის 1-ლი ნანილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის დღევანდელი მესაკუთრე ვალდებულია, ითმინოს მისი მიწით ამგვარი სარგებლობა. ამდენად, ტ. ი-ის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნანილიდან გამომდინარე, ვინაიდან მოპასუხებ სადაცოფაქტო გახადა მშენებლობის პროექტზე მათი მხრიდან თანხმობის გაცემის ფაქტი, ხოლო საქმეში არც შპს „გ. კომპანიის“ და არც შპს „ქ-ის“ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული და ხელმოწერილი თანხმობის დოკუმენტი არ მოიპოვება, პალატამ მიიჩნია, რომ ობიექტის მშენებლობის პროექტის 33-ე გვერდზე პროექტის ავტორის მინანერი, „შეთანხმებულია შპს „ქ-თან“, არ ასახავს რეალურ ვითარებას. გარდა ამისა, საქმის მასალებით არ დგინდება შპს „გ. კომპანიისა“ და შპს „ქ-ის“ უწყებრივი დაქვემდებარება ან უფლებამონაცვლეობა, რაც პროექტის 33-ე გვერდზე არსებული მინანერის ნამდვილობის შემთხვევაში გამოიწვევდა შპს „გ. კომპანიისათვის“ გარკვეული ვალდებულებების წარმოშობას. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ გაზიარებული არ უნდა ყოფილიყო აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტი შეთანხმებული იქნა შპს „ქ-თან“, რაც ავალდებულებდა მოპასუხეს, შპს „გ. კომპანი-

ას” ამ მშენებლობის განხორციელებისათვის აუცილებელი სამუშაოები შეესრულებინა, კერძოდ, გადაეტანა მშენებლობის ხელშემჩნევლი მაგისტრალური მილი სხვა ადგილას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ი-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ორივე ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად არასწორად შეაფასა, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის საკუთრების უფლება ტ. ი-ის კუთვნილ მინის ნაკვეთზე გამავალ მაგისტრალურ წყალსადენზე არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ასეთი უფლება ფაქტობრივად არც არსებობს და აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობა მხოლოდ ირიცხება მოპასუხის ბალანსზე, ხოლო ტ. ი-ის ობიექტის მშენებლობის პროექტი 2009 წლის 30 აპრილს შეთანხმებული იქნა შპს „ქ-თან“, რომლის ბალანსზე იმ დროისათვის ირიცხებოდა იგივე მაგისტრალური წყალსადენი, ამ ფაქტობრივ გარემოებებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არც უსჯელი. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, იგი იძულებული შეიქნა რა განეხილა აღნიშნული გარემოებები, არა ერთხელ დააფიქსირა, რომ შპს „ს.კომპანიის“ საკუთრების უფლება სადაც მაგისტრალური წყალსადენზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, მაშინ, როცა ტ. ი-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი (მინის ნაკვეთი) საჯარო რეესტრში იყო და აღრიცხულია დღესაც.

კასატორს დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიაჩინა სააპელაციო პალატის დამატებითი განმარტება იმის შესახებ, რომ შპს „ქ-ის“ მიერ ტ. ი-ის დაკვეთით შესრულებულ, მისავე კუთვნილ მინის ნაკვეთში, მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მშენებლობის პროექტის 33-ე გვერდზე აღნიშნული დამადასტურებელი მტკიცებულება, შპს „ქ-ის“ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, საქმეში განთავსებული არ არის. ეს მაშინ, როცა, კასატორის მითითებით, იგი სააპელაციო საჩივრის ფორმის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობების მეორე გრაფაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროექტის 33-ე გვერდზე არსებულ ხელნაწერ ტექსტში ნათლად მითითებულია: „შეთანხმებულია შპს „ქ-სთან“. ტექსტს ხელს აწერენ შპს „ქ-ის“ დირექტორის მოადგილე ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში ზ. ბ-ე და ტექნიკური განყოფილების უფროსი გ. გ-ე, ხელმოწერებთან ერთად ტექსტზე დასმულია შპს „ქ-ის“ მრგვალგერბიანი ბეჭედი და თარიღი 30.04.2009 წელი, რაც ნიშანავს, რომ შპს „ქ-მა“ შეათანხმა მთლიანად ობიექტის მშენებლობის პროექტი, ხოლო ქსელებთან მიერთებითი სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებული უნდა ყოფილიყო შპს „ქ-ის“ ნარმომადგენელი.

პალატამ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადაც მინის ნაკვეთზე მაგისტრალური წყლის მილი დღესაც უკანონდა განთავსებული. მის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე არასოდეს არსებობდა და არც დღეს არსებობს რაიმე პროექტი ან ნებართვა. ქ-ქუთაისის მერიისა და ტ. ი-ისათვის აუქციონის ჩატარების პროცესში ცნობილი არ ყოფილა, რომ გასაყიდი მინის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა თვითნებურად ჩადებული მაგისტრალური წყალსადენის მილი, რომელიც არ ჩანდა. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ადგილას მაგისტრალური წყლის მილის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა თავად შპს „ქ-ის“ ხელმძღვანელობამაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ შეათანხმებდნენ ამავე ადგილზე ტ. ი-ის სამშენებლო ობიექტის პროექტს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საკუთრების უფლების დაცვა შეეძლო მოეთხოვა მინის ნაკვეთის ძველ მესაკუთრეს და ასევე შეუძლია მოითხოვოს მინის ნაკვეთის ახალმა მესაკუთრე ტ. ი-ემაც.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან მიმართებით, რომ, ვინაიდან თავდაპირველ მესაკუთრეს, სახელმწიფოს, მის კუთვნილ მინის ნაკვეთზე მაგისტრალური წყლის მილის გატარებისას პრეტენზია არ გამოიყენოს, ამიტომ სკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მინის ნაკვეთის დღევანდები მესაკუთრე ვალდებულია ითმინოს მისი მინით ამგვარი სარგებლობა, – კასატორს მიაჩინა, რომ იგი არ გამომდინარებს კანონის მოთხოვნებიდან და მოცემული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამეცნიერო სამართლის ნორმებით დაუშვებელია. ჯერ ერთი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილში საუბარია მხოლოდ ნაკვეთის მესაკუთრეზე, რომელიც მშენებლობის დროს განზრავის გარეშე გადასცება მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ეხება მაგისტრალური წყალსადენის მფლობელს, რომელიც არ გახლავთ მესაკუთრე, ვინაიდან შესაბამისი უძრავი ნივთი, კანონის იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად, მას არა აქვს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და, აქედან გამომდინარე, ამავე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოშობილად ვერ ჩაითვლება. ამასთან, უდავოა, რომ შპს „ს. კუთვნილი 30 მ სიგრძის წყლის მაგისტრალური მილსადენი, რომელიც მოწყობილია უნგებართვოდ და უპროექტოდ, გადის ტ. ი-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის ზუსტად შუაში, რის გამოც ამავე მინის ნაკვეთზე შეუძლებელია აშენდეს არამცოთ დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული, არამედ ნებისმიერი სხვა იბიექტიც, რადგან წყლის მაგისტრალური მილი აღმოჩნდება ნაგებობის უშუალოდ ქეშ, რაც მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დაუშვებელია. ასეთი კი ნიშანავს იმას, რომ, თუ, მაგისტრალური წყალსადენი მილის 30-მეტრიანი მონაკვეთი მიმავე ადგილას დარჩება და იგი არ იქნება გადატანილი სხვაგან, რისი ტექნიკური შესაძლებლობა ექსპერტიზის დასკვნით არსებობს, ტ. ი-ის საკუთრებაში რიცხული 210.50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი საერთოდ კარგავს ფუნქციურ დანიშნულებას, ვინაიდან იგი ტ. ი-ემ შეიძინა მასზე იბიექტის აშენების მიზნით და არა სხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად. გარდა ამისა, თავდაპირველი მესაკუთრე – სახელმწიფო თუ ქ-ქუთაისის მერია მის კუთვნილ მინის ნაკვეთზე მაგისტრალური წყლის მილის გატარების თაობაზე ადრე პრეტენზიას ვერ გამოთვალით მდა, ვინაიდან ეს მილი წლების წინ ფარულად იქნა გაყვანილი სათანადო პროექტისა და ნებართვის გარეშე. ყოველ შემთხვევაში, მოპასუხეს პროცესზე არ წარმოუდგენია საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო ქ-ქუთაისის მერია,

აუქციონის წესით მიჰყიდა მიწის ნაკვეთი ტ. ი-ეს, არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა გასა-
ყიდი მიწის ნაკვეთის ქვეშ მაგისტრალური წყალსადენი მილის არსებობის შესახებ, რადგანაც ეს მილი,
როგორც ხაზოვანი ნაგებობა და უძრავი ნივთი, კანონის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, საჯარო
რეესტრში რეგისტრირებული არასოდეს ყოფილა და არც დღეს არის.

პალატამ მიუთითა, რომ ტ. ი-ე ვალდებულია, ითმინოს სამეზობლო ზემოქმედება, ე.ი მის საკუთრებაში
რიცხული მიწის ნაკვეთის ქვეშ გამავალი მაგისტრალური წყალსადენი მილი არ დაექვემდებარება გადა-
ტანას, ანუ ტ. ი-ე ვერც დამტკიცებული პროექტის შესაბამისად და ვერც სხვაგვარად ამ მიწის ნაკვეთზე
ვეღარასდროს შესძლებს ააშენოს ნაგებობა, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგება თმენის ვალდებულე-
ბისათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 179-ე
მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებ-
რივი დასაბუთების შემოქმედი შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყო-
ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო
სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება
არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-
მის დასაბუთებას. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორია დაადგინა ფაქტობრი-
ვი გარემოებები და არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ სამართლებრივი შეფასება არ შეე-
საბამება კანონს, რის გამოც იგი უნდა შეიცვალოს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილვე-
ლი დავის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორ-
მების განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქ-
ტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამარ-
თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამარ-
თლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს
დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო
შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ტ. ი-ემ ქ.ქუთაისის მერიის მიერ 2008 წლის 30 სექტემბერს ჩატარებულ აუქციონზე, 4422 ლარად შეიძი-
ნა 210,50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2 შესახვევ №58ბ-ში მდებარე
მიწის ნაკვეთი. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, ტ. ი-ეს ქ.ქუთაისის მე-
რიის მიერ გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რის შედეგადაც, მიწის ნაკვეთი საჯარო
რეესტრში აღირიცხა მის სახელზე.

ქალაქ ქუთაისის მერის 2010 წლის 6 მაისის №713 ბრძანების საფუძველზე გაიცა ქ.ქუთაისში, ნ-ს ქ. მე-2
შესახვევ №58ბ-ში მდებარე მოქალაქე ტ. ი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულე-
ბის ობიექტის მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის დაწყების წინ, ტ. ი-ეს შპს „ს.კომპანიის“ ქუთაისის
სერვის-ცენტრის 2010 წლის 1-ლი ივნისის წერილით ეცნობა, რომ ალნიშნული მიწის ნაკვეთის ქვეშ გადი-
ოდა მათ ბალანსზე რიცხული თუჯის მაგისტრალური წყლის მილი, რომლისთვისაც გათვალისწინებული
უნდა ყოფილიყო სანიტარულ-დამცავი ზონის არსებობის ნორმები.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება,
რომ კომპანიის საკუთრებაში არსებობული სადავო წყლის მაგისტრალური ქსელი დამონტაჟდა მრავალი
ათეული წლის წინ, რომლითაც ხდება ქ.ქუთაისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისა და ორგანიზაციების
წყლით მომარაგება. ამდენად, მითიობებული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ
ტ. ი-ემ მოპასუხე კომპანიის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთი შეიძინა. ამდენად, კასატორი უფლე-
ბის შემძენი გახდა არა სააპელაციო პალატის მიერ მითიობებული 198-ე მუხლით გათვალისწინებული მოთ-
ხოვნის დათმობით, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც, ტ.ი-ემ სადავო
მიწის ნაკვეთზე შეიძინა რა საკუთრების უფლება მას, როგორც მესაკუთრეს უფლება აქვს, დაიცვას კუთ-
ვნილი ქონება სხვა პირთა ხელყოფისაგან. ეს უფლება კასატორს უზრუნველყოფილი აქვს სამოქალაქო
კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის ძალითაც თუ საკუთრების ხელყოფა ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემ-
შლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა.

მოცემულ შემთხვევაში, ტ. ი-ის ნეგატორული საჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს
წარმოადგენს ამ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპი-
რობის არასებობა, კერძოდ, საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა უნდა აღიკვეთოს მაშინ, თუ ეს
ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. როგორც ზემოთ აღინიშნა, უდავობა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მო-
პასუხემ სადავო ქმედება წყლის მაგისტრალური მილის დამონტაჟება განახორციელა ტ. ი-ის მიწის
ნაკვეთის შეძენამდე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ტ. ი-ემ შეიძინ უფლებრივად დატვირთული წინ-
თო. სამოქალაქო კოდექსის 487-ე და 489-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამიყიდველმა მყიდველს
უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი უფლებრივად უნაკ-
ლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია, განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. აღნიშ-
ნული წორმის ანალიზიდან გამომდინარე, შემძენი მესამე პირთას მიმართებაში იმ უფლებრივი ტვირთის

მატარებელია, რაც ნივთის შეძენამდე არსებობდა და უფლებრივი ნაკლის თაობაზე ვალდებულებითი სა-
მართლის ნორმებიდან გამომდინარე მყიდველს – კრედიტორს პრეტენზია, მხოლოდ გამყიდველს – მოვა-
ლის მიმართ შეიძლება გააჩნდეს.

განსახილველ საქმეში სადაცოს არ წარმოადგენს არც ის ფაქტიც, რომ მაგისტრალური მიღი გადის
ზუსტად მიწის ნაკვეთის შუაში და მისი არსებობა ტექნიკური თვალსაზრისით ხელს შეუშლის ქ.ქუთაისის
მერის დამტკიცებული პროექტისა და გაცემული ნებართვის შესაბამისად მოქმედი სამშენებლო ნორმები-
სა და წესების დაცვით ობიექტის მშენებლობას. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით მესაკუთრეს ქონე-
ბის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება ეზოდება, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 170-ე
მუხლის 1-ლი ნაწილი ამგვარ შეზღუდვას უშებს, თუკი იგი კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელ-
შეკრულები შემოჭვის ფარგლებშია. მოცემულ შემთხვევაში, ნივთზე უფლების კანონისმიერ შეზღუდვას-
თან გვაქვს საქმე, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მყიდველმა უფლებრივად დატ-
ვირთული ნივთი შეიძინა და მესამე პირთან მიმართებით იგი ისეთივე უფლება-მოვალეობების მატარებე-
ლია, როგორც მისი წინამორბედი მესაკუთრე.

სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების
მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებსა, ვალდებული არიან პატივი
სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია
გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება. ამდენად, კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ მოცე-
მულ ნივთთან დაკავშირებული დავა სწორედ სამეზობლო სამართლის ნორმებით უნდა იქნეს განხილული.
მოპასუხის მიერ სხვისი მიწის ნაკვეთით სარგებლობა სწორედ ამ სამართლებრივი იხსტიტუტის ფარ-
გლებში უნდა იქნეს განხილული. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სადაცო მიღის მოპასუხის ხარ-
ჯით სხვა ადგილზე გადატანა და მიწის ნაკვეთის განთავისუფლება, რაზედაც მოპასუხე თანახმა არ არის.
საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხე იღებს პასუხისმგებლობას იმ იურიდიულ
შედეგებზე(თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე), რომელიც სხვისი ნივთით, კონკრეტულ შემთხვევა-
ში, მიწის ნაკვეთის სარგებლობას შეიძლება მოჰყვეს, თუმცა, ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება და-
ვის საგანს არ წარმოადგენს და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აღნიშნულზე.

უსაფუძვლოა კასატორის მოსარჩება, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 11.1. მუხლის „ა“ ქვე-
პუნქტის თანახმად, ხაზობრივ ნაგებობაზე აუცილებელია რა რეგისტრაცია, სადაცო მიღი რეეტრში რე-
გისტრირებული არა არის, რაც მის არაკანონიერებაზე მიანიშნებს. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყუ-
რადლებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაცო მიღის განთავსე-
ბა განხორციელებულია მითითებული კანონით დადგენილ რეგულაციამდე, ხოლო მისი ამ ეტაზზე საჯარო
რეესტრში აღურიცხაობა მისი განთავსების უკანონობაზე არ მეტყველებს.

სარგებლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ტ. ი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინება
დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმობობილი ურთიერთობები

საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე

განხილვა

№ას-1341-1359-2011

23 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ბ., ვ. და ი. წ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში გ. კ-ის წინააღმდეგ და მოითხოვეს ქ. ქუთაისში, ...
ქ. №75-ში (ყოფილი ჯ-ის ქუჩა №129.75-ში) მდებარე სახლზე მესაკუთრედ ცნობა.
მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ბ., ვ. და ი. წ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე გ. კ-ისათვის 4500 ლარის (სადაც სახლის ღირებულების 25%-ის) გადახდის სანაცვლოდ, ბ., ვ. და ი. წ-ები ცნობილ იქნენ ქ. ქუთაისში ... ქ. №74-ის (ყოფილი ჯ-ის ქ. №129, 75-ში) მდებარე სახლის (საერთო ფართით 113,47 კვ.მ.) მესაკუთრებად.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბ., ვ. და ი. წ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ქუთაისში, ... ქ. №75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. №129. 75-ში) მდებარე საცხოვრებელი სახლის (საერთო ფართი 113,47 კვ.მ) 1/2 ნაწილი რეგისტრირებულია მოპასუხე გ. კ-ის საკუთრებად. 1/2 ნაწილი კი, მოპასუხე მხარის განმარტების თანახმად, რეგისტრირებულია ან. გარდაცვლილი ვ. დ-ის საკუთრებად, რომლის მემკვიდრესაც წარმოადგენს მოპასუხე გ. კ-ე.

ქ. ქუთაისში, ... ქ. №75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. №129. 75) მდებარე საცხოვრებელ სახლში 1974 წლიდან ჩანერილია და ცხოვრობს მოსარჩელე ბ. წ-ე, 1976 წლიდან – ვ. წ-ე, ხოლო 1984 წლიდან კი, მოსარჩელე ი. წ-ე.

სადაც საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოსარჩელეთა სახელზე ირიცხებოდა კომუნალური გადასახადები, რომელსაც თავადვე იხდიან. აღნიშნული გარემოება მხარეებს სადაც არ გაუხდიათ;

საქმეში არსებული ქონების შეფასების აუდიტორული დასკვნის თანახმად, სადაც სახლი შეფასებულია 18000 ლარად.

კანონიერ ძალაში 1988 წლის 22 აპრილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით სადაც საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრებებს: გ. და ვ. დ-ებს, უარი ეთქვათ სადაც სახლთმფლობელობიდან წ-ების გამოსახლებაზე იმ საფუძვლით, რომ 1) მესაკუთრებებს გ. კ-ესა და ვ. დ-ეს გააჩინდათ სხვა საცხოვრებელი სადგომი და არ სჭირდებოდათ შეძენების კონება პირადი სარგებლობისათვის და 2) სასამართლომ დაადგინა, რომ წ-ები დამქირავებლის უფლებით ცხოვრობდნენ სადაც სადგომში და ბინაში არ შესახლებულან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც განუსაზღვრელი ვადით იყო დადებული წინა მესაკუთრე ლსთან, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით კი, განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მესაკუთრის მოთხოვნით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საცხოვრებელი სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდება მესაკუთრეს.

მხარეებს არც ის ფაქტობრივი გარემოება გაუხდიათ სადაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. წ-ის სარჩელი (რომლითაც იგი ითხოვდა სადაც საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ (ცნობას) არ დაკმაყოფილდა, ვ. და გ. დ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა და კანონიერად ჩაითვალა სანოტარო წესით გაფორმებული სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული გ. დ-ეს (სახლის ძველ მესაკუთრესა) და ვ. და გ. დ-ებს შორის. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, დ-ებმა არაერთგზის იდავეს წ-ების გამოსახლებაზე სადაც სახლთმფლობელობიდან, მათ შორის, საქმეში წარმოდგენილია 1994 წლის 13 აპრილის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ვ. დ-ისა და გ. კ-ის სარჩელი წ-ების ბინიდან გამოსახლების შესახებ, დატოვებულ იქნა განუხილველად იმ მოტივით, რომ მოსარჩელეებმა არ დაიცვეს ამ კატეგორიის საქმებისათვის საქმის წინასწარი, სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის დადგენილი წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1982 წლიდან მოყოლებული ვ. დ-ე და გ. კ-ე დავობენ მოპასუხეთა (წ-ების) გამოსახლებაზე მათი საკუთრებიდან, და სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის თაობაზე რაიმე გარიგება მათთან არ დაუდგიათ.

სასამართლო დადგენილად მიიჩნია, რომ ბათილი გარიგების საფუძველზე, გ. ლალაძემ სადაც საცხოვრებელი სახლი 41 000 მანეთად მიჰყიდა ჯ. წ-ეს, საიდანაც 15 000 მანეთი მაშინვე მიიღო ბეს სახით.

საქმეში წარმოდგენილი ხელნერილით, დგინდება, რომ დამატებით სახლის იმჟამინდელ მესაკუთრეს წ-ებ გადაუხადა 1000 მანეთი და 7500 მანეთი, (მართალია ხელნერილში იკითხება არა 7500, არამედ 700 500 და სამოცდათი ათას ხუთასი, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად ვ. წ-ემ დაადასტურა, რომ ეს არის ტექნიკური შეცდომა და საერთო ჯამში მათ ბინის ნასყიდობის მხოლოდ ნანილი აქვთ გადახდილი ლ-სათვის დაახლოებით 22 000 თუ 35 000 მანეთი). აღნიშნული დგინდება იმითაც, რომ სადაც სახლთმფლობელობა ლ-ებ ჯ. წ-ეს მიჰყიდა 41 000 მანეთად (ანუ იმაზე ბევრად ნაკლებად, რაც მითითებულ ხელნერილშია დაფიქსირებული).

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, ვერ იქნებოდა გამოყენებული „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“, კანონი, ვინაიდან მოსარჩელეები არ იყვნენ ამ კანონის მიხედვით, მოსარგებლედ მიჩნევის სუბიექტები.

პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეები სადაც სახლთმფლობელი მესაკუთრებად (ცნობის მოთხოვნას იმით ასაბუთებდნენ, რომ სახეზე იყო „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგება,

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩევეთა ზემოაღნიშნულ მოსაზრება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ რაიმე გარიგების საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ წ-ეებზე არ დასტურდება არც სახლმფლობელობის ამჟამინდელ მესაკუთრესთან (რომელიც 1982 წლიდან მოყოლებული დაობს თავისი კანონიერი უფლების დასაცავად) და არც ძველ მესაკუთრესთან – ღ-ესთან. რასაც ადასტურებდა ძველი მესაკუთრისათვის თანხის არასრულყოფილად გადახდის ფაქტი და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად წ-ეების მიერ განმარტებული, რომ გ. ღ-ე მათ ვერ შეუთანხმდა სახლის ლირებულებაზე და სწორედ ამიტომ 1981 წელს ეს სახლი მიჰყიდა გ. და ვ. დ-ეებს.

პალატის განმარტებით, იმავე გარემოებაზე მითითება საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 1988 წლის 22 აპრილის საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მართალია არ არის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, მაგრამ ერთ-ერთი მტკიცებულებაა, რომელიც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ხელს უწყობს სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული გარემოებები: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა, მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა წარმოადგენენ იმ ფაქტებს, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს სადგომის დათმობის შესახებ გარიგება, ანუ, პირი რომ მოსარგებლებ იქნეს მიჩნეული, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის გარიგების არსებობა, ანუ უნდა დადასტურდეს, რომ ბინით მოსარგებლე მესაკუთრის დარად იმიტომ იყენებს საცხოვრებელ სადგომს, რომ მას და საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეს შორის არსებობდა გარიგება. მართალია, მოსარჩელები რეგისტრირებული იყვნენ სადავო ფართში და იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ რეგისტრაცია სადავო ფართში და კომუნალური გადასახადების გადახდა არ იყო საქმარისი საფუძველი პირის მოსარგებლებ მიჩნევისათვის; მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (რეგისტრაცია და გადასახადების გადახდა) სამართლებრივად გამყარებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსარგებლისათვის, თუ ამ ფაქტებით დადასტურდებოდა მესაკუთრესთან რაიმენაირი სასყიდლიანი გარიგების არსებობა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ვ., ბ. და ი. წ-ეები არ იყვნენ ზემოაღნიშნული კანონის მეორე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები, რადგან მათ სასამართლოს ნინაშე ვერ შეძლეს დაედასტურებინათ, რომ მესაკუთრეებთან რაიმე სასყიდლიანი გარიგება პერნიდათ დადებული, შესაბამისად, მათი სასარჩელო მოთხოვნა, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის თაობაზე, პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ., ვ. და ი. წ-ეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატიონთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ შეაფასა მათ მიერ წარმოდგენილი შინაურული ხელნერილი სახლის ყიდვის თაობაზე, რომელიც დადებული პერნიდათ გ. ლალიძესთან; ამასთან, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ისინი უკვე 40 წელია, რაც ჩანერილები არიან სადავო ბინაში და იხდიან კომუნალურ გადასახადებს და გაუგებარია, თუ რატომ არ გაავრცელა სასამართლომ მათ ურთეირთობაზეც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ., ვ. და ი. წ-ეების საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. №75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. №129, 75) მდებარე საცხოვრებელი სახლის (სართო ფართით 113,47 კვ.მ) ნაწილი რეგისტრირებულია მოპასუხე გ. კ-ის საკუთრებად. 1/2 ნაწილი კი, მოპასუხის განმარტებით, რეგისტრირებულია ან. გარდაცვლილი ვ. დ-ის საკუთრებად, რომლის მემკვიდრესაც წარმოადგენს მოპასუხე გ. კ-ე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. №75-ში (ყოფილი ჯ-ის ქ. №129, 75) მდებარე საცხოვრებელი სახლში 1974 წლიდან ჩანერილია და ცხოვრობს მოსარჩელე ბ. წ-ე, 1976 წლიდან – ვ. წ-ე, ხოლო 1994 წლიდან მოსარჩელე ი. წ-ე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ სადავო საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოსარჩელეთა სახელზე ირიცხებოდა კომუნალური გადასახადები, რომელსაც თავადვე იხდიდნენ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობაზე არ ვრცელდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი, რადგან მოსარჩელები არ არიან ის სუბიექტები, რომელსაც ეს კანონი მოსარგებლედ მიიჩნევს.

აღნიშნულის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმაზე, რომ არ დასტურდება საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების დადება არც ამჟამინდელ მესაკუთრესა და არც ძველ მესაკუთრესთან – ლესთან, რაზედაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუთითობს ძველი მესაკუთრისათვის თანხის არასრულყოფილად გადახდის ფაქტი. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1982 წლიდან მოყოლებული ვ. დ-ე და გ. კ-ე დაობენ წ-ების გამოსახლებაზე მათი საკუთრებიდან, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: წარმოადგენენ თუ არა კასატორები „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს და რამდენად შეისწავლა სააპელაციო სასამართლომ ყველა აუცილებელი ფაქტობრივი ელემენტი აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემობას, რომ მხარეთა შორის 1982 წლიდან მიმდინარებოდა დავები სადაცო ქონებასთან მიმართებაში, არამედ იმას თუ რა ურთიერთობა არსებობდა წ-ებსა და ძველ მესაკუთრე ლ-ეს შორის.

კანონიერ ძალაში შესული 1988 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „სადაცო სახლში ბ. და ვ. წ-ების დამტირავებლის უფლებით ჩასახლების შემდეგ (1979 წლის მარტის თვეში) დაიდო სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გ. (ლ.) დ-ის ძე ლ-ესა და ჯ. ვ-ის ძე წ-ეს შორის“. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „გ. (ლ.) ლ-ე საბოლოოდ ვერ შეუთანხმდა მოპასუხეებს (წ-ებს) სახლის ლირებულებაზე და 1981 წლის 6 ნოემბერს ეს სახლი მიჰყიდა გ. და ვ. დ-ებს...“ ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, „მოპასუხეებმა (წ-ებმა) სადაცო სახლში ცხოვრება გააგრძელეს სახლის ყიდვა-გაყიდვის შინაურული გარიგების საბოლოოდ დასრულებამდე უარის თქმის შემდეგ სახლის მესაკუთრის ნება-სურვილით. გ. (ლ.) ლ-ე ცნობდა მოპასუხეების სარგებლობის უფლებას სადაცო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით უმაღლესმა სასამართლომ მხარეთა შორის ქირავნობის ურთიერთობის საფუძვლად დაუდო არა 1979 წელს დადებული შინაურული ნასყიდობის ხელნერილი, არამედ ამ შინაურული ნასყიდობის დადებამდე მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა, რაც დაკავალიფიცირდა როგორც ქირავნობა.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ წ-ებმა ძველ მესაკუთრეს გადაუხადეს შინაურული ხელნერილით განსაზღვრული თანხის ნაწილი (და არა სრული თანხა) არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ შორის არ არსებობდა გარიგება საცხოვრებელი სადგომის დათმობის თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ საქმეში წარმოდგენილი უმაღლესი სასამართლოს 1988 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „გ. (ლ.) ლ-ე ცნობდა მოპასუხეების სარგებლობის უფლებას სადაცო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“. ამდენად, გასარკვევისა ურთიერთობა, რომელიც არსებობდა წ-ებსა და ლ-ეს შორის შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წ-ების მიერ თუნდაც საცხოვრებელი სადგომის ნაწილის გადახდის შემდეგ. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ წ-ებს არა აქვთ სრულად გადახდილი შინაურული ნასყიდობის გარიგებით განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომის ლირებულება, შესაძლებელია მხარეთა (წ-ები-ლ-ე) შორის წარმოშვას ურთიერთობა არა ფორმადაუცველი ნასყიდობის, არამედ საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების საფუძველზე.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსარგებლეა – პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით“.

აღნიშნული დანაწესი უთითებს ისეთ ურთიერთობებზე, რომლის თანახმად, მესაკუთრის მიერ ხდებოდა ნივთის მიტოვება (დათმობა) მოსარგებლის სასარგებლოდ. ერთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის უფლებების გადაცემა. ამისათვის გარკვეული საფასურის გადახდა, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის ფაქტი.

ამრიგად, ანგარიშგასახევია, მითითებული კანონის ის დანაწესი, რომლის თანახმად, მოსარგებლეა ის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მოიპოვეს თუ არა წ-ებმა ფაქტობრივი ფლობის უფლება ლ-ისაგან. რა გარემოებებით იყო განპირობებული ის, რომ შინაურული ნასყიდობის ხელნერილით გათვალისწინებული თანხის მხოლოდ ნაწილის გადახდის მიუხედვად „გ. (ლ.) ლ-ე ცნობდა მოპასუხებების სარგებლობის უფლებას სადაცო სახლზე და მათი გამოსახლების საკითხი არ დაუყენებია“.

მხოლოდ წ-ებსა და ლ-ის შორის არსებული ურთიერთობების გადაცემის შემდეგაა შესაძლებელი წ-ებსა და დ-ე-კ-ეს შორის არსებული ურთიერთობების განსაზღვრა.

წ-ებსა და ლ-ის შორის არსებული ურთიერთობის კონტექსტში უნდა გამახვილდეს ყურადღება ზემო-აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილზე, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, „გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარეგბლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადაც საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციითა და კომუნალური გადასახადების გა-დახდით, ანდა მესაკუთრესათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდით (გარდა ქირავნობის ხელ-შეკრულებით გათვალისწინებული ქირისა)“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და შესაბამისი მითითებების საფუძველზე უნდა დადგინდეს გადაწყვეტილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ., ბ. და ი. წ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივლი-სის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლე

განჩინება

№ას-1665-1653-2011 28 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღნიშნული:

ქ. პ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ვ. შ-ისა და ვ. ვ-ის მიმართ და მოითხოვა მათ საკუთრებაში არსებული თბილისში, ა. კ-ის №6-ში მდებარე საცხოვრებელ სადგომზე, საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლების გადაცემა შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელის დედა ს. ა-ი, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, 1950 წლიდან სარგებლობის უფლებით ფლობდა მოპასუხეთა საცხოვრებელ სადგომს მათივე თანხმობით და ნოტარიულად გაუფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის 2/3 ოთხი ოთახი ირიცხებოდა ნ. შ-ის სახელზე, ხოლო 1/3 სამი ოთახი (№10, №11, №12) ორ შვილთან ერთად ეკავა ს. ა-ს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ე.წ. „ატსტუპნიკის“ უფლებით. მოპასუხე ცდილობდა, გამოესახლებინა ს. ა-ი დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან, თუმცა უშედეგოდ. კიროვის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს უარი ეთქვა ს. ა-ის გამოსახლებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ს. ა-მა მოპასუხის მამისგან – ს. შ-ისგან 13000 მანეთად შეისყიდა საცხოვრებელი სადგომი ზემოაღნიშნულ მისამართზე, კერძოდ, №11 და №12 საცხოვრებელი ოთახები და ჩაენერა კიდეც. ს. ა-მა ამ ფართის თავის სახელზე დარეგისტრირება ვერ მოახერხა საყოველთაოდ ცნობილი რეჟიმის გამო, მაგრამ ფლობდა და სარგებლობდა თავის ოჯახთან ერთად. ს. ა-ი 1996 წელს გაემგზავრა ისრაელში სამკურნალოდ და 2002 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწორ ქ. თბილისში, ა. კ-ის ქ. №6-ში მდებარე საცხოვრებელი სადგომის შვილის სახელზე გადაფორმება. ქ. პ-ს მოპასუხები ხელს უშლიან დედის საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაში, რის გამოც არსებობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დაკარგვის საშიშროება. ამასთან, ს. ა-ს 1958 წლიდან ეკავა და სარგებლობდა მდგმურის უფლებით. შ-ები ხელოვნურად ქმნიდნენ ბინის ქირის მიუღებლობის ფაქტს, რის გამოც ს. ა-მა ბინის ქირა ჩარიცხა სასამართლოს ანგარიშზე.

მოპასუხე ვ. ვ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელის მიერ ნარმოდებილი ქ. თბილისის კიროვის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ქ. პ-ის დედა ს. ა-ი სადაც ბინაში ცხოვრობდა, როგორც დამექირავებელი. ამასთან, არ დგინდება სადაც ბინაში მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების რეგისტრაციის ფაქტი. გარდა ამისა, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1991 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ა-ი ნ. და ე. შ-ების სარჩელის საფუძველზე ცნობილ იქნა სადაც საცხოვრებელ ფართზე უფლებადაკარგულად. ს. ა-მა მფლობელობა სადაც ფართზე 1984 წლიდანვე შეწყვიტა, რადგან იგი არ იხდიდა კომუნალურ გადასახადებს და არ იყო

ჩანერილი სადავო ფართში. მოსარჩევეს საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ქ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ქ. პ-ის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისიში, ა. კ-ის №6-ში მდებარე უძრავი ნივთი არის ილ. და ი. ი-ების, ვ. შ-ის, ვ. ვ-ის საერთო საკუთრება, აქედან 1/2 ნაწილზე რეგისტრირებულია ილ. და ი. ი-ების, 2/6-ზე – ვ. შ-ის, ხოლო 1/6 ნაწილზე ვ. ვ-ის საკუთრების უფლება. ვ. შ-ი არის 6. შ-ის, ხოლო ვ. ვ-ი – ე. შ-ის მემკვიდრე. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ე. ს-ს ასულ შ-ს ქ. თბილისიში, ი-ს ქ. №6-ში მდებარე 6-ოთახიანი სახლიდან პირველ სართულზე მიეკუთვნა №12 ოთახი, ხოლო მე-2 სართულზე – №22 ოთახი, ნ. ს-ს ქ. პირველ სართულზე მიეკუთვნა №10 ოთახი, №11 ოთახი, ხოლო მე-2 სართულზე – №23 ოთახი და №24 ოთახი. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს 1984 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. და ე. შ-ების სარჩელი ს. ა-ის ნინააღმდევ №11 და №12 ოთახიდან მოპასუხის გამოსახლების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 1984 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად. ს. ა-ი გარდაიცვალა 2002 წლის 5 იანვარს და მისი მემკვიდრეობა მიიღო მოსარჩელე ქ. პ-მა. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1991 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. და ე. შ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ს. ა-ი ცნობილ იქნა საცხოვრებელ ფართზე უფლებადაკარგულად, ნ. შ-ისა და ე. შ-ის სახელზე რიცხულ ქ. თბილისიში, ა. კ-ის ქ. №6-ში მდებარე პირადი საკუთრების სახლზე. პალატამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით, განმარტა, რომ, ვინაიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები, ამიტომ დგინდება, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის 7 ივნისის მდგომარეობით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ს. ა-ს დაკარგული ჰქონდა ნ. და ე. შ-ების საკუთრებაში არსებული სადგომის მფლობელობის უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სრულად გაიზიარა პირველი ინტანციის სასამართლოს დასკვნები და დაეყრდნო რა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლს, 11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს, განმარტა, ვინაიდან დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დროისათვის (1998 წლის 25 ივნისი) არ ფლობდა ქ. თბილისიში, ა. კ-ის ქ. №6-ში არსებულ საცხოვრებელ სადგომს, ქ. პ-ი არ შეიძლება, ჩაითვალოს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლედ, შესაბამისად, ქ. პ-ის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. პ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, კერძოდ, მესაკუთრისითვის გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა ნიშნავს ბინის ნასყიდობის საფასურის გადახდას და არა სხვა რაიმე საფასურის გადახდას, რაც მოწინააღმდეგ მხარეს არ უარყოვა. ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფას მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის არსებული ურთიერთობა ქირავნობად. მან უურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ ს. ა-ი კეთილსინდისიერად ფლობდა სადავო ფართს, რომლის სრული საფასური გადახდილი იყო და იგი იმყოფებოდა ს. ა-ის ფაქტობრივ მფლობელობაში. ქირის გადახდის ფაქტი სასამართლომ დადგენილად ცნო მხოლოდ მხარის ზეპირი განმარტების საფუძველზე. გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ ბინის ქირაში იგულისხმებოდა საზოგადოებრივი საკუთრების სარგებლობისთვის გათვალისწინებული გადასახადი და არა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბინის ქირა. სააპელაციო სასამართლომ თბილისის კიროვის რაიონის სასამართლოს 1984 წლის 25 ოქტომბრის განჩინების უგულებელყოფით, არასწორად მიიჩნია, რომ არ დასტურდება მოსარჩელის დედის მიერ სადავო ფართის ფლობის ფაქტი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. განჩინება მიუთითებს, რომ წარმოდგენილ იქნა წერილობითი ხელშეკრულება მხარეებს შორის სამი ოთახის დათმობის შესახებ. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფლობა არ ნიშნავს მხოლოდ ნივთის პყრობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. პ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარ-

ღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ ნარმოულებია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დადგენილია, რომ ს. ა-ი გარდაიცვალა 2002 წლის 5 იანვარს და მისი მემკვიდრეობა მიიღო ქ. პ-მა. თბილისის კრნანისის რაიონის სასამართლოს 1991 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. და ე. შ-ბის სარჩელი დაკამაყოფილდა, ნ. ს-ს ძე შ-ისა და ე. ს-ს ასულ შ-ზე საკუთრების უფლებით რიცხულ საცხოვრებელ სახლზე მდებარე ქ. თბილისში, ა. კ-ის ქ. №6-ში, მოპასუხე ს. მ-ის ასული ა-ი ცნობილ იქნა საცხოვრებელ ფართზე უფლებადაკარგულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნა, რომ დასტურდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისათვის (1998 წლის 25 ივნისს) მოსარჩელის მფლობელობის ფაქტი სადაც საცხოვრებელ სადგომზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ ქ. პ-ი კანონის მიღების დროისათვის სადაც ნივთის ფაქტობრივად არ ფლობდა, კერძოდ:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს. ამავე კანონის 11 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მოსარგებლეა – პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადგებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. დასახელებული ნორმების თანახმად, პირის მოსარგებლედ მიჩნევისათვის სავალდებულოა კანონში მითითებული ერთ-ერთი პირობის არსებობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებათა წრეს და უთითებს, რომ მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით და ა.შ. სასამართლოს საქმის სწორად გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, გამოიყენოს მითითებულ მუხლში წახსენები ნებისმიერი მტკიცებულება და მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამა თუ იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით.

ქ. პ-ი სადაც საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივ ფლობას, კანონის მიღების დროისათვის ადასტურებს იმ ფაქტობრივი გარემოებით, რომ მასში დღემდე ინახება მოსარჩელის კუთვნილი ნივთები. აღნიშნული კი, კასატორის მოსაზრებით, დასტურდება მონინააღმდეგე მხარის – ვ. ვ-ის აღიარებით, რომელიც დაფიქსირებულია 2011 წლის 15 მარტის სხდომის ოქმში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

კასატორის მიერ მითითებულ სხდომის ოქმში ვ. ვ-ი განმარტავს, რომ „სადაც სახლში არ ვცხოვრობთ, სახლი არის აგარიულ მდგომარეობაში, სახლში კი ჩემი ნივთები ანუკია. რაც შეეხება ა-ის ნივთებს, რაღაც ძველი ტანსაცმელი კი იყო სახლში. რაც იყო სახლში ა-ის ნივთები, მოდიოდნენ და ნელ-ნელა მიჰქონდათ“. მართალია, ვ. ვ-ი მიუთითებს წარსულში კასატორის ნივთების სადაც ფართში არსებობაზე, მაგრამ ამ განმარტებით არ დგინდება აღნიშნული ფაქტის – ნივთების სადაც ფართში განთავსების პერიოდი. შესაბამისად, მხარის განმარტებით, ვერ დგინდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება 1994 წლამდე მოსარჩელის ნივთების სადაც ფართში არსებობა. შესაბამისად, ქ. პ-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, არ თავისუფლდება სადაც ფაქტის მტკიცების მოვალეობისა-გან. ქ. პ-ს სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა კანონის მიღების დროისათვის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, რათა გამხდარიყო იმ სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელსაც აწესრიგებს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მფლობელობად მიიჩნევა საცხოვრებელი ფართის ფლობა, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოსარგებლის მიერ ნივთით უშუალოდ სარგებლობითა და ფლობით, ასევე მოსარგებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების საცხოვრებელ ფართში განთავსებით. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მფლობელობის არსიდან, რაც გულისხმობს ნივთის იურიდიულ ბატონობას და არა შხოლოდ მის პყრობას.

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. პ-ის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლის უფლებამონაცვლება

განჩინება

№ას-10-10-2012

28 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოფრია

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ლ. ხ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულების – 56175 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

თბილისის ორგანიზიძის რაიონის რაიონამდებარებულის დედას – მ. გ-ს უფლება მიეცა, მუდმივად ეცხოვრა კ-ის (შემდეგში შ-ის) ქ. №17-ში მდებარე 18 კვ.მ ერთ ოთახში, ხოლო 1942 წლის 5 დეკემბერს მოსარჩელის მამა პ. ხ-ს – იმავე სახლში მდებარე 16 კვ.მ. ერთ ოთახში. მამა გარდაიცვალა 1991 წელს, ხოლო დედა – 1998 წელს. მოსარჩელე დღემდე აგრძელებს ამ ბინაში ცხოვრებას, იხდის კომუნალურ გადასახადებს. მოსარჩელეს, როგორც მოსარგებლების უფლებამონაცვლებს, უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფოსაგან საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულება.

მოპასუხე სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან მოსარჩელეს არ დაუკარგებებია, რომელმა სახელმწიფო ორგანომ უნდა აუნაზღაუროს სადაცვო თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მაისის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხის მხარეზე მესამე პირებად ჩატარებული ი. და რ. გ-ები, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ხ-მ გადასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

ქ.თბილისში, შ-ის (ყოფილი კ-ის) ქუჩა №17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ „ა-ს“ II სართულზე მდებარე №11 და №12 ოთახები, ამ ოთახების ნინ მდებარე სათავსები – შუშაბანდი, სამზარეულო, სანიტარული კვანძი და კიბის ქვეშ არსებული დამხმარე სათავსი იმყოფება ლ. ხ-ს მფლობელობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ლ. ხ-ა არ წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმობილი ურთიერთობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს.

საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთი რ. და ი. გ-ების თანასაკუთრებაშია.

ლ. ხ-ს მშობლები ზემოაღნიშნულ ბინას ფლობდნენ მართლზომიერად. №11 16 კვ.მ ოთახი მოსარჩელის მამას – პ. ხ-ს გადაეცა 1942 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამართველოს მიერ ამავე წლის 5 დეკემბერს გაცემული №524 ორდერით. დასახელებული ორდერით, ა-ის ქუჩა №3-ში მცხოვრებ პ. ა-ს დე ხ-ს მიეცა შესახლების უფლება ოჯახის 2 წევრთან ერთად კ-ის ქუჩა №11-ში მდებარე 16 კვ.მ ერთ ოთახში, პ-ს ყოფილ ბინაში, ხოლო ლ. ხ-ს დედას – მ. (მ.) გ-ს 1939 წელს სადირექტივი მოცემული ბინაში №ა-041 განკარგულების თანახმად, უფლება მიეცა, მუდმივად ეცხოვრა კ-ის №11-ში მდებარე 18 კვ.მ ბ-ის ყოფილ ერთ ოთახში.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. და ჯ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა და ს. ჯ-ა, კ. კ.-ჯ-ა, მ. ჯ-ა, გ. მ-ე, ო. გ-ე, ლ. ხ-ა და ო. გ-ი გამოსახლდნენ ქ.თბილისში, შ-ის (ყოფილი კ-ის) ქ. №17-ში მდებარე სახლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში იმ ცვლილებით, რომ გ. მ-ე, ს., კ. და ი. ჯ-ები სადავო ბინებიდან გამოსახლდნენ დროებით, სადავო ბინის ფაქტობრივად დანგრევის მომენტისათვის და ახალი სახლის აშენების შემდეგ შესახლდნენ იმავე ფართში.

1995 წლის 11 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებითა და 1996 წლის განჩინებით გამოსახლებული პირები ო. გ-ე, ლ. ხ-ა და ო. გ-ი აღნიშნული დროისათვის დაკმაყოფილდნენ ბინებით. ო. გ-ე იმ პირთა შორის იყო, რომელიც პ. ხ-ს სახელზე გაცემული ორდერის მიხედვით გამოყოფილ ბინაში გადავიდა. ლ. ხ-სა და თ. გ-ს კი, საკუთრების უფლებით ბინა მიეცათ ქ.თბილისის პირველი მასის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1981 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით. აღსანიშნავია, რომ ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, ზემოხსენებულ პირებს ბინა იმ საფუძვლით გამოეყოთ, რომ მათ ბინა საკუთრებაში არ გააჩნდათ და კ-ის ქ. №17-ში მდგმურის უფლებით ცხოვრობდნენ.

ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელის მამა – პ. ხ-ს სახელმწიფოსაგან ბინით დაკმაყოფილდა 1981 წელს, სადაც შესახლდა მოსარჩელის დედა, და და ძმა, ხოლო თავად მოსარჩელეს სახელმწიფოსაგან საკუთრების უფლებით ბინა 1965 წელს გამოეყო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ო. გ-ის, ლ. ხ-სა და ო. გ-ის უფლება სადავო ბინაზე, თუმცა, გამოსახლება განხორციელდა შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველზე ზემდგომი სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. გ-ი, ლ. ხ-ა და ო. გ-ე ჩანერილები იყვნენ ამ ბინაში, მაგრამ ახალი ბინების მიღების შემდეგ ამოენერნენ და ამჟამად კვლავ აგრძელებენ ჩაუწერავად გ-ების სახლში ცხოვრებას.

ამდენად, 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა რა მხარეთა უფლებები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ლ. ხ-ს უფლება სადავო ბინაზე არ იქნა აღიარებული, ვინაიდან სასამართლომ გამოარკვია, რომ ზემოხსენებული პირები ახალი ბინების მიღების შემდეგ ამოენერნენ სადავო სახლმფლობელობიდან, რის გამოც, ისინი გამოასახლეს, განსხვავებით გ. მ-ის, ს., კ. და ი. ჯ-ებისაგან, რომელთაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინებით დაუდგინდათ ამავე სახლში შესახლების უფლება.

სასამართლომ იხელმძღვანელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით და განმარტა, რომ დასახელებული კანონის რეგულირების სფეროში შემავალი ურთიერთობების თავისებურებას წარმოადგენს საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრისა და მოსარგებლის საერთო უფლებიდან თითოეულის მართლზომიერი ინტერესის დაკმაყოფილების საჭიროება. ამ უფლებასთან დაკავშირებით მესაკუთრის ან მოსარგებლის მიერ პრეტენზიის გაცხადება ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტული უფლების დადგენის საფუძველია, რითაც შესაბამისი სამართლურთიერთობა წყდება.

მოცემულ შემთხვევაში პალატამ მიუთითა, რომ სადავო ბინაზე დადგინდა რ. და ი. გ-ების საკუთრების უფლება, ლ. ხ-ს უფლება კი არ იქნა მიწინეული დასაბუთებულად, რის გამოც ეს უკანასკნელი, ოჯახთან ერთად, სასამართლოს 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით გამოსახლდა დაკავებული სადგომიდან.

ამდენად, აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მოსარგებლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით წარმოადგენდა სასამართლო განხილვის საგანს 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების მიღებისას და ამავე გადაწყვეტილების გადასინჯვის ეტაპზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული კანონის შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომის ფლობის ფაქტს განმარტავს ამავე კანონის 11-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, აღსანიშნავია, რომ ამ ნორმით გათვალისწინებულ უფლებათა ნამდვილობას კანონი უკავშირებს გარკვეული დროის პერიოდს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარგებლეს ზემოხსენებული საფუძვლით წარმოშობილი უფლება არა მხოლოდ მოპოვებული უნდა ჰქონდეს, არამედ აღნიშნული უფლება ნამდვილი, ანუ იურიდიული ძალის მქონე უნდა ყოფილიყო ამავე კანონი მიღების დროისათვის – 1998 წლის 25 ივნისისათვის.

სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ მოსარგებლის უფლების ნამდვილობა, მართლზომიერება და აღნიშნული უფლებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება განპირობებულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებით. უფლების ნამდვილობის და მართლზომიერების განსაზღვრის მიზნებისათვის, აუცილებელია, დგინდებოდეს 1998 წლის 25 ივნისისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით საცხოვრებელი სადგომის ფლობის ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე მართლზომიერად არ ფლობს საცხოვრებელ სადგომს, მნიშვნელოვანია მოსარგებლის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენა აღნიშნული ფაქტის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, პალატამ დაადგინა, რომ 1998 წლის 25 ივნისის მდგომარებით ლ. ხ-ს, ო. გ-ს და ო. გ-ს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეუწყდათ აღნიშნული საცხოვრებელი სადგომით მართლზომიერი ფლობის უფლება, ხოლო პ. ხ-ა, როგორც სენინებული გადაწყვეტილებების გამოტანის ასევე კანონის მიღების მომენტისათვის, გარდაცვლილი იყო.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ლ. ხ-ა, ო. გ-ე და თ. გ-ი არ წარმოადგენდნენ სადავო საცხოვრებელი სადგომის მართლზომიერ მფლობელებს, ვინაიდან აღნიშნული დროისათვის მათ მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის ფლობას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩინდათ, რის თაობაზეც აღნიშნული პირები ინფორმირებულები იყვნენ. აღნიშნული კი, სასამართლომ იმდაგვარად განმარტა, რომ ხსენებული სამართლურთიერთობის რეგულირების მიზნებისათვის სადავო პირები არ წარმოადგენენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლებს.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს აკისრია კომპენსაციის (საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების) ანაზღაურების ვალდებულება იმ მოსარგებლისათვის, რომელსაც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება მიღებული აქვს ადმინისტრაციული აქტით. მესაკუთრე შეტყუდულია, მოითხოვოს საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტა სახელმწიფოს მიერ ამ ვალდებულების შესრულებამდე, თუმცა, კანონი მესაკუთრეს ანიჭებს უფლებას, თავად გადაუხადოს მოსარგებლეს სადგომის საბაზრო ღირებულება.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ სამართალურთიერთობაში სახელმწიფოს არ ეკისრება ლ. ხ-სათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, ვინაიდან ლ. ხ-ა აღნიშნული კანონის მიღების მომენტისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გამოსახლდა სადავო ბინიდან, ასევე ამავე კანონის მე-8 მუხლის გამოყენების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იგი სახელმწიფოს მიერ უკვე დაკმაყოფილებულია ბინის გადაცემის გზით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-9 მუხლები იმ სამართალურთიერთობას არეგულირებს, როდესაც სახელმწიფო კერძო პირს ბინა გამოყენო, თუმცა შემდეგომ აღნიშნული ბინა სხვა კერძო პირის საკუთრებაში აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულება, დააკმაყოფილოს აღნიშნული პირი საცხოვრებელი ბინით, შენარჩუნებულია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოსარგებლისათვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულება, თუმცა აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ აღნიშნული პირი ბინის გამოყოფის გზით უკვე დაკმაყოფილა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ხ-ს დაკმაყოფილების მიზნით ბინა გამოეყო ასევე ლ. ხ-ს და თ. გ-საც. შესაბამისად, სახელმწიფო შესასრულა თავისი ვალდებულება და ადმინისტრაციული აქტით სხვის კერძო საკუთრებაში შესახლებულ მოსარგებლეს კომპენსაცია გადაუხადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ხ-მ გაასაჩინორა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-8 პუნქტი იმდაგვარად განმარტა, რომ იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს და კავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას. ამდენად, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ პირების გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული უფლებები და მოთხოვნები მათ უფლებამონაცვლებსა და მემკვიდრეებზე არ გადადის, ვინაიდან სესხებული კანონის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღნიშნულია უფლებამონაცვლებასთან დაკავშირებული უფლებები. იმ შემთხვევაზე კი, სადაც ურთიერთობა აღმინისტრაციული აქტით შესახლებულ პირებს ეხება, სასამართლომ ზემოთ მითითებული უფლებამონაცვლებასთან დაკავშირებული მსჯელობა არასწორად არ გაავრცელა. კანონმდებელი პირდაპირ არსად არ უთიოებს, რომ აღმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებულ პირებზე უფლებამონაცვლეობა არ უნდა გავრცელდეს. მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით და ამ უფლების უგულებელყოფა დაუშვებელია.

სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა და შესაბამისი კანონით არ დაარეგულირა ის გარემოება, რომ ო. გ-ს ორდერებით მიეცა სადავო ფართი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სადავო ფართიდან ამოწერის შემდეგ, ხოლო 1982 წლიდან გარდაცვალებამდე, 1998 წლამდე იგი ჩაეწერა და ცხოვრობდა შ-ის ქ. №17-ში. აღნიშნული დასტურდება რიგი მტკიცებულებებით. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმე-ში წარმოდგენილი საინფორმაციო ბარათი, სამოქალაქო რეესტრის დასკვნა, საინვენტარიზაციო გეგმა, კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქტი და თუნდათ სასამართლოს 1984 და 1995 წლების გადაწყვეტილებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საფარო რეესტრის ამონანერის თანახმად, სადავო უძრავი ნივთი რ. და ი. გ-ის თანასაკუთრებაშია.

ლ. ხ-ს მშობლები ზემოაღნიშნულ ბინას ფლობდნენ მართლზომიერად. №11 16 კვ.მ ოთახი მოსარჩევის მამას – პ. ხ-ს გადაეცა 1942 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამ-მართველოს მიერ ამავე წლის 5 დეკემბერს გაცემული №524 ორდერით. დასახელებული ორდერით, ა-ის ქუჩა №3-ში მცხოვრებ პ. ა-ს ძე ხ-ს მიეცა შესახლების უფლება ოჯახის 2 წევრთან ერთად კ-ის ქუჩა №11-ში მდებარე 16 კვ.მ ერთ ოთახში, ბ-ს ყოფილ ბინაში, ხოლო ლ. ხ-ს დედას – ო. (ო.) გ-ს 1939 წელს საღირექ-ტივო ორგანოების №ა-041 განკარგულების თანახმად, უფლება მიეცა, მუდმივად ეცხოვრა კ-ის №11-ში მდებარე 18 კვ.მ ბ-ის ყოფილ ერთ ოთახში.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. და ჯ. გ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა და ს. ჯ-ა, კ. კ-ჯ-ა, მ. ჯ-ა, გ. მ-ე, ო. გ-ე, ლ. ხ-ა და ო. გ-ი გამოსახლდნენ ქ.თბილისში, შ-ის (ყოფილი კ-ის) ქ. №17-ში მდებარე სახლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინე-ბით აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში იმ ცვლილებით, რომ გ. მ-ე, ს., კ. და ო. ჯ-ები სადაც ბი-ნებიდან გამოსახლდნენ დროებით, სადაც ბინის ფაქტობრივად დანგრევის მომენტისათვის და ახალი სახლის აშენების შემდეგ შესახლდნენ იმავე ფართში.

1995 წლის 11 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებითა და 1996 წლის განჩინებით გამოსახლებუ-ლი პირები – ო. გ-ე, ლ. ხ-ა და ო. გ-ი აღნიშნული დროისათვის დაკმაყოფილდნენ ბინებით. ო. გ-ე იმ პირთა შორის იყო, რომელიც პ. ხ-ს სახელზე გაცემული ორდერის მიხედვით გამოყოფილ ბინაში გადავიდა. ლ. ხ-სა და ო. გ-ს კი, საკუთრების უფლებით ბინა მიეცათ ქ.თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო დეპუ-ტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1981 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით. აღსანიშნავია, რომ ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, ზემოხსენებულ პირებს ბინა იმ საფუძვლით გამოყოთ, რომ მათ ბინა საკუთრებაში არ გააჩნდათ და კ-ის ქ. №17-ში მდგმურის უფლებით ცხოვრობდნენ.

ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩევის მამა – პ. ხ-ა სახელმწიფოსაგან ბინით დაკმაყოფილდა 1981 წელს, სადაც შესახლდა მოსარჩევის დედა, და და მმა, ხოლო თავად მოსარჩევეს სახელმწიფოსაგან საკუთრების უფლებით ბინა 1965 წელს გამოეყო.

1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველზე ზემდგომი სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. გ-ი, ლ. ხ-ა და ო. გ-ე ჩანერილები იყვნენ ამ ბინაში, მაგრამ ახალი ბინების მიღების შემდეგ ამოენერნენ და ამჟამად კვლავ აგრძელებენ ჩაუ-ნერავად გაბუნიების სახლში ცხოვრებას.

ამდენად, 1995 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა რა მხარეთა უფლებები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ლ. ხ-ს უფლება სადაც ბინაზე არ იქნა აღიარებული, ვინაიდან სასამარ-თლომ გამოარკვია, რომ ზემოხსენებული პირები ახალი ბინების მიღების შემდეგ ამოენერნენ სადაც სახ-ლომფლებლობიდან, რის გამოც ისინი გამოასახლეს, განხსვავებით გ. მ-ის, ს., კ. და ო. ჯ-ებისაგან, რო-მელთაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინებით დაუდგინდათ ამავე სახლში შესახლების უფლება სამომავლოდ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არასრულყოფილად აქვს შეფასებული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და, ამასთან, მათ მიეცათ არასწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც საქმეზე მიღებულია არასწორი გადაწყვეტილება.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ვერ გაიზარებს სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებას, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის შესაბამი-სად სადგომით მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის (მეგვიდრისათვის) ანაზღაურების ვალდებულე-ბა, როცა საქმე ეხება ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ პირებს, კანონით გათვალისწინებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ასეთ დათქმას არ შეიცავს. ამასთან, ამ სახის ურთიერთობის სპეცი-ფიურბის წარმოსაჩენად სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითება იმ ფაქტზე, რომ ამ სახის ურთიერ-თობებს საბინაო კანონმდებლობა არ იცნობდა, არასწორია, რადგან იმ დროისათვის მოქმედი საბინაო კა-ნონმდებლობა არ ითვალისწინებდა არც ერთი სახის ურთიერთობას, რომელიც რეგულირებულია ამ კანო-ნით. ხოლო რაც შეეხება პრივატიზაციას, იგი ეხებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ბინებს და ამ პროცესში ვერც ერთი ზემოთ მითითებული კანონით გათვალისწინებული მოსარგებლები მოიღებდა მო-ნაილეობას.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონი გან-სხვავებულად არეგულირებს აღმინისტრაციული აქტის საფუძველზე შესახლებული პირების მიმართ წარმოშობილ ურთიერთობებს. კანონის მე-2 მუხლის მე-8 ქვეპუნქტის თანახმად, იმ მესაკუთრებს, რომ-ლის საცხოვრებელ სადგომშიც აღმინისტრაციული აქტით შესახლეს მოსარგებლებს შეუძლია მოსარგებ-ლებს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლებს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ლირებულებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ნორმა არავითარ დათქმას არ აკეთებს (არ კრძალავს) უფლებამონაცვლების თაობაზე. სა-მოქალაქო კოდექსი კი ასეთი შემთხვევასთან დაკავშირებით ამგვარ დათქმას აკეთებს 157-ე მუხლის თა-ნახმად, მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იგივე სახით რა სახითაც არსებოდა იგი მამკვიდრებელ-თან. აღნიშნული წორმიდან გამონმდინარე მემკვიდრე აღიჭურვება იგივე უფლებებით, რაც აქვს მამკვიდ-რებელს. იგივე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის თანახმად, საკიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ასევე მოვალეობების ერ-თობილობას, რაც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. შესაბამისად, ფართის დათმობაც

გარეკვეული სასაყიდლის სანაცვლოდ აღამიანის ქონებრივ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების რეალიზაცია არ შეიძლება შეიზღუდოს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატათვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და სათანადო შეფასება არ მისცა მათ. კერძოდ, სასამართლოს არ დაუდგენია, ცხოვრობს თუ არა მოსარჩელე სადაც ფართში და რა პერიოდიდან ფლობს მას. ასევე სასამართლოს სათანადო შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისათვის, რომ პ. ხ-ზე გაცემული ორდერი გაფორმდა მის ვაჟზე – მ. ხ-ზე ოჯახის გაყოფის მიზნით. სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემოება, გააგრძელა თუ არა პ. ხ-მ სადაც ქონების ფლობა ორდერის გაცემის შემდეგ. ასევე, შეწყვიტა თუ არა მ. გ-მ სადაც ფართის ფლობა ახალი ბინის მიღების ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და სახლის მფლობელობის გაგრძელების შემთხვევაში, რა სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა იგი მესაკუთრესთან. სასამართლოს ასევე უნდა გამოიკვლია, მიღებული აქვთ თუ არა ლ. ხ-ს მშობელთა სამკვიდრო ქონება კანონით დადგენილ წესით და არის თუ არა იგი უფლებამოსილი იდავოს აღნიშნულ ქონებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება არასრულია, რის გამოც იგი განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამართლებრივი სამართლი

არასრულცლოვანი უფლებათა დაცვა

განჩინება

№ას-669-630-2011

11 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

გ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ., ნს., მ. და ზ. წ-ების მიმართ და, სამოქალაქო კოდექსის 1204-ე და 1198-ე მუხლების თანახმად, მოითხოვა მოპასუხებისგან არასრულწლოვანი შვილების დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით: გ. ბ-სა და მის მეუღლეს, ხ. წ-ს, შეეძინათ სამი შვილი: 2002 წლის 16 თებერვალს დაბადებული ხ. ბ-ი, 2006 წლის 10 იანვარს დაბადებული ს. ბ-ი და ლ. ბ-ი. 2009 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა გ. ბ-ის მეუღლე, ხ. წ-ი, რის შემდეგაც მოსარჩელე დასთანხმდა, რომ, სამგლოვიარო დღეებში, ბავშვები ყოფილიყვნენ მოპასუხებთან, ხ. წ-ის მშობლებსა და დებთან. დაკრძალვის შემდგომ, მოპასუხეთა თხოვნით, მოსარჩელე დასთანხმდა, რომ მისი არასრულწლოვანი შვილები საცხოვრებლად დარჩენილყვნენ მოპასუხებთან, თუმცა გ. ბ-ი ყოველდღიურად ნახულობდა მათ. გარეკვეული პერიოდის შემდგომ, როდესაც ხ. ბ-მა მოითხოვა მამის სახლში ღამის გათევა, სადაც იზრდებოდა კიდევ იგი დედის გარდაცვალებამდე და მამამ მისი სურვილი დაკმაყოფილა, წარმოიშვა კონფლიქტი მოპასუხებთან, რასაც მოჰყვა მათი მხრიდან მოსარჩელის სახლიდან ხ. ბ-ის ძალისმიერი მეთოდებით ნაყვანა. აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც გ. ბ-ი მივიდა მისი გარდაცვლილი მეუღლის იჯახში ბავშვის სანახავად და წამოსავყანად, მას ამის საშუალება არ მიეცა, უფრო მეტიც, მოპასუხებმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, თითქოსდა მოსარჩელის მხრიდან განხორციელებული ძალადობის აღსაკვეთად.

მოპასუხებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: ბავშვები ხ. წ-ის გარდაცვალებამდეც დროის უმეტეს ნაწილს სწორედ მოპასუხებთან ატარებდნენ. ისინი დედის გარეშე არასდროს დარჩენილან გ. ბ-ის სახლში. გარდა ამისა, მოპასუხეთა უარი, გადასცენ ბავშვები მათ კანონიერ წარმომადგენელს, განპირობებულია თავად არასრულწლოვანთა სურვილით და მიმართულია მათი კეთილდღეობისკენ, რადგან მოსარჩელე, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე (წლების განმავლობაში მოიხმარდა ნარკოტიკებს), ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ნორმალურ აღზრდას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა ნ., ლ. და ს. ბ-ების მამისთვის, გ. ბ-ისთვის დაბრუნება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ., ნს., მ. და ზ. ნ-ებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდა ნ., ნს., მ. და ზ. ნ-ების სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ბ-სა და ნნ. ნ-ს შეეძინათ სამი შვილი: 2002 წლის 16 თებერვალს დაბადებული ნ. ბ-ი, 2006 წლის 10 იანვარს დაბადებული ს. ბ-ი და ლ. ბ-ი. ნნ. ნ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 26 ნოემბერს. 2009 წლის ნოემბერში გ. ბ-ის თანხმობით ბავშვები იმყოფებოდნენ მოპასუხებთან, რა დროსაც გ. ბ-ს ბავშვებთან ურთიერთობის პროცესში არ ჰქონია. მოგვიანებით მოპასუხებმა უარი განაცხადეს მოსარჩელისათვის ბავშვების დაბრუნებაზე. მოპასუხები ნ. ნ-ი და ზ. ნ-ი არიან 2009 წლის 26 ნოემბერს გარდაცვლილი ნნ. ნ-ის მშობლები, ხოლო მ. და ნს. ნ-ები - დები. გ. ბ-ი ნლების განმავლობაში მოიხმარდა ნაკოტიკა. იგი 2008 წლის 10 ოქტომბრიდან გადიოდა მკურნალობის კურსს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებაში დიაგნოზით: ოპიოდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, თავშეკავება მიმდინარე კლინიკური დაკვირვების ქვეშ ჩანაცვლებითი თერაპიის პირობებში. 2010 წლის 18 თებერვლის სასამართლოს დროებითი განკარგულების თანახმად, გ. ბ-ს ბავშვებთან ურთიერთობის უფლება დაუდგინდა ოჯახის ახლობლების ქ. ბ-ისა და თ. გ-ის თანდასწრებით. ს. და ლ. ბ-ები, მას შემდეგ რაც იმყოფებიან მოპასუხებთან, თითქმის აღარ დაჰყავთ საბავშვო ბალში. ორივე მხარეს ბავშვების ჩჩენა-აღზრდისათვის აქვთ ნორმალური პირობები.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ბ-ი 18 წლიდან ნაკოტიკულ ნივთიერებებს აქტიურად მოიხმარს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ქ.თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 14.07.2010 წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ გ. ბ-ი 2006 წლის გასამართლებულ იქნა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალებების შექმნა-შენახვის ფაქტზე) და მიესაჯა 5 წლით პირობითი სასჯელი და დამატებით სასაჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. ამავე ცნობის თანახმად, გ. ბ-ი არის ნარკოტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელი, რის გამოც იგი იმყოფებოდა აღრიცხვაზე 2008 წლის 10 ოქტომბრიდან „სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მეთადონით ჩანაცვლების მკურნალობის თერაპიის განყოფილებაში“, იგი ყოველდღიურად ილებდა პრეპარატ „მეთადონს“, გამოირჩეოდა აგრესით, კონფლიქტი მოსდიოდა მოქალაქებთან, რის გამოც რამოდენიმეჯერ გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია. გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ 2009 წლის 21 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს ნარკოტიკული საშუალების უკანონობის ფაქტზე გ. ბ-ი დაჯარიმებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 500 ლარის ოდენობით.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ბ-ი, როგორც ნარკოტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელი, 2008 წლის 10 ოქტომბრიდან გადიოდა მკურნალობის კურსს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებაში დიაგნოზით: – ოპიოდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, თავშეკავება მიმდინარე კლინიკური დაკვირვების ქვეშ ჩანაცვლებითი (მეთადონით) თერაპიის პირობებში. მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის მე-7 განყოფილების უფროს ზ. შ-ას დახასიათების მიხედვით, გ. ბ-ის ჯამრთელობის მდგომარეობა იყო სტაბილური, პროგრამაში მონაცილეობის პერიოდში რეუმიმი უხეშად არც ერთხელ დაურღვევია. მისივე განმარტებით, დადგინდა, რომ გ. ბ-მა 2010 წლის 10 თებერვალს დაასრულა მკურნალობის კურსი და იგი განყოფილებიდან გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. იგი მოტივირებული იყო ფხიზელი ცხოვრების ნესსზე, ასევე საფრთხეს არ ნარმოადგენდა საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთათვის. განერისას მას დაესვა დიაგნოზი: ადრეული რემისია. მისივე მითითებით, გ. ბ-ს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, პიროვნების დეგრადაციის ნიშნები არ აღენიშნებოდა; რემისიიდან მთელი ცხოვრება შეიძლება გაგრძელდეს. არ არსებობს ზუსტი მონაცემი, როდის შეიძლება დამთავრდეს იგი, ამასთანავე ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანისთვის პროგრამიდან გასვლის შემთხვევაში არსებობს ქმედების განხორციელების რისკ-ფაქტორი და 2005 წლიდან პროგრამიდან გასული პირების დაახლოებით 10%-ს აქვს მყარი რემისია. მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ, იმის თქმა არ შეიძლება, რომ პირი საერთოდ აღარ მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს, მაგრამ, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით ნაკლებია ქმედების განხორციელების რისკ-ფაქტორი. სს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი მ. ლ-ას განმარტებით, გ. ბ-ს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი არ აღენიშნება, ვინაიდან იგი იმყოფება რემისიის მდგომარეობაში. მ. ლ-ას მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ 2010 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით გ. ბ-ს ჩაუტარდა დინამიური ნარკოლოგიური გამოკვლევა და დაუდგინდა ადრეული რემისია. ექიმი-ფსიქოლოგის განმარტებით, დაგინდება, რომ გ. ბ-ი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად უსაფრთხოა, იგი მზადა ბავშვებთან დასაბრუნებლად. მოტივირებულია ჯანსაღი ცხოვრების ნესტე. მოტივაციის ზრდის ბავშვების დაბრუნების სურვილი. ამასთანავე, სპეციალისტ მ. ჭ-ის ჩვენებით გ. ბ-ი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მზადა ბავშვების დასაბრუნებლად, თუმცა ნარკოტიკების მოხმარების განახლების საშიშროება მუდმივად არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშავის 6. გ-ის დასკვნიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ბ-ის ოჯახის საყოფაცხოვრები პირობები დამაკმაყოფილებელია. სამივე ბავშვი ძალიან აქტიური და კეთილგანწყობილია ყველას მიმართ. სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მუშავის შეკითხვაზე ბავშვები პასუხობენ, რომ თავს კარგად გრძნობენ და ნ-ების ოჯახში ურჩევნიათ ყოფნა. ამავე დასკვნის თანახმად, 6. ბ-თან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ბავშვები არა აქვს სურვილი იცხოვროს მამასთან, თუმცა მამა უყვარს და არ აპირებს ურთიერთობის განყვეტას. გარდა ამისა, ნ-ების ოჯახის ყველა წევრი ფირობს, რომ ბავშვებს მამა შეუნარჩუნონ, მაგრამ გ. ბ-ი, რომელიც თითქმის არ მონაწილეობდა შვილების აღზრდაში, მზად არ არის, აიღოს ის დიდი პასუხისმგებობა, რაც ბავშვების სწორად აღზრდას უკავშირდება. დასკვნის თანახმად, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ესაჭიროებათ მზრუნველი და უსაფრთხო გარემო პირობები, სადაც დროულად იქნება ბავშვის ყველა საჭიროება და კამაყოფილებული. ორივე ოჯახმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვების მოთხოვნები, როგორ შეუძლიათ ერთობლივი მოქმედებებით დაეხმარონ მათ. პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 18 თებერვლის სასამართლოს დროებით განკარგულების თანახმად, გ. ბ-ს ბავშვებთან ურთიერთობის უფლება დაუდგინდა ოჯახის ახლობლების, ქ. ბისა და თ. ვ-ის, თანდასწრებით. მოწმე ქ. ბ-ის განმარტებით, მან დროებითი განმინიების მიღების შემდეგ 4-5 ჯერ მიიღო მონაწილეობა გ. ბ-ისა და ბავშვების ურთიერთობაში. თავიდან ბავშვები ტიროდნენ, რადგან არ სურდათ მამასთან წასვლა. შეხვედრაზე მხოლოდ ტყუპები დადიოდნენ. უფროსმა შვილმა თავად განაცხადა, რომ იგი არ წავიდოდა მამის სანახავად. შეხვედრის დროს გ. ბ-ი ჩვეულებრივად ზრუნავდა ბავშვებზე. გარდა ამისა, ერთ-ერთი შეხვედრის დროს გ. ბ-მა არასრულწლოვნები წაიყვანა სახლში, სადაც მათ მამიდა და ბებია-ბაბუაც დახვდნენ. ბავშვებს მამის სახლში დარჩენის სურვილი არ გამოუთქვამთ. შეხვედრებისას ტყუპები კარგად ხვდებოდნენ გ. ბ-ს. ბოლო შეხვედრისას ისინი მამას აღარ წაყვნენ.

პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ბ-ის მხრიდან, ამჟამად ან წარკოტიკების მოხმარების პერიოდში, ბავშვების ინტერესების საზიანო, საფრთხის შემცველი მოქმედებები ასევე საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არ გაიზიარა, რომ არასრულწლოვნანი ბავშვები, ს. და ლ-ბ-ები, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მზად არიან მამასთან დაბრუნებისათვის.

სააპალაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოები იძლევა საწინააღმდეგოს მტკიცების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, აღნიშნულის წინაპირობას წარმოდგენილი მტკიცებულებები: იაშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ცენტრის მიერ ლ. და ს. ბ-ების სახელზე გაცემული ჯანმრთელობის ცნობა; დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 26.04.2010 წლის ნერილი; ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ი. ი-ისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათ დოქტორის – ქ. ჩ-ის გამოკვლევა; სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლის თ. ხ-ს გამარტება და სასამართლოს შინაგანი რწმენა, რომელიც ემყარება სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპალაციო სასამართლო მიზანშეუწონელად მიიჩნია, ბავშვების დაბრუნება გ. ბ-ისათვის მანამ, სანამ არ გავა გარკვეული დრო და მის გამოჯანმრთელებას ოფიციალურად არ დაადასტურებენ სპეციალისტები. პალატის მოსაზრებით, გ. ბ-მა, გარდა იმისა, რომ უნდა განამტკიცოს მიღწეული შედეგი გამოჯანმრთელების თვალსაზრისით, ამავდროულად უნდა მოაზადოს ბავშვები ფსიქოლოგიურად სიტუაციის შესაცვლელად, მათი შემდგომი ადაპტაციის პროცესის გაადვილების მიზნით. მამასთან შვილები დროთა განმავლობაში უნდა დაახლოვდნენ და არსებულ სიტუაციაში, როცა ბავშვები ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობისას დაძაბულები არიან, რაც მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული, ბავშვების მოწყვეტა ჩვეული გარემოსაგან უფრო საზიანოა, ვიდრე ბუნებრივი ინტერესი, რომ ბავშვები მამასთან იყვნენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრები და განმარტა: დავის არსიდან გამომდინარე, სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება განხილულ იქნება მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული მიღებომით. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციით, აღირებულია ბავშვების კეთილდღეობის მიზნით, მათი აღზრდის ბუნებრივი გარემოს ჯეროვანი დაცვისა და მხრდაჭერის პრინციპი. კონვენციით აღიარებულია ბავშვის პიროვნების სრული და პარმონიული განვითარებისათვის მისი ოჯახურ გარემოში, ბეჭინერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში აღზრდის აუცილებლობა. ოჯახური გარემო მოიცავს არა მხოლოდ მშობლების – დედისა და მამის გარემოცვას, არამედ ბავშვისათვის ჩვეულ გარემოს გულისხმობს, სადაც ის თავს დაცულად და უსაფრთხო გრძნობს, უზრუნველყოფილია მისი როგორც ინდივიდის მზაობა სრულფასოვნად და დამოუკიდებლად, მომზადებულად გრძნობდეს თავს საზოგადოებაში. ამავე კონვენციის მე-9 მუხლით დადგენილია შესაძლებლობა, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არსებული კანონებისა და პროცედურების შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაცილება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის განმახორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას. ამავე კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბი-

ნის ხელშეუხებლობის ან კორესპოდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი. კონკრეტულ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით მნიშვნელოვანია პირორიტეტის განსაზღვრა არა მამის, გ. ბ-ის, ინტერესების გათვალისწინებით, არამედ სამი – არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. გ. ბ-ის პიროვნების, მისი არაპროგნოზირებადი მომავლის, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და უმთავრესად ნ. ლ. და ს. ბ-ების ინტერესების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ბავშვები ჩვეული ოჯახური გარემოს არ უნდა მოსწყობნენ.

განსახილველ შემთხვევაში მამისა და შვილების ურთიერთობის, მათი ინტერესების პროპორციულობისა და პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, ვისი უფლებები დაირღვევა ბავშვების გ. ბ-ისათვის გადაცემის ან გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში. პალატამ მიიჩნია, რომ მამის ინტერესი დაიბრუნოს ბავშვები ამ ეტაპზე, ვიდრე ბავშვები იმყოფებიან ჯერ კიდევ სტრესულ მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვყავს ბიოლოგიურ მამა გადატანილ უნდა იქნეს მერქ პლაზე. პალატამ განმარტა, რომ ფსიქოლოგების დასკვნის თანახმად, მამას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ბავშვების ცხოვრების რეჟიმის გათვალისწინებით, გარკვეული დანაწესით ნახოს და იქონიოს შვილებთან ურთიერთობა, თუმცა, ამ ეტაპზე იგი ვერ უზრუნველყოფს ბავშვებისათვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნას რადგან ინტერესითა და ფასეულობათა ბალანსი ნარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

პალატამ, დაეყრდნო რა სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1199-ე, 1204-ე მუხლებს, არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებს ბავშვების მათთან ყოფნის კანონიერი საფუძველი არ გააჩნიათ. მონეტ ქ. ბ-ის ჩვენებაზე დაყრდნობით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბავშვები დედის სიცოცხლეშიც ძირითადად წ-ების სახლში იზრდებოდნენ, ასევე დადგენილად იქნა ცნობილი, რომ 2009 წლის ნოემბრები, ნ. წ-ის გარდაცვალების შემდეგ, გ. ბ-ის თანხმობით ბავშვები იმყოფებოდნენ მოპასუხეებთან. ამასთანავე, კანონმდებლობა განსაზღვრავს ბებია-პაპის თუ მშობლის უფლებას, ურთიერთობა იქონიონ შვილებთან (შვილიშვილებთან). ამ უფლების განხორციელების საკითხის გადაწყვეტისას კანონმდებელი უპირატესობას ბავშვის ინტერესს ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ გ. ბ-ს არც მშობლის უფლება აქვს შეზღუდული და არც მამობის უფლება – ჩამორთმეული, ეს არ გამორიცხავს იმის სამართლებრივ შესაძლებლობას, რომ გ. ბ-ს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ბავშვების უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. ბ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სასამართლოს მიერ მითითებული მამისა და მისი არასრულწლოვანი შვილების დიურენცირებული ინტერესები, არამედ, ამ დროს, ისინი ერთმანეთს ემთხვევა იმდენად, რამდენადაც მამის ინტერესი, მასთან იზრდებოდნენ მისი ბიოლოგიური შვილები, უპირველესად, სწორედ ამ უკანასკნელთა ინტერესების (ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ ბიოლოგიურ ოჯახში) განხორციელებას ემსახურება. სადაც შემთხვევაში საქმე ეხება არასრულწლოვანი ბავშვების ბიოლოგიურ მშობლობან, რომელსაც არც მშობლის უფლება აქვს შეზღუდული და არც მამობის უფლება – ჩამორთმეული. ამასთანავე, არსებობს აბსოლუტური მშაობა მშობლის მხრიდან, როგორც ჯანმრთელობის მდგრამარეობით, ისე შინაგანი მოტივაციით, იზრუნოს შვილებზე და შეუქმნას მათ სწორი, ჯანსაღი ცხოვრების გარემო. ეს რეალობა სრულებით ენინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომლის თანახმადაც, უხეშადა გამიხსული მამისა და შვილების ინტერესები. სასამართლო თავის დასაბუთებაში ასევე უთითებს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლზე, მაშინ, როდესაც თავადვე უგულებელყოფს ბ-ისთვის ამ ნორმით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს და უხეშად უზღუდავს მათ. გარდა ამისა, არ ხდება ამავე მუხლის მე-5 ნანილის გათვალისწინებაც, რომლის თანახმადაც, მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან და თავად განსაზღვრონ მათთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება. სააპელაციო სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ იზიარებს პირველი ინსტანციის მოსაზრებას, თითქოს მოპასუხებს ბავშვების მათთან ყოფნის კანონიერი საფუძველი არ გააჩნდათ, მით უმტეს, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ ასაბუთებს იმას, თუ რაში გამოიხატებოდა მოპასუხეებთან ბავშვების ყოფნის კანონისმიერი საფუძველი. სასამართლომ დაუსაბუთებლად გამიჯნა რა ერთმანეთისგან მშობლისა და შვილის ინტერესი და დაცილა ისინი, არ განსაზღვრა ვადა ან გარემოებები, რომლის დადგომისასაც კვლავ შესაძლებელი გახდებოდა მამისა და შვილების ერთად ცხოვრება. შესაბამისად, სამუდამოდ მოისპონირებული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის საჩივარი საფუძვლების შესაქმნელად დაუსაბუთებლად და ვანონის მოთხოვნათა სრული დარღვევით განხორციელდა მშობლის კანონიერი უფლებების შეზღუდვა გ. ბ-ისთვის, რაც, თავის მხრივ, არღვევს და ზიანს აყენებს ბავშვთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, მათ შორის იმ ნანილშიც, რომ მეურვე ან მზრუნველი არ დაენიშნა მათ. ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია და ენინააღმდეგება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის საჩივარი უნდა

დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი: მოცემულ შემთხვევაში სადაცოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ არასრულწლოვანები ნ., ლ. და ს. ბ-ები დედის, ნ. ნ-ის, გარდაცვალების (2009 წლის 26 ნოემბრის) შემდეგ ცხოვრობენ მოპასუხეებთან – დედის მშობლებსა და დებთან.

სააპელაციო სასამართლომ პავშვების მამის, გ. ბ-ის, სარჩელი მოპასუხეებისგან არასრულწლოვანი შვილების დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილა იმ დასაბუთებით, რომ ამ ეტაპზე ბავშვების დაბრუნება გ. ბ-ისათვის, სანამ არ გავა გარკვეული ვადა და მის გამოჯამრთელებას ოფიციალურად არ დაადასტურებენ სპეციალისტები, ბავშვების რისკის ქვეშ დაყენება, მათივე უსაფრთხოებისათვის პალატას მიზანშეუწონელად მიაჩნია. პალატა თვლის, რომ გ. ბ-მა გარდა იმისა, რომ უნდა განამტკიცოს მიღწეული შედეგი გამოჯამნრთელების თვალსაზრისით, ამავდროულად ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადოს ბავშვები სიტუაციის შესაცვლელად, მათი შემდგომი ადაპტაციის პროცესის გაადვილების მიზნით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კანონის შემდეგ დანაწესებზე: სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე. ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და საციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ თუ ვისთან უნდა იცხოვოს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება ჰქონდეთ ურთიერთობა შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება, ხოლო, 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღეს ბავშვის ინტერესებს. ამასთან, სახელმწიფოს დამოკიდებულება მშობლის მიმართ მხოლოდ მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრით არ შემოიფარგლება, არამედ სახელმწიფო იცავს მშობლის უფლებას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს შვილის აღზრდაში და გადაწყვიტონ, ვისთან და სად იცხოვროს შვილმა (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლი).

ზემოაღნიშნული ნორმები სრულად შესაბამება რა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციით ბავშვთა უფლებების დამცავ ნორმებს, ერთმნიშვნელოვნად ადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტს. ამასთან, ეს ინტერესი არ შეიძლება ვიზროდ იქნეს გაგებული.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის სანინაალმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. მშობლებთან დაშორება შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც აუცილებელია ერთ-ერთ მშობელთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, ეს გადაწყვეტილება არ უნდა ენინაამლდეგებოდეს ბავშვების ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, ალიზარდონ და იცხოვრონ მატერიალურად და მორალურად ჯანსაღ გარემოში. ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად და დამაჯერებლად უნდა შემონმდეს. ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მხოლოდ მატერიალურ, არამედ მორალურ მხარეს უნდა მიენიჭოს. ამდენად, კანონი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვი დაშორდეს მშობელს და ზოგ შემთხვევაში სხვა ოჯახის წევრთან ან უფლებამოსილ პირთან განსაზღვროს მისი საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ასეთი დაშორება მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობით უნდა იყოს გამოხვეული, ვინაიდან ბავშვისა და მშობლის დაშორება, ამ აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, უარყოფით გავლენას ახდენს მშობლის გარემოცვას მოწყვეტილი ბავშვის ფსიქიკაზე. ალნიშნულის მიუხედავად კანონი ბავშვის მშობელთან დაშორებას ითვალისწინებს, რასაც საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა, მშობლის უარყოფითი პიროვნული მახასიათებლები და ბავშვზე ნეგატიური ზეგავლენის დასაბუთებული საშიშროება. ამავდროულად, ამგვარი გადაწყვეტილების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი აუცილებლობა უფლებამოსილი ორგანოების მიერ დეტალურად უნდა იქნეს შესანალილი და გამოკვლეული. ალნიშნულს ადასტურებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის მითითება ბავშვის მშობელთან დაშორების დასავებობაზე, როდესაც „კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავა, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავით დადგენილი წესებით უნდა იქნეს განხილული, რაც სამოქალაქო სამართალწარმოების განსხვავებულ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებებითობის საფუძველზე, რაც დავისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითებასა და დამტკიცებაში სასამართლოს ჩაურევლობას გულისმობას. ამ წესიდან გამონაკლის წარმოადგენს სარგავო-სამართლოს ჩაურევლობრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რა დროსაც სასამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შეუძლია საქმის მნიშვნელოვანი გარემოება თავისი ინიციატივით დაადგინოს, კერძოდ:

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასაღვენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარე-ებს არ მიუთითებიათ. კანონის ასეთი დამოკიდებულება(შეჯიბრებითობის პრინციპის ნაცვლად სასამარ-თლოს მიერ სამოქალაქო საქმის ინკვიზიციური პრინციპით განხილვა) განპირობებულია საოჯახო ურთი-ერთობათა სპეციფიკითა და განსაკუთრებული მნიშვნელობით, რასაც ადასტურებს კონსტიტუციის 36-ე მუხლის სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. საოჯა-ხო ურთიერთობებში ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანია ადგილი უჭირავს და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნდა და-ადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებისათვის ყველაზე უკეთ შესაბამისობა. ამ მო-საზრებას განამტკიცებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად, ბავ-შვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორ-ციელები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

დავის სპეციფიკურობიდან და არასრულნლოვანია ინტერესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასა-მართლომ დეტალურად გამოიკვლია საქმის მასალები ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე და ასკვინის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უტყუარად არ ადგენს მშობლისა და შვილე-ბის დაშორების აუცილებლობას, კერძოდ:

ძირითადი მიზეზი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო, მდგომარეობს იმაში, რომ გ. ბ-ი, როგორც წარკომტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელი, 2008 წლის 10 ოქტომბრიდან გადიოდა მკურნალობის კურსს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მეთადონის ჩანაცვლებითი ოე-რაპის განყოფილებაში. ამავე განყოფილების უფროსის ზ. შ-ას განმარტებით, დადგინდა, რომჩემ. ბ-მა 2010 წლის 10 თებერვალს დაასრულა მკურნალობის კურსი და იგი განყოფილებიდან გაეწერა დამაკამაყო-ფილებელ მდგომარეობაში დიაგნოზით: ადრეული რემისია, რომელიც შეიძლება მოთელი ცხოვრება გაგ-რძელდეს და ნარკოტიკების მოხმარების განახლების საშიშროება მუდმივად არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე ბავშვების დაბრუნება გ.ბ-ისათვის სანამ არ გავა გარ-კვეული ვადა და მის გამოჯანმრთელებას ოფიციალურად არ დაადასტურებენ სპეციალისტები, ბავშვების რისკის ქვეშ დაყენება, მათივე უსაფრთხოებისათვის პალატას მიზანშეუწინლად მიაჩინა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რადგან თვით პალატის მიერ არის დადგენილი, რომ ნარკომანიისაგან გამოჯანმრთელების დროის განსაზღვრა და მისი რეციდივის გამორიცხვა შეუძლებელია, რაც თავისთავად გამორიცხვას პალატის მიერ არაერთაზ-როვნად მითითებული „გარკვეული ვადის გასვლის“ შემდეგ ბავშვების მშობელთან დაბრუნების შესაძ-ლებლობას. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია პალატის მოსაზრება, რომ მიღებული გადაწყვეტილება ბავშვების რისკის ქვეშ დაყენებისა ცილებას და მათ უსაფრთხოებას ემსახურება, თუმცა სასამართლო აღ-ნიშნულ მოსაზრებას რაიმე მტკიცებულებაზე არ აფუძნებს, რაც გამორიცხვას მის დასაბუთებულობას, კერძოდ:

სადაცოს არ წარმოადგენს, რომ წარკომანიით დაავადება ადამიანის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმე-დებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გ. ბ-ი მკურნალობს და საქმის მასალებით მკურნალობას დადე-ბითი შედეგები მოჰყვა, აღნიშნული არ იძლევა ცალსახა დასკვინის საფუძველს, რომ მამასთან ბავშვების ცხოვრება სარისკო და სახიფათოა. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც არსებობს არასრულნლოვანებისთვის არაჯანსალი გარემოს შექმნის ეჭვი, სასამართლოს სამო-ქალაქო საპროცესო კანონმდებლობით შეუძლია თავისი ინიციატივით ჩართოს მეურვეობისა და მზრუნ-ველობის ორგანო ბავშვების აღზრდაზე კონტროლის დასაწესებლად.

სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიაჩინა, რომ უნდა მოხდეს შვილების ბუნებრივი ადაპტაცია მამასთან და არსებულ სიტუაციაში, როცა ბავშვები ბიოლოგიურ მამასთან ურთიერთობისას დაძაბულები არინა და არ სურთ მასთან ურთიერთობა, რაც მოთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქ-ტორებით არის განპირობებული, ბავშვების მოწყვეტა ჩვეული გარემოსაგან უფრო საზიანოა, ვიდრე ჩვე-ულებრივი ინტერესი, რომ ბავშვები მამასთან იყვნენ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბავშვის აზრი მისი საცხოვრებე-ლი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა იგი შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული, თუკი მის ინტერესებს არ შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში გონივრული შეფასება უნ-და მიეცეს იმ გარემო პირობებს (არა მატერიალურს), სადაც ბავშვის იზრდება; უტყუარად უნდა იქნეს გა-მორიცხული, რომ ბავშვის ნეგატიური დამოკიდებულება მშობლისადმი მასზე არაჯანსალი ფსიქიკური ზემოქმედების და არასწორი აღზრდელობითი ღონისძიებების შედეგი არ არის; ასეთ გარემოებათა გამო-რიცხვის შემთხვევაში აუცილებლად უნდა დადგინდეს მშობლის ის უარყოფითი საქციელი, რაც სააპელა-ციო სასამართლოს დასკვინით არასრულნლოვანების მამასთან დაძაბულ ურთიერთობას იწვევს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით უთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ეჭვი მშობლის უფლების არასწორად განხორციელებისა ან ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების არასწორ-რად მოწესრიგებისა, რაც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს, ყველა ორგანო, მათ შორის უპირველესად სასა-მართლო, რომელსაც კანონით სწორედ ამიტომ განსაზღვრა ინკვიზიციური უფლება ფაქტობრივი გარე-მოქმედების დადგენისა და გამოკვლეულისა, ვალდებულია, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ბავ-შვების უფლებების დასაცავად და აქტიურად ჩართოს კომპეტენტური ორგანოების ამ მდგომარეობის მო-

საწესრიგებლად. ამ დავის გადაწყვეტისას ყურადსალებია სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლის დანაწესი, რომელიც ავალდებულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომ აქტიურად ჩაერთოს არასრულნლოვანთა უფლებების, მათ შორის განათლების უფლების დაცვაში და არა ზოგადი დაკვირვებებითა და მხოლოდ საცხოვრებელი პირობების შესწავლით შემოიფარგლოს.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალებით აშკარად იკვეთება ბავშვთა უფლებების დარღვევა ფიზიკური, გონიერივი, სულიერი და სოციალური განვითარებისა და აღზრდის საკითხში, რადგან კანონიერი წარმომადგენლის – მამის მიერ არ (თუ ვერ) ხორციელდება შესაბამისი ზომები ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით, რაც ბავშვებისთვის გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს და ამ გარემოებას თავიანთ განმარტებებში მოდავე მხარეებიც ადასტურებენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება მოზარდებს, რომელთა განათლებაში დღის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ყურადსალებას მიაქცევს შემდეგ გარემოებასაც: იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრება მოპასუხების საცხოვრებელი ადგილი, არასრულნლოვანების განათლება (სკოლის, ბალის) კვლავ პრობლემატური და მოუწესრიგებელი დარჩება, რადგან მოდავე მხარეებს შორის გონივრული მიდგომით, ბავშვების უფლებებისა და ინტერესების მიმართებით არსებული პრობლემის პრიორიტეტულად გათვალისწინებით, შეთანხმების მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია (საკასაციო სასამართლოს ამ დასკვნას საფუძვლად უდევს როგორც საქმის მასალები, ასევე საკასაციო სასამართლოს სხდომებზე მიღებული მხარეთა განმარტებები).

მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება ეჭვევეშ აყენებს პალატის მოსაზრებას, რომ გ. ბ-მა, გარდა იმისა, რომ უნდა განამტკიცოს მიღწეული შედეგი გამოჯაზროვნების თვალსაზრისით, ამავდროულად უნდა მოამზადოს ბავშვები ფსიქოლოგიურად სიტუაციის შესაცვლელად, მათი შემდგომი ადაპტაციის პროცესის გაადვილების მიზნით, უნდა მოხდეს შვილების ბუნებრივი ადაპტაცია მამასთან. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რაიონულმა სასამართლომ მიიღო დროებითი განკარგულება ბავშვებისა და მამის ურთიერთობის რეგულირების მიზნით, თუმცა ამ განკარგულების შესრულება არ ხორციელდება, ვინაიდან სასამართლოს დროებითი განკარგულების თანახმად, გ. ბ-ს ბავშვებთან ურთიერთობის უფლება დაუდგინდა ოჯახის ახლობლების ქ. ბ-ისა და თ. გ-ის თანდასწრებით, რის განხორციელებაზე ეს უკანასკნელები უარს აცხადებენ და სასამართლოსაც რაიმე კორექტივი ამ განკარგულებაში არ შეუტანია. ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს შვილების ბუნებრივი ადაპტაცია მამასთან და შესაბამისად, ბავშვებისა და მშობლის უფლებების დაცვა.

აღნიშვნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს არა მარტო სარჩელში და შესაცემელში მითითებული ფაქტები არასრულნლოვანების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელ ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, არამედ გადაწყვეტილების კვლევით ნანილში მითითებული გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც დამაჯერებლად და სარწმუნოდ დადგინდება, რომ არასრულნლოვანების და მშობლის დაშორება აუცილებლობითა გამოწვეული ან ასეთი დაშორების აუცილებლობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსაზილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულნლოვანი შვილის საცხოვრებელი აღგილი მშობლების განდორნილებისას

განრიცხვა

№ას-441-416-2011

27 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: არასრულნლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და დედისათვის აღსაზრდელად გადაცემა

აღნიშვნილობითი ნაწილი:

მ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ნ-ის მიმართ და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მისთვის აღსაზრდელად გადაცემა შემდეგი დასაბუთებით: 1999 წლის 1 ნოემბრიდან მოსარჩელე მ. ა-ი და მოპასუხე გ. ნ-ი იმყოფებიან ქორნინების რეგისტრაციაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ სამი შვილი: 1999 წლის 30 ივლისს დაბადებული ც. ნ-ი, 2003 წლის 25 აპრილს დაბადებული ქ. ნ-ი და 2005 წლის 17 აგვისტოს დაბადებული დ. ნ-ი. მეუღლებს რამდენიმე წელი შეწყვეტილი აქვთ ცოლ ქმრული ურთიერთობა. 2009 წლის ივლისში მ. ა-მა დატოვა მეუღლის ოჯახი და დ. ნ-თან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თავის ძმასა და დედასთან, თელავის რაიონის სოფ. ...ში, სადაც ცხოვრობს ამჟამადაც, ხოლო ც. და ქ. ნ-ები იმყოფებიან ბებიასა და მამასთან – თელავის რაიონის სოფ. ნ-ში. თანაცხოვრების პერიოდში იგი ხშირად გამხდარა ოჯახურ ძალადობის მსხვერპლი, როგორც მეუღლის, ისე დედამთილის მხრიდან, რომლებიც აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყას, თათხი ჩატარებულის გზით უზღუდავდნენ თავისუფლად გადაადგილების, საკუთარ შვილებთან ურთიერთობისა და მათზე ზრუნვის საშუალებას. რამდენჯერმე გამოაგდეს სახლიდან, შვილები კი სახლში დაიტოვეს და არ აძლევენ მათთან ურთიერთობის საშუალებას, ბავშვებს განაწყობდნენ მის წინააღმდეგ და უნერგავდნენ დედის სიძულვილს. გ. ნ-ი თითქმის 2 წელიწადია წასულია თბილისში, სადაც მას ჰყავს არარეგისტრირებული მეუღლე და იშვიათად ჩამოდის დედის ოჯახში. მათი ოჯახური თანაცხოვრება დიდი ხანია შეწყვეტილია, რის გამოც სასამართლომ შესარიგებელი ვადის მიცემის გარეშე უნდა მოახდინოს მათი განქორწინება, ხოლო ც. და ქ. ნ-ების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი, სოფელ ...ში მდებარე ძმის ნ. ა-ის საცხოვრებელი სახლი, რომელიც თანახმაა, რომ მისმა დამ თავის სამ შვილთან ერთად იცხოვროს მის სახლში, სადაც ყველა პირობა არსებობს ბავშვების ნორმალურად ცხოვრებისა და აღზრდისათვის. ბავშვები დედასთან იცხოვრებენ მშვიდ გარემოში, არ იქნებიან მუდმივი სტრესის ქვეშ და არ გაიზრდებიან სიძულვილით.

მოპასუხე გ. ნ-მა განქორწინების ნაწილში სარჩელი ცნო და განმარტა, თანახმაა, ყოველგვარი დავისა და პროცედურების გარეშე მას და მოსარჩელეს შორის არსებული ქორწინება შეწყდეს, ხოლო სარჩელის მოთხოვნა მათი შვილების – მცირებლოვანი ც. და ქ. ნ-ების საცხოვრებელ ადგილად დედის – მ. ა-ის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ბავშვების აღსაზრდელად მოსარჩელისათვის გადაცემის ნაწილში მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სიმართლეს არ შეესაბამება, რომ მოსარჩელე გ. ნ-თან თანაცხოვრებისას არაერთგზის გამხდარა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, თანაცხოვრების პერიოდში არასოდეს ჩაუკეტავთ ოთახში, არ მიუყენებიათ ფიზიკური და ფსიქიკური შეურაცხყას, არ უზღუდავდნენ თავისუფლებას.

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შეწყდა მ. ა-სა და გ. ნ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება და ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მ. ა-ის ძმის, ნ. ა-ის, საცხოვრებელი სახლი, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, რაც საპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-მა.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით გ. ნ-ის საპელაციო საჩივრა არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემობები: მოსარჩელე მ. ა-ი და მოპასუხე გ. ნ-ი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1999 წლის 1 ნოემბერს. ერთად ცხოვრების დროს შეეძინათ სამი შვილი: 1999 წლის 30 ივლისს დაბადებული ც. ნ-ი, 2003 წლის 25 აპრილს დაბადებული ქ. ნ-ი და 2005 წლის 17 აგვისტოს დაბადებული დ. ნ-ი. რამდენიმე წელია მეუღლებს შეწყვეტილი აქვთ ცოლ ქმრული ურთიერთობა. 2009 წლის ივლისში მ. ა-მა დატოვა მეუღლის ოჯახი და დ. ნ-თან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თავის ძმასა და დედასთან, თელავის რაიონის სოფელ ...ში, სადაც ცხოვრობს ამჟამადაც, ხოლო ც. და ქ. ნ-ები იმყოფებიან ბებიასთან და მამასთან თელავის რაიონის სოფელ ნ-ში. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური მუშავის ნ. ფ-ის მიერ 2009 წლის 17 აგვისტოს გაცემული დასკვნით დგინდება, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამატებადაცვილებისა და მისი დედა და და-ძმები. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური მუშავის ნ. ფ-ის მიერ 2009 წლის 17 აგვისტოს გაცემული დასკვნით დგინდება, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ – ჰიგიენური მდგომარეობა დამატებადაცვილებისა და მისი დედა და და-ძმები. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური მუშავის ნ. ფ-ის მიერ 2009 წლის 17 აგვისტოს გაცემული დასკვნით დგინდება, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ – ჰიგიენური მდგომარეობა დამატებადაცვილებისა და მისი დედა და და-ძმები. ოჯახში შექმნილია ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის ნორმალური პირობები. მ. ა-ი მუშაობს თელავში არსებულ ინტერნეტ კაფეში დამლაგებლად რაშიც უხდიან 100 ლარს. მ. ა-ის ძმა ნ. ა-ი დასაოჯახებელია. მუშაობს სოფელ ...ის ... სახლ-მუზეუმში დაცვის თანამშრომლად, რომლის ხელფასია 200 ლარი. იგი თანახმაა, იცხოვროს დასთან, მ. ა-თან და მის შვილებთან ერთად. მ. ს. თანადგომას უცხადებენ მისი დედა და და-ძმები.

საპელაციო პალატამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1201-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლები და დასკვნა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური სამსახურის დასკვნის, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული განყოფილების ნარმობადგენლის ახსნა-განმარტების თანახმად, მოსარჩელე ხსიათდება, მას გაანიჭია ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის ნორმალური პირობები. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის თანახმად, საჭიროა ქ. და ც. ნ-ების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი და ბავშვები აღსაზრდელად გადაეცეს მას. საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის შვილების შიგართ ისეთი დამო-

კიდებულება, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებდა იმაში, რომ ბავშვების აღზრდისათვის დედასთან არაკეთილსამიერო პირობებია და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე ვერ შეასრულებს მშობლის უფლება-მოვალეობებს. საქმის მასალების გაცნობის შედეგად, სასამართლო მივიდა დასავანამდე, რომ ბავშვების ნეგატიური განცნობა დედისადმი შესაძლებელია განპირობებული იყოს ზემოქმედების შედეგად. ასევე აღსანიშნავია, რომ ც. ნ-ი და ქ. ნ-ი არ არიან მიღწეული ისეთ ასაკს, რომ მათმა სურვილმა, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ, გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე. პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, როგორც მოსარჩელებს, ასევე მოპასუხეს გააჩნიათ ბავშვის ნორმალური აღზრდისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობები, მაგრამ, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარი ცალკე აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან შევილებთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუშლის მის ნორმალურ აღზრდას ან მავნე გავლენას მოახდენს მათზე და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე ვერ შეასრულებს მშობლის უფლება-მოვალეობებს. საქმის მასალების გაცნობის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვების ნეგატიური განცნობა დედისადმი შესაძლებელია განპირობებული იყოს ზემოქმედების შედეგად, ასევე აღსანიშნავია, რომ ც. ნ-ი და ქ. ნ-ი არ არიან მიღწეული ისეთ ასაკს, რომ მათმა სურვილმა, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ, გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე. პალატამ მიიჩნია, როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს გააჩნიათ ბავშვის ნორმალური აღზრდის მისი პირობები, მაგრამ, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარი ცურადლება მისი აღზრდის მორალურ მხარეს უნდა მიექცეს, რაშიც მთავარი როლი დედას აკისრია. პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან შევილებთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუშლის მის ნორმალურ აღზრდას ან მავნე გავლენას მოახდენს მათზე. სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ არასრულწლოვან ბავშვებს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოაკლდეთ დედობრივი მზრუნველობა და მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება უარყოფითად არ იმოქმედებს ბავშვების განცნობაზე და ხელს შეუწყობს დედა-შვილს შორის გულთბილი ურთიერთობის აღდგენას. სასამართლოს დასკვნით, სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მოთხოვნა არ დარღვეულა და დედის მიერ შეიღების აღზრდა შეესაბამება შვილის ინტერესებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ ჩათვალა, რომ არასრულწლოვან ბავშვებს, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოაკლდეს დედობრივი მზრუნველობა და მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება უარყოფითად არ იმოქმედებს ბავშვების განცნობაზე და ხელს შეუწყობს დედა-შვილს შორის გულთბილი ურთიერთობის აღდგენას. დავის განხილვა-გადაწყვეტისას ორივე ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, თავად დაევალებინა სოციალური სამსახურისათვის როგორც განათლების მუშავების, ისე ბავშვთა ფსიქოლოგის მონაწილეობით შეესწავლა სადაც საკითხები და მხოლოდ ასეთი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის საფუძველზე, ბავშვის თუ ბავშვების სურვილის გათვალისწინებით, რაც მკვეთრად და გარკვეულადა დაფიქსირებული სასამართლოს სხდომის ოქმში, მიეღო გადაწყვეტილება. მით უმეტეს, ბავშვებმა თავიანთი დამოკიდებულება საცხოვრებელი ადგილისადმი სააპელაციო სასამართლში დავის გადაწყვეტისას ცალსახად გამოხხატეს. ორივე ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა და გაიზიარ გარემოება, რომ მ. ა-ი იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ მის ძმას – ნ. ა-ს გააჩნია საცხოვრებელ სახლი. თელავის რაიონულმა სასამართლომ და ასევე სააპელაციო სასამართლომ მცირენლოვანი ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავდათ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, დაკითხეს მხარეთა დასწრების გარეშე, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. სოციალური სამსახურის მიერ ორი წლის წინ გაცემული დოკუმენტები არ შეიძლება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი გახდეს. სოციალურმა სამსახურმა უნდა შეისწავლოს გოგონების დღევანდელი მდგომარეობა და მხოლოდ მას შემდეგ უნდა გადაწყდეს საკითხი მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ა-ი და გ. ნ-ი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1999 წლის 1 ნოემბერს. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ სამი შვილი: 1999 წლის 30 ივლისს დაბადებული ც. ნ-ი, 2003 წლის 25 აპრილს დაბადე-

ბული ქ. ნ-ი და 2005 წლის 17 აგვისტოს დაბადებული დ. ნ-ი. მეუღლეებს ცოლქმრული ურთიერთობა შენ-ყეტილი აქვთ. 2009 წლის ივლისში მ. ა-მა დატოვა მეუღლის ოჯახი და დ. ნ-თან ერთად საცხოვრებლად გადავიდა თავის ძმასა და დედასთან, თელავის რაიონის სოფელ ...ში, სადაც ცხოვრობს ამჟამადაც, ხოლო ც. და ქ. ნ-ები ბებიასთან და მამასთან თელავის რაიონის სოფელ ნ-ში ცხოვრობენ. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური მუშაკის ნ. ფ-ის მიერ 2009 წლის 17 აგვისტოს გაცემული დასკვნით დგინდება, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მ. ა-ი მუშაობს თელავში არსებულ ინტერეტ კაფეში დამლაგებლად, რაშიც უხდიან 100 ლარს. მ. ა-ის ძმა ნ. ა-ი მუშაობს სოფელ ...ის ... სახლ-მუზეუმში დაცვის თანამშრომლად, რომლის ხელფასია 200 ლარი. იგი თანახმაა, იცხოვროს დასთან – მ. ა-თან და მის შვილებთან ერთად. მ-ს თანადგომას უცხადებენ მისი დედა და და-ძმები.

სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სოციალური მუშაკის ნ. ფ-ის მიერ 2009 წლის 17 აგვისტოს გაცემული დასკვნით დგინდება, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის, მდებარე თელავის რაიონის სოფელ ...ში, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარულ - ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მ. ა-ი მუშაობს თელავში არსებულ ინტერეტ კაფეში დამლაგებლად, რაშიც უხდიან 100 ლარს. მ. ა-ის ძმა ნ. ა-ი მუშაობს სოფელ ...ის ... სახლ-მუზეუმში დაცვის თანამშრომლად, რომლის ხელფასია 200 ლარი. იგი თანახმაა, იცხოვროს დასთან – მ. ა-თან და მის შვილებთან ერთად. მ-ს თანადგომას უცხადებენ მისი დედა და და-ძმები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატიონის მოსაზრებას, რომ სასამართლოს ბავშვების ინტერესების დასაცავად მათ წარმომადგენლად არ დაუზიშნია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, რადგან საქმის მასალებით დადგეხილია, რომ ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში უზრუნველყოფილი იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობა (იხ. რაიონული და სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმები).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად საკასაციო სამსახურის შემთხვევაში და მართებულად განსაზღვრა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილი, ვინაიდან არასრულწლოვანთა ცალ-ცალკე, დედის მზრუნველობის გარეშე აღზრდა, მოცემული საქმის მასალების ანალიზით, უარყოფით გავლენას მოახდენს არასრულწლოვანთა ჯანსაღ და ნორმალურ აღზრდაზე, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ რომელიმე მშობლის უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები, არამედ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი გარემოს შექმნას შეძლებენ მშობლები ბავშვისათვის მათი მორალური და მატერიალური მდგომარეობის, ინტელექტუალური დონისა და ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის ხარისხისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით.

უპირველესად, უნდა ალინიშნოს, რომ მოცემული დავა, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავით დადგენილი წესებით იქნა განხილული და ორივე ინსტანციის სასამართლომ უშუალოდ, სასამართლო სხდომაზე მოსმენით გამოარკვია არასრულწლოვან ც. და ქ. ნ-ების მოსაზრება დედასთან ურთიერთობის და მასთან საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. დავის სპეციფიკურობიდან და არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომაც დაწვრილებით გამოიკვლია მხარეთა განმარტებები ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უპირატესობის თაობაზე.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესაბამისად ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმნიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისის სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ, ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების გათვალისწინება. სწორედ აღნიშნული ლირებულებების შეფასებით და ბავშვის ინტერესების შესაბამისად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მშობლებისათვის შვილების აღსაზრდელად გადაცემის საკითხები. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივის სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინაამღევების ჩარევა.

ზემოაღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისა არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმუციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არკვევეს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ბავშვის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა იგი შეიძლება არ

იქნეს გათვალისწინებული, თუკი მის ინტერესებს არ შეესაბამება. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანების ქ. და ც. ნ-ების მამისადმი მიჩვევა და მათ მიერ დედის სანინაალმდეგოდ დასახელებული გარემოებების (ფიზიკური ძალადობის, დედის უარყოფითი ხასიათის) თვით მოღავე მხარეთა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა განმარტებებთან (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმები) ურთიერთშეჯერების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ასკვნის: ბავშვების მიჩვევა ერთი მშობლისადმი, მამისადმი, ამ უკანასკნელის მიერ მშობლიური მოვალეობებისადმი გონივრული მიღომის შედეგი არ არის და იგი გამოწვეულია სურვილით, მოიპოვოს ბავშვის კეთილგანწყობა ყოველგვარი, თუნდაც არასწორი ალმზრდელობითი ღონისძიების ფასად. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანებს სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებებში მამის ოჯახში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით ასაკთან შეუსაბამო დასკვნები გამოაქვთ, რაც მათზე არა-ჯანსაღი ფინანსური ზემოქმედების შედეგად არის გამოწვეული. ამავე მიზე ზითა განპირობებული გოგონების მკეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება დედის მიმართ, რაც უდავოდ ხელს შეუშლის ბავშვების ფსიქოსოციალურ განვითარებას.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის სანინაალმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც აუცილებელია ერთ-ერთ მშობელთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, ეს გადაწყვეტილება არ უნდა ეწინაამღდეგებოდეს ბავშვების ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, აღიზარდონ და იცხოვრონ მატერიალურად და მორალურად ჯანსაღ გარემოში. ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად და დამაჯერებლად უნდა შემოწმდეს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ და არა მატერიალურ მხარეს უნდა მიერიქოს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის – მ. ა-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა არ ეწინაამღდეგება ბავშვების ინტერესებს, რადგან დედას ბავშვების აღზრდისათვის სათანადო პირობები აქვს.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ც. და ქ. ნ-ები ძმისგან – დ. ნ-ისგან განცალკევებით იზრდებიან, რაც მიზანშეუწინელია. არასრულწლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები. მოცემულ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნებით დადასტურებულია, რომ დედას აქვს ბავშვების აღზრდისათვის საიმედო პირობები. ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშვნული არ გამორიცხავს შვილების აღზრდაში მამის აქტიური მონაწილეობის უფლებას და ამავდროულად ვალდებულებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი მშობლების განძორებისას

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-211-204-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: განქორწინება, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

გ. გ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ლ-ის მიმართ განქორწინებისა და არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ აღგილად მამის საცხოვრებელი აღგილის განსაზღვრის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

2000 წლის 24 ივნისიდან მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ლ. ლ-სთან, რა დროსაც შეეძინათ ორი შვილი – 2001 წლის 22 აპრილს დაბადებული თ. გ-ა და 2006 წლის 17 აპრილს დაბადებული მ. გ-ა.

ბავშვები სწავლობენ სსიპ „ბ-ის №..-ე საჯარო სკოლაში“. თ. გ-ა მე-4 კლასშია, ხოლო მ. გ-ა – პირველ კლასში.

მეუღლეთა შორის არის დაძაბული ურთიერთობა. 2010 წლის აგვისტოში მოპასუხე სახლიდან წავიდა და ორივე შვილი მამასთან დატოვა.

2011 წლის აპრილში თ. გ-ს წინააღმდეგომის მიუხედავად, ლ. ლ-მ ბავშვი წაიყვანა თავისი მამის სოფელში. აღნიშნულის გამო თ. მოსწყდა სასწავლო პროცესს და ქორეოგრაფიული ანსამბლის რეპეტიციებს.

მ. გ-ა ამჟამადაც მოსარჩელესთან ცხოვრობს.

ლ. ლ-ს სოფლად არ გააჩნია ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების ნორმალურად აღზრდა-განვითარებას. მოპასუხე მხარის უსაფუძვლო და გაუაზრებელი მოქმედებებისა და მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენების გამო ილახება ბავშვების ინტერესები.

მოპასუხემ სარჩელი განქორწინების ნაწილში ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს არასრულწლოვანი შვილების – თ. და მ. გ-ების საცხოვრებელი აღგილად დედის საცხოვრებელი აღგილის განსაზღვრის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

ბავშვების ასაკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ მათ იცხოვრონ დედასთან. ბავშვებს მუდმივად ესაჭიროებათ დედის მზრუნველობა და სითბო. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თ. გ-ს კატეგორიულად არ სურს ბ-ში მამასთან წასვლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. გ-სა და ლ. ლ-ს შორის 2000 წლის 24 ივნისს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, 2001 წლის 22 აპრილს დაბადებული თ. გ-სა და 2006 წლის 17 აპრილს დაბადებული მ. გ-ს საცხოვრებელ აღგილად განისაზღვრა მამის – გ. გ-ს საცხოვრებელი აღგილი, ლ. ლ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ლ-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ლ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. გ-ა და ლ. ლ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2000 წლის 24 ივნისიდან.

ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი – 2001 წლის 22 აპრილს დაბადებული თ. გ-ა და 2006 წლის 17 აპრილს დაბადებული მ. გ-ა.

უფროსი შვილი, თ. გ-ა დარეგისტრირებულია და სწავლობს სსიპ „ბ-ის №.. საჯარო სკოლის“ მე-4 კლასში.

უმცროსი შვილი, მ. გ-ა დარეგისტრირებულია „ბ-ის №..-ე საჯარო სკოლის“ პირველი კლასის მოსწავლედ.

ორივე შვილი ამჟამად ცხოვრობს მამასთან, ქალაქ ბათუმში, ს-ის ქუჩის №17-ში. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის დასკვნის თანახმად, ოჯახის წევრების მხრიდან ბავშვების მიმართ არის თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე დამოკიდებულება.

2010 წლის აგვისტომდე გ. გ-ა და ლ. ლ-ე შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ ქალაქ ბათუმში, ს-ის ქუჩის №17-ში მდებარე გ. გ-ს საცხოვრებელ სახლში. 2010 წლის აგვისტოში ლ. ლ-ე წავიდა სახლიდან, რის შედეგაც არასრულწლოვნები საცხოვრებლად დარჩნენ მამასთან.

2011 წლის აპრილში ლ. ლ-მ თავისი არასრულწლოვანი შვილი თ. გ-ა წაიყვანა მისი მშობლებელ სახლში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თ-ში.

თ. გ-ს, რომელიც სწავლობდა ბ-ის №.. საჯარო სკოლის მე-4 კლასში, 2011 წლის აპრილიდან სკოლაში არ უვინია.

სამოქალაქო კოდექსის 1106-ე, 1122-ე, 1124-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 1128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 1197-ე, 1198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 1201-ე მუხლის, 1199-ე, 1202-ე მუხლების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 105-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები მოცემული საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაბადებულება თ. გ-ა სარჩელი და მართებულად დაავალდებულა გ. გ-ა, ხელი არ შეუშალოს დედას, ლ. ლ-ს, შვილებთან ურთიერთობაში, უზრუნველყოს მათი დედასთან შეხვედრა და გაატანოს ბავშვები მისი მოთხოვნის შემთხვევაში შეუზღუდვად ყველა სასკოლო არდადეგებსა და დასვენებში დღეებში, მამასთან დაბრუნების უფლებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიაზე სასამართლომ მოუსმინა გ. გ-ს და ლ. ლ-ის უფროს შვილს, არასრულწლოვან (10 წლის) თ. გ-ს, რომელმაც ასევე გამოხატა მისი უმცროსი დის (5 წლის) მ. გ-ს აზრიც. თ. გ-მ, ასევე სასამართლოს მიერ მოწვეულ უსიქოლოგ ლ. ნ-სთან გასაუბრების შემდეგ განმარტა, რომ მათი სურვილია საცხოვრებლად მამასთან დარჩება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ლ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია და საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ წების-მიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი სახელმწიფო თუ კერძო დანესხულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითაც ბავშვის ინტერესებია უპირატესი.

სასამართლო თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად უთითებს, რომ სადაც საკითხი გადაწყვიტა სის მომსახურების სააგენტოს ბათუმისა და ოზურგეთის სოციალური მომსახურების ცენტრის მუშავების, ფსიქოლოგთა დასკვნებისა და მხარეთა განმარტებების საფუძველზე. გასათვალისწინებელია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ლ. ლ-ის მოთხოვნას და განმარტა, რომ, თუ ბავშვები დედასთან საცხოვრებლად არ გადავლენ, აღნიშნული მათ სამომავლოდ გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანდა.

სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. და მ. გ-ს მიმართ გ. გ-ს იჯახის წევრების აქვთ თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება.

საქმეში დევს ფსიქოლოგის დასკვნა, რომლის თანახმადაც თ. გ-ს აღნიშნება შფოთვა, ბებიის (მამის დედა) მიმართ უსიამოვნო მოგონებები. თ-ს სურს მშობლებთან ერთად ცხოვრება ბებიის გარეშე, რომელ-საც რომელსაც შვილზე დიდი გავლენა აქვს. ამავე დასკვნის თანახმად, თ. გ-ა არის ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი. ბავშვზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები დადასტურებულია სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებებით და მოწმეთა ჩვენებებით.

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი ლირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევისა ან ხელყოფისაგან.

გასაჩივრებული განჩინების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია თ. გ-ს მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაზე, რომლის მიხედვითაც 10 წლის თ. გ-მ მოსამართლის შეკითხვაზე, სად სურდა ეცხოვრა უპასუხა, რომ მას სურვილი ჰქონდა ეცხოვრა მამასთან. ამ პასუხთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე მოზეულმა სპეციალისტმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მხოლოდ ლექსიკურ გამონათქვამს და არ შეესაბამებოდა ბავშვის შინაგან ნებას. ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვები დედასთან თავს კარგად გრძნობენ და მათი დატოვება იმ ადამიანებთან, რომლებიც დედის „მსაჯულნი“ და „ბრალმდებულნი“ არიან, ცუდ გავლენას იქნიებს მათ მომავალზე.

სასამართლო დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არ შეაფასა ფსიქოლოგების დასკვნები ბავშვზე ძალადობისა და მათ მომავალზე საცხოვრებელი ადგილის გავლენის შესახებ, არ გაითვალისწინა სოციალური მომსახურების სააგენტოს პოზიცია, რომელიც წარმოადგენს და იცავს ბავშვის ინტერესებს.

სასამართლომ სავარაუდოდ მიიჩნია, რომ გ. გ-ს უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვს, როდესაც სოციალური სააგენტოს დასკვნების თანახმად, ორივე ოჯახს ერთნაირი მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია. ამასთან, გაუგებარია, რომელი ნორმის საფუძველზე მივიდა სასამართლო დასკვნამდე, რომ ბავშვი უნდა მიეკუთვნოს მეტი ფინანსური სიძლიერის მქონე მშობელს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბავშვის მამა მუშაობს და არ აქვს დრო სათანადო ყურადღება მიაქციოს ბავშვებს. ბავშვები ფაქტობრივად ბებიის აღსაზრდელები იქნებიან. სასამართლოს უნდა გაეკეთებინა არჩევანი დედასა და ბებიას შორის. ბებიასათვის უპირატესობის მინიჭება კი არღვევს საქართველოში მოქმედ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

განსაკუთრებით ყურადსალებია სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის ერთ-ერთი წევრის მიერ ლ. ლ-ის, როგორც ქალის მიმართ ტენდენციური და დისკრიმინაციული მიმართვა.

გასაჩივრებულ განჩინებაში ლ. ლ-ის სახლიდან წასვლის ფაქტი ისეა გადმოცემული, რომ ტოვებს შთაბეჭდილებას ლ. ლ-ის მიერ ბავშვების მიტოვებისა, რაც არასწორია. ლ. ლ-ისა და გ. გ-ს განშორებისას ბავშვები სოფელში იყვნენ დასასვენებლად და, ცხადია, მათ დედა თან ვერ წაიყვანდა. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ლ. ლ-ე თავისი სურვილით არ წასულა ოჯახიდან, არამედ იგი აიძულა მისმა მეუღლემ ეჭვიანობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიულ დასაბუთება და მიაჩნია, რომ ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის მოწინააღმდეგე მხარესთან – გ. გ-სთან განქორნიერის შემდეგ მათი საერთო არასრულნლოვანი შვილების – თ. და მ. გ-ების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას.

განსახილველ საკითხზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გ. გ-სა და ლ. ლ-ს რეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინათ ორი შვილი – 2001 წლის .. აპრილს დაბადებული თ. გ-ა და 2006 წლის .. აპრილს დაბადებული მ. გ-ა.

თ. გ-ა დარეგისტრირებულია და სწავლობს სსიპ „ბ-ის №.. საჯარო სკოლის“ მე-4 კლასში, ხოლო მ. გ-ია – „ბ-ის №..-ე საჯარო სკოლის“ პირველ კლასში. ორივე შვილი ამჟამად ცხოვრობს მამასთან, ქალაქ ბათუმში, ს-ის ქუჩის №17-ში.

სააპელაციო პალატამ საქმის განსილვისას გამოიკვლია სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის დასკვნა, სპეციალისტად მიწვეული ფსიქოლოგის – ლ. ნ-ისა და თავად არასრულწლოვანი თ. გ-ს ახსნა-განმარტებანი და მიიჩნია, რომ თ. გ-ს, რომელიც ასევე გამოხატავს თავისი უმცროსი დის პოზიციასაც, სურს იცხოვროს მამასთან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების არასრულ ანალიზის, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვის-თან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთხნებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, 1202-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს გააჩნია პრეროგატივა, გადაწყვიტოს განქორწინებულ მეულეთა შორის დავა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რა დროსაც უთუოდ მოქმედებს ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპი, თუმცა სასამართლოსათვის უპირველესად გასათვალისწინებელია თავად ბავშვების ინტერესი და ნება სადაც საკითხთან დაკავშირებით. მეტიც, აღნიშნული დავის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია ამ ორივე კომპონენტის ურთიერთშეჯერება, რათა არასრულწლოვნის ნება მის რეალურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდეს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეში სპეციალისტის სახით ბავშვთა ფსიქოლოგის ჩართვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სწორედ სპეციალური კვალიფიკირებისა და ცოდნის მქონე საქმის შედეგით დაუინტერესებელი პირის დასკვნა შეიძლება გახდეს სარწმუნო მტკიცებულება სასამართლოსათვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს ორივე მხარისა და თავად ბავშვისაგან მიღებული ინფორმაციის პროფესიული და, ამასთან, ნეიტრალური ხასიათის ანალიზის შედეგს.

აღნიშნული კუთხით მეტად საგულისხმოა ფსიქოლოგ ლ. ნ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის მიცემული განმარტება, რომ, მართალია, თ. გ-მ სიტყვიერად გამოხატა ნება, მუდმივად ეცხოვრა მამასთან, თუმცა არასრულწლოვანთან ჩატარებული მუშაობის (საუბრის, ფსიქოლოგიური ტესტების) შედეგად ფსიქოლოგი მივიდა დასკვნამდე, რომ მისი შინაგანი ნება განსხვავდება ვერბალურად გამოიქვემდინავან. თ. გ-ს უყვარს დედა, არანაირი სანინააღმდეგო არ გააჩნია მასთან (ცხოვრებისა და ერთადერთ ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს მისი დამოკიდებულება ბაბუასთან (დედის მამასთან), რომელიც აუგად მოიხსენიებდა მის მამას. ამასთან, ამავე ფსიქოლოგის განმარტებით, თ. გ-სათვის საყვარელ ადამიანთა წრეში მისი სენებული ბაბუა მაინც მოხვდა. სპეციალისტი მიუთითებს ბავშვის ასაკზეც, რომელიც უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოცემული სადაც საკითხის გადაწყვეტისას. ფსიქოლოგის მოსაზრებით, სწორედ არსებულ ეტაპზე ეყრდნა საფუძველი არასრულწლოვანის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედის ავტორიტეტის შელახვა და მასთან არასაკმარისი სიახლოვე დამღუპველი იქნება და უარყოფითად იმოქმედებს ბავშვზე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად უგულებელყო ფსიქოლოგის განმარტების დასახელებული ნაწილი.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ერთოვრად მნიშვნელოვანია მხარეთა უმცროსი შვილის – მ. გ-ს მიმართ, რომლისთვისაც დედის მზრუნველობა მის ასაკში შეუცვლელია.

ვერ იქნება გაზიარებული გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა, რომ 10 წლის თ. გ-მ სასამართლოში გამოხატა მისი 5 წლის დის პოზიციიაც საცხოვრებლად მამასთან დარჩენის თაობაზე, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნა, თ. გ-სათვის რთულია საკუთარი ნების შეცდომლად გამოხატვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მცირებლოვანი მ-ისაგან მისი სურვილის შეტყობასა და სასამართლოსათვის გადმოცემაზე.

საკასაციო სასამართლო გარკვეულწილად ეთანხმება კასატორის არგუმენტს, რომ ლ. ლ-ის მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვები აღსაზრდელად გადაეცემა ბებიას (მამის დედას), რადგან გ. გ-ა, გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, დღის განმავლობაში მათთან არ არის, გასულია ოჯახიდან სამუშაოდ და შვილებს უტოვებს დედამისს. სასამართლოს არ სურს დააკნინოს ბებია-პაპის როლი ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნული ვერანაირად ვერ შეცვლის დედასთან შვილების ურთიერთობის აუცილებლობას. მითითებულის საკომპენსაციის ვერ იქნება ვერც მამასთან გატარებული დღის მცირედი ნაწილი.

რაღა თქმა უნდა, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, გ. გ-საც გააჩნია უფლება, დაუბრკოლებლად ურთიერთობა იქონილს შვილებთან.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ლ. ლ.-სთან შვილების ცხოვრების ხელის შემ-შლელი რაიმე ობიექტური გარემოება საქმის მასალებით არ გამოვლენილა და არც სოციალური მომსახუ-რების სააგენტოს პათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მხრიდან არ გამოთქმულა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით ლ. ლ.-ის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ხო-ლო გ. გ-ს სარჩელს არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე უარი უნდა ეთქვას, 2001 წლის 22 აპრილს დაბადებული თ. გ-სა და 2006 წლის 17 აპ-რილს დაბადებული მ. გ-ს საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის – ლ. ლ.-ის საცხოვრებელი ადგი-ლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ნინადადების თანახმად, იმ მხა-რის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამარ-თლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში ლ. ლ.-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, გ. გ-ს უნდა დაეკისროს მის მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო საჩივარზე გადახ-დილი 150 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 300 ლარის ანაზღაურება ლ. ლ.-ის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

ლ. ლ.-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემ-ბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

გ. გ-ს სარჩელი არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

ლ. ლ.-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2001 წლის 22 აპრილს დაბადებული თ. გ-სა და 2006 წლის 17 აპრილს დაბადებული მ. გ-ს საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის – ლ. ლ.-ის საცხოვრებელი ადგილი.

გ. გ-ს ლ. ლ.-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი მშობლების განდონილებისას

განჩინება

№ას-904-944-2011

18 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ხ-ამ სარჩელი აღმრა სასამართლოში ზ. გ-ის მიმართ განქორნინებისა და შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე 2005 წლის 20 ოქტომ-ბრიდან იძყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ქორწინების განმავლობაში მხარეებს შეეძინათ 2 შვილი: 2007 წლის 20 ივლისს დაბადებული თ. გ-ე და 2006 წლის 6 აგვისტოს დაბადებული რ. გ-ე. მოსარჩე-ლე შვილებსა და მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ქობულეთში, სოფელ ...ში. მეუღლის უმუშევრობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, მხარეთა შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რასაც ხშირად ზ. გ-ის მხრიდან ახლდა მოსარჩელისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, რაც წევატიურ გავლენას ახდენ-და მცირებლოვანთა ფსიქიკაზე. თ. ხ-ა იძულებული შეიქნა თ. გ-ესთან ერთად საცხოვრებლად გადასული-ყო თბილისში. ვინაიდან დაძმის ცალ-ცალკე ცხოვრება და აღზრდა მათ ჩამოყალიბებასა და განვითარე-ბაზე მხოლოდ მავნე ზემოქმედებას მოახდენს და, ამასთანავე, ზ. გ-ის სახლში ბავშვის ნორმალურად აღ-ზრდის პირობები შექმნილი არ არის, ამიტომ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად, სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს დედის, თ. ხ-ას საცხოვრებელი ადგილი.

ზ. გ-ემ სარჩელი არ ცნო და ითხოვა მხარეთა შესარიგებლად გარკვეული ვადის განსაზღვრა, ამასთანა-ვე განმარტა, რომ მოსარჩელის საცხოვრებელ ადგილზე ბავშვების ცხოვრება საზიანო იქნება მათი ჯან-მრთელობისთვის, რის გამოც თ. ხ-ას მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით ზ. გ-ის შუამდგომლობა შესარიგებელი ვადის დანიშნის შესახებ დაკმაყოფილდა; მხარეებს შესარიგებლად განესაზღვრათ 3 თვის ვადა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით სარჩელი ქორწინების შეწყვეტის ნაწილში, თ. ხ-ას შუამდგომლობის საფუძველზე, დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, მცირენლოვანი ბავშვების: 2007 წლის 20 ივლისს დაბადებული თ. გ-ისა და 2006 წლის 6 აგვისტოს დაბადებული რ. გ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის, თ. ხ-ას, საცხოვრებელი ადგილი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინებით ზ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ალატამ სრულად გაიზიარ საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტომბრივი გარემოებები: თ. ხ-სა და ზ. გ-ეს ერთად ცხოვრების პერიოდში, შეეძინათ ორი შვილი: 2007 წლის 20 ივლისს დაბადებული თ. გ-ე და 2006 წლის 6 აგვისტოს დაბადებული რ. გ-ე. თ. გ-ე ამჟამად ცხოვრობს დედასთან, თ. ხ-თან, ხოლო რ. გ-ე მამასთან, ზ. გ-ესთან, ქობულების რაიონის სოფელ ...ში. მოსარჩელე თ. ხ-ს ბავშვების რჩენა-აღზრდისათვის აქვს ნორმალური პირობები. ოჯახში არის შეემნილი ბავშვებზე მზრუნველობა გარემო და მათი განვითარებისათვის სელშემწყობი პირობები, მცირენლოვანი და-ძმის დაშორებაზიანს ბავშვების ფსიქიკას. იმისათვის რომ დაცული იყოს ბავშვების უფლებები, საჭიროა ისინი იზდებოდნენ ერთად. სააპელაციო პალატა დაცურდნო რა გლდან-ზაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სამსახურის სოციალური მუშავის დასკვნასა და მოსარჩელის ახსნა-განმარტებებს, არ გაიზიარა პაელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ თ. ხ-ას არ აქვს ბავშვების აღსაზრდელად სათანადო პირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და განმარტა: „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ, ბავშვის დაცვისა და პარმონიული განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების გათვალისწინება. სწორედ აღნიშნული ლირებულებების შეფასებით და ბავშვის ინტერესების შესაბამისად, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მშობლებისათვის შვილების აღსაზრდელად გადაცემის საკითხები. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მონანილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსანინაამლდევ ჩარევა. ამავე კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონანილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით. დასახელებულ ნორმებსა და სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1201-ე მუხლებზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არასრულნოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მშობლების უფლება-მოვალეობათა სრული თანასწორობისა და ბავშვის სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ბავშვის აღზრდის ინტერესებში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მშობლების მატერიალური პირობები, უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, თუ როგორი გარემოს შექმნას შესძლებენ მშობლები ბავშვისათვის მათი მატერიალური მდგომარეობის, ასაკის, მორალური სახის, ინტელექტუალური დონისა და ბავშვის აღზრდაში მონანილეობის ხარისხის გათვალისწინებით. კანონი არ ცნობს რომელიმე მშობლის უპირატეს უფლებას შვილების მიმართ, ვინაიდან, არა უფლებათა უპირატესობა, არამედ ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესები უნდა იყოს ამ დროს გადამწყვეტი. პალატამ მიიჩნია, რომ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების ქონა ყოველთვის ვერ იქნება გადამწყვეტი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, თუ როგორი მორალური გარემოს შეემნას შესძლებენ მშობლები ბავშვისათვის.

ქობულების რაიონული განყოფილების სოციალური მუშავის დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე, რომ რ. გ-ე, დედაზე საუბრისას ხდება მოწყებილი, თუმცა სიხარულით ყვება, თუ როგორ ნაიყვანა გამამიგი დედის სანახავად, ასევე გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის დასკვნით, ბავშვების გაყოფა, მცირენლოვანი და-ძმის დაშორება მათი ცალ-ცალკე აღზრდა ზიანს მიაყენებს ბავშვების ფსიქიკას. ამ მტკიცებულებების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ ბავშვების უპირატესი ინტერესები უნდა იყოს ამ დროს გადამწყვეტი. პალატამ მიიჩნია, რომ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების ქონა ყოველთვის ვერ იქნება გადამწყვეტი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, თუ როგორი მორალური გარემოს შეემნას შესძლებენ მშობლები ბავშვისათვის.

მართლოს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანთა უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით და-ძმა ცალ-ცალკე არ უნდა იზრდებოდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასასაჩივრა ზ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: განჩინების დაყრდნობა გლდანი-ნაძალადევის სოციალური სამსახურის დასკვნაზე, გაუმართლებელია, რადგან მასში არაფერია ნათევამი იმის შესახებ, თუ სად ან ვის საცხოვრებელ ფართში ცხოვრობს მოსახრელე, რამდენი სული ცხოვრობს აღნიშნულ სახლში, რამდენია მისი ფართობი, მოწყობილია თუ არა პავშვის ოთახი, კონკრეტულად რა სახის შემოსავალს იღებს თ. ხ-ა და ა.შ. ამასთანავე, სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ზ. გ-ისა და მასთან მყოფი მცირენლოვანი შეილის საცხოვრებელი პირობები. პალატამ „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ არ შეიძლება არასრულწლოვანი და-ძმა ცალ-ცალკე იზრდებოდეს, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინო ამავე კონვენციით გათვალისწინებული სხვა პირობების არსებობა, რომლებიც განსახილველ დავაშია, კერძოდ, პალატის მსჯელობიდან გამომდინარე, მთავარია, და-ძმა ერთად იზრდებოდეს და მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა გარემონი მოუწვევთ მათ ცხოვრება: თ. ხ-ას დაუდგენელი პირობებს მქონე საცხოვრებელში, თუ კასატორის ყოველმხრივ კეთილმოწყობილ სახლში პალატამ იმსჯელა რა რ. გ-ის დამოკიდებულებაზე დედასთან, სრულებით უგულებელყო და არ დაუდგენია ის, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას კასატორთან, რის გამოც გარემოებები მხოლოდ ცალმხრივად შეფასდა. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და სამოქალაქო კოდექსის 1201-ე, 1197-ე მუხლები, ამასთანავე არასრულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. გ-ის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასრულწლობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადაცოს არ ნარმოადგენს ის გარემოება, რომ მცირენლოვანი რ. გ-ე ცხოვრობს მამასთან.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავა, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავით დადგენილი წესებით უნდა იქნეს განხილული, რაც სამოქალაქო სამართალწარმოების განსხვავებულ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც დავის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითებასა და დამტკიცებაში სასამართლოს ჩაურევლობას გულისხმობს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რა დროსაც სასამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შეუძლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება თავისი ინიციატივით დაადგინოს, კერძოდ, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებიც და-ძმა არ მიუთითებიათ. კანონის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკითა და განსაკუთრებულობით, რასაც ადასტურებს კონსტიტუციის 36-ე მუხლით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. საოჯახო ურთიერთობებში ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნდა დაადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებისათვის ყველაზე უკეთ შესაბამისობა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განხახორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ბავშვის ინტერესების დაცვისას სრულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა მიუთითა, სასამართლო აღიარებს, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივი სასამართლოები აწყდებიან ისეთ ამოცანას, რომელიც ბავშვის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა მიუთითა, სასამართლო აღიარებს, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას, ამგვარად, თუკი ბავშვი მოაცილეს ბიოლოგიურ მშობლებს და მოათავსეს აღტერნატიული მზრუნველობის ქვეშ, ანუ აღსაზრდელად გადასცეს აპეკუნებს, დროთა განმავლობაში ბავშვა

და ამ უკანასკნელს შორის შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ახალი კავშირები, რომლებიც, ბავშვის ინტერესები-დან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, რომ არ დარღვეულიყო, ან შეწყვეტილიყო აღრინდელი გადან-ყვეტილებების გასაჩივრებით, რომლითაც მშობლებს აერძალათ ან შეეზღუდათ თავიანთი (იგულისხმება მშობლის) უფლებები (CASE OF W. v. THE UNITED KINGDOM - (Application no.9749/82; 8 July 1987) იგივე მო-საზრებაა გამოთქმული ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში (CASE OF KEEGAN v. IRELAND - (Application no.16969/90; 26 May 1994), CASE OF CHEPELEV v. RUSSIA - (Application no.58077/00; 26 July 2007), რომლებითაც კანონით დადგენილი მშობლისა და სხვა კანონიერ წარმომადგენლთა უფლებე-ბის საწინააღმდეგოდ პრიორიტეტი ბავშვის ინტერესს ენიჭება, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ამა თუ იმ გარემოდან მოცილება ან მის ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობა და უკეთესობა მკაფი-ოდ გამოკვეთილი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბა-რი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კო-დექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობი-სას არასრულნლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმაციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო დავის გადაწყვე-ტისას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არ კვევს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველ-ყოს ბავშვის აღზრდა, რაც მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამო-კიდებული. ამდენად, დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრიორიტეტის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, მშობლების გან-მარტებით დგინდება, რომ მცირენლოვანი რ. გ-ე ორი წელის ცხოვრობს მამის ოჯახში, ამჟამად საცხოვ-რებელი ადგილის მიხედვით დაიწყო სწავლა სკოლაში. მამის განმარტებით, ბავშვი მიჩვეულია არსებულ გარემო პირობებს, რაც დამაჯერებელია, რადგან ბავშვის დედის ან მამის გარემოში დიდხანს ყოვნის შემ-დეგ იგი ეჩვევა მას და უყალიბდება გარკვეული კავშირები, რომელთა შეწყვეტამ და მისმა სხვა ოჯახურ გარემოცვაში გადაყვანამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოზარდზე. ამასთან, მოცემულ შემთხვევა-ში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რ. გ-ის მცირენლოვანი და – თ. გ-ე იზრდება დედასთან. სა-კასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნებს და-ძმის დაცილების შედეგებ-თან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მცირენლოვანი და-ძმის განცალკევებით აღზრდა უარყოფითად იმოქმედებს მათ ფსიქიკაზე. არასრულნლოვანი და-ძმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცი-ლებლობითაა გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქ-მნას მას აღზრდის ნორმალური პირობები. მოცემულ შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნით დგინდება, რომ დედას აქვს ბავშვების აღზრდისათვის პირობები. ამასთან, ყოველივე ზემოაღ-ნიშნული არ არის საკამარისი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გადასწყვეტად.

ბავშვის ჩვეული აჯახური გარემოსაგან მოწყვეტამ შესაძლებელი ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის ახალ ოჯახში, უცხო საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე, რის ასაცილებლად აუცილებელია ამ პროცესის განსაზღვრა და მისი გადაცემის შემთხვევაში პროცესუალური უზრუნველყოფა. ამისათვის აუ-ცილებელია სპეციალური დაწესებულებების, სპეციალისტების პროცესში მონაწილეობა და მათი დას-კვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ ეს საკითხი არ გამოკვლეულა, კერძოდ, სასამართლომ საქ-მეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოარკვია მშობლების – თ. ხ-ასა და ზ. გ-ის საცხოვრე-ბელი პირობები, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, თუმცა გა-დამწევეტია თვითონ მცირენლოვანის დამოკიდებულება უკვე არსებული საცხოვრებელი პირობებისადმი. ამ საკითხის გამოკვლევისას სასამართლომ სპეციალისტის (მოცემულ შემთხვევაში, ფსიქოლოგის) აზრის გათვალისწინებით უნდა შეაფასოს რ. გ-ის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზანშეწონილობა. ამდე-ნად, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას კომპლექსურად უნდა გაირკვეს, როგორც საც-ხოვრებელი ადგილის პირობების სათანადოობა, ასევე ბავშვის ფსიქიკური მონაცემები და დამოკიდებუ-ლება მოსალოდნები ცვლილებებისადმი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო ვალატამ იზელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინება

№ას-1194-1123-2012 22 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოფრია

დავის საგანი: ბავშვის ნახვის წესის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

მ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ის მიმართ და მოითხოვა 2010 წლის 25 თებერვალს დაბადებული შვილის – ა. კ-ის ნახვის წესის განსაზღვრა ყოველი შაბათის 12.00 საათიდან კვირის 17 საათამდე შემდეგი საფუძვლებით:

მხარეები იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ შვილი – ა. კ-ი. მათ შორის მომხდარი კონფლიქტის შემდეგ მოპასუხე მოსარჩელეს ბავშვის ნახვის შესაძლებლობას აღარ აძლევს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მ. კ-ვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად 200 ლარის და კისრების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

მხარეთა ქორწინების შენყვეტის შემდეგ მ. კ-ე შვილთან ერთად ცხოვრობს თავის მშობლებთან მათ კმაყოფაზე. მ. კ-ი ბავშვის აღზრდაში არანიარ ფინანსურ მონაცილეობას არ იღებს. მას შვილთან ურთიერთობას არავინ უკრძალავდა, მაგრამ ბოლო ხანებში მხარე ბავშვის სისტემატურად ნასვამ მდგომარეობაში აკითხავდა. მ. კ-ი მორალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს ყოფილ მეუღლეს და აგრესიას გამოხატავს მისი მშობლების მიმართ. აღნიშნული დასტურდება ახმეტის რაიონული სამართველოს მიერ გაცემული 2012 წლის 30 მარტის №408709 ცნობით. ამდენად, ბავშვის ფსიქოლოგის გათვალისწინებით, მოსარჩელეს მისი ნახვის ნება არ უნდა დაერთოს, რადგან ა. კ-ი მამასთან შეხვედრის შემდეგ ღიზიანდება და ტირის.

მ. კ-მა შეგებებული სარჩელი ყოველთვიურად ალიმენტის სახით მხოლოდ 50 ლარის გადახდის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ უმუშევარი, ომისა და სამხრედრო ძალების ვეტერანია, მუდმივი შემსავლის წყარო არ გააჩნია და მეტი თანხის გადახდას ვერ შეძლებს.

ახმეტის მაგისტრატი სასამართლოს 2012 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-ს განესაზღვრა შვილთან – ა. კ-თან ურთიერთობისა და ნახვის უფლება კვირაში ორი დღით: შაბათის 12:00 საათიდან კვირის 12:00 საათამდე სახლში წაყვანითა და ღამისთვევით, მ. კ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-ს დაეკისრა მათი არასრულწლოვანი შვილის – ა. კ-ის სარჩენად სარჩელის აღვრის მომენტიდან – 2012 წლის 30 მარტიდან ყოველთვიურად მისი სრულწლოვანების მიღწევამდე, აღიმენტის სახით 100 ლარის გადახდა.

მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. კ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და მ. კ-ს არასრულწლოვან შვილთან, 2010 წლის 25 თებერვალს დაბადებულ ა. კ-თან ურთიერთობა განესაზღვროს 2013 წლის 25 თებერვალს შაბათს 15.00 საათიდან 20.00 საათამდე და კვირას 15.00 საათიდან 20.00 საათამდე წაყვანის უფლებით, ხოლო 2013 წლის 25 თებერვალიდან შაბათს 12.00 საათიდან კვირას 12.00 საათამდე ღამე დატოვების უფლებით შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო დაადგინა, რომ მ. კ-სა და მ. კ-ეს ფაქტობრივ ქორწინებაში შეეძინათ შვილი – 2010 წლის 25 თებერვალს დაბადებულია კ-ი.

ამჟამად მხარეები ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე და არასრულწლოვანი ა. კ-ი ცხოვრობს დედასთან – მ. კ-თან.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1202-ე, 1199-ე მუხლებით და და განმარტა, რომ ბავშვთან ურთიერთობის წესების დადგენისას ორივე მშობელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამ უფლების გონივრული განსაზღვრა და გამოყენების წესების დადგენა ხდება სასამართლოს მიერ მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, რა დროსაც გადაწყვეტილება მიღება ბავშვის უპირატესობის შემთხვევებით.

„ბავშვის უფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნების-მიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლობის, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველეს ურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, მონაცილ სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობელებს მათი სურვილის სანინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

ამდენად, სასამართლო მიუთითა, რომ, როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმები მკაფიოდ ასახავს ბავშვთან ურთიერთობის წესების დადგენისას მშობელების თანაბარ

უფლებებსა და მოვალეობებს. ამ ურთიერთობების სასამართლო წესით დადგენისას მხედველობაშია მისა-ლები არასრულწლოვანი ბავშვის უფლება, ჰქონდეს რეგულარული ურთიერთობა იმ მშობელთანაც, რო-მელთანაც არ ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, მშობლების შეილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისას სასამართლო პირველ რიგში ითვალისწინებს სწორედ ბავშვის ინტერესებს, მის ასაკს, ჯანმრთელობას, დამოკიდებულებას მშობლებისადმი, იმ სოციალურ და საყოფაცხოვრებო გარემოს, სადაც ბავშვს მოუ-ნევს ყოფნა, მის ცხოვრების წესს.

პალატამ მიიჩნია, რომ აუცილებელია, არასრულწლოვან ა. კ-ს რეგულარული ურთიერთობა ჰქონდეს მამასთან, თუმცა პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ა. კ-ი ამჟამად არის ორი წლის, ამიტომ მამასთან მისი ურთიერთობის წესი უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ ბავშვს არ დაერღვეს ძი-ლის რეჟიმი, არ მოწყდეს შეჩვეულ გარემოს და ცხოვრების ყოველდღიურ რიტმს. ამავდროულად, პალა-ტის მოსაზრებით, ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შექლებისდაგვრად ხანგრძლივი ვადით დარჩეს მამასთან, რაც შესაძლებელია სამი წლის მიღწევის შემდეგ, 2013 წლიდან.

პალატის ამ მსჯელობიდან გამომდინარე, მ.კ-ს არასრულწლოვან შეილთან – ა. კ-თან ურთიერთობა 2013 წლის 25 თებერვლამდე უნდა განესაზღვროს კვირის განმავლობაში შაბათს 15.00 საათიდან 20.00 საა-თამდე წაყვანის უფლებით და კვირას 15.00 საათიდან 20.00 საათამდე წაყვანის უფლებით, ხოლო 2013 წლის 25 თებერვლიდან უნდა განესაზღვროს შაბათს 12.00 საათიდან კვირას 12.00 საათამდე ღამე დატოვე-ბის უფლებით.

ამგვარი რეჟიმის დადგენით დაცულია როგორც ბავშვის, ასევე მშობლების ინტერესები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რეჟიმის განესაზღვრა თავისთვავად გულისხმობს შეილის მამასთან ყოფნის პერი-ოდში მამის მხრიდან ყველა იმ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას, რასაც ბავშვის უპირატესი ინ-ტერესები მოითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ „მ. კ-ი მუშაობს წყალ-კანალიზაციის გაყვანილობებებზე, ევრო რემონტის სამუშაოებზე, აქვს სერიოზული შემო-სავალი“. პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ აპელანტის ახსნა-განმარტება მ. კ-ის შემოსავლის თაობაზე არ არის საკმარისი მტკიცებულება სადაც ფაქტის დასადასტურებლად, რადგან ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მეორე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა სადაც სამართლებ-რივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამა-დასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველ-მხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგები.

სამოქალაქო კოდექსის 1230-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, პა-ლატა ყურადღებას ამახვილებს ალიმენტის რდენობის განსაზღვრის იმ კრიტერიუმებზე, რასაც კანონ-მდებელი ალიმენტის გადამხდელის ყოველთვიური რეალური შემოსავალის რდენობას უკავშირებს. იმ თვალსაზრისით, რომ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და სასა-მართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდა, რომელიც გამიზნულია სარჩენი პირის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის უნდა იყოს აღსრულებადი. ვინაიდან არ დგინდება მშობლების ყოველთვიური სტაბილური შემოსავალის თაობაზე ინფორმაცია, ალიმენტის გონივრულ რდე-ნობად უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად 100 ლარი.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება მ. კ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გა-უქმება და საქმის დაპრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემ-დეგი საფუძვლებით:

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის მე-4 მუხლის მეორე ნაწილი, კერძოდ, სასამართლო დაც ეხება 2 წლის ბავშვს, ა. კ-ს. ბავშვი დაბადებიდან ავადა მწვავე პნევმონიით, იგი შერჩევით იკვებება. მ. კ-ი კი ხშირად იღებს ალკოჰოლურ სასმელებს და სახლში ცხოვრობს მარტო, მასთან სამი წლის ბავშვის დატოვება არის ყოველად დაუშვებელი.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის რეალიზაცია არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამით ბავშვის ინტერე-სებს ზიანი მიადგება.

ამავე კოდექსის 1200-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს დავის უკეთესი გადაწყვეტი-სათვის საქმეში უნდა ჩაერთო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1198-ე მუხლებით, ვინაი-დან მათი გამოყენება მიზანშენონლია, როდესაც მშობელი ცხოვრობს ჯანსაღი წესით და უარყოფით გავ-ლენას არ მოახდენს მცირებლოვანი შვილის მორალურ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეაფასა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. კ-ის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამარ-თლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს საკასა-ციო სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პირობას – საქმისათვის მნიშვნელოვანი ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დაუშგენლობას, არასრულად დადგენასა

და მტკიცებულებების დამატებით გამოკვლევის აუცილებლობას, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასათანადოდ და არასრულად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. კ-სა და მ. კ-ეს ფაქტობრივ ქორწინებაში შეეძინათ შვილი – 2010 წლის 25 თებერვალს დაბადებული ა. კ-ი.

ამჟამად მხარეები ცხოვრობდენ ცალ-ცალკე და არასრულნლოვანი ა. კ-ი ცხოვრობს დედასთან – მ. კ-თან.

განსახილველი დავის საგანს ნარმოადგენს მ. კ-ვის მცირენლოვან შვილთან ურთიერთობის წესისა და ბავშვის სარჩენად დაკისრებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა.

სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლი ადგენს, რომ შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტის. მშობლელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადაც საკითხს წყვეტს სასამართლომ მშობლების მონაცილეობით. ამ შეუთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის ნარმომადგენელი სასამართლომ დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის ნარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს ნარმოადგენს.

მითითებულიდან გამომდინარე, კანონმდებელი აღიარებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით მშობლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კომპეტენციურობას, რაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშობლების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნულ პრინციპს განამტკიცებს ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მეორე ნაწილის თანახმად კი, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, კანონის ზემოხსენებული დანაწესი ითვალისწინებს მშობლების მიერ ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შესაძლებლობასაც და სადაც საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს მიანდობს.

სწორედ ბავშვის აღზრდასა და მისი ცხოვრების წესის განსაზღვრას უკავშირდება სადაც საკითხი დედასთან მცხოვრები მცირენლოვანი ბავშვის მამასთან ურთიერთობის წესის დადგენის თაობაზე, თუმცა როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლებმა დავა განიხილეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აუცილებელი მონაცილეობის გარეშე, რითაც შეილახა არასრულნლოვანი ა. კ-ის უფლებები.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის შესაბამისად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

ზემოაღნიშნული ნორმების სასამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავსი ტიპის დავების განსილვისას სასამართლოსათვის უპირველესად სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უფლებების დაცვა, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა.

სადაც საკითხის გადაწყვეტილის სასამართლომ ზედმინევნით უნდა შეისწავლოს გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს და სადაც მას ურთიერთობა უნდა პქონდეს ორივე მშობელთან, არასრულნლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებანი, რის შედეგადაც შესაძლებელია, გადაწყდეს, რამდენი ხნით და რა წესით უნდა დაერთოს მამას შვილთან ურთიერთობის (დედისაგან დამოუკიდებლად წაყვანის, ლამით დატოვებისა და სხვა) ნება.

სენებული საკითხების შესწავლაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლი შეუცვლელია, რადგან დაუინტერესებელი პირის დასკვნა შეიძლება გახდეს სარწმუნო მტკიცებულება სასამართლოსათვის მით უფრო, რომ მ. კ-ე მიუთითებდა მ. კ-ის მხრიდან ბავშვზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის საფრთხეზე.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არც ერთი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მ. კ-ის მითითებაზე მცირენლოვანი ა. კ-ის ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის შესახებ, რის გამოც ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვას (გურუნალობასა და კვების რეჟიმს).

ა. კ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადასტურებლად, მ. კ-ის განმარტების გარდა, საქმეში ნარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარზე დართული მკურნალი ექიმის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ 2010-2011 წლებში არასრულნლოვანი მკურნალობდა ახმეტის რაიონულ საავადმყოფოში პნევმონიის დიაგნოზით.

მითითებული ფაქტი უდავოდ ნარმოადგენს მნიშვნელოვან დეტალს არასრულნლოვანის დედისაგან (რომელიც ბავშვზე ზრუნვის რეჟიმს უძღვება) თუნდაც დროებით მოშორების წესისა და ვადის განსაზღვრისას, რაზეც სააპელაციო პალატას გადაწყვეტილებაში ყურადღება არ გაუმახვილებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქმის ფაქტობრივი გარემოებანი სრულად და ყოველმხრივ გამოკვლეული არ არის, ამდენად, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსაზილველად, რა დროსაც უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს განჩინების კვლევით ნაწილში ასახული გარემოებანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

მ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არამართლზოგირად დაკავებული პავონის დაპრუნება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ძას-1809-1783-2011 22 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰაა-გის კონვენციის შესაბამისად, არასრულწლოვანი ლ. ჭ-ის უკრაინაში დაბრუნება

აღნერილობითი ნაწილი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტმა გ. ს-ს შუამდგომლობის საფუძველზე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა არასრულწლოვანი ლ. ჭ-ის უკრაინაში დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

გ. ჭ-მ დაარღვია მეურვეობის უფლება, მის (ბავშვის მამა) მიერ განხორციელდა არამართლზომიერი ქმედება – 2010 წლის 25 აგვისტოდან დააკავა შვილი – ლ. ჭ-ე საქართველოში და ალარ აპრუნებს უკრაინაში, სადაც არის ამ უკანასკნელის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ბავშვის – ლ. ჭ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მონინაალდეგე მხარის მიერ მოხდა ცალმხრივად და კანონდარღვევით, რის გამოც სახეზე „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც, ბავშვის დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს და უნდა მოხდეს კონვენციის მიზნის რეალიზება – არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის უკრაინაში დაბრუნება.

მონინაალდეგე მხარე გ. ჭ-ე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც მოცემული ვითარება „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევაა, რომლის თანახმადაც „მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ვალდებული არ არის გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუკი დაადგენს, რომ: არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვის ფიზიკურ ან ჯსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩაუყენებს აუტანელ მდგრამარეობაში“. გ. ჭ-ე შვილთან – ლ. ჭ-სთან ერთად არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთათვისაც საქართველო წარმოადგენდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. ლ. ჭ-ე უკრაინიდან გაყვანილ იქნა დედის, გ. ს-ს ნოტარისალური თანხმობის საფუძველზე და უკრაინაში დაბრუნების თარიღად სამართლებრივ აქტში მითითებულია 2011 წლის 28 თებერვალი. არასრულწლოვანი ბავშვის საქართველოში წამოყვანის მთავარ გარემობად უთითებენ მძიმე სულიერი და ფსიქოლოგიურ ტრავმის მიღებას (უთითებენ დედის უყურადღებობის გამო ხარკოვში მომხდარ ტრაგედიის შესახებ), რაც დღემდე ბავშვის მეურნალობით აისხნება, ამასთან, გ. ჭ-ს არ დაურღვევია „მეურვეობის უფლება“, რადგან თავად მამა შვილის კანონიერი წარმომადგენელია. ბავშვი ინტეგრირებულია დღეისათვის არსებულ გარემოსთან, მამის სანათესაო და საახლობლო წრესთან და სურვილი აქვთ თბილისში ყოფნისა და ცხოვრებისა. ასევე დიდია ბავშვის სიყვარული და მიჯაჭვულობა მამასთან და საქართველოში არსებულ გარემოსთან. მონინაალდეგე მხარის თქმით, აღნიშნულის გაუთვალისწინებლად საკითხის გადაწყვეტა და ბავშვის უკრაინაში დაბრუნება, ლ. ჭ-ს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, რაც სასამართლოს მხრიდან ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით გ. (ა.) ს-ს უარი ეთქვა, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, უკრაინიდან გადაადგილებულ (დაკავებულ) არასრულწლოვან ლ. ჭ-ის უკრაინაში დაბრუნების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. (ა.) ს-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად არასრულწლოვანი ლ. ჭ-ის უკრაინაში დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ს-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, 2004 წლის 29 ივლისს დაბადებული ლ. ჭ-ე დაუბრუნდა დედას – 1981 წლის 11 მაისს დაბადებულ გ. ს-ს, მცხოვრებს უკრაინაში, ქ.ხარკოვი, კ-ს ქუჩა №7/9-ში მდებარე №41 ბინაში შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 29 ივლისს არასრულწლოვანი ლ. ჭ-ე დაბადა უკრაინის ქ.ხარკოვში ლ. ჭ-ის მშობლები არიან: გ. ჭ-ე და გ. (ა.) ს-ა. გ. ს-ა უკრაინის ხოლო გ. ჭ-ე – საქართველოს მოქალაქეა, ასევე უკრაინის მოქალაქე. 2004 წლის 29 ივლისს უკრაინის ქალაქ ხარკოვში დაბადებული ლ. გ-ის ძე ჭ-ე უკრაინის მოქალაქეა. ლ. ჭ-ის საცხოვრებელი ადგილი იყო უკრაინის ქალაქი ხარკოვი. ლ. ჭ-ე სკოლამდელ საგანმანათლებლი დაწესებულებაში (№119) ირიცხებოდა 2010 წლის 30 მაისამდე, საიდანც ამოირიცას სკოლაში შესვლასთან დაკავშირებით. გ. ს-მ 2010 წლის 30 ივლისს წერილობით გასცა თანხმობა მასზე, რომ ლ. ჭ-ე 2010 წლის 30 ივლისიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე გამგზავრებულიყო საზღვარგარეთის ქვეყნებში: რუსეთის ფედერაცია, საქართველო და დაბრუნებულიყო უკრაინაში. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ თანხმობა გასცა მშობელმა (დედამ), რომელთან ერთადაც ფაქტობრივად ცხოვრობდა ლ. ჭ-ე და რომელიც ბავშვზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. სასამართლო დაეთანხმა აპელაციის განმარტებას, რომ თებერვლის ბოლომდე ვადით თანხმობის გაცემა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მამას საშუალება მისცემოდა ბავშვა არდადეგებზე წაყვანა არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულს ამყარებს ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ლ. ჭ-ე დედის განცხადების საფუძველზე ჩაირიცხა 1-ა კლასში ხარკოვის რეგიონში ხარკოვის საქალაქო საბჭოს №4 პედაგოგიურ ლიცეუმში, სადაც მან ვერ შეძლო სწავლის დაწყება, რადგანაც არ მომხდარა ბავშვის უკრაინაში დაბრუნება. პალატამ ჩათვალა, რომ ლ. ჭ-ე წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცემის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს, რადგანაც 2011 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობითაც კი, ბავშვის მამა და ის პირები, ვისთანაც ფაქტობრივად იმყოფება ბავშვი, უარს ამბობენ მის უკრაინაში დაბრუნებაზე, შესაბამისად, დაბრუნება არ განხორციელებულა 2011 წლის 28 თებერვლის შემდომ პერიოდშიც. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ბავშვის უკრაინიდან წამოყვანაზე თანხმობის მიცემიდან 2010 წლის 30 ივლისიდან მალევე მიმართა გ. ს-მ, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, უკრაინის ცენტრალურ ორგანოს – უკრაინის იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც, თავის მხრივ, 2010 წლის 18 ნოემბერს უკვე მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოში უკანონოდ დაკავებული ლ. ჭ-ის დაბრუნების თაობაზე განცხადებით მიმართა 2010 წლის 2 დეკემბერს, რის გამოც საქართველოს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისათვის ბავშვის უკანონო დაკავებიდან არ იყო ერთი წელი გასული, ხოლო წერილობით გაცემულ თანხმობაში განსაზღვრული დაბრუნების ვადიდან – 2011 წლის 28 თებერვლიდან ერთხლიანი ვადა საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის მომენტშიც კი არ არის გასული. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ამჟამად ლ. ჭ-ე ცხოვრობს საქართველოში, ქ.თბილისში. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრის) სოციალური მუშაკის 2011 წლის 10 თებერვლის დასკვნის თანახმად, ლ. ჭ-ე ცხოვრობს ბიძის, თ. ჭ-ის ოჯახში მდებარე გლდანის პირველი მიკრორაიონის №.. კორპუსის №.. ბინაში. ბავშვის მამა ძირითადად ცხოვრობს რუსეთში და პერიოდულად ჩამოდის ბავშვთან. გ. ჭ-ე საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის პერიოდშიც რუსეთში იმყოფებოდა. პალატა არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ ლ. ჭ-ის ასაკიდან და სხვა გარემოებიდან გამომდინარე, უკრაინაში დაბრუნება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის. სასამართლოს განმარტებით, ლ. ჭ-ე დაბადებიდან იზრდებოდა უკრაინაში, ქალაქ ხარკოვში და იგი იყო ადაპტირებული იმ გარემოში, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს 2011 წლის 10 თებერვლის დასკვნაშიც არის აღნიშნული. „ლ. ჭ-ე 6 წლისაა, იგი 79-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. ბავშვი ძირითადად მეტყველებს რუსულ ენაზე, თუმცა დადის ქართულ სკოლაში და მიჰყება სასწავლო პროცესს“. ბავშვი იმყოფება აღრიცხვაზე საქართველოში ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის პოლიკლინიკაში 2010 წლის 16 ნოემბრიდან დიაგნოზით – ადაპტაციის დარღვევები – ჭ43.2. ცნობის გაცემის დროისათვის (12.01.2011). კვლავ უგრძელდება დამის ენურეზი (გაიშვიათებული სახით), უტარდება მუკრნალობა ამბულატორიული დაკვირვების ქვეშ. ლ. ჭ-ის ფსიქოლოგიური ქცევები არაადეკვატურია. იმისთვის, რომ მოხდეს მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა.

სასამართლომ მიუთითა გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის 2011 წლის 12 აპრილის დასკვნაზე, რომელიც შედგენილია სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ინტერვენციის საფუძველზე, რაც მოიცავდა ვიზიტებს, საუბარს ლ. ჭ-სთან და დაკვირვებას მის ქცევაზე. სოციალურმა მუშაკებმა ინტერვენციის განხორციელების მიზნით ორგანიზება გაუკეთეს ლ. ჭ-ისა და გ. ს-ს რამოდენიმე შეხვედრას. აღნიშნულ დასკვნაში აღნიშნულია შემდეგი: „როდესაც ქალბატონი ა. ვაჟს ხელს ხვევდა და, საპასუხოდ, ლ-ც ეხუტებოდა დედას, ბატონმა გ-მ ბავშვს თვალებით მინიჭება მისცა, რის შემდგომაც ლ. შეკრთდა და ხელები მოაშორა დედას. მსგავსი ფაქტი ირჯერ განმეორდა. ბატონმა გ-მ მსგავსი მითითებების მიცემა ჩვენს მიერ განეული დირექტივების შემდეგ შეწყვიტა. პირველი შეხვედრა დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა. ლ-მ შეკითხვაზე: „სურდა თუ არა მეორე დღესაც ენახა დედა?“ – თანხმობა განაცხადა. მეორე დღეს, ბატონ გ-სთან სატელეფონო შეთანხმების საფუძველზე შეხ-

ვედრა დედა-შვილს შორის ჩვენი, მამის, ბიძის და ორი არასრულწლოვანი ბიძაშვილის თანხლებით შედგა გლოდანის რაიონის „ვარდების რევოლუციის პარკში“. თავდაპირველად ბავშვი წინა დღესთან შედარებით თავს ლაღად გრძნობდა, დედას მხიარულად ესაუბრებოდა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდგომ დედას მჭიდროდ ჩაეხუტა, მამასთან მიირბინა და სახლში ნასვლა მოითხოვა. შეკითხვაზე: „თუ რატომ უნდოდა სახლში ნასვლა?“ პასუხი არ განაცხადა, მაგრამ მეორე დღეს დედასთან შეხვედრის სურვილი კვლავ გამოთქვა. მესამე დღეს დედა-შვილს შორის შეხვედრა კვლავ ზემოხსენებულ პარკში შედგა ჩვენი, ბაბუის, ბიძის და ბიძაშვილების თანხმებით. შეხვედრისას ცნობილი გახდა, რომ ბატონი გ. რუსეთში გაემგზავრა. ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეხვედრა დაახლოებით 4 საათი გაგრძელდა, მთელი ამ დროის განმავლობაში ლ. ურთიერთობდა დედასთან, იყო ძალიან ლალი, მხიარული, აქტიური. იგი დედის თანხლებით ბიძაშვილებთან ერთად ატრაქციონებზე თამაშობდა, პერიოდულად დედას ეხუტებოდა. ქალბატონმა ა-მ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ლ. ინტერესს იჩენდა უკრაინაში მცხოვრებ მისი ყველა მეგობრისა და დედის ოჯახის წევრებზე და მათ შესახებ შეკითხებს უსვამდა. ჩვენი თანდასწრებით დედა-შვილს შორის შედგა 3 შეხვედრა. ქალბატონი ა. უკრაინაში გაემგზავრა. გამგზავრებონ დაახლოებოთ ერთ კვირაში მან დამირეკა და მითხრა, რომ ლ-ს ოჯახის წევრები არ აძლევდნენ სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებას. ამ ფაქტის შესახებ ლ-ს ოჯახის წევრებმა გვითხრეს, რომ თავად ბავშვს არ სურდა დედასთან საუბარი. 2011 წლის 7 პარილს ჩვენს მიერ განხორციელდა ვიზიტი ლ-ს საცხოვრებელ მისამართზე. ბატონმა ნ-მა განგვიცხადა, რომ იგი შვილიშვილს ამეცადინებდა და ბავშვის სამეცადინო თოახში შეგვიძლვა. ლ-მ არ მოინდომა ჩვენთან საუბარი და სანერი მაგიდის ქვეშ შეძრა. შეკითხვაზე: „თუ რატომ დაგვემალა?“ გვიპასუხა, რომ „მას სურს მამასთან ერთად საქართველოში ცხოვრება“. კითხვაზე „თუ რა მიზეზის გამო არ სურდა დედასთან საუბარი?“ განაცხადა, რომ მიზეზი აქვს, მაგრამ მიზეზი არ უთქამს. ჩვენს მიერ განხორციელებული ინტერვენციის საფუძველზე, რაც მოიცავს ვიზიტებს, საუბარს ლ. ჭ-სთან და დაკვირვებას მის ქცევაზე, ვფიქრობთ, რომ მას აქვს არაადეკვატური ქცევები, რაც შემდგომში მდგომარეობს: დედასთან ურთიერთობის სურვილი, შეხვედრისას დედის მიმართ სიყვარულის გამოხატვა, მოფერება, სილალე, შემდეგ კი უარის თქმა მასთან სატელეფონო საუბარზე. ხაზგასასმელია დედასთან ურთიერთობისას მამის მინიჭებების შესრულება და დაბაბულობა. იქიდან გამომდინარე, რომ ლ. ცხოვრობს ბიძის და ბაბუის ოჯახში, მას აქვს მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტი (ვინაიდან არც ერთი მშობელი არ ცხოვრობს მასთან). იმისთვის, რომ მოხდეს ბავშვის სრულყოფილ, ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბება და იმისთვის, რომ მოხდეს მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა“.

სასამართლომ მიუთითა ასევე საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ გაცემულ დასკვნაზე „ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები“, სადაც აღნიშნულია, რომ „ლ. ფიზიკურად აქტიური და მოუსვენარია. გატაცებით ყვება საკუთარი თავის შესახებ, სიამაყით აცხადებს, რომ „არაფრის ეშინია და ჩხებებში ყოველთვის იმარჯვებს“; თუმცა გამოკვლევის პროცესში ნაკლები მონადომებით ერთვება: „დავილალე ამდენი გამოკითხვებით. ყველაფერს ხომ აქვს დასასრული და ეს სასამართლოებიც დასრულდება“. ინსტრუქციებს ადვილად იგებს, შეთავაზებულ დავალებებს ძირითადად დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე ასრულებს. ლ. განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობს ბაბუაზე (ნ. ჭ-ე), ამბობს, რომ ბაბუა ყველაფერს ასწავლის, ცურვას, ქართულს, მეცადინებაში ეხმარება, ასეირნებს. ბატონი ნ-ი, რომელიც ვიზიტებზე ახლდა ბავშვს, ყურადღებიანია ლ-ს მიმართ, გამოხატულ სითბოს და ზრუნვას იჩენს. როცა დავალებების შესრულებისას ლ-ს რაიმეს დაზუსტება სჭირდება, ის მაშინვე ბაბუას მიმართავს და ბატონი ნ-ც გულისყურით, დაუყოვნებლივ რეაგირებს ბავშვის მიმართვებზე, ლ. ასევე სიყვარულით საუბრობს მამაზე. საყურადღებოა, რომ ლ. საკუთარი ინიციატივით არასოდეს ახსენებს დედას, თუმცა ფსიქოლოგის მიერ დედის შესახებ დასმულ პირდაპირ კითხვებზე გულახდილად პასუხობს, გამოხატავს სიყვარულს და მონატრებას დედის მიმართ; შეკითხვაზე, „რას აკეთებდი ხოლმე დედასთან ერთად?“, ლ. იხსენებს, როგორ შედებს ერთად სააღდგომო კვერცხები და დანანებით ამბობს: „მაშინ ყველაფერი კარგად იყო, ყველა ერთად ვიყავით“. ბავშვი ამბობს, რომ დედა არასოდეს სცემდა და თუ ლ. რამეს დააშავებდა, დედა მხოლოდ აფრთხილებდა: „მეორედ ასეთი რამ არ გააკეთო“. შეკითხვაზე, „რა არის მისი ყველაზე დიდი ოცნება“, - ლ. პასუხობს: „გ-მ დიდი სახლი იყიდოს და დედასთან ერთად ვიცხოვროთ ყველამ. სულ ვეუბნები გ-ს, რომ შერიგდნენ“. ბავშვის ემოციური სფეროს თავისებურებების თანახმად – „აგრესიულობის კითხვარით“ გამოვლინდა ფიზიკური აგრესია, გალიზიანება, ასევე უნდობლობა თანატოლთა და უფროსების მიმართ. აგრესიულობის ეს გამოვლინებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლ-ს თავდაცვითი რეაქცია მისთვის გაუგებარი სიტუაციის მიმართ. „ფრუსტრაციის ტესტში“ და „დაუმთავრებელ წინადალებებში“ გამოვლინდა შფოთვის მაღალი დონე, მომავლის შიში. ასევე გამოჩნდა, რომ ლ. განიცდის როგორც დედასთან, ისე მამასთან ემოციური ურთიერთობის დანაკლისს. „ლუშერის ტესტშია“ ბავშვის მშობლებისადმი დამოკიდებულება – „გამოიკვეთა ლ-ს დადებითი დამოკიდებულება მამისა და მამის მხრიდან უახლოესი ნათესავების მიმართ. ბავშვს განსაკუთრებული ასტროდიდან არ გარეშე, აქვე ათავსებს დედას მეორედიკაში „პარადი სივრცე“ ლ. ხალისით აყენებს თავის პირად სივრცეში ადამიანების პატარა მოდელებს და განაცხადავს, რომ „მისთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან: გ. (მამა), ბაბუ, თ., ლ., ს.. მცირე შეფერხების შემდეგ, ყველაფერი ჩარევის იქნება და შვილიც მხიარული“. საუბრისას ლ. არაერთხელ აღნიშნავს, რომ თბილისში ყოფნა ურჩენია, რომ აქ ყველა სურვილს უსრულებენ. ლ. დადებითად ახასიათებს დედას, მის მიმართ სიყვარულს გამოხატავს. ასევე სითბოთი და სიამოვნებით იხსენებს დედასთან ცხოვრების პერიოდს, რომ იქ 2 ძალი ჰყავდა, ყვება ხარკოველ თანატოლ მეგობრებზე. თუმცა, დედასთან მოსალოდნელ

შეხვედრასთან დაკავშირებით ძლიერ შფოთვას და გაღიზიანებას ავლენს“. დასკვნითი ნაწილის თანახმად: „ბავშვის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა – ორივე მშობელთან ემოციური ურთიერთობის დანაკლისი. ლ-ს აქვთ გამოკვეთილად დადებითი დამოკიდებულება მამისა და მამის მხრიდან ახლო ნათესავებისადმი, ხოლო დედის მიმართ – გაორებული დამოკიდებულება: ერთი მხრივ, სიყვარული, თბილი გრძნობები, და, მეორე მხრივ, ძლიერი შფოთვა. ლ. აფიქსირებს მამასთან და მამის მხრიდან ახლო ნათესავებთან ცხოვრების სურვილს, თუმცა მათთან ერთად დედის ყოფნის სურვილსაც გამოთქვამს. ემოციურ სფეროში გამოვლინდა ძლიერი შფოთვა, აგრძესული რეაქციები (ფიზიური აგრძესია, გაღიზიანება, უნდობლობა), დაბალი თვითშეფასება, მომავლის შიში. აღნიშნული ფსიქოლოგიური მახასიათებლები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ბავშვის რეაქციები გადატანილ ფსიქოტრავმაზე და მისთვის რთულ, ძნელადგასაგებ ამჟამინდელ სიტუაციაზე“. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დასკვნებით დასტურება, რომ ლ. ჭ-ისათვის რთული და ძნელადგასაგებია ამჟამინდელი სიტუაცია, შესაბამისად, თავად ლ. ჭ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, როცა არ იკვეთება ბავშვის დედასთან დაბრუნების ფაქტის მის ფსიქოლოგიურ ცოდნაში. საფრთხე, რომ აღნიშნული იქნება მის მიმდევრულ გ. ს-სთან] მის ძირითად საცხოვრებელ ადგილას.

პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის იმ მოტივის თაობაზე, რომ თ. ჭ-ე (ლ. ჭ-ის და) დაბადებული უკრაინის ქალაქ ხარკოვში 2006 წლის 4 სექტემბერს, გარდაიცვალა 2010 წლის 22 ივლისს ხარკოვში, როთიც ლ. ჭ-ს მიადგა ფსიქიკური ტრავმა. პალატის მოსაზრებით, ამ ფსიქოლოგიურ ცოდნაზე უთითებს საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნაც, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მისთვის რთული და ძნელადგასაგებია ამჟამინდელი სიტუაციაც. ტრავმირებული ბავშვის მშობელთან დაშორება არ შეიძლება შეფასდეს ბავშვის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებად. როგორც გასაჩინოვრებულ გადაწყვეტილებაშიც არის აღნიშნული, ლ. საქართველოში ნამოყვანამდე გადიოდა რეაბილიტაციის კურსს დელფინარიუმში. ამასთან, მისთვის საზიანოდ არ შეიძლება შეფასდეს დედასთან ცხოვრება, რომელიც 2010 წლის 25 აგვისტოდან გადის ინტერნატურას ხარკოვის საოლქო №3 კლინიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაზაზე სპეციალობით „ფსიქიატრია“ ექიმ-ინტერნის რაგში და ხასიათდება დადებითად. ხარკოვის ოლქში უკრაინის შს რგ ხსს სს კიევის რაიონის გამომძიებლის 2010 წლის 1 აგვისტოს დადგენილების თანახმად, მოქალაქე თ. გ-ის-ას ჭ-ის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ იქნა აღძრული უკრაინის სსკ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დანაშაულის არარსებობის გამო. გ. ჭ-ს 2004 წლის 30 ივნისის ხარკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭა ექიმის კვალიფიკაცია. მან რუსეთის დიპლომის შემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიაში სწავლების განმავლობაში გაიარა კლინიკურ ორდინატურაში მომზადების სრული კურსი ნეიროქირურგის სპეციალობით. გ. ს-ს მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობით – „პირველადი ფსიქიატრიული შემონმების გავლის შესახებ“ და სერტიფიკატით – „პროფილაქტიკურ-ნარკოლოგიური შემონმების გავლის შესახებ“ – შემონმების შედეგებით რაიმე უარყოფითი მოვლენა არ გამოვლენილა. დ. ვ. ე-ის (გ. ს-ს ბაბუა) ოჯახი შედგება 4 ნევრისაგან: დ. ვ-ი დაბადებული 1930 წელს, ს-ა ი. დაბადებული 1958 წელს, ს-ა ა. (გ.) დაბადებული 1981 წელს, ჭ-ე ლ. დაბადებული 2004 წელს. საყოფაცხოვრებო პირობების გამოკვლევის აქტით დასტურდება, რომ ა. ვ-ის ას ს-ს საცხოვრებელი ბინა იზოლირებულია, საცხოვრებელი ფართია 48,7 კვ-მ, განლაგებული შვიდსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია (მცხოვრები 4 სული). მცირენლოვანი ლ. ჭ-ისათვის დედასთან ერთად გამოყოფილი აქვს 14,5 კვ-მ რთახი და შექმნილია მათი ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები. ქ.ხარკოვის კიევის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით მცირენლოვან ლ. გ-ის-დე ჭ-ის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა დედის – გ. ს-სთან ერთად, ამავე სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით მცირენლოვანი ლ. გ-ის-დე ჭ-ე გამოთხვილი იქნა გ. ჭ-ისაგან და დადგინდა მისი დაბრუნება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას უკრაინაში ქ.ხარკოვში, ჩ-ის ქ. №7/9-ის №41 ბინაში.

სასამართლო მიუთითა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის 1-ლ მუხლზე, მე-2 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305¹ მუხლზე და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გ. ს-სათვის ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოში განცხადება წარდგენილ იქნა სწორედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერად მიწნევის კრიტერიუმებს, ხოლო მე-4 მუხლით, კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. მე-5 მუხლის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის „მეურვეობის უფლებები“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზრუნველობას და, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას. სასამართლომ ასევე მიუთითა კონვენციის მე-13 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ირგანოს ვალდებულება გასცეს ან არ გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე. სასამართლო ან ადმინისტრაციულ ირგანოს, აგრეთვე, შეუძლია უარი განცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი იგი აღმოჩენს, რომ ბავშვი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებას და მონიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშენილია მისი აზრის გათვალისწინება. სასამართლო ჩათვალა, რომ არ არასებობდა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ლ. ჭ-ის უკრაინაში დაბრუნების დამაბრკოლებელი რაიმე გარემოება, ამასთან, თავად 2004 წლის 29 ივლისს დაბადებული ლ. ჭ-ს არ მიუღწევია

ისეთი ასაკისათვის, რომ მიზანშეწონილი იყოს მისი აზრის გათვალისწინება. გარდა ამისა, ლ. ჭ-ის ფსიქოლოგიური ქცევები არააღეცატურია, სახეზეა მშობლებთან ემოციური ურთიერთობის დანაკლისი. პალატამ იხელმძღვანელა ასევე კონცენტრის მე-14 მუხლით, რომლითაც დადგენილია იმის გამორკვევის წესი, პქონდა თუ არა აღგილი არამართლზომიერ გადაადგილებას ან დაკავებას მე-3 მუხლს მნიშვნელობის ფარგლებში და მიუთითა ქ.ხარკოვის კიევის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მცირენლოვან ლ. გ-ის ძე ჭ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედასთან, გ. ს-სთან ერთად, ასევე, ქ.ხარკოვის კიევის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით მცირენლოვანი ლ. გ-ის-ძე ჭ-ე გამოთხვილ იქნა გ. ჭ-ისაგან და დადგინდა მისი დაბრუნება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას - უკრაინის ქ.ხარკოვში, ჩ-ის ქ. №7/9-ს №41 ბინაში.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ს-სათვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უკრაინის თემა შემდეგი დასაბუთებით:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურება, რომ ლ. ჭ-ის საქართველოში წამოყვანა განპირობებული იყო უკრაინაში მოხდარი ტრაგედიით, რასაც არც გ. ს-ა უარყოფს, გადაწყვეტილება კი უარყოფს საქმეში არსებულ ექსპერტთა იმ დასკვნებს, სადაც გამოკვლეულია ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ის გარემოება, რომ ბავშვის არ მიუღწევია ასაკისათვის, როდესაც მას ეკითხებიან აზრს საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა იქნას გაზიარებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ფაქტია, რომ ლ. ჭ-ს უჭირს დედასთან ურთიერთობა და მას აშკარა მიჯაჭვულობა აქვს მამასა და მამის ნათესავების მიმართ. კიევის რაიონის ბავშვთა უფლებების დაცვის კომისიის 2010 წლის 12 ოქტომბრის №20 სხდომის ოქმით არ დასტურდება ამ სხდომის შესახებ გ. ჭ-ის ინფორმირების ფაქტი და არც გ. ს-ს წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც ეს ფაქტი დადასტურდებოდა. ლ. ჭ-ე საქართველოში წამოყვანა მამამ, თუმცა დედის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის საფუძველზე, რომლის უკრაინაში დაბრუნების ვადად განსაზღვრული იყო 2011 წლის 28 თებერვალი და მხარეთა შორის რაიმე მოლაპარაკებას ბავშვის 25 აგვისტომდე დაბრუნების თაობაზე ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უგულებელყოფილია არასრულნლოვნის უკრაინიდან წამოყვანის უმთავრესი მიზეზი - 2010 წლის ივლისში თ. ჭ-ის ტრაგიკული გარდაცვალება, რომელმაც ლ. ჭ-ის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმიქმედა, აღნიშნულის თაობაზე არა მითითება უკრაინიდან გადმოცემულ არც ერთ დოკუმენტში. ლ. ჭ-ე მკურნალობს ფსიქიატრიულ დაწესებულაპაში, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ცნობა, რომლის თანახმადაც ბავშვს აღნიშნება ადაპტაციის დარღვევები, ლამის ენურიზე და მას უტარდება შესაბამისი მკურნალობა. აღნიშნული ადასტურებს, რომ არაა დარღვეული 1980 წლის ჰავაგის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ. გადაწყვეტილებით უგულებელყოფილია თუ რატომ ვერ შეძლო დედამ შვილისათვის მკურნალობის სრული კურსის ჩატარება, ასევე არ ყოფილა გამახვილებული ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ რა მისამართზე მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, არაა გამოკვლეული ის ფაქტი, რომ ეს მისამართი არ წარმოადგენდა გ. ს-ს საცხოვრებელ მისამართის, ის ცხოვრობდა გაურკვეველ პირთან და ტრაგედია გამოწვეულია დედის უყურადღებობით. პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, სადაც საფუძვლინად იქნა გამოკვლეული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ის ფაქტორები, თუ რა იყო უმჯოფესი არასრულნლოვანისათვის, სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ცალმხრივად შესწავლის საფუძველზე შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასვნები. სასამართლომ შეფასება არ მისცა სოციალური მუშაკის დასკვნის მითითებას ბავშვის საცხოვრებელი პირობების თაობაზე, ასევე იმას, რომ ლ. ჭ-ე ადაპტირებულია გარემოსთან, ცხოვრობს მზრუნველ ადამიანებთან და აქვს ნორმალური საცხოვრებელი პირობები, დადის ქართულ სკოლაში, სიამოვნებით სწავლობს ქართულს და თავს გრძნობს დაცულ გარემოში. სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული ფსიქოლოგის დასკვნაც „აგრესიულობის კითხვართან“ მიმართებით და ბავშვის დადებითი დამოკიდებულება მამისა და მამის მხრიდან ნათესავების მიმართ, რომ ბავშვი დედასთან მოსალოდნებული შეცველის თაობაზე ძლიერ შფორთავს და ავლენს გაღიზიანებას. საქმის განხილვისას თავად გ. ს-მაც დაადასტურა, რომ ორივე მშობლის ინტერესი მიმართულია ლ-ს ჯანმრთელობისკენ, რომ მას ჯერ თავად დაჰყავდა ბავშვის სამკურნალოდ, ხოლო მოგვიანებით გამოატანა მამას საქართველოში, რითაც გამოაცილა ფსიქოლოგიურად დაძაბულ გარემოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმის მასალების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უკრაინაში არასრულნლოვნის დაბრუნება მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შეუქმნიდა საფრთხეს. სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გამახვილა იმაზე, რომ ფსიქოლოგს წარმოდგენილი აქვს კატეგორიული ხასიათის დასკვნა იმ ნაწილში სადაც აღნიშნულია, რომ ლ. ჭ-ს მიღებული აქვს მძიმე ფსიქოლოგიური ხასიათის ტრავმა მაღალი ხარისხის ალბათობით და მისი უკრაინაში დაბრუნება გამოიწვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ საფრთხეს ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში. საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას მართებულად იქნა დადგენილი, რომ ტრავმა ლ. ჭ-მ სწორედ უკრაინაში ყოფნისას მიღლო, რისი შედეგიცაა ის, რომ ლ. ჭ-ე საუბრისას არასოდეს ასენენებს გარდაცვლილ დას, აქვს დედის მიმართ გაორებული დამოკიდებულება, შფორთვის მაღალი დონე და მომავლის შიში. სოციალური მუშაკის დასკვნაში ნათლადაა გადმოცემული ბავშვის სურვილი, იცხოვროს საქართველოში. სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლიო ის ფაქტი, რომ დედას მასის შემდეგ არ გასჩენია ბავშვთან დაკავშირების სურვილი, აღნიშნულს დაადასტურებენ სოციალური მუშაკებიც. სააპელაციო პალატამ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმით, რომ სასამართლო შუამდგომლობის აღმძვრელ პირს უკრაინის ქ.ხარკოვში, ჩ-ის ქ. №7/9-ს №41 ბინაში.

ბავშვის გადაადგილებიდან გასულია ერთ წელზე მეტი, ამასთან, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით, ისე, რომ მხარეებს სადაცოდ არ მიუჩინევიათ, სადაცოდ გახადა ის გარემოება, არის თუ არა ლ. ჭ-ე საქართველოს მოქალაქე და რის საფუძველზე მოხდა მისოვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, ამდენად, არასწორია სასამართლოს მითითება, რომ ლ. ჭ-ე უკრაინის მოქალაქეა, ასევე დადგენილად მიჩნეულია გარემოება, რომ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანაზე თანხმობა გასცა დედამ, რომელთან ერთადაც ფაქტობრივად ცხოვრობდა ლ. ჭ-ე და რომელიც მასზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. აღნიშნული თანხმობა დედამ გასცა არა იმიტომ, რომ არასრულწლოვანი მხოლოდ მასთან ცხოვრობდა, არამედ იმიტომ, რომ ერთი მშობლის მიერ არასრულწლოვნის საზღვარგარეთ გაყვანისათვის საჭიროა მეორე მშობლის თანხმობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და ვ. ჭ-ის საკასაციო საჩივარის საფუძვლების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მასინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა შეიძლება მდგომარეობდეს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში, რასაც საქმის გარემოებების არასწორი დადგენა მოჰყვა, რამაც საბოლოოდ გავლენა იქნია საქმის შედეგზე. სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ხოლო ამ გარემოების ხელახლა გადამოწმების საფუძველს ქმნის კასატორის მიერ დასაშვები და დასაბუთებული პრეტეზის (შედავების) ნარმოდგენა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 29 ივლისს ლ. ჭ-ე დაიბადა უკრაინის ქ.ხარკოვში. მისი მშობლები არიან: გ. ჭ-ე და გ. (ა.) ს-ა. გ. ს-ა უკრაინის, ხოლო გ. ჭ-ე – საქართველოსა და უკრაინის მოქალაქე.

ლ. გ-ის ძე ჭ-ე უკრაინის მოქალაქეა და მისი საცხოვრებელი ადგილია უკრაინის ქალაქი ხარკოვი. ლ. ჭ-ე ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელიც ბავშვზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. ლ. ჭ-ე დაბადებიდან იზრდებოდა უკრაინაში, ქალაქ ხარკოვში და იგი იყო ადაპტირებული იმ გარემოში.

გ. ს-მ 2010 წლის 30 ივლისს წერილობით გასცა თანხმობა მასზე, რომ ლ. ჭ-ე 2010 წლის 30 ივლისიდან 2011 წლის 28 თებერვლად გამგზავრებულიყო საზღვარგარეთის ქვეყნებში: რუსეთის ფედერაცია, საქართველო და დაბრუნებულიყო უკრაინაში. თებერვლის ბოლომდე თანხმობის გაცემა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მამას საშუალება მისცემოდა ბავშვი არდადეგებზე წაეყვანა არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც.

ლ. ჭ-ე წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცემის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს, რადგანაც 2011 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობითაც კი, ბავშვის მამა და ის პირები, ვისთანაც ფაქტობრივად იმყოფება ბავშვი, უარს ამბობენ მის უკრაინაში დაბრუნებზე.

ამჟამად ლ. ჭ-ე ცხოვრობს საქართველოში, ბიძის, თ. ჭ-ის ოჯახში, მდებარე, გლდანის პირველი მიკრორაიონის №.. კორპუსი, ბინა №... ბავშვის მამა ძირითადად ცხოვრობს რუსეთში და პერიოდულად ჩამოდის ბავშვთან. იქიდან გამომდინარე, რომ ლ. ცხოვრობს ბიძის და ბაბუის ოჯახში, მას აქვს მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტი (ვინაიდან არც ერთი მშობელი არ ცხოვრობს მასთან).

ბავშვი იმყოფება აღრიცხვაზე საქართველოში ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის პოლიკლინიკაში 2010 წლის 16 ნოემბრიდან დიაპტაციის დარღვევები – 43.2. ცნობის გაცემის დროისათვის (12.01.2011). კვლავ უგრძელდება ღამის ენურეზი (გაიშვიათებული სახით), უტარდება მკურნალობა ამბულატორიული დაკვირვების ქვეშ.

ლ. ჭ-ს არ მიუღევია ისეთი ასაკისათვის, რომ მიზანშენილი იყოს მისი აზრის გათვალისწინება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა დაკავშირებით, რომ ლ. ჭ-ის ასაკიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, უკრაინაში დაბრუნება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის.

სასამართლოს შეფასებით, იმისთვის, რომ მოხდეს ბავშვის სრულყოფილ, ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა. სასამართლომ შეაფასა რა საქმეში წარმოდგენილი სოციალური მუშაკის დასკვნები, აღნიშნა შემდეგი: ლ. ჭ-ისათვის რთული და ძნელადგასაგებია ამჟამინდელი სიტუაცია, შესაბამისად, თავად ლ. ჭ-ის ინტერესე-

ბიდან გამომდინარე, როცა არ იკვეთება ბავშვის დედასთან დაბრუნების ფაქტის მის ფსიქიკაზე უარყოფითად ზემოქმედების საფრთხე, მიზანშენილია იგი დაბრუნებულ იქნეს მშობელთან (განმცხადებელ გ. ს-სთან) მის ძირითად საცხოვრებელ ადგილას. ამასთან, ბავშვის დედა ხსიათდება დადებითად და მისი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის იმ მოტივზე, რომ თ. ჭ-ე (ლ. ჭ-ის და) დაბადებული უკრაინის ქალაქ ხარკოვში 2006 წლის 4 სექტემბერს, გარდაიცვალა 2010 წლის 22 ივლისს ხარკოვში, რითიც ლ. ჭ-ს მიადგა ფსიქიკური ტრავმა.

ქარკოვის კიევის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით მცირენლოვან ლ. ჭ-ის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა დედის – გ. ს-სთან ერთად, ამავე სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის დაფენილებით მცირენლოვანი ლ. გ-ის-ძე ჭ-ე გამოთხოვილი იქნა გ. ჭ-ისაგან და დადგინდა მისი დაბრუნება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას უკრაინაში ქარკოვში, ჩ-ის ქ. №7/9-ის №41 ბინაში.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან იკვეთება, კასატორმა წარმოადგინა პრეტენზია საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, კასატორმა მიუთითა როგორც საპროცესო სამართლის ნორმათა, ასევე მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევებზე. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას რამდენიმე გარემოებაზე:

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს საქართველოში არამართლზომიერად დაკავშირებული ბავშვის (ლ. ჭ-ის) უკრაინაში დაბრუნება. შესაბამისად, მატერიალური მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარებს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰავაგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციიდან და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობიდან, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305¹-1305³ მუხლებიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კონვენციის პრემბულაში განვითარებულ მსჯელობას კონვენციის მიზნებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ბავშვის ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში. აქვე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა იყისრეს ვალდებულება, რათა უზრუნველყონ ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავშირის მავნე შედეგებისაგან. ამდენად, ივარაუდება, რომ კონვენციით მოწვერიგებული ის პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავშირებული ბავშვის სწრაფ დაბრუნებას ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე და მეურვეობის უფლებათა ეფექტიანად განხორციელებას, ემსახურება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა შუამდგომლობის აღმდევრელი მხარის მოთხოვნის – აღიკვეთოს ბავშვის უკანონოდ დაკავშება, კანონიერების შესწავლისას მიზანშენონილად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმებულ იქნეს ასევე საკითხი იმის შესახებ, თუ ბავშვის დაბრუნების შემთხვევაში რამდენად იქნება დაცული მისი ინტერესები, რაც სხვა ფაქტობრებთან ერთად გულისხმობს ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. საკასაციო პალატის მოცემული მსჯელობა ემყარება კონვენციის იმ საგამონაკლისო ნორმებს, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში არ ავალდებულებს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე (კონვენციის მე-13 მუხლი).

კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ლ. ჭ-ის საქართველოს მოქალაქეობის საკითხს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი არ არის ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, ვინაიდან კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის გადაადგილება ან დაკავშება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც: ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებებისა, მიკუთვნებულისა პირისთვის, დაწესებულებისთვის ან სხვა ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავშებამდე; გადაადგილების ან დაკავშირის დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგარად გამოიყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავშება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. გ-ის ძე ჭ-ის საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ჩამოყანამდე იყო უკრაინის ქალაქი ხარკოვი. ლ. ჭ-ე ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელიც ბავშვზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. ბავშვის მამამ და იმ პირებმა, ვისთანაც ბავშვი იმყოფება უარი განაცხადეს ბავშვის უკრაინაში დაბრუნებაზე, რის გამოც ლ. ჭ-ე საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშებულია არამართლზომიერად. კასატორს დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რის გამოც საქმეზე დადგენილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც, ლ-ს აქვს მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტი, შესაბამისად, იმისთვის, რომ მოხდეს ბავშვის სრულყოფილ, ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მსგავსი საქმეების განხილვის დროს ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი საგამონაკლისო შემთხვევები, თუკი ამის საფუძველი არსებობს. კასატორი მიუთითებს სასამართლოს მხრიდან კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევაზე (არსებობს იმის სერიოზულ რისკი, რომ ბავშვის დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფოთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში) და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უგულებელყოფილია ლ. ჭ-ის უკრაინიდან წამოყანის უმთავრესი მიზეზი – 2010 წლის ივლისში თ. ჭ-ის ტრაგიკული გარემოება, რომელმაც ლ. ჭ-ის ფსიქოლოგიურ მდგო-

მარეობაზე უარყოფითად იმიქედა. სწორედ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებას უკავშირებს კასატო-რი საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ფსიქოლოგური გამოკვლევის შედეგებზე, სადაც ფსიქოლოგი სხვა საკითხებთან ერთად ხაზს უსვამს ლ. ჭ-ის ტრავმირებულობის მაღალ ხარისხს, რაც გამოწვეულია უმცროსი დის გარდაცვალებით. ამასთან, ბავშვის ფსიქოლოგიური მახასიათებლები ფსიქოლოგს განხილული აქვს როგორც ბავშვის რეაქციები გადატანილ ფსიქოტრამვაზე და მის-თვის რთულ ძნელად გასაგებ ამჟამინდელ სიტუაციაზე. საკულისხმოა, რომ თვით სააპელაციო სასამართლომაც ვერ აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ თ. ჭ-ის (ლ. ჭ-ის და) გარდაცვალებით ლ. ჭ-ს მიადგა ფსიქიკური ტრავმა და ეს უკანასკნელი ამჟამადაც იმყოფება აღრიცხვაზე საქართველოში ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის პოლიკლინიკაში 2010 წლის 16 ნოემბრიდან, თუმცა, აღნიშნული გარემოებები ბავშვის დაბრუნებზე უარის თქმის საკმარის მოტივად არ იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატის შეფასებით, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შეუქმნილა რჩმენას, რომ ბავშვის დაკავებამდე არსებულ გარემოში დაბრუნება შესაძლებელია ბავშვის ინტერესების დარღვევის გარეშე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორმა სათანადო მტკიცებულებებზე აპელირებით მართვებულად დასაბუთა ის არსებითი რისკფაქტორები, რომლებიც კონვენციის მიზნებს უპირისიპირდება, ხოლო კასატორის მონინაალმდეგე მხარე ვერ ადასტურებს მართლსაწინაალმდეგო ქმედების აღკვეთით უფრო მაღალი მიზნის მიღწევას და ვერ გამორიცხავს, რომ ბავშვის უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში უფრო მეტად არ დაირღვევა ბავშვის ინტერესები და უფლებები. ამდენად, იმ მთავარი საკითხის გათვალისწინებით, რომ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის უმთავრესი მიზანი ბავშვის ინტერესების დაცვა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნას დაუპირისპირ სამართლებრივი შესაგებელი (კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), რომლის ფაქტორივი შემადგენლობაც დადასტურებულ იქნა საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, რაც საკასაციო საჩივრის დაკამაყილების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, შესაბამისად მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. (ა.) ს-ს უარი უნდა ეთქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ପ୍ରକାଶକ ନାମ:

1. გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
 2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
 3. გ. (ა.) ს-ს უარი ეთქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.
 4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცარმოში არსებული ცილის გაყოფა განერობისას

განვითარება

№۹۶-۹۷-۹۳-۲۰۱۲

28 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოფიციალური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
3. როინიშვილი,
გ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მეულლეთა თანასაკუთრებისას შეძენილი ქონების გაყოფა

ალწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. კ-ის ნინააღმდეგ და მოითხოვა მათ შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა, ასევე ქორწინების განვითარებაში შეძენილი ქონების: ავტომანქანა „LEXUS GX470“, ქ. თბილისში, მ-ის ქ. №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის, ქ. თბილისში, დიდი ლილო 08, ვ-ის მეურნეობა, 1500 კვ-მ მიზის ნაკვეთის, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე 816 კვ-მ მიზის ნაკვეთისა და სპას „... ... -ში“ რ. კ-ის 35% ნილის, გაყოფა.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, მოპასუხე დაეთანხმა მოთხოვნას ქორნინების შეწყვეტაზე, ასევე ცნო კველა სასარჩელო მოთხოვნა სადაც ქორნების ოთხი ობიექტის 1/2 ნილის მესაკუთრედ, გარდა სასარჩელო მოთხოვნისა სპს „... ადა“ მისი კუთვნილი 35% ნილიდან 17,5% ნილის საკუთრების

უფლების ცნობის ნაწილში. აღნიშნული წილის სანაცვლოდ, მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა ფულადი და ქონებრივი კომპენსაცია, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი დაქმაყოფილდა; გ. კ-სა და რ. კ-ს შორის შენყდა 1979 წლის 24 ნოემბერს რეგისტრირებული ქორწინება და გაუქმდა ქორწინების საქტო ჩანაწერი №625; გ. კ-ე (პ/ნ ...) ცნობილი იქნა რ. კ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული: ავტომანქანა - „LEXUS GX 470“-ის /სახელმწიფო ნომერი: ..., სარეგისტრაციო მოწმობა: ..., საიდენტიფიკაციო ნომერი: ..., გამოშვების წელი - 2006/ 1/2 წილის, საცხოვრებელი სახლის 22/94 წილი - მდებარე ქ. თბილისი, მ-ის ქ. №19-ის /მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №... 1/2 წილის, მინის ნაკვეთის: მდებარე - ქ. თბილისი, დიდი ლილო, ვ-ის მეურნეობა, ფართი - 1500.00 კვ.მ /საკადასტრო კოდი: №... 1/2 წილის, მინის ნაკვეთის: მდებარე - ოზურგეთის რაიონში, სოფ. ნ-ი, ფართობი - 816.00 კვ.მ. /საკადასტრო კოდი: №... 1/2 წილისა და სპს „...“-ში /საიდენტიფიკაციო კოდი: ...; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 9/2-89/ რ. კ-ის კუთვნილი 35% წილიდან 17.5% წილის მესაკუთრევდ;

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სპს „...-დან“ რ. კ-ის წილი ქონებიდან წილის მიკუთვნების თაობაზე სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მ და მოთხოვა აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინებით რ. კ-ის სააპელაციო საჩივრა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ფარგლებში დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. კ- და რ. კ-ე დაქორწინდნენ 1979 წლის ... წევმერს.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონანერის შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ რ. კ-ე არის სპს „... ... -ის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და 35% წილის მფლობელი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „... ...“ რეგისტრირებულია 1996 წლის 22 თებერვალს ქ. რუსთავის სასამართლოს მიერ რეგისტრაციის №.... .

სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა ასევე, რომ სპს „... ... -ის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საკარმიდამო მინის ნაკვეთების გადაღება და დაკვალვა; ტოპოგადაღება ნებისმიერ მასშტაბში; კომერციული საქმიანობა, საფირმო კომერციული მაღაზიების გახსნა და ფუნქციონირება; საშუალო საქმიანობა; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნა; აფთიაქის გახსნა; ავტომანქანის აკუმულატორების და სხვა ნაწილების შეკვეთება; ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვა და რეალიზაცია; საურსათო პროდუქტების დამზადება, შესყიდვა და რეალიზაცია.

სპს „... ... -ს“ პარტნიორებს წარმოადგენენ გეოპლატფორმის ბ. ქ-ე, ტოპოგრაფი ზ.

ც-ე.

სპს „... ... -ს“ პარტნიორთა კრების 2011 წლის 19 ივნისის საოქმო გადაწყვეტილებით რ. კ-ის 35%-იანი წილის ნახევრის სანაცვლოდ, მის ყოფილ მეუღლეს გადაეცა საზოგადოების კუთვნილი ქონების 17,5%, ხოლო, დარჩენილი ქონების მიხედვით, წილები განაწილდა სამ პარტნიორს შორის სასამართლოს დასრულების შემდეგ, ახალი პარტნიორის შემოსვლის გამო სამუშაოთა სპეციფიკიდან გამომდინარე საზოგადოების მუშაობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით.

სააპელაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 23-ე, 26.1-ე და 30-ე მუხლებზე, 33.2-ე და 33.4-ე მუხლებზე და საზოგადოების წესდების 5.9-ე პუნქტზე, საზოგადოების (სპს „... ... -ს“) წესდების 3.4-ე, 5.2-ე, 5.3-ე, 5.6-ე, 5.12-ე, 6.2-ე, 6.3-ე, 6.7-ე პუნქტებზე და ზემოაღნიშნული კანონისა და საზოგადოების წესდებით დადგენილი ნორმების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ საზოგადოებაში „კონფლიქტური პარტნიორის შეყვანა“, რომელიც იმავდროულად წესდების მიხედვით სანარმოს თანახელმძღვანელი ხდება და არ გააჩნია სანარმოს მართვისა და საქმიანობის გამოცდილება და უნარი უარყოფითად აისახება სანარმოს საქმიანობაზე და ენინა-აღმდეგება ზენების ნორმებს. კერძოდ, პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღიარებულ იქნა მოსარჩელე გ. კ-ის თანასაკუთორების უფლება სპს „... ... -ში“ რ. კ-ის წილზე, კერძოდ, მოსარჩელე ცნობილ იქნა რ. კ-ის 35%-დან ნახევრის - 17.5%-ის მესაკუთრედ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილებულ შემთხვევაში, საზოგადოების პარტნიორის წილის თანამესაკუთრედ ცნობა, რაც, მართალია, გულისხმობის წილის საზოგადოების უფლებების მინიჭებას, ავტომატურად არ ისინავს სისტემის საზოგადოების მართვის უფლების გადაცემას (მინიჭებას), კერძოდ, სააპელაციო პალატის განმარტებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით პარტნიორისათვის მინიჭებული სანარმოს გაძლილის უფლებამოსილება შესაძლებელი შეიზღუდოს საზოგადოების წესდებით, განსახილებულ შემთხვევაში, აღნიშნულს ადგენს საზოგადოების წესდების 6.3, 6.7 პუნქტები. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნას რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შემსვლელი პარტნიორის (გარდა პარტნიორის მიერ პარტნიორთა წინასწარი თანხმობით წილის გასხვისების შემთხვევებისა) სტატუსის საკითხის (მათ შორის პარტნიორისათვის სანარმოს მართვის უფლებამოსილების მინიჭების) განსაზღვრა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 33.2-ე და 33.4-ე, აგრეთვე, საზოგადოების წესდების 5.8-ე და 5.9-ე პუნქტების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, განეკუთვნებოდა საზოგადოების პარტნიორთა კრების კომპეტენციას და განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენდა. ამდენად, აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გ. კ-სათვის საზოგადოების წილის გადაცემა შეაფერ-

ხებს საზოგადოების საქმიანობას და ეწინააღმდევება სამეწარმეო კანონმდებლობას და ზნეობის ნორმებს, პალატამ დაუსაბუთებელად ჩათვალა, აღნიშნა, რომ არ გამომდინარებდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების სწორი განმარტებიდან და, შესაბამისად, არ დააკმაყოფილა.

აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს სადაც ურთიერთობის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა სამეწარმეო კანონმდებლობა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს ნარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების, მათ შორის, სპს „... ... -ში“ მობასუხის წილი კაპიტალის, გაყოფა, რაც წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე-1171-ე მუხლებით, ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები სადაც ურთიერთობის გადაწყვეტისას.

რაც შეეხება, აპელანტის მიერ სპს „... ...“ 2011 წლის 19 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმზე მოითხებას, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულით, დადგინდა საზოგადოების პარტნიორად სასამართლოს მიერ გ. კ-ის შესაძლო აღიარების თავიდან აცილების მიზნით, მისთვის საზოგადოების ქონების ნილზე თანასაკუთრების აღიარების მობასუხის წილზე დაკავშირდების შესაბამისი ნილზე უარის თქმის საფუძვლად ვერ გამოიდგებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საწარმოს წილის გაყოფის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, დავის განხილვისას, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოში პარტნიორის წილის უფლება მოიპოვება ინტელექტუალური შრომით და, შესაბამისად, მისი სარგებლობა და ნაყოფის მიღება ინტელექტუალური შესაძლებლობებითა შეზღუდული და ამასთან, კასატორის აზრით, ამ უფლების ზნეობრივი ნორმების გათვალისწინების გარეშე გამოიყენება მიმართულია უფლების ბოროტად გამოიყენებისაც.

კასატორის მოსაზრებით, სადაც ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად, აქცესორული და შეზღუდული უფლების მატარებელია და დატვირთულია სამეწარმეო ურთიერთობის სპეციალური ნორმებით, რომლებიც სასამართლომ სწორად ვერ შეაფასა, ვინაიდან თუ იგი სწორად შეაფასებდა, უნდა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ სადაც ურთიერთობის მოსანესრიგებლად გაევრცელებინა კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლის დაცვის ღირსი უფლება გააჩნდა კასატორს, როგორც საწარმოს პარტნიორ მენილეს, დასახელებული კანონის 1-7-ე და მე-18 მუხლების შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ დავის გადაწყვეტისას ნაცვლად იმისა, რომ უპირატესობა მიენიჭებინა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სპეციალური ნორმებისათვის, მან უპირატესობა მიანიჭა საოჯახო-საქორწინო ნორმებს და მოსარჩელეს არასწორად მიაკუთვნა კასატორის წილის ნახევარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონბების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკავშირდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უკლიდა შევილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონის დამოუკიდებელი შემოსავალი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. კ-ის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში „... ...“ გააჩნია 35% რაც მითითებული მუხლის საფუძველზე მეუღლეთა თანასაკუთრებაშია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წილი საზოგადოებაში წარმოადგენს ქონებას, რასაც ახასიათებს გარკვეული თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საწარმოს საკუთრება უნდა გაიმიჯნოს წილზე საკუთრებისაგან. წილი წარმოადგენს იმ უფლება-ვალდებულებების ერთობლიობას, რაც წარმოშვება საზოგადოების წევრობიდან. შესაბამისად, წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორების უფლება-მოვალეობების მოცულობას. წილის განსხვისება წილავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით წილის გასხვისების სამართლებრივი რეუიმი განსხვავდება ცალკეულ საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებული დანაწესებით.

სპს „... ...-ს“ დაფუძნების პერიოდში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად (ამოღებულია 14.03.2008 №5913) პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი-კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წილადის განაცხადებს თანხმობას, ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება. წილი-კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელ-

შეკრულება. საბუთი უნდა შეიცავდეს სხვა პარტნიორების თანხმობასაც, უამისოდ დათმობის ხელშეკრულება ბათილია.

განსახილები ნორმის მიზანია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ერთ-ერთი პარტნიორის მიერ წილი-კაპიტალის განსხვისებისას დანარჩენ პარტნიორთა უფლებების დაცვა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის განსხვისება (მისი ყოველგვარი განკარგვა) არ არის შეუზღუდვი. წილის გადაცემით, პარტნიორი გადაცემს ახალ შემძენს საზოგადოებიდან გამომდინარე უფლება-ვალდებულებებს, რაც წილავს იმას, რომ შემძენი ხდება საზოგადოების პარტნიორი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემყარება სპეციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის, კანონმა დაადგინა გარკვეული შეზღუდვები, რომლი-თაც დაცულია დანარჩენი პარტნიორების ინტერესები ახალი პარტნიორის საზოგადოებაში შესვლასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლი ისა-სავდა ანალოგიურ მიზნებს, მაგალითად, თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიო-რი გარდაცვლებოდა, მისი მემკვიდრეობი ხდებოდნენ უფლებამონაცვლები, მაგრამ საზოგადოების წევ-რებად რჩებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი პარტნიორები თანაბრძონენ ახალი პარტნიო-რის მიღებაზე. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ, იმ დროს მოქმედი 33.2-ე მუხლის თანახმად დანარჩენი პარტნიორების თანხმობის შემთხვევაში ახალი პარტნიორი შემოდიოდა კომანდიტის სტატუ-სით, სხვა სტატუსით საზოგადოებაში შესვლის მოთხოვნის უფლება მას კანონის მიხედვით არ გააჩნდა, რადგან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც აღინიშნა, ემყარება სპეციალურ პი-რად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას აქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადაგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების წესდების 5.3. პუნქტის თა-ნახმად, „პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი კაპიტალი, თუ პარტნიორები წინასწარ დათანხმდები-ან“, ასევე, წესდების 5.9 პუნქტის თანახმად, „თუ პარტნიორს ჰყავს მემკვიდრე, ასეთ შემთხვევაში საზოგა-დოებაში შემსვლელი სპეციალური უფლებამოსილების ძალით იღებს პარტნიორის სტატუსს“.

წესდების განსახილველი პუნქტები პარტნიორის მიერ წილის გასხვისებასა ან სხვაგვარ გადაცემას დამოკიდებულს ხდიან დანარჩენ პარტნიორების თანხმობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლო ასკენის, რომ „პარტნიორის წილი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წარმოადგენს ქონებას, რომ-ლის გადაცემა მესამე პირთათვის დასაშვებია კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდებით გათვალის-წინებული საფუძვლების არასებობისას“, მაგრამ არ ამახვილებს ყურადღებას პარტნიორის მიერ წილის გადაცემის ბოჭვის თავისებურებებზე, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გადასაწვეტად, თუ რამდენად შეიძლება ახალი პარტნიორის შეყვანა საზოგადოებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მე-ულლეთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თავისებურებები, არამედ, პარტნიორთა უფლება-ვალდებულებები, რაც კანონით და წესდებით მათ გააჩნიათ ერთ-ერთ მეულლესთან. მეულლეთა შორის და-ვის მოწვერიებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი სხვა პირების უფლებები, რაც მათ გააჩნიათ „მე-ნარმეთა შესახებ“ კანონითა და წესდების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს დადგენილ ფაქტს, რომ რ. კ-ის წილი საზოგადოებაში წარმოადგენს მეულლეთა თანასაკუთრებას, მაგრამ ამ წილის გაყოფისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული განმარტებების მიხედვით ის შეზღუდვები, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ახალი პარტნიორის მიღებას საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს დანარჩენი პარტნიო-რების თანხმობის არსებობა წილის გაყოფის შედეგად ახალი პარტნიორის მიღებაზე. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში გ. კ-ეს უნდა მიეცეს რ. კ-ის წილის ნახევრის ღირებულება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს ამ ნაწილის ღირებულება სპეციალური ცოდნის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- რ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკამაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემ-ბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მემკვიდრეობის სამართლი

შინაურული აღდერა

განჩინება

№ას-1563-1563-2011

28 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ო. კ-ემ სარჩელი აღძრა ნ. ნ-სა და დ. ხ-ის მიმართ ლ. კ-ის შინაურული ანდერძის ბათილობის შესახებ შემდგენ დასაბუთებით: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, დაკავილფილდა ო. კ-ის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ან გარდაცვლილ ლ. კ-ის 2006 წლის 25 ნოემბრის ნ. ნ-ს მიმართ შედგენილი შინაურული ანდერძი, რაც უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე აპელანტ ნ. ნ-ს ნარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა ლ. კ-ის სახელით 1998 წლის 21 სექტემბერს ნ. ნ-ს სახელზე შედგენილი ახალი შინაურული ანდერძი, რომელიც, წარმომადგენლის განმარტებით, მან შემთხვევით იპოვა ლოცვების წიგნში 2008 წლის 4 ნოემბერს ქუთაისში, გ-ს ქ. №48-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში სტუმრად ყოფნისას. ადგილზე თაბირით, საოქმო ფორმით მიღებული განჩინებით სააპელაციო პალატამ უარი თქვა ამ ანდერძისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვაზე იმ მოტივით, რომ დავის საგანის არ უკავშირდებოდა და ისინი დაუბრუნდა წარმომდგენს. მოსარჩელეს მიაჩინა, რომ ლ. კ-ის სახელით შედგენილი 1998 წლის 21 სექტემბერის შინაურული ანდერძი არ არის შედგენილი თავად ლ. კ-ის მიერ, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ შინაურული ანდერძი მოირ თავისი ხელით უნდა იყოს დაწერილი და ხელმოწერილი. მოცემულ შემთხვევაში არაერთი მონმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, რომ ლ. კ-ეს ანდერძი არ შეუდგენია, არ დაუტოვებია და იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, გარდაცალების მომენტამდე ყოველთვის აცხადებდა სიტყვიერად, რომ ის ანდერძს არ დაწერდა და მისი სამკიდრო ქონება დარჩებოდა ო. კ-ეს, ვინაიდან თვლიდა ცველაზე ახლობელ ნათესავად, რომელიც, როგორც შარტოსელას, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყო არაერთი მონმის ჩვენებით შეიძლება. გაზიარებული არ უნდა იქნეს შპს „სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრი ალტ-ექსპერტის“ კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად 1998 წლის 21 სექტემბერის შინაურული ანდერძის ტექსტი და მასზე ხელმოწერა შესრულებულია ლ. კ-ის მიერ, რადგან ექსპერტიზა დაეყრდნო და ჩატარდა დაინტერესებული მხარის მოპასუხე ნ. ნ-ში მიერ წარდგენილ, ლ. კ-ის ხელნერის არაოფიციალურ და საეჭვო ნიმუშებზე, რაც არ გამორიცხავს, რომ ეს ნიმუშები და სადაც ანდერძიც შეადგინა არა ლ. კ-ემ, არამედ ერთმა და იმავე სხვა პირმა. კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკის თანახმად, ხელნერისა და ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად გამოსაკვლევი ნიმუში უნდა შედარდეს ოფიციალურ დოკუმენტებში შესრულებულ ჩანაწერებს.

მოპასუხე ნ. ნ-ში სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ქ.ქუთაისში, გ-ს ქუჩა 48-ში ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ლ. კ-ე და ნ. ნ-ა მშობლებთან ერთად. ლ. კ-ეს შვილად მიაჩინდა ნ. ნ-ა. იგი ყოველთვის გამოხატვადა მადლიერების გრძნობას მისი მშობლების მიმართ მისადმი კეთილი და მზრუნველი დამოკიდებულების გამო, ამიტომ ლ. კ-ეს არაერთხელ უთქვამს, რომ იგი თავის ქონებას დაუტოვებდა ნ. ნ-ას. ანდერძის, არსებობის შესახებ იცოდა ნ. ნ-ამ და მისმა ოჯახმაც, ასევე იცოდნენ ლ. კ-ის მეგობრებმა, ეკლესიის მრევლმაც. 1998 წლის 21 სექტემბერს დაწერილი ანდერძის შემდეგ ლ. კ-ემ 2006 წლის 25 ნოემბერს დაწერა ახალი შინაურული ანდერძი, რომელშიც მან იგივე გაიმოროდა და თავისი ქონება უანდერძა ნ. ნ-ას. 2006 წლის 25 ნოემბრის შინაურული ანდერძი გაასაჩივრა მოსარჩელებმ და სასამართლომ ბათილად ცნო, როგორც ფორმის დაუცველად შედგენილი. სასამართლოში საქმის განხილვისას ლ. კ-ის სახლში, მისი წიგნების თვალიერებისას, კერძოდ, ლოცვების წიგნში იპოვა 1998 წლის 21 სექტემბერს ლ. კ-ის მიერ შედგენილი შინაურული ანდერძი. ლ. კ-ის ორმოცხე ან გარდაცვლილი მ. ნ-ე, რომელიც ლ. კ-ის მეგობარი და მრევლის წევრი იყო, ეუბნებოდა ნ. ნ-ას დედას – „ბიბლიის წიგნი აუცილებლად ნახეთ“. ამის შესახებ კარგად იცის თავად მოსარჩელის ოჯახმა. ო. კ-ის ქალიშვილმა იზა კ-ემ ნ. ნ-ას დედასთან საუბარში დაადასტურა, რომ მან გაიგონა მ. ნ-ის ნათქვამი. ლ. კ-ეს „ბიბლიია“ რამდენიმე ჰერნდა და იმ წუთებში არავის მოუვიდა აზრად, რომ კარადაში დადებულ „ახალ ალთქმაში“ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე. 1998 წლის 21 სექტემბრის შინაურული ანდერძი მოპასუხე ნარმოადგინა სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ მის მიღებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ დავის საგანობრივო მას რაიმე კავშირი არ ჰქონდა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ შინაურული ანდერძი რეალურად არ არის შედგენილი თავად ლ. კ-ის მიერ, რაც შეიძლება დადასტურებულ იქნას მონმეთა ჩვენებებით. მონმეებს არ შეუძლიათ, დაადასტურონ ფაქტი, თუ რას ფიქრობდა და რას აკეთებდა ლ. კ-ე. მოსარჩელის დასახელებულმა მონმეებმაც და ბევრმა სხვამაც კარგად იციან, რომ ლ. კ-ე მარტო არ ცხოვრობდა და იგი ცხოვრობდა ნ-ასთან ერთად და მისი ოჯახი უვლიდა. მობასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში შინაურულ ანდერძთან ერთად წარდგენილ იქნა შპს „სასამართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრ ალტ-ექსპერტის“ კალიგრაფიული ექსპერტიზის

დასკნა, რომლის თანახმად, 1998 წლის 21 სექტემბრის ტექსტი და მასზე ხელმოწერა ლ. კ-ემ შეასრულა. მოპასუხის მიერ აღნიშნულ საექსპერტო ბიუროში შეტანილ იქნა შინაურული ანდერძი იმიტომ, რომ მოსარჩელემ უნდობლობა გამოიცხადა ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს, რომელმაც 2006 წლის 25 ნოემბერს შედგენილ შინაურულ ანდერძზე ჩაატარა საექსპერტო კვლევა. მოსარჩელის მითითება, რომ საექსპერტო ბიურომ „ალტ-ექსპერტმა“ კვლევა ჩაატარა საეჭვო ნიმუშებზე, არასწორია, რადგან ექსპერტიზა წარედგინა ლ. კ-ის რვეულები და წიგნები, რომელზეც ლ. კ-ის ხელმოწერები და ჩანაწერებია შესრულებული, ასევე, ოფიციალური დოკუმენტები, საპენსიო მონშემის, დახმარების პროგრამის დოკუმენტები, რომელსაც ასევე ლ. კ-ე აწერს ხელს. ასე რომ, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ ექსპერტიზა შემოწმებისას საეჭვო დოკუმენტებს დაეყრდნო. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა 1998 წლის 21 სექტემბრის შინაურული ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ლ. კ-ის სახელით 1998 წლის 21 სექტემბერს შედგენილი ანდერძი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. 6-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით 6. 6-ას სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ო. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ლ. კ-ე გარდაიცვალა 2007 წლის 17 მარტს; თ. კ-ე და ლ. კ-ე იყვნენ ბიძაშვილები, ძმების – ი. და 6. კ-ეების შვილები; ლ. კ-ეს პირველიდან მეოთხე რიგის ჩათვლის მექვიდრეები არ დარჩენია. 1998 წლის 21 სექტემბრის სადაც ანდერძით, ლ. კ-ემ 6. 6-ას უანდერძა კუთვნილი სახლი, მდებარე ქუთაისში, გ-ს ქ. №48-ში. 2006 წლის 25 ნოემბერს ლ. კ-ემ ისევ შეადგინა ანდერძი, რომლითაც კუთვნილი ქონება, კვლავ უანდერძა 6. 6-ას. ამ ანდერძს ხელი მოაწერა ლ. კ-ემ, თუმცა ტექსტი შეადგინა სხვა პირმა და, ამის გამო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. საქართველოს შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველომ დაიწყო წინასარი გამოძიება ლ. კ-ის ბინის კუთვნილების დადგენასთან დაკავშირებით სამოქალაქო დავისას ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე, თუმცა, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შენობაში, ხანძრის შედეგად, განადგურდა სისხლის სამართლის საქმე და, მათ შორის, სადაც ანდერძის დედანიც.

პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად შემდეგნაირად შეაფასა: სამოქალაქო საპროცესო კოდეგების 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმის მტკიცების ტვირთი, რომ სადაც ანდერძი და მასზე არსებული ხელმოწერა არ იყო შესრულებული ლ. კ-ის მიერ, ეკისრებოდა მოსარჩელე მხარეს. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სარჩელში მითითებული გარემოებები. მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი არის რამდენიმე საექსპერტო დაწესებულების დასკვნა. სამოქალაქო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის „ალტ-ექსპერტის“ კატეგორიული დასკვნის თანახმად, სადაც ანდერძი დაწერა და მასზე ხელიც თავად ლ. კ-ემ მოაწერა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმადაც, სადაც ანდერძი ლ. კ-ის მიერ იყო შესრულებული. მხოლოდ საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ სადაც ანდერძზე არსებული ხელმოწერა ლ. კ-ეს არ შეუსრულებია. ექსპერტებმა თავიანთი დასკვნები უპირობოდ დაადასტურეს და დასაბუთებს სასამართლო სხდომაზე. ამგვარად, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. იმის გამო, რომ სადაც ანდერძის დედანი განადგურებულია, აღნერის ნამდვილობის დადგენის მიზნით, მასზე დამატებითი საექსპერტო კვლევების ჩატარება შეუძლებელია. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნები ურთიერთგამორიცხავია და ამით არ დასტურდება სადაც ანდერძის სიყალბები. პალატის აზრით, საქალაქო სასამართლომ შეცდომით მიანიჭა უპირატესობა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთვარი სამმართველოს ექსპერტიზის დასკვნას „ალტ-ექსპერტისა“ და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებთან შედარებით. პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ „ალტექსპერტისა“ და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბარებელ ნიმუშებად ნიმუშებად ექსპერტებს წარდგენილი ჰერნებზე ლ. კ-ის სახელით შესრულებული ხელმოწერები, ჩვეულებრივ კი, წიგნებს, მათი მესაკუთრეობი, პირადად აწერენ ხელს, აშიტომ პალატამ მიიჩნია, რომ „ალტ-ექსპერტპტისა“ და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებისათვის წარდგენილი შესაბარებელი ნიმუშები ეკუთვნოდა ლ. კ-ეს. შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება არა მარტო სხვა ექსპერტთა დასკვნებს, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტსაც. შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნიდან გამოდინარებს, რომ არც 2006 წლის 25 ნოემბერის ანდერძი იყო ლ. კ-ის მიერ ხელმოწერილი, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით დადგენილია, რომ ამ ანდერძს ლ. კ-ემ ხელი წამდვილად მოაწერა. ეს დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-

სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 27 აპრილის კატეგორიული დასკვნითაც. აღნიშნულის გამო, პალატის მითითებით, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ შეს საექსპერტო-კრიმინალის-ტიკური მთვარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნას ვერ დაეყრდნობა, სხვა მტკიცებულებები კი, რომ-ლითაც დამტკიცებოდა, რომ სადაც ანდერძისათვის მამკვიდრებელს ხელი არ მოუწერია, საქმეში ნარ-მოდგენილი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ შეს საექსპერტო – კრიმინალისტიკური მთავარი სამმართვე-ლოს ექსპერტს საერთოდ არ გამოუკვლევია სადაც ანდერძის ტექსტი. აქედან გამომდინარე, საქმეში არ არის „ალტ-ექსპერტისა“ და ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუ-როს ექსპერტთა დასკვნის მდ ნანილის გამაქარნყლებელი მტკიცებულებები, რომლითაც ექსპერტებმა და-ადგინებს, რომ ანდერძის ტექსტი დანერილი იყო ლ. კ-ის მიერ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკით-ხულ მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ ლურჯყდიან რვეულებში არსებული ჩანაწერები, რომლებიც შე-სადარებელ ნიმუშად წარეგინა ექსპერტებს, ეკუთვნოდა ლ. კ-ეს. საქმეში არსებული წერილობით მტკი-ცებულებებით, კერძოდ, მონმების, ლ. კ-ის, ა. კ-ის, მ. წ-ისა და თ. ქ-ის დაკითხვის ოქმებით დგინდება, რომ მამკვიდრებელს კარგად შეეძლო წერა მაშინაც კი, როცა მნილიარე ავადმყოფი იყო. ეს ნიშნავს, რომ გარდაცვალებამდე, რვა წლით ადრე მამკვიდრებელი თავისუფლად მოახერხებდა, როგორც ანდერძის ტექსტის შედგენას, ასევე რვეულში ჩანაწერების გაკეთებასაც. ლ. კ-ეს სურდა, სამკვიდრო დაეტოვებინა აპელაციისათვის, კერძოდ, საქმეში ნარმოდგენილ მოწმეთა ლ. ლ-ისა და მ. ვ-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ ეს პირები პირადად ესწრებოდნენ 2006 წლის 25 ნოემბრის ანდერძის შედგენას და მამკვიდრებელმა გამოხატა სამკვიდროს აპელაციისათვის დატოვების წება. ყოველივე ეს კი ადასტურებს, რომ სადაც ან-დერძი დაწერილია და პირადად ხელმოწერილია მამკვიდრებელ ლ. კ-ის მიერ. სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად, მოანდერძეს შეუძლია, თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. სადაც ანდერძი შედგენილია ზემოხსენებული ნორმის დაცვით და მისი ბათილად აღიარების საფუძ-ვლები არ არსებობს.

სააპელაციი სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ემ შემდეგი დასაბუთე-ბით: პალატამ არ დაადგინა არსებითი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები და სა-მართლებრივად სწორად არ შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული უტყუ-არი მტკიცებულებები. ამასთან, პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლი. სა-სამართლომ არასწორად არ გაიზიარა საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერტო დანესებულების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული, ოფიციალური და სანდო ნიმუშების საფუძველზე ჩატარებუ-ლი ექსპერტიზის დასკვნა 1998 წლის 21 სექტემბრის შინაურული ანდერძის სიყალის შესახებ და უპირა-ტესობა მიანიჭა საექსპერტო დასკვნებს, რომლებიც ჩატარებულ იქნა დაინტერესებული მხარის მიერ ოჯახიდან არაოფიციალურად ამოღებული და საექსპერტო დანესებულებისათვის წარდგენილი ნიმუშების საფუძველზე და რომელთა დამთხვევა შინაურულ ანდერძთან არავითარ ტექნიკურ სირთულეს არ წარმო-ადგენდა. პალატა ალნიშნავს, რომ, გარდა შინაურული ტექსტებისა, ექსპერტებმა შესადარებელ ნიმუშე-ბად გამოიყენეს საპენსიო მონმდობისა და ზამთრის დახმარების პროგრამაზე ლ. კ-ის მიერ შესრულებული ხელმოწერი და ის, რომ ამ საბუთებს ხელი მოაწერა უშუალოდ ლ. კ-ემ, პალატას საეჭვოდ არ მიაჩინა. პალატამ რის საფუძველზე დაასკვნა ამგვარად, გადაწყვეტილებით არ ირკვევა და სინამდვილეში მხო-ლოდ ვარაუდს წარმოადგენს, ისევე, როგორც საეჭვო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წიგნებზე ლ. კ-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა ლ. კ-ეს უკუთვნის, ვინაიდან, ჩვეულებრივ, წიგნებს მათი მე-საკუთრები პირადად აწერენ ხელს. საპენსიო მონმდობასა და ზამთრის დახმარების პროგრამაზე ხელმო-წერის აუცილებლობას საქართველოს რომელიმე კანონი ან კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, ასეთი ხელმოწერა ოფიციალურად არ სრულდება და თუკი ლ. კ-ემ მათზე თავისი სურვილით მაინც მოაწე-რა ხელი, საქმეზე დაკითხულ რომელიმე მონმეს უნდა დაედასტურებინა, რომ ასეთ ფაქტი არსებობდა, რაც არ განხორციელებულა. სრულიად არასამართლებრივია მსჯელობა იმის შესახებ, რომ წიგნებზე წარ-წერებს თუ ხელმოწერებს, ჩვეულებრივ, მათი მესაკუთრები ასრულებენ. საქმეზე არც ის არის დადგენი-ლი, გამოსაკვლევი წიგნები ლ. კ-ის საკუთრება იყო, თუ მისი გარდაცალების შემდეგ მიიტანეს მის სახ-ლში ან საერთოდ მოპასუხე ნ. ნ-ას ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებზე იქნა შესრულებული ლ. კ-ის სახე-ლით წარწერები. სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას არასწორად დაას-კვნა, რომ სადაც ანდერძის როგორც ტექსტი, ასევე მასზე არსებული ხელმოწერაც, საქართველოს სასა-მართლო ექსპერტიზის არასამთავრობო კვლევითი ცენტრის „ალტ-ექსპერტიზის“ კატეგორიული დასკვნის და სისპ ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახ-მად, უკუთვნოდა ლ. კ-ეს. ეს მოსაზრება არ გამომდინარებს ხესნებული ექსპერტების მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის მიცემული განმარტებებიდან და მით უფრო საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერ-ტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის განმარტებიდან, რაც დამოუკიდებელი პრე-ტენდიტის საგანს წარმოადგენს. პალატა არ აფასებს საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერტო დანესე-ბულების ექსპერტის მიერ კვალიფიციურად ახსნილ რიგ გარემოებებს, რომელთა ანალიზმა ექსპერტის სა-ფუძველი მისცა, დაესკვნა, რომ შინაურულ ანდერძზე ხელმოწერა გაყალბებული იყო. ექსპერტ გ-ს, მისი კოლეგებისაგან განსხვავებით, გაცილებით ბევრი საკვლევი მასალა ჰქონდა წარდგენილი, როგორიცაა: ქ-ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ის სანოტარო არქივიდან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახ-მად, უკუთვნოდა ლ. კ-ეს. ეს მოსაზრება არ გამომდინარებს ხესნებული ექსპერტების მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის მიცემული განმარტებებიდან და მით უფრო საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერ-ტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის განმარტებიდან, რაც დამოუკიდებელი პრე-ტენდიტის საგანს წარმოადგენს. პალატა არ აფასებს საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერტო დანესე-ბულების ექსპერტის მიერ კვალიფიციურად ახსნილ რიგ გარემოებებს, რომელთა ანალიზმა ექსპერტის სა-ფუძველი მისცა, დაესკვნა, რომ შინაურულ ანდერძზე ხელმოწერა გაყალბებული იყო. ექსპერტ გ-ს, მისი კოლეგებისაგან განსხვავებით, გაცილებით ბევრი საკვლევი მასალა ჰქონდა წარდგენილი, როგორიცაა: ქ-ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ის სანოტარო არქივიდან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახ-მად, უკუთვნოდა ლ. კ-ეს. ეს მოსაზრება არ გამომდინარებს ხესნებული ექსპერტების მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის მიცემული განმარტებებიდან და მით უფრო საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერ-ტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის განმარტებიდან, რაც დამოუკიდებელი პრე-ტენდიტის საგანს წარმოადგენს. 2005 წლის 7 სექტემბრის სანოტარო ნესით გაცემული რწმუნებულება, რეესტრის რეგისტრაციის №1-7371; სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან გამოძიებელი მწარმეობრივი 2005 წლის 27 მაისის განცხადება – ანკეტა; ქ-ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე სს „სახალხო ბანკიდან“ ამოღებული 2005-07 წლებით დათარილებული პენსიის გაცემის უწყისები; 2006-2007

ნლებით დათარიღებული სახალხო ბანკის ქვითრები; სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის განყოფილებიდან სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ლ. კ-ის საპენსიო საქმე №26-11-31228-ში არსებული განცხადება და 1984 წლით დათარიღებული წარდგინება. ექსპერტმა გ-მა ამ მასალებზე დაყრდნობით, რომლის ნამდვილობაც ეჭვს არ იწვევს, უტყუარად დაადასტურა სააპელაციო სხდომაზე, რომ ანდერძი გაყალბებულია. არ შეიძლება ექსპერტების – ა. მ-ისა და მ. ჩ-ას მიერ გაცემული დასკვნების უპირობო და-დასტურებად ჩაითვალოს მათი სასამართლოსათვის მიცემული განმარტებები იმის შესახებ, რომ კატეგო-რიული დასკვნა 1998 წლის 21 სექტემბრის ანდერძის ხელნაწერისა და ხელმოწერის ლ. კ-ისადმი კუთვნი-ლების შესახებ ემყარებოდა დაინტერესებული პირის სიტყვიერ ინფორმაციას, რომ მათვის შესადარებ-ლად წარდგენილი ნიმუშები ეკუთვნილი ა. კ-ეს. ხსენებულმა ექსპერტებმა უპირობოდ მხოლოდ ის დაა-დასტურეს, რომ მათვის შესადარებლად წარდგენილი ნიმუშები და სადაც ანდერძი ერთმა და იმავე პირ-მა დაწერა.

სასამართლოს უნდა ემსჯელა, მოცემული 3 საექსპერტო კვლევის ჩატარების დროს რამდენად მრა-ვალრიცხვანი და, რაც მთავარია, სარნეუნო შესადარებელი ნიმუშები ჰქონდათ ექსპერტებს წარდგენი-ლი და რამდენად კვალიფიციურად აფასებდნენ ისინი გამოსაკვლევი იბიექტის თითოეულ შტრიხსა და დე-ტალს. ქ.ქუთაისის ნოტარიუს დ. ხ-ის მიერ 2005 წლის 7 სექტემბრის სანოტარო წესით გაცემულ რწმუნე-ბულებაზე, სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან ამოღებულ 2005 წლის 27 მაისის განცხადება-ანკეტაზე კანონი პირდაპირ ითვალისწინებს პირის მიერ, ერთ შემთხვევაში, სანოტარო აქტზე ხელმოწერის შესრუ-ლების სავალდებულობას უშუალოდ ნოტარიუსის, ხოლო, მეორე შემთხვევაში – სამოქალაქო რეესტრის თანამშრომლის თანდასწერით, ანუ ხელმოწერები შესაბამის დოკუმენტებზე სრულდება კახონით უფლე-ბამოსილი პირის უშუალო მეთვალყურეობით, პირის ნინასწარი იდენტიფიკაციის შემდეგ, რაც სრულიად გამორიცხავს ამავე დოკუმენტზე სხვის მიერ ხელმოწერას, ე.ი შესადარებელი ნიმუშის გაყალბების შე-საძლებლობას. 2005-2007 წლებით დათარიღებული სს „სახალხო ბანკიდან“ ამოღებული პენსიის გაცემის უწყისებზე 2006-2007 წლებით დათარიღებული სახალხო ბანკის ქვითრებზე, ლ. კ-ე პირადი ხელმოწერით ადასტურებდა პენსიის მიღებას და ეს მასალები არც ერთ დაინტერესებულ მხარესთან არ ინახებოდა, არა-მედ დაცული იყო სს „სახალხო ბანკის“ ფილიალში, გამ შემთხვევაშიც, კანონი პირდაპირ ადგენს, რომ თანხის მიღებაზე ხელმოწერა შეუძლია, მხოლოდ მას, ვინც ალრიცხულია საპენსიო უწყისში. საქმის მასა-ლებით კი, დადგენილი არ არის ფაქტი იმისა, რომ ლ. კ-ის სანოტარო რწმუნებულებით სხვა პირი ლებუ-ლობდა მის კუთვნილ პენსიას. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის განყოფილებიდან გამოთ-ხოვილ ლ. კ-ის საპენსიო საქმეში არსებული განცხადება და წარდგინება, რომელიც, კანონის თანახმად, ასევე შესრულებული იყო უშუალოდ ლ. კ-ის მიერ შესაბამის სამსახურში. ამდენად, სააპელაციო სასამარ-თლოს სამართლებრივი შეფასებები მცდარია, ვინაიდან იგი ენინაალმდეგება საქმეში არსებულ შსს 15.12.2010 წლის საექსპერტო დასკვნის შინაარსს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 წო-ემბრის განჩინებით დადგენილია, რომ ამ ანდერძს ლ. კ-ემ ხელი ნამდვილად მოაწერა. ეს დადასტურებუ-ლია სსიპ ლევან სამხარაულის სახელმობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 27 აპილის კატეგორიული დასკვნითაც. საქმეში არ მოიპოვება ლევან სამხარაულის სახელმობის სასამარ-თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 27 აპრილის კატეგორიული დასკვნა, არამედ არსებობს ამ თარიღით გაცემული №კ-460/01 სპეციალისტის ცნობა, რომელიც სულ სხვა მნიშვნელობის მტკიცებუ-ლებაა და ექსპერტის დასკვნას ვერ ცვლის. ამასთან, ალსანიშნავია, რომ მოცემულ სამოქალაქო საქმეზე დავის საგანს შეადგენს 1998 წლის 21 სექტემბრის შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა, ხოლო, რო-გორც 1998 წლის 21 სექტემბრის, ასევე 2006 წლის 25 ნოემბრის შინაურული ანდერძების სიყალბის ფაქ-ტებზე პოლიციაში გრძელდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. საგულისსხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მხოლოდ მიუთი-თა, რომ, ექსპერტის დასკვნის მიხედვით, 2006 წლის 25 ნოემბრის შინაურულ ანდერძზე ხელმოწერა ეკუთ-ვნოდა ლ. კ-ეს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ფაქტი ამავე სასამართლოებმა დადგენილად ჩათვა-ლეს. მოწმების – ლ. ლ-ისა და მ. ვ-ის მიერ მიცემული ჩვენებების საზიანააღმდეგოდ, ო. კ-ის მოწმედ დასა-ხელებულმა ყველა პირმა ერთხმად დაადასტურა, რომ ლ. კ-ეს სურვილი არასოდეს ჟქონია ანდერძის და-წერისა, თუმცა სააპელაციო პალატამ ამ შემთხვევაშიც ცალმხრივად გამოიყენა სხვა საქმეზე მოწმების, ვ-ისა და ლ-ის მიერ მიცემული ჩვენებები ლ. კ-ის მიერ სამკვიდროს დატოვების ნების შესახებ და საერ-თოდ გვერდი აუარა იმავე საქმეზე დაკითხულ სხვა მრავალრიცხვოვან მოწმეთა ჩვენებების შეფასებას, რომლებიც ერთმიშნელოვნად გამორიცხავდნენ ვერულაშვილისა და ლომინაძის ჩვენებების სისწორეს და ადასტურებდნენ, რომ ლ. კ-ეს არასოდეს შეუდგენია რაიმე ანდერძი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებ-რივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყ-ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახ-მად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარ-ლევებას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანო-ნის დარღვევა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშეგები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ ნარმოუღენია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ლ. კ-ე გარდაიცვალა 2007 წლის 17 მარტს. მას პირველიდან მეოთხე რიგის ჩათვლით მემკვიდრეები არ დარჩენია. 1998 წლის 21 სექტემბრის სადავო ანდერძით, ლ. კ-ე მ 6. ნ-ას უანდერძა კუთვნილი სახლი, მდებარე ქუთაისში, გელათის ქ. №48-ში, 2006 წლის 25 ნოემბერს ლ. კ-ე მ ისევ შეადგინა ანდერძი, რომლითაც კუთვნილი ქონება კვლავ უანდერძა 6. ნ-ას. ამ ანდერძს ხელი მოაწერა ლ. კ-ე მ, თუმცა ტექსტი შეადგინა სხვა პირმა, რის გამოც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. საქართველოს შს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სამოქალაქო დავისას ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ლ. კ-ის ბინის კუთვნილების დადგენისათვის დაკავშირებით, თუმცა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შენობაში, ხანძრის შედეგად განადგურდა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის, სადავო ანდერძის დედამიცი.

სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია, სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მამკვიდრებელს აქვს მემკვიდრის თავისუფლად არჩევის უფლება. ანდერძში მოანდერძის ნებაა გამოხატული. მას შეუძლია, გარდაცვალების შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ მემკვიდრეთა წრიდან როგორიმეს, არამედ გარეშე პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. ანდერძი, რომელიც, თავისი ხელით დაწერა მოანდერძებ და ხელი მოაწერა, მას სრული იურიდიული ძალის მქონეა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ მიიჩნევს ანდერძზე განთავსებული ხელმოწერის ან გარდაცვლილ ლ. კ-ისათვის კუთვნილების ფაქტს და თავის არგუმენტაციას აფუძნებს შს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნას, რომლითაც დგინდება, რომ 1998 წლის 21 სექტემბრის ანდერძზე ხელმოწერა არ ეკუთვნის ლ. კ-ს.

სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად, ურთიერთშეჯერებით და მხოლოდ ამის შემდეგ დაბულობს დასკვნას საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ სასამართლოსთვის არც ერთ მტკიცებულებას, მათ შორის, ექსპერტის დასკვნას წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს და იგი ისევე კრიტიკულად უნდა იქნეს შეფასებული, როგორც სხვა მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რა შს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის დასკვნა, სადავო ანდერძზე ლ. კ-ის ხელმოწერის არარსებობის თაობაზე, სავსებით სწორდ და დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი მოსაზრებები, რომლითაც უარყო ეს მტკიცებულება, კერძოდ, სასამართლომ თავისი დასკვნა სადავო ანდერძის ბათილობის საფუძვლების არარსებობის თაობაზე დააყრდნო საქმეში წარმოდგენილ საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის არასამთვარობო კვლევითი ცენტრის „ალტ-ექსპერტის“ 2008 წლის 21 დეკემბრისა და სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 3 თებერვლის № კ-289/10 დასკვნებს. ამავდროულად, სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენა ანდერძის კანონიერებაზე დამაჯერებლად დაასაბუთა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შინაარსისა და იურიდული ძალის შეფასებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე – მონმეთა ჩვენებებზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებასა და სხდომის ოქმზე და დასკვნა, რომ მტკიცებულებებით დასტურდება ლ. კ-ის ნება მისი ქონების 6. ნ-ასათვის დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სსენებული მტკიცებულებებით განსახილველი ანდერძის უტყუარობა არ დადგენილა, კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 2006 წლის 25 ნოემბერს შედგენილი ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო, თუმცა ამ ანდერძზე ლ. კ-ის ხელმოწერა ექსპერტის დასკვნით დადგენილია და იგი სადავოდ არ გამხდარა. აღნიშნული ფაქტი იძლევა ობიექტურ დასკვნის საფუძველს, რომ ან გარდაცვლილ ლ. კ-ე გამოხატავდა ნებას, სიკვდილის შემთხვევაში თავისი ქონების 6. ნ-ასათვის დატოვების შესახებ. სანინაალმდეგოს დასადასტურებლად საკასაციოს არ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენება, რომ ან გარდაცვლილი საუბარში თავისი ქონების მემკვიდრედ ლ. კ-ე მოიაზრებდა.

ამა თუ იმ სადავო სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტე-

ბის (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. მოცემულ დავაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, სწორედ მოანდერდის – ლ. კ-ის ნამდვილი ნების დადგენაა, რა დროსაც, დავის სპეციულობიდან გამომდინარე, რასაკვირველია, სპეციალისტის დასკვნა მნიშვნელოვანია, თუმცა ეს მტკიცებულებაც ისევე უნდა შემონმდეს, როგორც სხვა მტკიცებულებები. მოანდერდის ნების საეჭვოობის შემთხვევაში, ნების ნამდვილობის დასადგენად ყველა მტკიცებულების შინაარსი ზედმინევნით ზუსტად უნდა იქნეს შესწავლილი და ურთიერთშეჯერებული.

არგუმენტირებულია კასატორის მოსაზრება, რომ ექსპერტის დასკვნების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის მასალა, რომელიც სადავო საკითხებზე დასკვნის მისაღებად იქნა გამოკვლეული, ასევე, ცხადია, რომ ოფიციალურ ორგანოში სათანადო პირების თანდასწრებით განხორციელებული ხელმოწერათ საკვლევ მასალად გამოყენება სანდოობის თვალსაზრისით უფრო მეტად მიზანშეზონილია, მაგრამ აღნიშნული შედეგის – დასკვნის ცალსახად უტყუარობაზე არ მეტყველებს, ვინაიდან შესაძლებელია საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების ერთობლივად გამოკვლევამ და ურთიერთშეჯერებამ სასამართლოს შინაგანი რწმენა სანინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოების არსებობაზე ჩამოყალიბოს. სწორედ აღნიშნული დაედო საფუძვლად გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ასადავო ანდერდის სიყალბის დაუდასტურებლობის თაობაზე, ვინაიდან სასამართლომ მტკიცებულებათა ინდივიდუალურად და ერთობლივი კრიტიკული გამოკვლევით სარწმუნოდ დაასაბუთა მოანდერდის ნების უტყუარობა. სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოების – საკუთარი ქონების განკარვასთან დაკავშირებითან გარდაცვლილის ნების დადგენა, წარმოდგენს მოცემული დავის მთავარ გამოსაკვლევ ფაქტს, რადგან ანდერდი არის ნერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მოანდერდის ნებას. ამ მტკიცებულებაში მითითებული ფაქტის უტყუარობა კი, დავისა და საეჭვოობის შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა შემონმდეს.

ამასთან, ამ მიმართებით ასევე გასათვალისწინებელია და გასაზიარებელი კასატორის მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი, რომ კასატორის მიერ გაქარწყლებული არ არის იმ საკულევი მასალების ლ. კ-ისათვის კუთვნილების ფაქტი, რომელსაც დაეყრდნო საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის არასამთვარობო კვლევითი ცენტრის „ალტ-ექსპერტის“ 2008 წლის 21 დეკემბრისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელმისამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 3 თებერვლის №კ-289/10 დასკვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრები მითითებული ფაქტები და სამართლებრივი საფუძველი არ წარმოდგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ 0 6 ა:

ო. კ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამკვიდროს გახსნა პომლი

განხილვა

№ას-724-782-2011

10 სექტემბრი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდროს გაყოფა, თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს პ. და მ. გ-ებმა მოპასუხეების – ე. გ-ისა და ლ. ყ-ის მიმართ და მოითხოვეს: 1. მამის სამკვიდროს – თბილისში, სოფელ დილომში მდებარე უძრავი ქონების, კერძოდ, 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის შ. გ-ის 1/3 წილის 1/9 ნაწილზე, აგრეთვე, ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების 1/3 ნაწილზე მესაკუთრეებად ცნობა და გასხვისებული სამკვიდროდან მათი კუთვნილი სამკვიდრო წილის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, პ. და მ. გ-ები ცხოვრობენ სოფელ დილომში. მათ ჰყავდათ მშობლები: დედა, მ. გ-ი და მამა, შ. გ-ი, რომელსაც სოფელ დილომში ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. მ. გ-ი გარდაიცვალა 1982 წლის .. მაისს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შ. გ-მა მოიყვანა მეორე მეუღლე, ლ. უ-ი. ამ უკანასკნელთან მას შეეძინა შვილი, ე. გ-ი, ოუმცა ქორნინების რეგისტრაციაში არ გატარებულა. საქართველოში მიწის რეფორმის მიმდინარეობისას, 1992 წლის 6 ოქტომბრის №1 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შ. გ-მა საკუთრებაში მიიღო რეფორმამდე არსებული 1000კვ.მ მიწის ნაკვეთი, აგრეთვე, რეფორმით მიღებული 0.15პა, 0.25პა და 0.05პა მიწის ნაკვეთები. 2000 წლის 16 ივნისს შ. გ-ი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილებმა – პ. და მ. გ-ებმა თავიანთი ოჯახებით გააგრძელეს ცხოვრება მამის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში და ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მამის სამკვიდრო ქონება. მამის გარდაცვალების შემდეგ პ. და მ. გ-ებს დაეძაბათ ურთიერთობა მამის არარეგისტრირებულ მეუღლესთან ლ. ყ-თან. ამის გამო, 2003 წლის 9 იანვარს დიღმის გამგეობის, ასევე დიღმის პოლიციის ქვეგანყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით და მოწმეების თანდასწრებით მათ შორის მოხდა შეთანხმება ქონების გაყიფის თაობაზე, რაზეც შედგა აქტი. 2005 წლის 3 ნოემბერს, 1992 წლის 6 ოქტომბრის №1 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შ. გ-ის სახელზე დარეგისტრირდა 0.12პა მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო №...), რომელიც 2005 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ე. გ-მა და ლ. ყ-მა გაასვისეს მ. მ-ზე. აღნიშნული დროისათვის აღმოჩნდა, რომ სოფელ დილომში მდებარე 1000კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე საცხოვრებელი სახლი (დამხმარე, სამეურნეო და საზაფხულო ნაგებობებით), რომელშიც ცხოვრობენ მოსარჩელები, აღრიცხულია ან გარდაცვლილი შ. გ-ის, ლ. ყ-ის და ე. გ-ის სახელზე. მოსარჩელეებმა მიიჩნიეს, რომ მამის სამკვიდროდან თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა 1/3-1/3 წილი, აგრეთვე, ნილი გაყიდული ქონებიდან, რამდენადაც მათ ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მამის სამკვიდრო ქონება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით პ. და მ. გ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, საკომლო წიგნში 1986-1995 წლის მდგომარეობით ასახულია შ., პ., მ., ე., თ., მ. და შ. გ-ი. მასში აღნიშნულია საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო ფართით 100 კვ.მ, აშენების წლად მითითებულია 1965 წელი. საკომლო წიგნში 1996-2000 წლების მდგომარეობით მითითებულია: ოჯახის უფროსი შ. გ-ი, მეუღლე ლ. გ-ი და შვილი ე. გ-ი; საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო ფართით 100 კვ.მ; აშენების წელი 1965;

საქმეში წარმოდგენილია ასევე დიღმის საკრებულოს გამგეობის 1992 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. გ-ის მოთხოვნა თავისი მეორე ოჯახიდან შვილების – პ. და მ. გ-ების გამყიფის შესახებ;

1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შ. გ-ს გადაეცა მცხეთაში მდებარე 1000 კვ.მ №038 მიწის ნაკვეთი და 0.12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი;

მოსარჩელეები – პ. და მ. გ-ები არიან შ. გ-ის შვილები პირველი ქორნინებიდან. შ. გ-ი არარეგისტრირებულ, მეორე ქორნინებაში იმყოფებოდა ლ. ყ-თან, რომელთანაც შეეძინა ერთი შვილი – ე. გ-ი;

შ. გ-ი გარდაიცვალა 2000 წლის .. აგვისტოს;

საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად, თბილისში, სოფელ დილომში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, ასევე 0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია გარდაცვლილ შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად;

0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გაიყო ორ, 0.12 და 0.03ჰპა მიწის ნაკვეთად;

2005 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 0.12 ჰა მიწის ნაკვეთი მოპასუხებმა გაასვისეს 5000 ლარად;

მხარებს სადაცოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შ. გ-ის სამივე შვილს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვთ მამის სამკვიდრო, სადაც 1000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მოწყობილი იყო მეურნეობა – კიტრის და პომიდვრის სათბური.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სადაცოდაც საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა შ. გ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ვლინდება საჯარო რეესტრის ჩანაწერებიდან, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. მოცემულ შემთხვევაში კი სადაც სახლი და მიწის ნაკვეთი რომელზედაც იგი მდებარეობს, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად რეგისტრირებულია გარდაცვლილ შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადაც ქონებები არ არის შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრება, რაც შემდეგი არგუმენტებით დასაბუთა:

„საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობის, კოლეგურნეობებისა და სხვა სასოფლო სამეურნეო სანარმოთა რეორგანიზაციის „შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტითა და „სახელმწიფო მეურნეობის, კოლეგურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანარმოების რეორგანიზაციის წესის „შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №949 დადგენილების მე-6 პუნქტის „შესაბამისად, რეორგანიზებულ იქნა კოლეგურნეობები და შეიქმნა მიწათმოსარგებლეთა და ტექნიკური მომსა-

ხურების სანარმოები. საქართველოს მთავრობის აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა მთავრობის 1993 წლის 5 მარტის №199 დადგენილებით. ამ დროიდან საქართველოში კოლმეურნეობებმა, როგორც საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, შენყვიტეს ფუნქციონირება. ამდენად, 1993 წლიდან იურიდიული საფუძველი გამოეცალა საკოლმეურნეო კომლს, ხოლო საკომლო მეურნეობის სტატუსი დამკვიდრდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონით, რომლის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად, საკომლო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ და დამოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს და რომელიც ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას შეადგენს. თუ საკომლო მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგან თანახმესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული;

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკომლო მეურნეობის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული, კომლის ყველა წევრზე მითითებით რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში;

სამოქალაქო კოდექსის 311-ე, 312-ე მუხლების თანახმად, სანივთო უფლებები დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემებით, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ყიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა;

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სადაც კონებები რეგისტრირებულია შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო ზემოაღნიშნული ნომით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობა.

სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღეს. ამ მუხლით გათვალისწინებულ კომლში იგულისხმება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სამეურნეო კომლი.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. გ-ის გარდაცვალებით სადაც კონებაზე სამკვიდრო ვერ გაიხსნებოდა, ვინაიდან ცოცხალი არიან კომლის წევრები. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს გამომდინარე ზემოთ დასახელებული ნორმებიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პ. და მ. გ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის განჩინებით პ. და მ. გ-ების სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადაც კონებაზე მოხდარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი ფაქტობრივი გარემოები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1323-ე, 1330-ე, 1328-ე, 1306-ე, 1336-ე, 1433-ე, 311-ე, 312-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 103-ე მუხლებით, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონით და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდონ წორმათა სწორი განმარტება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღეს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ კომლში იგულისხმებოდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სამეურნეო კომლი. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად, თბილისში, სოფელ დილომში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, ასევე 0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია გარდაცვლილ შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად. აქედან გამომდინარე, პალატამ მართებულად ჩათვალა საქალაქო სასამართლოს მსველობა, რომ შ. გ-ის გარდაცვალებით სადაც კონებაზე სამკვიდრო ვერ გაიხსნებოდა, ვინაიდან ცოცხალი იყვნენ კომლის სხვა წევრები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა პ. გ-ისა და მ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს პ. და მ. გ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლომა გააიგივეს საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კომლი და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონით განსაზღვრული საკომლო მეურნება. სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი განმარტებულ უნდა იქნეს სწორედ ამ კომლების გამიჯვნით. სასამართლო, სამართლებრივი შეფასების გაკეთებისას არ ითვალისწინებს კანონის სწორად განმარტების მიწის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართლის სფეროში შემუშავებულ რეკომენდაციებს, სადაც აღნიშნული საკითხი ნათლადაა განმარტებული;

სასამართლომ არასწორად მიიჩნია სადავო ქონება კომლის საკუთრებად, რადგან 1993 წლამდე საქართველოში არსებული საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი ძირითადი და დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით-საკოლმეურნეო ნარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებოდნენ. თუ ოჯახში კოლმეურნეობის არც ერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპონდა და მუშა-მოსამსახურის ოჯახი იქმნებოდა, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრების თანასაკუთრება იყო. ამავე კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად კი, კომლის ყველა წევრს თანაბარი წილი ეკუთვნოდა. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების თანახმად, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ასალორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობის გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საკუთრებას წარმოადგენდა აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე კი ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეზიმი;

სასამართლომ არასწორ სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. თეორიის თანახმად კომლის საკუთრების რამოდენიმე განსხვავებული რეზიმი შეიძლება არსებოდეს. თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს თავისი ინდივიდუალური საკუთრება, ეს კი შეიძლება იყოს კომლის წევრის შემოსავალი, ან დაანაზოგი და სხვა. აღნიშნული ქონება კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ გადადის მის მემკვიდრებზე საერთო დადგენილი წესის თანახმად. გარდა ამისა, კომლში არის ისეთი ქონება, რომელიც კომლის საერთო საკუთრებაა და ეკუთვნის კომლის ყველა წევრს თანასაკუთრების უფლებით. საკომლო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, მასზე არსებული საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობები, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მონცყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში კასატორების დედა ა.ნ. გარდაცვლილი მ. გ-ი იყო კომლის წევრი, მას ჰქონდა შემოსავალი, რომლითაც მონაწილეობას იღებდა ოჯახის დოვლათის შექმნაში. ამით მნიშვნელოვნად იქნა გაზრდილი შ. გ-ის დაანაშოთ ქონების ლირებულება 1965 წლიდან 1983 წლის ჩათვლით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სადავო სახლი და მინის ნაკვეთი წარმოადგენს კომლის წევრების საერთო საკუთრებას, რომლის გაყოფაზეც უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები;

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების შესახებ“ 1996 წლის 22 მარტის საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობა სრულიად ახალი ინსტიტუტია და არსებითად განსხვავდება 1993 წლამდე არსებული საკოლმეურნეო კომლისაგან. შესაბამისად, მითითებული კანონით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობა არ უნდა იქნეს განხილული საკოლმეურნეო კომლის უფლება-მონაცვლედ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ პ. და მ. გ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, საკომლო წიგნში 1986-1995 წლის მდგომარეობით ასახულია შ., პ., მ., ე., თ., მ. და შ. გ-ი. მასში აღნიშნულია საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო ფართით 100 კვ.მ, აშენების წლად მითითებულია 1965 წელი. საკომლო წიგნში 1996-2000 წლების მდგომარეობით მითითებულია: ოჯახის უფროსი შ. გ-ი, მეულე ლ. გ-ი და შვილი ე. გ-ი; საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო ფართით 100 კვ.მ; აშენების წელი 1965;

საქმეში წარმოადგენილია ასევე დილმის საკრებულოს გამგების 1992 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. გ-ის მოთხოვნა თავისი მეორე ოჯახიდან შვილების – პ. და მ. გ-ების გამოყოფის შესახებ;

1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შ. გ-ს გადაეცა მცხეთაში მდებარე 1000 კვ.მ №038 მინის ნაკვეთი და 0.12 ჰექტარი მინის ნაკვეთი;

მოსარჩელები – პ. და მ. გ-ები არიან შ. გ-ის შვილები პირველი ქორწინებიდან. შ. გ-ი არარეგისტრირებულ, მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. ყ-თან, რომელთანაც შეეძინა ერთი შვილი – ე. გ-ი;

შ. გ-ი გარდაიცვალა 2000 წლის .. ივნისს;

საჯარო რეესტრის ჩანახმად, თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, ასევე 0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია გარდაცვლილ შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად;

0.15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გაიყო ორ, 0.12 და 0.03 ჰექტარი მიწის ნაკვეთად;

2005 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 0.12 ჰა მიწის ნაკვეთი მოპასუხეებმა გაასცის 5000 ლარად.

სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონდებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, კასატორებს ნამოყენებული აქვთ დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სადავო ქონება საკომლო მეურნეობის საკუთრებად, გააიგივა რა საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კომლი და „სასოფლო-სამეურნეო დაინიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონით განსაზღვრული საკომლო მეურნეობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსახლეობის შემდეგ დარჩა, ნარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულნლოვანსა და შრომისუნაროვაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განჩინება, №ას-988-1242-05). ამდენად, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას ნარმოადგენდა, აღარ ნარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას წიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი. მითებული წილში, სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესისაგან განსხვავებულად ადგენს სამკვიდროს გახსნის დროს, კერძოდ, ამ წილის მიხედვით, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ან გარდაცვლილი შ. გ-ის ოჯახი ნარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლს, რომელსაც 1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩიპარების აქტის საფუძველზე გადაეცა მცხეთაში მდებარე 1000 კვ.მ ზე. მიწის ნაკვეთი და 0.12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. საკომლო წიგნში არსებული ჩანაწერების მიხედვით (1986-1995 წლების მდგომარეობით) შ. გ-ის კომლს ეკუთვნოდა ასევე 1965 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო ფართით 100 კვ.მ.. სწორედ მითითებული ქონების ნაწილი ნარმოადგენს მხარეთა შორის დავის საგანს. ეს ქონება საკოლმეურნეო კომლის ქონება იყო, რომელიც 1993 წლიდან, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, აღარ ნარმოადგენს კომლის ქონებას და იგი არის შ. გ-ის საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში. აქედან გამომდინარე, შ. გ-ის კუთვნილ წილზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის გამოიყენების ნინაპირობა, ვინაიდან ან გარდაცვლილი შ. გ-ის კომლი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკომლო მეურნეობად და ცოცხალია ამ კომლის ორი წევრი, შესაბამისად, შ. გ-ი არ არის კომლის ბოლო წევრი და სამკვიდროს გახსნა სადავო ქონებაზე დაუშვებელია. ამ გარემოების დადგენისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საჯარო რეესტრის 09.08.07 და 03.11.05 წლების ამონანერებს, რომელთა მიხედვით, თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, ასევე 0.12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია გარდაცვლილ შ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად.

საკასაციონ სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ ზე-მოხსენებული საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს, შ. გ-ის გარდაცვალების მომენტში არსებობდა თუ არ სადაც საკომლო მეურნეობა. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შ. გ-ის საკოლმეურნეო კომლი გაუქმებულია 1993 წლიდან, ხოლო, საკომლო მეურნეობა არ შეიძლება განხილულ იქნეს საკოლმეურნეო კომლის სამართალმემკიდრედ, ვინაიდან იგი საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებული და სპეციალური კანონით რეგულირებული ახალი ინსტიტუტია. საკომლო მეურნეობის დეფინიცია მოცემულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის მე-4 პუნქტში, რომლის თანახმად, საკომლო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლივ, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკურ პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საკომლო მეურნეობა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეგისტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეგისტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული.

ამრიგად, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საკომლო მეურნეობას საჯარო რეგისტრში იყოს რეგისტრირებული. ასეთი რეგისტრაციის გარეშე საკომლო მეურნეობა არ არსებობს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკომლო მეურნეობის რეგისტრაცია შ. გ-ს თავის სიცოცხლეში არ განუხორციელებია (რეგისტრაცია განხორციელდა 30.05.2005 და 04.09.2006 წ.წ., რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გარდაცვალების მომენტში საკომლო მეურნეობა არ არსებობდა. ამ დროისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობდა მხოლოდ შ. გ-ის საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ამასთან, მართალია, საჯარო რეგისტრის 09.08.07 და 03.11.05 წლების ამონანერების მიხედვით, სადაც ერთგული წ. გ-ის, ლ. ყ-ის, ე. გ-ის კომლის საკუთრებად, მაგრამ, საყურადღებოა, რომ საჯარო რეგისტრის უფრო გვიანდელ ჩანანერებში ზემოხსენებული პირები რეგისტრირებული არიან მხოლოდ სადაც ერთგული წ. გ-ის საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა თანამესაკუთრებად და არა საკომლო მეურნეობად. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო რეგისტრის ყველა ზემოაღნიშნული ჩანანერი წარმოადგენს იმ ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვას (რეგისტრაციას), რაც შ. გ-ის საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ არსებობდა ანუ საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა თანამესაკუთრებად რეგისტრაციას ამ კომლის ყოფილ ერთგული წევრთა საერთო საკუთრებას, ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის კუთვნილ წილზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების და არა სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი არ გამოიყენება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკომლო მეურნეობის მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი სპეციალური კანონით რეგულირებული ახალი ინსტიტუტია და იგი არ არის სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ წორმაში მითითებული კომლის იდენტური. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით (1964 წლის რედაქციით), რომელიც კომლის ინტიტუტის დეტალურ სამართლებრივ რეგულაციას შეიცავდა, ახალი სამოქალაქო კოდექსი ასეთ რეგულაციას არ იძლევა და ადგენს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესისაგან განსხვავებულ დანაწესს სამკვიდროს გახსნის დროსთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება განპირობებულია იმით, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს, არ უმსჯელია თითოეული სასაჩივრო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლებზე, გასაჩივრებული განჩინება უფუძნებოდა მხოლოდ იმას, რომ ან გარდაცვლილ შ. გ-ის ერთგული წევრები სამკვიდრო არ გახსნილა. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღმდენიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული წორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვეტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი:

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

1. 3. და მ. გ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განხილვა

№ას-146-140-2012

12 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფობით მიღების ფაქტის დადგენა, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ო. ს-ს მეურვე ნ. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ის ნინააღმდეგ და მოითხოვა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფოლობით მიღების ფაქტის დადგენა, სამკვიდრო მოწმობის, ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მესაკუთრედ აღიარება შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, განლაგებული 587 კვ-მ მინის ნაკვეთზე, თავდაპირველად თბილისის ტექბიუროში ირიცხებოდა მოსარჩელის პაპის – ვ. ლ-ის სახელზე, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. 1956 წლის 13 ივლისს ვ. ლ-მა თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ა. ს-ს დედა ა. ლ-ს, ვ. ლ-ს გარდაცვალა 1960 წლის 12 მარტს. ანდერძისმიერი მემკვიდრე ა. ლ-ა, მიუხედავად იმისა, რომ მას მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში, არ მიუმართავს განცხადებით ნოტარიუსისთვის, ფაქტობრივი ფოლობით დაეუფლა სამკვიდრო ქონებას. ა. ლ-ა გარდაცვალა 1966 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონებაში ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობს მისი ქალიშვილი ა. ს-ა ოჯახთან ერთად.

2007 წლის მაისის ბოლოს მოსარჩელის ოჯახისთვის ცნობილი გახდა, რომ დეიდაშვილმა ი. რ-მ და მისმა ქალიშვილმა მ. მ-მ საჯარო რეესტრში სადავო სახლმფლობელობა აღრიცხეს თავიანთ სახელზე, რისი საფუძველიც გახდა ა. ს-ს მიერ გაცემული ანდერძი.

როგორც მასალებით ირკვევა, 1966 წელს ა. ს-ს განცხადების საფუძველზე ლენინის რაიონის აღმასკომის სხდომის ოქმი №12, 1966 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით №269 დაკანონებულა მისი აწ გარდაცვლილი პაპის – ვ. ლ-ის სახელზე რიცხული ბინა.

აღნიშნულის შემდეგ 1967 წლის 3 მაისს ვ. ლ-ის მეუღლე ე. ლ-ამ აღნიშნული სახლფმლობელობა გადაიფორმა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებით. ამის შემდეგ კი მან ანდერძის საფუძველზე უძრავი ქონება გადაუფორმა მის ქალიშვილს, ა. ლ-ას. საბოლოოდ ჩუქების ხელშეკრულებით ი. რ-ომ თავისი ნილი აჩუქა ქალიშვილს, მ. მ-ს.

მოპასუხე მ. მ-ის წარმომადგენელმა მ. ყ-მა სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. ამასთან, განმარტა, რომ საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 75-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იმ დროისათვის შეადგენდა სამწელს, რომელიც ამავე კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად, იწყებოდა იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ. მოსარჩელებ თავისი უფლებების დარღვევის შესახებ ყველაზე გვიან შეიტყო 1974 წლის 13 ნოემბერს სასამართლო განხილვისას, თუმცა მან არ იდავა საკუთრების უფლებაზე და შემოიფარგლა მხოლოდ სარგებლობის უფლებით, აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეზე იურიდიული შედეგი მოსარჩელის მიერ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ა. ს-ს მეურვე ნ. ლ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-ს მეურვე ნ. ლ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ს-ს მეურვე ნ. ლ-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ს-ს მეურვე ნ. ლ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 1967 წლის 3 მაისის სამემკვიდრეო მოწმობა და 1983 წლის 29 ივნისის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი 1990 წლის 10 ივლისის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ი.

რ-ოს მიმართ უძრავი ქონების 1/4-ის მემკვიდრედ ცნობისა და მ. მ-ის მიმართ 1/4-ის მემკვიდრედ ცნობის ნაწილში და ჩუქების ხელშეკრულება უძრავი ქონების 1/4 ნაწილში. ო. ს-ა ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. ლ-ი და ე. ლ-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1908 წლის 11 იანვრიდან (2011 წლის 16 ნოემბრის სხდომის ოქმი);

ვ. ლ-ი გარდაიცვალა 1960 წლის 14 მარტს;

გარდაცვალების დროისათვის ვ. ლ-ის სახელზე ირიცხებოდა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში.

საქმეში წარმოდგენილი 1966 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად ვ. ლ-ის სახელზე დაკანონდა ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე სახლომულობელობა, როგორც 1956 წლის ივნისამდე უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლი და საქმეში წარმოდგენილი თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1974 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, რაც მხარეებს სადაც არ გაუხდიათ (2011 წლის 16 ნოემბრის სხდომის ოქმი);

ვ. ლ-ს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე ე. ლ-ა, შვილები – ა. ლ-ა (მოსარჩელის დედა) და ო. ლ-ა.

ვ. ლ-მა 1956 წლის 13 ივლისს ქ.თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე სამკვიდრო ქონება უანდერძა თავის ქალიშვილ ა. ლ-ს;

ვ. ლ-ის გარდაცვალების შემდეგ ა. ლ-ა ფლობდა და გარდაცვალებამდე ცხოვრობდა სადაც საცხოვრებელ სახლში. ა. ლ-ა გარდაიცვალა 1966 წლის 18 იანვარს. მას დარჩა ერთი პირველი რიგის მემკვიდრე ო. ს-ა. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1974 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ლ-ს გარდაცვალების შემდეგ სადაც საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს მოსარჩელე ო. ს-ა;

ე. ლ-მ 1967 წლის 3 მაისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მიიღო ვ. ლ-ის დანაშთი სამკვიდრო. 1983 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა ე. ლ-ა; მას დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე: შვილი – ო. ლ-ა და შვილიშვილი – ო. ს-ა;

1983 წლის 29 ივლისს ო. ლ-ა ცნობილ იქნა ანდერძისმიერ მემკვიდრედ თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე ე. ლ-ს დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე. ო. ლ-ა გარდაიცვალა 1989 წლის 13 სექტემბერს. 1990 წლის 10 ივლისის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ თანაბარნილად ცნობილ იქნენ ო. ლ-ს შვილი ო. რ-ო და შვილიშვილი მ. მ-ე;

2007 წლის 25 მაისის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ო. რ-მ საკუთრებაში გადასცა შვილ მ. მ-ს უძრავი ქონება – მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის, საერთო ფართიდან 69,21 კვ.მ-დან 34, 60 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი – 36,36 კვ.მ-დან 18,18 კვ.მ და დამხმარე ფართი-32,85 კვ.მ-დან 16,42 კვ.მ შემდგომში „საჩუქარი“, რომელიც მდებარეობს თბილისი, ს-ის ქ. №14;

ამჟამად, ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე სადაც უძრავი ქონებაზე – შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 69,21 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 36,36 კვ.მ, დამხმარე ფართი 32,85 კვ.მ რეგისტრირებულია მ. მ-ის საკუთრების უფლება.

საქმის მასალებით არ დგინდება ვ. ლ-ის გარდაცვალების დროს (1960 წელს) მისი მეუღლე ე. ლ-ს შრომისუნარობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება.

საქმეში წარმოდგენილი თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1974 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით პალატამ დადგენილად მიიჩნიაა, რომ საქმის განხილვის დროისათვის ე. ლ-ა იყო უსინათლო, რაც ცხადყოფდა, რომ გადაწყვეტილება შეიცავდა 1974 წლის მდგომარეობით ე. ლ-ს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას, ხოლო სამკვიდროს გახსნის დროისათვის (1960 წლისათვის) ე. ლ-ს შრომისუნარობის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი.

საქმეში წარმოდგენილი ლ. ს-ის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგინდა, რომ ო. ს-ა 1984 წლის 26 მარტიდან აღრიცხვაზე იმყოფებოდა ქალაქის ფსიქონევროლოგიურ დისპასანსერში დიგაგნოზით: „ფსიქოპათია, ისტერიული წრის“, ხოლო მითითებული დასკვნის საფუძველზე დადგენილ იქნა მისი ქმედუნარობა. პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა ე. ლ-ს გარდაცვალების დროს (1983 წელს) მისი მემკვიდრის – ო. ს-ს შრომისუნარობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე, 547-ე 556-ე მუხლებზე მითითებით და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მთლიანი უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის ნაწილში უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ქონების 1/2 ნაწილი წარმოადგენდა ე. ლ-ს საკუთრებას, რომელიც კანონით დადგენილი წესით, ექვსთვიან ვადაში, ანდერძის საფუძველზე მიიღო ო. ლ-მ, ხოლო მოსარჩელე სამკვიდროს გახსნის დროისათვის არ წარმოადგენდა სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება მოთხოვნებზე, რომელთა განხორციელებაც დროში იზღუდება და გარკვეულ ჩარჩოში ექცევა. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საკუთრების უფლება, რომლის მიხედვით ცალკეული

პირი უფლებამოსილია, კონკრეტულ ნივთზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სათანადო გარიგებითა თუ კანონის საფუძველზე. დადგენილია, რომ ო. ს-მ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლების გზით მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც დროში არ იზღუდება. აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა თანაქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორცილება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელყოფისაგან. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისაკუთრებაში არსებულ ნივთზე უფლების დაცვა. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის ვადა. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ სადაც სამკვიდრო მოწმობებითა და ჩუქების ხელშეკრულებით უკანონოდ განიკარგა ა. ლ-ს, ხოლო შემდგომში მისი შევილის – ო. ს-ს ქონება, რითაც შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება. შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ნანილში სარჩელი საფუძვლიანი იყო და დაკამაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრა მ. მ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატიონის განმარტებით, ვინაიდან სასამართლომ არ დაადგინა და შესაბამისად, არ შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, მოსარჩელის მიერ საკუთრების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის არქონისა და ე. ლ-ს შრომისუუნარობის შესახებ გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ნანილში დასაბუთებული არ არის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება ვ. ლ-ის გარდაცვალების დროს მისი მეუღლე ე. ლ-ს შრომისუუნარობის შესახებ და ასევე ო. ს-ს ახალგაზრდობიდან ქმედუუნარობის შესახებ, ასევე არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ვ. ლ-ის გარდაცვალებით ქ. თბილისში, ს-ის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონების ს ნილზე სამკვიდროს გახსნის შესახებ.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკამაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის სანინაალმდეგოდ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ლ-ის გარდაცვალების შემდეგ ა. ლ-ა ფლობდა და გარდაცვალებამდე ცხოვრობდა სადაც საცხოვრებელ სახლში. ა. ლ-ა გარდაიცვალა 1966 წლის 18 იანვარს. მას დარჩა ერთი პირველი რიგის მემკვიდრე ო. ს-ა, რომელიც ა. ლ-ს გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სადაც ბინაში და დღემდე იქ ცხოვრობს.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ სადაც ქონება წარმოადგენდა მეუღლების – ვ. ლ-ისა და ე. ლ-ს თანასაკუთრებას, რაც ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ვ. ლ-ის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო გაიხსნა მის ნილზე თანასაკუთრებიდან. ამდენად, მისმა შეიღმა ა. ლ-მ ანდერძის საფუძველზე ფაქტობრივად მიიღო სადაც ქონების ს ნანილი, რაც შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით მიიღო ო. ს-ბ.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ქონების ოდენობა, კერძოდ, (1964 წლის რედაქციის) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლით სხვაგარად მიყო განსაზღვრული სავალდებული წილის უფლების სუბიექტები და წილის ოდენობაც. ანდერძის არსებობის შემთხვევაში, სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლება პერნიდათ მაკვიდრებლის არასრულწლოვან და სრულწლოვან წევრებს, არაშრომისუუნარიან მეუღლეს, მშობლებს და მაკვიდრებლის რჩენაზე მყოფ სხვა კანონისმიერ მემკვიდრეებს. ამავე დროს, სავალდებულო წილის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო იმ ქონების 2/3 ნაკლები, რაც კანონის მემკვიდრეობის დროს მიიღებდა.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამკვიდროს გახსნის დროისათვის მამკვიდრებელს (ვ. ლ-ს) დარჩა ორჩი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილი (ა. ლ-ა, რომელმაც ანდერძის საფუძველზე ფაქტობრივი დაუფლებით მიიღო სამკვიდრო) და მეუღლე (ე. ლ-ა). სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის შვილი იყო სრულწლოვანი, ხოლო მეუღლის შრომისუუნარობის ფაქტი ვერ დადგინდა. ამდენად, მამკვიდრებელს არ დარჩენია სავალდებულო წილზე უფლების მქონე მემკვიდრე.

ამის სანინაალმდეგოს კასატიონი ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ე. ლ-ა იყო უსინათლო და შრომისუუნარო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნანილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საკასაციონ პალატა განმარტავს, რომ (1964 წლის რედაქციის) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგებოდა სამკვიდრო ქონების ფლობასა ან მართვას. ამავე მუხლის ბოლო აბზაცის თანახმად, მიღებული სამკვიდრო ითვლებოდა მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრობის გახსნის დღიდან (ანალოგიურად წესრიგება სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 1433-ე მუხლით). ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ანორმის თანახმად, გააჩნდა უკუძალა. ე.ი., მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რაზედაც მიუთითებული კოდექსის 560-ე მუხლი, კერძოდ, განსახილველი მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მიღებაზე უარი დაიშვებოდა ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრების გახსნის დღიდან (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის ბოლო აბზაცი). ამასთან ერთად საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უძრავი ნივთების საკუთრების წარმოშობისათვის კანონი მოითხოვდა გასხვისების ხელშეკრულების რეგისტრაციას (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის მე-3 აბზაცი).

ამავე კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი აბზაცი ადგენდა, რომ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დადასტურებულიყო სანოტარო წესით და უნდა რეგისტრებულიყო სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან. ამავე მუხლის ბოლო აბზაცის თანახმად, ამ მუხლით დადგენილი წესების დაუცველობა იწვევდა საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანაწესის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობას იწვევდა არა მარტო სანოტარო ფორმის დაუცველობა, არამედ აუცილებელი რეგისტრაციის პირობების დარღვევა. ამსთან ერთად აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციის დაუცველობა იწვევდა მხოლოდ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას და არანაირად არ ვრცელდებოდა სხვა გარიგებებზე.

ამასთან ერთად საკასაციონ პალატა განმარტავს, რომ მითითებული დანაწესი განსხვავდება მოქმედი კოდექსით დადგენილი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, მოქმედი კოდექსიც ითვალისწინებს უძრავი ნივთის შეძენისათვის გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციის, მაგრამ რეგისტრაციისათვის არ არის დადგენილი ვადა და რეგისტრაციის დაუცველობა არ იწვევს გარიგების ბათილობას. ამდენად, უძრავი ნივთების რეგისტრაციისათან დაკავშირებული ახალი წესების ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმად (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი) უძრავი ნივთის შეძენისათვის გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციის დაუცველობა არ იწვევს ამ გარიგების ბათილობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციონ პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის ბოლო აბზაცის თანახმად, ა. ლ-ს არ წარმოეშვა საკუთრების უფლება რეგისტრაციის განუხორციელობლობის და, შესაბამისად, დამდგენი საბუთის ბათილობის გამო. ამ მოსაზრების დასაღასტურებლად კასატორი ასევე უთითებს 1974 წლის 13 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ეხიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც

განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაბილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება). კონკრეტულ შემთხვევაში ა. ლ-ს სახელზე გაცემული ანდერძის ბათილობასთან დაკავშირებული გარემოებები არ ვლინდენა 1974 წლის 13 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არც სამოტივაციით და არც დადგენილებით ნაწილებიდან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეზიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის ითვლება მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის ბოლო აბზაციით (სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლით) განსაზღვრული დანაწესის თანახმად, საკუთრების უფლება ჩნდება კანონის საფუძველზე. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაციასა-ვალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

შესაბამისად, მემკვიდრეს წარმოეშვება მიღებული უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება.

სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში მას აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის №3კ/932-02 განჩინებას, რომელზეც უთითებს კასატორი, უნდა აღინიშნოს, რომ ამ განჩინების მოწესრიგებული ურთიერთობა ეხებოდა მესამე პირის უფლებებს, რომლისთვისაც უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მქონე პირი ვლინდება საჯარო რეესტრიდან და იმისათვის, რომ მესაკუთრემ მესამე პირთან მიმართებაში განაცხოდოს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, მას უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული ეს უფლება საჯარო რეესტრში, რაც ასრულებს მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას.

კონკრეტულ შემთხვევაში დავა მიმდინარეობს მემკვიდრეებს შორის (და არა მესამე პირთან მიმართებაში) სამკვიდროს მიღების კანონიერებაზე, რაც განსხვავდება ზემოაღნიშნული საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივრს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ის საკასაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ადერბის პათილობის შესახებ სარჩელის წარდგენის ვადა

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-15-15-2012

28 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ანდერძისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

ალექსერილობითი ნაწილი:

მ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. მ-ის, მესამე პირის – ნოტარიუს თ. გ-ის მიმართ ე. მ-ის მიერ 1997 წლის 31 ოქტომბერს ქ. მ-ისა და ზ. მ-ის სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს თ. გ-ის მიერ დამოწმებული ანდერძისა და ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 1999 წლის 25 ივნისს მამკვიდრებელ ე. მ-ის სამკვიდროზე ქ. და ზ. მ-ების სასარგებლოდ გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

მ. მ-ი და მისი ინვალიდი შევილი – ქ. მ-ი ცხოვრობდნენ მოსარჩელის დის – ე. მ-ის კუთვნილ, ქ.თბილის-ში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე სახლმშელობელობის 1/4-ში. 1998 წლის 7 ოქტომბერს ე. მ-ი გარდაიცვალა. მოსარჩელე და მისი შვილი კი დარჩენა მზრუნველობის გარეშე.

მ. მ-ი შეუთანხმდა თავის ნათესავსა და ოჯახის ახლობელ ზ. მ-ს, რომ მისი დის დანაშთი ბინის გადაცემის სანაცვლოდ, მას მზრუნველობა გაენია მოსარჩელის ოჯახისათვის.

ზ. მ-ის მოთხოვნითა და იძლებით, მ. მ-მა ჩიდინა სიყალბეჭ, მან მოატყუა ნოტარიუსი, როდესაც 1997 წლის 31 ოქტომბერს თავი გააცნო ე. მ-ად და შეადგინა ანდერძი ზ. მ-სათვის კუთვნილი ქონების დატოვების შესახებ. ანდერძი ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ, თუმცა ე. მ-ის სახელით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივლისის საოქმო განჩინებით მ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი პირველი რიგის მემკვიდრე ქ. მ-ი.

მ. მ-მა და მ. ო-მა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს მ., ქ. და ზ. მ-ების წინააღმდეგ და მოითხოვეს ე. მ-ის მიერ 1997 წლის 31 ოქტომბერს ქ. მ-ისა და ზ. მ-ის სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს თ. გ-ის მიერ დამოწმებული ანდერძისა და ნოტარიუს თ. გ-ის მიერ დამოწმებული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა და სამკვიდრო მასაში შემავალი ქონებიდან – ქ.თბილის-ში, ა-ის ქ. №9-ში მდებარე უძრავი ქონების მამკვიდრებლის კუთვნილი 1/4 ნილიდან 1/2-ის მიკუთვნება. მათ მიიჩინეს, რომ ე. მ-ს ანდერძი არ დაუტოვებია. სადაც ანდერძი შეადგინა მისმა დამ, მ-მა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძვლია. მამკვიდრებელი წარმოადგენდა მათი ან გარდაცვლილი მამის მამიდას, შესაბამისად, მ. მ-სა და მ. ო-ს სადაც ქონებიდან ასევე ეკუთვნით ნილი.

მოპასუხე ზ. მ-მა როგორც ძირითადი, ასევე მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო და მოითხოვა ორივე სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხე ქ. მ-ის წარმომადგენელმა მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა ანდერძისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობის ნაწილში ცნო, ხოლო წილის გამოყოფის შესახებ მოთხოვნა მიიჩინა უსაფუძვლოდ.

მესამე პირის, ნოტარიუს თ. გ-ის მოსარჩებით, მ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ არის ხანდაზმული და უსაფუძვლო.

მესამე პირის, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მოცემული დავის ფარგლებში ქმედუუნარო პირის – ქ. მ-ის ქონებრივი უფლებები და ინტერესები დაცულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ჯ. ტ-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდა, მ. მ-ისა და მ. ო-ის სარჩელი დაკამაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ე. მ-ის მიერ 1997 წლის 31 ოქტომბერს ქ. მ-ისა და ზ. მ-ის სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს თ. გ-ის მიერ დამოწმებული ანდერძი (რეესტრში რეგისტრაციის №...), და ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 1999 წლის 25 ივნისს მამკვიდრებელ ე. მ-ის სამკვიდროზე ქ. და ზ. მ-ების სასარგებლოდ გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა (რ/რ №...), მ. მ-ი და მ. ო-ი ცნობილ იქნენ 1998 წლის 7 სექტემბერს გარდაცვლილი ე. მ-ის კუთვნილი, ქ.თბილის-ში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის 1/2-ის მესაკუთრებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზ. მ-მა და მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა (მეურვე) ჯ. ტ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა, მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ჯ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი წარმომადგენლის დაკამაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მესამე პირების მ. მ-ისა და მ. ო-ის სარჩელის დაკამაყოფილების ნაწილში და მათი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკამაყოფილდა, გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1998 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა მამკვიდრებელი ე. მ-ი, რომლის საკუთრებაშიც გარდაცვალების დროისათვის ირიცხებოდა ქ.თბილის-ში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილი.

სამკვიდროს გახსნის დღისათვის ე. მ-ის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ და – მ. მ-ი და მმის, 1964 წელს გარდაცვლილი ჟ. მ-ის შვილები – მ. მ-ი და ა. მ-ები. მ. მ-ი გარდაიცვალა 2006 წლის 25 მარტს. მას დარჩა

ერთი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი ქ. მ-ი, რომელსაც მიღებული აქვს დედის, მ. მ-ის სამკვიდრო ქონება. ა. მ-ი გარდაიცვალა 1998 წლის 31 დეკემბერს. მის პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენს შვილი – მ. ო-ი.

1997 წლის 31 ოქტომბერს ნოტარიუს თ. გ-მა დაამონმა ე. მ-ის ანდერძი, რომლითაც მოანდერძებ მოელი თავისი ქონება, კერძოდ, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში და ქარელის რაიონის სოფელ დ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები თანაბარნილად უანდერძა ქ. და ზ. მ-ებს.

1999 წლის 25 ივნისს ნოტარიუს თ. გ-მა ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე გასცა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონმობა ქ. და ზ. მ-ების სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც ისინი დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრებად.

მოსარჩელე მ. მ-სათვის ანდერძის შედგენის შესახებ ცნობილი იყო ანდერძის შედგენის დღიდანვე, 1997 წლის 31 ოქტომბრიდან, ვინაიდან, მისივე განმარტებით, ანდერძი მის მიერ იქნა გაყალბებული.

საშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქარელის რაიონის სოფელ დ-ში 1998 წლის 7 სექტემბერს გაიხსნა მემკვიდრეობა ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე – საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიიღეს მისმა მმისშვილებმა ო. და მ. მ-ებმა და მმისშვილიშვილმა მ. ომა. 2009 წლის 11 მარტს ქარელის ნოტარიუს ც. დ-ის მიერ ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე, მდებარე ქარელის რაიონის სოფელ დ-ში გაიცა სამკვიდრო მონმობა მ. და ო. მ-ებისა და მ. ო-ის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც ისინი დარეგისტრირდნენ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრებად საჯარო რეესტრში.

სიიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტ მ. ვ-ს მიერ ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პირადობის დამადასტურებელი ჩანანერი: „ე. ა-ს ას მ-ი“, განლაგებული 1997 წლის 31 ოქტომბერს შედგენილ ანდერძზე, შესრულებულია მ. მ-ის მიერ.

პალატამ არ გაიზიარა მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის ჯ. ტ-ის მოსაზრება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, 130-ე, 129-ე მუხლებით, 1409-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. მ-სათვის ანდერძის შედგენის შესახებ ცნობილი იყო ანდერძის შედგენის დღიდანვე – 1997 წლის 31 ოქტომბრიდან, ვინაიდან, მისივე განმარტებით, ანდერძი მის მიერ იქნა გაყალბებული. ანდერძის გაყალბების ფაქტს ასევე ადასტურებს სიიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტ მ. ვ-ს მიერ ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა, რომელში აღნიშნულია, რომ 1997 წლის 31 ოქტომბერს შედგენილ ანდერძზე განლაგებული პირადობის დამადასტურებელი ჩანანერი – „ე. ა-ს ას მ-ი“ შესრულებულია მ. მ-ის მიერ. ასევე დადგენილია, რომ მ. მ-ის მიერ სარჩელი აღიძრა 2004 წლის 25 ნოემბერს სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის სარჩელი ანდერძისა და ანდერძის-მიერი მემკვიდრეობის უფლების მონმობის ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმულია.

ასევე ხანდაზმულია მესამე პირების – მ. ო-ისა და მ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე.

აღნიშნულთან მიმართებაში პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ ანდერძის ბათილობის მოთხოვნის შესახებ სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლით გათვალისწინებული ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, იმ მომენტიდან, როცა მემკვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის არსებობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელისათვის კანონი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას – ორ წელს ადგენს. ამასთან, ამ ვადის დენა ინყება არა იმ მომენტიდან, როცა დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ანდერძის ბათილობას იწვევენ, არამედ სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებელი ე. მ-ი გარდაიცვალა 1998 წლის 7 სექტემბერს. ამდენად, სასარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ ნარდგენილ უნდა ყოფილიყო სამკვიდროს გახსნის დღიდან – 1998 წლის 7 სექტემბრიდან ორი წლის განმავლობაში, ანუ 2000 წლის 7 სექტემბერს. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ მ. მ-ა და მ. ო-მა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს მხოლოდ 2005 წლის 1 ნოემბერს სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ამდენად, სასამართლო მიიჩნია, რომ მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – მ. მ-ისა და მ. ო-ის სასარჩელო განცხადებაც არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. მ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ჯ. ტ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სასამართლომ საერთოდ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი, რომლის თანახმად გათვალისწინებული ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმუ-

ლობის ვადა უნდა აითვალოს არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, იმ მომენტიდან, როცა მემკვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის არსებობის შესახებ.

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი, მე-3 ნაწილები და და არ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1504-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან. ამდენად, ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მონესრიგდეს ანდერძის შედგენის დროს მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

აღნიშნული კოდექსის 546-ე და 551-ე მუხლების საფუძველზე სასამართლოს უნდა შეეფასებინა ის გარემოება, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით, 1997 წლის 31 ოქტომბერს შედგენილ ანდერძზე ხელმოწერა შესრულებულია მ. მ-ის მიერ. შესაბამისად, მოანდერძე ე. მ-ს თავისი კუთვნილი ქონების განკარგვის ნება არ გამოუვლენია, რაც მისი სახელით შედგენილი ანდერძის ბათოლად ცნობის უპირობო საფუძველია.

სააპელაციო პალატას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეემონებინა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად. ქ. მ-სათვის სადაც ანდერძის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2007 წელს, როდესაც იგი მ. მ-ის უფლებამონაცვლედ ჩაერთო საქმეში. აღსანიშნავია, რომ ზ. მ-ის იყო ქ. მ-ის მეურვე, რომელმაც ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეობა თავად მიიღო სამკვიდრო.

ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. იგი მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრარი შეიტანეს მ. ო-მა, მ. მ-ის უფლებამონაცვლები მ-მა და ო. მ-მა, მათ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ მიიღო უკანონო, დაუსაბუთებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილება, როდესაც ზ. მ-ის მოთხოვნა დაკავმაყოფილა.

სადაც სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 1997 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც მ. მ-მა გააყალბა ანდერძი. მან აღნიშნული შეგნებულად ჩაიდინა და თავისი დის – ე-ს კუთვნილი სახლის ნახევარი უანდერძა ზ., ხოლო მეორე ნახევარი კი ქ. მ-ებს. ზ-ს მოქმედებით უკანონობილო 2005 წლის დასაწყისში შეატყობინა მ. ო-ს მის მიერ ჩადენილ უკანონობის შესახებ და, 2004 წლის 25 ნოემბერს სარჩელი შეიტანა სასამართლოში. სასამართლომ მ. მ-ის სასაჩივრო მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია, რადგან დარღვეული იყო ორნლიანი ვადა. მ. მ-ის მიერ გაყალბებული ანდერძის შესახებ მისთვის ცნობილი იყო ანდერძის შედეგის დღიდან (1997 წლის .. ოქტომბრიდან). ე. გარდაიცვალა 1998 წლის .. სექტემბერს.

მ. მ-ის მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე 2005 წლის 1 ნოემბერს კასატორებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს ე.ი შეტყობინებიდან ერთი წლის ვადაში. მანამდე სასამართლოში ადგენდნენ ნათესაური კავშირის არსებობას მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლო სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე და განმარტა, რომ ანდერძის შედგენის დროისათვის მოქმედებდა 1964 წლის რედაქციის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 546-ე და 551-ე მუხლების თანახმად, ანდერძის პირადად მოანდერძებ უნდა მოაწეროს ხელი. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ ანდერძი გაყალბებული იყო.

საქალაქო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა ხანდაზმულობის საკითხი მესამე პირების სარჩელთან მიმართებაში და კანონიერად დაადგინა ორნლიანი ხანდაზმულობის ვადა დაინტერესებული პირისათვის უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან, სამოქალაქო კოდექსი 130-ე მუხლის თანახმად.

სააპელაციო სასამართლო აპელირებს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლზე და ხანდაზმულობის ვადას ითვლის სამკიდროს გახსნის მომენტიდან (1998 წლის .. სექტემბრიდან), რაც არასწორია. კასატორები ვერ შეიტყობდნენ ანდერძის სიყალბის შესახებ მანამ, ვიდრე მ. მ-ი არ ეტყოდათ ამის შესახებ. ამდენად, ისინე ვერ იდავებდნენ ანდერძის ბათოლობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი და ამ მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 654-ე-551-ე მუხლები.

საქართველოს უზენების სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით – ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ჯ. ტ-ის, ხოლო 2012 წლის 15 თებერვლის განჩინებით მ. ო-ის, მ. მ-ის უფლებამონაცვლები გ. მ-ისა და ო. მ-ის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ჯ. ტ-ის საკასაციო საჩივრარი არ უნდა დაკავშირდეს, ხოლო მ. ო-ის, მ. მ-ის უფლებამონაცვლები გ. მ-ისა და ო. მ-ის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1998 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა მამკვიდრებელი ე. მ-ი, რომლის საკუთრებაშიც გარდაცვალების დროისათვის ირიცხებოდა ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილი.

სამკვიდროს გახსნის დღისათვის ე. მ-ის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ და – მ. მ-ი და ძმის, 1964 წელს გარდაცვლილი ჟ. მ-ის შვილები – ო., მ. და ა. მ-ები. მ. მ-ი გარდაიცვალა 2006 წლის 25 მარტს. მას დარჩა ერთი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – ქ. მ-ი, რომელსაც მიღებული აქვს დედის, მ. მ-ის სამკვიდრო ქონება. ა. მ-ი გარდაიცვალა 1998 წლის 31 დეკემბერს. მის პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენს შვილი – მ. ო-ი.

1997 წლის 31 ოქტომბერს ნოტარიუს თ. გ-მა დაამონმა ე. მ-ის ანდერძი, რომლითაც მოანდერძებ მოელი თავისი ქონება, კერძოდ, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში და ქარელის რაიონის სოფელ დ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლებითანაბარწილად უანდერძა ქ. და ზ. მ-ებს.

1999 წლის 25 ივნისს ნოტარიუსმა თ. გ-მა ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე გასცა ანდერძისმიერი მემკვიდრების უფლების მოწმობა ქ. და ზ. მ-ების სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც ისინი დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრებად.

მოსარჩევე მ. მ-სათვის ანდერძის შედგენის შესახებ ცნობილი იყო ანდერძის შედგენის დღიდანვე, 1997 წლის 31 ოქტომბრიდან, ვინაიდან, მისივე განმარტებით, ანდერძი მის მიერ იქნა გაყალბებული.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქარელის რაიონის სოფელ დ-ში 1998 წლის 7 სექტემბერს გაიხსნა მემკვიდრეობა ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე – საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიიღეს მისმა ძმისშვილებმა – ო. და ზ. მ-ებმა და მ. ო-მა. 2009 წლის 11 მარტს ქარელის ნოტარიუს ც. დ-ის მიერ ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე, მდებარე ქარელის რაიონის სოფელ დ-ში გაიცა სამკვიდრო მოწმობა მ. და ო. მ-ებისა და მ. ო-ის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც ისინი დარეგისტრირდნენ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრებად საჯარო რეესტრში.

საიპ „ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტ მ. ვ-ს მიერ ჩატარებული სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პირადობის დამადასტურებელი ჩანაწერი: „ე. ა-ს ას მ-ი“, განლაგებული 1997 წლის 31 ოქტომბერს შედგენილ ანდერძზე, შესრულებულია მ. მ-ის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ზ. მ-ის სააპელაციო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ ანდერძის ბათილად ცნობისათვის გასული იყო ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მ. მ-ისა და მ. ო-ის სარჩელი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება, რაც შედეგია იმისა, რომ სასამართლოს მიერ არასწორადა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი, მითითებული ნორმის თანახმად, სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. პალატა თვლის, რომ მუხლში მითითებული მოთხოვნა ვრცელდება იმ პირების მიმართ, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ. შესაბამისად, ეს მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების მიმართ, რომელთაც არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ იმის თაობაზე, რომ არსებობდა ანდერძი და არსებობდნენ ანდერძით მემკვიდრეები.

ზემოთ მითითებული მოსაზრება გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური დებულებებიდან, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამართლებრივი ნორმებიდანაც. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მისი უფლების დასაცავად. ბუნებრივია, მითითებული ნორმა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურად სარჩელის შეტანას, არამედ ამ საკითხზე სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებასაც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მითითებულ ნორმაში საუბარია იმ უფლებაზე, რომელსაც ადამიანი მიიჩნევს დარღვეულად და, ამასთან, ცნობილია ამ ფაქტის შესახებ. უფლების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აღადგენს მის დარღვეულ უფლებას გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. შეუძლებელია, ადამიანმა მიმართოს სასამართლოს, თუ არ იცის მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი ფაქტის შეტობინებისთანავე კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია კანონმდებლობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლშიც იგივე სახის დებულებაა მოცემული. ამ ნორმის თანახმად, ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. უფლების სასამართლო წესით დაცვა ცალსახად გამოიხატება დარღვეული უფლების აღდეგნაში. მაგრამ იგი დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე – მიმართოს სასამართლოს. შეუძლებელია, სასამართლო წესით უფლების დაცვა თუ ადამიანი არ მიმართავს სასამართლოს. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტიც. დარღვეული უფლების აღდგენა ხშირ შემთხვევაში გარკვეულად შემოფარგლულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. იმ შემთხვევაში თუ პირი კანონით დადგენილ ვადაში არ მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, სარჩელი აღადგენილი დაკმაყოფილდეს (სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო). სარჩელის შეტანა ადამიანის უფლება და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, დაიცავს თუ არ მის დარღვეულ უფლებას სასამართლო წესით. ხოლო თუ იგი არაგონივრულ ვადებში მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა ვერ დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ალნიშნული ვადები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანისათვის ცნობილია მისი უფლების დარღვევის შესახებ და არ მიმართა სასამართლოს კანონით დადგენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც ადამიანი შეიტყობს უფლების დარღვევის შესახებ და დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს, შეუძლებელია, უარი ეთქვას იმის გამო, რომ

მან გაუშვა ხანდაზმულობის ვადა. ამის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლში მითითებული დებულებაც, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. როგორც აღნიშნული ნორმიდან ჩანს, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნა უკავშირდება დარღვევის ფაქტის შეტყობას. შეუძლებელია, მემკვიდრეს მოეთხოვოს სარჩელის შეტანა სამკვიდროს გახსნიდან გარკვეულ პერიოდში, როცა ამ პერიოდში მისთვის უცნობია მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი სახის განმარტება ყოველგვარ აზრისა მოკლებული და ენინააღმდეგება ელემენტარულ ლოგიკის კანონებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლში მითითებული ვადა უნდა გავრცელდეს იმ პირებზე, რომელთათვისაც ცნობილი იყო ანდერძის არსებობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი მ. მ-ის მიმართ, რომლისათვისაც ანდერძის შედგენის დღიდანვე ცნობილი იყო ანდერძის სიყალის თაობაზე. შესაბამისად, სწორია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი სასამართლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. იგივე შედეგია გათვალისწინებული 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსითაც. ამ კოდექსის 75-ე მუხლით საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელით, რომელის უფლებაც დარღვეულია განისაზღვრება სამი წლით. მე-80 მუხლი ამ ვადას იწყებს იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მ. მ-მა კი ამ ნორმით გათვალისწინებული ვადაც გაუშვა, რაც ამავე კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად სარჩელზე უარის თქმის საფუძველია. მ. მ-მა ანდერძის ბათილად ცნობა მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ ანდერძზე ხელმოწერა შესრულებული იყო მის მიერ, რაც განახორციელა ზ. მ-ის მიერ მისი შეცდომაში შეყვანის გზით. ამ ფაქტის თაობაზე მისთვის ცნობილი იყო ანდერძის დადასტურების მომენტიდან და ამ პერიოდიდანაც გასულია ზემოთ მითითებული საწ წლიანი ვადაც.

საკასაციო პალატა იმავდროულად მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ხანდაზმულად ჩაითვალოს მ. ო-ს და მ. მ-ის სასამართლო მოთხოვნა. სასამართლოს მიერ დადაგენილი გარემოებებიდან ჩანს, რომ ე. მ-ის სამკვიდრო ქონება – საცხოვრებელ სახლი და მინის ნაკვეთი, მიიღეს მისმა ძმისშვილებმა ო. და მ. მ-ებმა და მ. ო-მა. შესაბამისად, გაცემულია სამკვიდრო მოწმობა ე. მ-ის სამკვიდრო ქონებაზე, მდებარე ქარელის რაიონის სოფელ ფ-ში მ. და ო. მ-ებისა და მ. ო-ის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც ისინი დარღვისტრიდნენ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრებად საჯარო რეესტრში. მითითებული ფაქტორივი გარემოებების მიმართ არ არსებობს დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც შეუძლებელია მათი უაროფა.

საქალაქო სასამართლოს 2010 წლის გადაწყვეტილებით მ. მ-ი და მ. ო-ის სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად გაბათილდა საადავო ანდერძი და მ. მ-ი და მ. ო-ი ცნეს 1998 წლის 7 სექტემბერს გარდაცვლილი ე. მ-ის კუთვნილი, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის 1/2-ის მესაკუთრებად. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის ამ პირთა მიერ. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა აისახოს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ნინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში ქ. მ-ი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუმცა, ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე, ქ. და ზ. მ-ებს უნდა დაეკისროთ მ. მ-ის უფლებამონაცვლე გ. მ-ის, ო. მ-ისა და მ. ო-ის სასარგებლოდ მ. და მ. მ-ების დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნაზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 35 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ჟ ვ 3 0 ტ ა:

ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ქ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მ. ო-ის, მ. მ-ის უფლებამონაცვლე გ. მ-ისა და ო. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

მ. მ-ის უფლებამონაცვლე ქ. მ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ქ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

მ. მ-ის უფლებამონაცვლე გ. მ-ის, ო. მ-ის და მ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

ბათილად იქნეს ცნობილი ე. მ-ის მიერ 1997 წლის 31 ოქტომბერს ქ. მ-ისა და ზ. მ-ის სასარგებლოდ შედგენილი, ნოტარიუს თ. გ-ის მიერ დამოწმებული ანდერძი (რეესტრში რეგისტრაციის №...) და ნოტარიუს თ. გ-ის მიერ 1999 წლის 25 ივნისს მამკვიდრებელ ე. მ-ის სამკვიდრო ზე ქ. და ზ. მ-ების სასარგებლოდ გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა (რ/რ №...).

მ. მ-ი და მ. ო-ი ცნობილ იქნეს 1998 წლის 7 სექტემბერს გარდაცვლილი ე. მ-ის კუთვნილი, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №9ა-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის 1/2-ის მესაკუთრებად.

ზ. დაქ. მ-ებს დაეკისროთ მ. მ-ის უფლებამონაცვლე გ. მ-ის, ო. მ-ისა და მ. ო-ის სასარგებლოდ სახელ-მწიფო ბაჟის სახით გადახდილი 35 ლარის ანაზღაურება.
საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.